სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

ს�ი სუნჯე

3

სექტემბერი, 2013

SUMMARY
РЕЗЮМЕ

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა



სამი საუნჯე

№3(9), 2013



თბილისი
სექტემბერი, 2013

უაკ: 070 (479.22)
ს-21

სარედაქციო საბჭო

ბონდო არველაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე, გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), **ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე** (რედაქტორი), **გრანი ქავთარია.**

დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„სინერგიის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს **„სამი საუნჯე“**.

ISSN 2233-338X

© «სამი საუნჯე», 2013.

სარჩევი

პეტრე ბაგრატიონი — გარდაცვალებიდან 200 წლისთავი
წერილი ოთარ ამილახვრისადმი 4

რუსეთი, ევროპა, საქართველო
გრიგოლ რუხაძე, ახალი ტოტალიტარული სექტა 5
გვანცა კოპლატაძე, სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო
XIX საუკუნის პირველ ნახევარში 18
ნოდარ ლომოური, რუსეთთან ურთიერთობის
აღდგენის აუცილებლობის შესახებ 28
გრანი ქავთარია, სტრატეგიული პარტნიორობა თუ ყმადნაფიცობა 35
მამუკა ცუხიშვილი, პეტრე ბაგრატიონი 45

ქართლის ცხოვრება
ბორის დარჩია, ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ ბრძოლა
და იოსებ სტალინი 63
თინა ფელაშვილი, მესხეთიდან გასახლებული მუსლიმების ისტორია.
2. ახალციხის მაზრა 81
ბონდო არველაძე, ვერცხლის ქუჩაზე ქართული ეკლესია დგას 91

ეთნოგრაფიული ექსპედიცია
გვანცა კოპლატაძე, სამცხე — ადიგენის რაიონი 100

განათლება
თეიმურაზ ფანჯიკიძე, განათლების ავბედითი რეფორმა საქართველოში ... 118

ეკლესია და ხელოვნება
რუსუდან ლობიშვილი, თეატრის როლი საზოგადოებაში
და მისი ეკლესიური შეფასება 133

ინტერვიუ
„ქართული ჩემი მშობლიური ენაა“.
ინტერვიუ ქართული ენის მასწავლებელთან ანა პაპიკიანთან 154

თეზისები. დოკუმენტები
სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, თურქეთისადმი ჩვენი
კანონიერი პრეტენზიების შესახებ..... 160
ილია მაისურაძე, მესხური ხალხური ზეპირსიტყვიერება
თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე 170
თინა ფელაშვილი, კათოლიკობა საქართველოში 182

პოეზიის ანთოლოგია
გივი გეგეჭორი, ლექსები 197

მამულიშვილთა მოსახსენებელი 213
ჩვენი ავტორები 223

РЕЗЮМЕ (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) 225
SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა) 231

მათს ბრწყინვალებას ამილახვარს ოთარს,
ჩემს მწყალობელ უფალს,
შესაბამსა პატივისცემასა მიუძღვანებთ.

ი ცი, ჩვენს ამბავს ინებებთ სმენად და ყოველსავე ჩვენს ამბავს ჩვენი ძმა კნიაზ რომან ივანიჩი გიამბობსთ. სხვებრ ვითხოვთ თქვენის კეთილგონიერებისაგან, რომ თქვენის ჩვეულებისაებრ ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის ერთგულებასა და თქვენის ქვეყნის სამსახურში გულსმოდგინე იყოთ. ვინაიდგან მათს დიდებულებას, ყოვლად მოწყალეს ჴელმწიფეს, სრულის გულით სურს, რომ საქართველო ყოვლითურთ მშვიდობასა და ბედნიერებაში იყოს დაცული.

ამისთვის თქვენც გმართებსთ, რომ ყოველნივე თქვენნი ნათესავნი და მოყვარენი განამტკიცოთ ჴელმწიფის ერთგულებასა და ქვეყნის სამსახურში. თქვენვე იცით, თუ რუსეთის უძლეველი მჴედრობა და ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწეოდა, აქამდინ დიდ უბედურებას მიეცემოდა, და ამისთვის გმართებთ სრული ერთგულებით სამსახური ჴელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა; და გირჩევთ სიყვარულით, რომ რაც მანდ მყოფთ ჯართა დასჭირდესთ პური თუ სხვა სახმარი ნივთი, შეძლებისაებრ შეეწივნეთ და სასყიდელიც მიიღოთ ჴელმწიფისაგან.

თქვენს ბრწყინვალებას ვარწმუნებ ამას, რომ თუმცა არ მინახიხართ, მაგრამ ვიცი ჩემი ძმის, კნიაზ რომან ივანიჩისაგან, თქვენი კეთილგონიერება და ერთგულება ჴელმწიფისა, რომლისათვისაც მოხარული ვარ და კიდევაც ვითხოვ თქვენგან თქვენი ჩვეულებრივი სიმჴნე და ერთგულება ჴელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა არ მოშალოთ, რომლისთვისაც ჴელმწიფისაგან მიიღებთ საკმაოს წყალობასა; და იქნება მეც მოვიდე და თვითონ მე გიჩვენებთ საქმით ერთგულებასა და სიყვარულსა. და სხვებ დავშთები უმწვერვალესსა პატივისცემასა შინა თქვენსა.

თქვენის ბრწყინვალების მარად მსახურების მოსურნე,
კნიაზ პეტრე ბაგრატიონი.
წელსა 1806, აპრილის 30.

საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 5, თბ., 1944, გვ. 744.
ტექსტი დადგენილია პროფ. დ. გვრიტიშვილის მიერ.



გრიგოლ რუხაძე

ახალი ტოტალიტარული სექტა

ცხადია, ქართველმა ხალხმა იცოდა, თუ ვის წინააღმდეგ მისცა ხმა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში, თითქმის დღე არ გადის, რომ «ნაციონალური მოძრაობის» მოღალატური პოლიტიკის, პათოლოგიური სისასტიკისა და სიბილწის შესახებ ახალ-ახალი ამბავი არ შევიტყოთ. ბოლოს და ბოლოს ყველა რწმუნდება, რომ ღმერთმა საქართველო ფიზიკური და მორალური განადგურებისგან ბიძინა ივანიშვილის ხელით გადაარჩინა.

მიუხედავად ამისა, ნაცებთან ერთად გამოჩნდნენ ახალი კრიტიკოსები, რომლებიც «სიტყვის თავისუფლებას» პრემიერ-მინისტრის დასადანაშაულებლად იყენებენ. აზრი, რა თქმა უნდა, ყველას თავისი აქვს, მაგრამ უმადურობისა და უტაქტობის გამომჟღავნება დამსახურებული სახელმწიფო მოღვაწის მიმართ არ ეგების! ჩვენ, ერთი ქვეყნის შვილებს, მოგვეთხოვება არა მარტო ერთმანეთის პატივისცემა, არამედ მართლზომიერების დაცვაც, რადგან ცოდვა-მადლს სოციალური თვისება აქვს; რაც იმას ნიშნავს, რომ მისი თანაფარდობა არა მარტო ადამიანის პიროვნულ მდგომარეობაზე ზემოქმედებს, არამედ საზოგადოებრივ ვითარებაზეც აისახება. მადლის გამრავლებას სიკეთე და მშვიდობა მოაქვს, ხოლო ცოდვის სიმძიმეს — შფოთი და განსაცდელი. აქედან გამომდინარე, თითოეული მოყვასისადმი კეთილმოსურნეობას ქვეყნისთვისაც სარგებელი მოაქვს, ხოლო შური და გაუტანლობა არა მარტო ცალკეული ადამიანის სულს, არამედ მთლიანად სახელმწიფოსაც ზიანს აყენებს. ე. ი. კეთილი კაცი ქვიტკირია ქვეყნისა, ხოლო ბოროტი — ფითრი და ჟანგი.

ამიტომ, როცა ჩვენ ზემოაღნიშნულ კრიტიკოსებს ვსაყვედურობთ, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამოვდივართ და ხმას იმის გამო კი არ ვიმაღლებთ, რომ მათი გაკიცხვის სურვილი გვამოძრავებს, არ-

ამედ იმ მადლმოსილ მოღვაწეთა გამოცდილების გაზიარება გვსურს, რომლებმაც იცოდნენ ცხოვრების კანონზომიერებანი, მათ შორის — **ვის, როდის** და **სად** უნდა ეთქვა სიმართლე.

ვის. პირველი მოთხოვნიდან გამომდინარე, ვინც რაიმე საგანზე მსჯელობს, იგი ამ საგნის ნიშან-თვისებათა მცოდნე, ანუ მეცნიერი უნდა იყოს, ხოლო, მორალური თვალსაზრისით, მას განსჯის საგანზე აღმატებულობა თუ არა, მასთან მსგავსება მაინც მოეთხოვება. «მსწავლოს მე მართალმან წყალობითა და მამხილოს მე; ზეთი ცოდვილისაჲ ნუ განაპოხებნ თავსა ჩემსა»(ფს. 140,5). «ჴელი ცოდვილისაჲ ნუ შემძრავნ მე»(ფს. 35,11). «არა შვენის უგუნურსა ბაგენი მართალი»(იგ. 17,7). ჩვენს შემთხვევაში, განსახილველი საგანი არის საქვეყნო საქმე ბიძინა ივანიშვილის და მისი ოჯახისა, რომელსაც ქართველთმოძულე და პირსისხლიანი ნაცებისგან საქართველოს გადარჩენა ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ამ კაცმა საკუთარი შეხედულებისამებრ ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინა თვით ნაცებს, 2012 წლის 1 ოქტომბერი იმდენად აღემატება ამ დახმარების მიზეზზე გამოთქმულ ყველა ვარაუდს და, თუნდაც, მის შეუწონელ ქველმოქმედებას, რომ ამ თარიღს უკვე ეპოქალური მნიშვნელობა აქვს შეძენილი. მაშასადამე, პრემიერის მხილებას თუ ვინმე დააპირებს, მას რაიმე დამსახურება უნდა ჰქონდეს ქვეყნის წინაშე და განვლილი ცხოვრება ზურგს უმაგრებდეს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ არასამთავრობო ორგანიზაციის «ყოვლისმცოდნე» ექსპერტსა თუ ყვითელი პრესის ჟურნალისტს დაემსგავსება, რომელთაც ქართველი ერისთვის ტრადიციული ეროვნულ-სარწმუნოებრივი ღირებულებებისგან განსხვავებული კრიტერიუმები აქვთ და, ბუნებრივია, ჩვენგან განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ.

როდის. ყველაფერს თავისი დრო აქვს. «ჟამი არს დუმილისაჲ და ჟამი სიტყჳსაჲ»(ეკლ. 3,7). ბატონი ბიძინას არჩევნებისწინა ეკონომიკურ პროგრამას ყავლი არ გასვლია. ნელ-ნელა, მაგრამ კომუნალურმა გადასახადებმა და მედიკამენტების ფასებმა კლება დაიწყო. ქართველმა გლეხმა სახელმწიფოს თანადგომა იგრძნო. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ მიტოვებული სავარგულები დამუშავდა. რაც მთავარია, ადამიანებს არა მარტო უმიზეზოდ დაჭერის შიში გაუქრათ, არამედ მომავალს იმედის თვალით შეჰყურებენ.

მართალია, დასავლური პოლიტიკური სტრუქტურების მიერ ჩვენი ახალი ხელისუფლებისთვის თავსმოხვეულმა «კოჰაბიტაციამ» სიმართლის აღდგენის პროცესი შეაფერხა, მაგრამ არც მისი გამომ-

წვევი შიდა მიზეზები არის დაფარული: უწინარეს ყოვლისა, ესაა ქვეყნის მაოხრებელი და უკანონო პრეზიდენტი მ. სააკაშვილი, რომელიც ჯერაც თავდადებით იბრძვის სახელმწიფოებრივი კრიზისის შესაქმნელად. მისი ფსიქოზური და მანიაკური პერსონა ჩვენს ისტორიაში ცნობილი ყველაზე სასტიკი დამპყრობლების წარმოსახვის საშუალებასაც კი იძლევა. ვფიქრობთ, არავისთვის საეჭვო აღარაა, გარდა შეგნებული მტრებისა და პათოლოგიური ადამიანებისა, რომ პრეზიდენტობის ცხრა წელი მან მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური განადგურებისთვის გამოიყენა. ამ მოღალატური საქმიანობით კი, ბუნებრივია, მ. სააკაშვილმა საკუთარი დიდი სალარო შექმნა, მაგრამ მასში უცხოელ კაპიტალისტებსაც (წაიკითხე: დამპყრობლებსაც) პატარა წილი არ უდევთ და მას, მით უმეტეს 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, მილიარდების დამოუკიდებლად განკარგვის საშუალებას არავინ მისცემს. საუბედუროდ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენად ტრაგიკული შეიძლება აღმოჩნდეს ამ უცხოელი მოწილეების მოთხოვნები საქართველოს უძრავ თუ მოძრავ ქონებაზე, როცა ისინი, ალბათ, სულ მალე, თავიანთ პრეტენზიებს საჯაროდ განაცხადებენ.

ასე რომ, სიტუაცია მარტივი სულაც არ არის და მოთმინება, სულ მცირე, საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებამდე მაინც მოგვეთხოვება, რათა ჩვენთვის ყველაზე სანდო ადამიანს დემოკრატიული პროცესების წარმართვაში, დახმარების ნაცვლად, ხელი არ შევუშალოთ.

ამასთანავე, ზედმეტად მოშურნე ჭკუის დამრიგებელთა გასაგონად გვინდა ვთქვათ, რომ პრემიერ-მინისტრი თავის თანამდებობას როდის დატოვებს, ეს საქმე მისი გადასაწყვეტია. ისევ გავიმეორებთ, ბ-მა ბიძინამ უკვე იმდენი გააკეთა ქართველი ხალხისთვის, რომ მისი მომავალი პოლიტიკური არჩევანი მხოლოდ მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და მასზე ზემოქმედების მორალური უფლება არავის აქვს. ერთია — სთხოვდე მას ხელისუფლებაში დარჩენას, მაგრამ მეორეა — მის წასვლას ღალატად აფასებდე. ასეთ უკიდურესობას ზომიერების დაკარგვა იწვევს, მაშინ როცა, მას განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება. თუმცა არ შეიძლება არ ითქვას, რომ პოლიტიკიდან წასვლაზე პრემიერის კატეგორიულმა განცხადებამ და მის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში გ. მარგველაშვილის უალტერნატივო კანდიდატად გამოცხადებამ, ბევრ მის მხარდამჭერს გულწრფელად დაწყვიტა გული. მაგრამ, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის მძიმე პოლიტიკური რეალობა,

რაც ბ. ივანიშვილმა «ნაციონალური მოძრაობისგან» მემკვიდრეობით მიიღო. ცხადად ჩანს, რომ პრემიერს თავისუფლად მოქმედების საშუალება არ ეძლევა და ყველა პრობლემა სააშკარაოზე ვერ გამოაქვს. ნაცების მიერ დასავლეთისთვის გადაცემულ საჭვარს, ქვეყნის მართვის ყველა სადავეს, ერთბაშად ვერავინ დაიბრუნებს. ყოველ შემთხვევაში, გარეშე ძალები იმდენად დიდ ზეგავლენას ახდენენ ჩვენს პრემიერზე, რომ მან ერთ დღეს ნათქვამი დამაიმედებელი სიტყვა: «მე (პოლიტიკიდან) წავალ მაშინ, როდესაც დავრწმუნდები, რომ... ქვეყანა სტაბილურად ვითარდება», ხოლო «თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, მე დავუბრუნდები აქტიურ პოლიტიკას» (ღია წერილი, 03.09.2013), მეორე დღეს მოწვეულ პრესკონფერენციაზე აღარ გაიმეორა და ახალი თეზაც წამოაყენა: «თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, უფრო სწრაფად გადავდგები პრემიერობიდან».

ძნელია იმის დაჯერება, რომ «ქართული ოცნების» განმხორციელებელმა ტაქტის გრძნობა ან ქართველი ხალხის პატივისცემა შეიძლება დაკარგოს, მაგრან *ძალა ალმართს ხნავს.* ახლა თუ მაინც შევძელით წინაპართა ამ სიბრძნის გათვალისწინება და მთელი რისხვა ისევ ერთ კაცს არ დავატეხეთ თავს, მაშინ «ორმოცი წელი უდაბნოში ხეტიალი» ალბათ არ დაგვჭირდება და ჩვენს შვილებს ახალ საზრუნავს აღარ გავუჩენთ. მოთმინებით უნდა შევეგუოთ ბ-ნი ბიძინას პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლას და 27 ოქტომბერს დინჯად გავაკეთოთ ქვეყნისთვის საჭირო არჩევანი.

სად. სიმართლის სათქმელად არც *ადგილი* არის უმნიშვნელო ფაქტორი, რადგან ყველა საქმე თავის შესაფერის გარემოში სრულდება. მაგალითად, ტრიბუნაზე იმისთვის არ უნდა ახვიდე, რომ პერანგის მაჯით ცხვირი მოიწმინდო; არც ტროტუარია სპორტული მოედანი, რომ გიჟივით თავქუდმოგლეჯილი დარბოდე, ან შუა ქუჩაში ასფალტს ცხვირით ხვრეტდე; და არც ბუჩქის ძირია ის ალაგი, სადაც შეიძლება ახალგაზრდებს გაპირუტყვებისკენ მოუწოდო. მოკლედ, მოქმედების მიზნისა და სათქმელის შინაარსის შესაბამისად ადგილსა და გარემოს შერჩევა სჭირდება.

აღნიშნულ კონტექსტში ყურადღებას ჟურნალისტებზე გადავიტანთ, რომლებიც პრემიერისა და მინისტრებისგან ინტერვიუებს იღებენ, კონფერენციებს ესწრებიან, საზოგადოებრივ მოვლენებს აფასებენ და ერთგვარ ფონსაც ქმნიან მედია-სივრცეში. ეს გაამპარტავნებული, „დამოუკიდებელი“ თუ არასამთავრობო ექსპერტ-ჟურნალისტები მოქმედებენ წინასწარ განსაზღვრული შტამპის მიხედ-

ვით (ძირს რუსეთი! გაუმარჯოს ნატოს! თანადგომა ლგბტ-ს!) და იმ სურვილით, რომ იქნებ პრემიერს, ან მის რომელიმე თანაგუნდელს, რამე შეეშალოს და ევროატლანტიკური ორგანიზაციებისა და ევროკავშირის რეკომენდაციებისგან განსხვავებული აზრი გამოთქვას.

ვფიქრობთ, გონივრულად დასმული შეკითხვა თავის თავში საზოგადოებისთვის საჭირო თემას უნდა მოიცავდეს და არა «დემოკრატიის მამების» ინსტრუქციული მოთხოვნების შემოწმებას. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი სურვილია, თორემ, რეალურობიდან გამომდინარე, მედიის ახლანდელი აპარატი ნატო-ლგბტ-რუსეთის მაგიურ წრეს, ალბათ, კიდევ დიდხანს თავს ვერ დააღწევს. ეს კი თავისთავად ხელს უშლის სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას, რადგან: თუ დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს, მაშინ ცალკეული **საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წინასწარ მოცემული კატეგორიები კი არ უნდა განსაზღვრავდეს ხალხების პოლიტიკური შეხედულებებისა და სოციალური ურთიერთობების მოდელს, არამედ თავისუფლებას უნდა აძლევდეს მათ, მათთვის სასურველი სახელმწიფოს შესაქმნელად. ხოლო სახელმწიფო, ქრისტიანული თვალსაზრისით, იმდენადვე შეიძლება დადებითად შეფასდეს, რამდენადაც იგი ხელს უწყობს მისი მოქალაქეების ზნეობრივ სრულყოფასა და ღმერთთან მიახლოებას;** რაც ჩვენი ძველი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის გულისხმობს საერო ხელისუფლების თანადგომას მართლმადიდებლური ეკლესიისადმი, არა იმიტომ, რომ იგი იერარქიის მოქრთამვას შეეცადოს მასზე ზეგავლენის მოპოვების მიზნით, არამედ იმისთვის, რომ მან მთელი სამღვდელო დასის მორალურ გაჯანსაღებასა და ჭეშმარიტ სასულიერო განათლებას შეუწყოს ხელი. არცერთი გონიერი სახელმწიფო მოხელე თანადგომის მანკიერ გზას არ აირჩევს, ვინაიდან, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივ წინსვლას მხოლოდ მთავრობისა და ეკლესიის სიმფონიური, ეთიკურ კანონებზე დაფუძნებული ურთიერთობა განაპირობებს.

დემოკრატიის ლოზუნგს ამოფარებული ლიბერალი იტყვის, დახეთ, ადამიანთა თანასწორობის პრინციპს როგორ არღვევს და თავის რელიგიას პრივილეგიას როგორ ანიჭებსო! — ადამიანთა უფლებების უზომოდ დამცველნო, ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ადამიანთა მიერ შექმნილ ყოველგვარ სამართლის კოდექსზე უზენაეს მნიშვნელობას რელიგიურ და მორალურ კანონთა დაცვას ვანიჭებთ! სწორედ ამიტომ (ისტორია მოწმეა!) გვამაჰმადიანებდნენ, გვაკათოლიკებდნენ და გვასომხებდნენ; თუ ამას ვერ აღწევდნენ, მაშინ გვკვ-

ლავდნენ, გვწვავდნენ და გვაწამებდნენ! მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ოდესმე მართლმადიდებლები (კათოლიკეებში არ აგერიოთ) თავიანთ სარწმუნოებას ვინმეს თავს ძალით ახვევდნენ და ამის გამო სხვა აღმსარებლობის ადამიანებს სულიერად ან ფიზიკურად ანადგურებდნენ!

ჩვენ ხომ არც ახლა ვერჩით ვინმეს რამეს, პირიქით, მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის მოვუწოდებთ ჩვენს სამშობლოში მცხოვრებ ყველა აღმსარებლობისა და ეროვნების ადამიანს, მაგრამ, საპასუხოდ, ჩვენგან სხვათა პრივილეგიების აღიარებას მოითხოვენ; თითქოს ჩვენ, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მშობლიურ მიწაზე, ჩვენივე წესითა და ადათით ცხოვრების უფლება არ გვქონდეს.

ბოლო დროს ჩვენს თავისუფალ ყოფა-ცხოვრებაში განსაკუთრებით უხეშად ერევა საერთაშორისო (ევროპულ-ამერიკული) დემოკრატიული ინსტიტუტის მანდატით აღჭურვილი ლგბტ(ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი), რომელიც თავისი აბრევიატურით სექსუალური გარყვნილების ნაზავია, მაგრამ მას სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციაც აქვს შეთვისებული და, ამ თვალსაზრისით, იგი ახალი სახის ტოტალიტარულ სექტას წარმოადგენს.

ლგბტ, მსგავსად სხვა ტოტალიტარული სექტებისა, თავისი გავლენის მოპოვებას მთელ მსოფლიოზე ცდილობს, მაგრამ მიზნის მისაღწევად სხვათაგან განსხვავებულ მეთოდს იყენებს: იგი, საღმრთო სწავლების საწინააღმდეგოდ, თავის სატანურ კანონებს სრულიად შეუნიღბავად და საზოგადოებრივი აზრის სრული იგნორირებით ამკვიდრებს. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ დასავლეთი (ევროპა და აშშ) საკუთარი ფასეულობების გასავრცელებლად არც ამგვარ ძალადობას თაკილობს, მაგრამ, ვფიქრობთ, მამათმავლების საზეიმო მსვლელობის ჩატარებას სერბების მაგალითის გაზიარება სჯობს, რადგან ბრძოლაში მხოლოდ ფიზიკურად იღუპება კაცი, წარწყმედილ სულს კი ვერავინ შველის.

ამა წლის 17 მაისს, ლგბტ-ების მიერ თბილისში მოწყობილმა აქციამ დაგვანახა, თუ როგორი ერთსულოვნებით დაუჭირეს მას მხარი მთელმა დიპლომატიურმა კორპუსმა (ფაქტობრივად, მსოფლიომ) და თითქმის ყველა ქართულმა ტელე-არხმა, როგორც ერთმა შემადგენელმა ნაწილმა გლობალიზებული მასმედიისა. განსაკუთრებით იმ დღეს ცხადად გამოჩნდა სიტყვის თავისუფლების შეზღუდული სივრცე და ზემოთ აღნიშნული «მაგიური წრე», რომელიც მკაცრად განსაზღვრული ინსტრუქციით ბრუნავს. ამას, აგრეთვე, ადასტურებს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს: «ევროპის

მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე — საქართველო» (რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი", თბ., 2012).

ჯერ გავეცნოთ ცალკეულ რეკომენდაციებს, თუ რას სთავაზობს ევროსაბჭო საქართველოს მთავრობას, და დასკვნები შემდეგ გამოვიტანოთ. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ დოკუმენტს «რეკომენდაცია» კი ჰქვია, მაგრამ ევროსაბჭოს «წევრ სახელმწიფოებს მისი შესრულების მკაფიო ვალდებულება ეკისრებათ» (თავი III); ამასთან, 2010 წლის 31 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ეს «რეკომენდაცია ერთხმად იქნა მიღებული ევროპის საბჭოს წევრი 47 სახელმწიფოს მიერ» (იქვე).

თ. II, მუხლი 4: აუცილებელია სქესის კვლავმინიჭების პროცესის რეგულირება ისე, რომ ტრანსგენდერ პირებს ეფექტურად მიუწვდებოდეთ ხელი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ფსიქოლოგიურ და ენდოკრინოლოგიურ დახმარებაზე და ამის ხარჯებს საზოგადოებრივი ჯანდაცვა უნდა ფარავდეს.

თ. II, მ. 13: განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა უნდა იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები ამჟამად არსებულ და შემოთავაზებულ სამედიცინო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებში და უზრუნველყონ, რომ ამ სახელმძღვანელოებში ჰომოსექსუალობა არ განისაზღვრებოდეს როგორც ავადმყოფობა, ფსიქიკური აშლილობა, სექსუალური გარყვნილება და ა. შ.

თ. II, მ. 16: სახელმწიფომ არასრულწლოვან ლგბტ პირებს უნდა შესთავაზოს ეფექტური დაცვა ოჯახური ძალადობისაგან. მათ შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან ოჯახის წევრთა მხრიდან, რომლებიც აიძულებენ არასრულწლოვან ლგბტ პირებს გაიარონ „სამედიცინო მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად".

თ. IV, ნაწ. II: დანართის II ნაწილი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან სათანადო ზომების მიღებას, რათა უზრუნველყონ, რომ ლგბტ ორგანიზაციებს შეეძლოთ ოფიციალურად დარეგისტრირება, სათანადოდ იყვნენ ჩართულები პარტნიორების სტატუსით ისეთი საჯარო პოლიტიკების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთაც ლგბტ პირებზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ და დისკრიმინაციის გარეშე შეეძლოთ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყო-

ფილი საჯარო დაფინანსების მიღება; აგრეთვე, რომ ლგბტ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები ეფექტურად იყვნენ დაცული მტრული განწყობისაგან და აგრესიისაგან.

თ. IV, ნაწ. IVა: წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, *უზრუნველყონ პირის მიერ სქესის კვლავმინიჭების სრული სამართლებრივი აღიარება სწრაფად, გამჭვირვალედ და ხელმისაწვდომი გზით, გააუქმონ ნებისმიერი წინასწარი მოთხოვნნები ასეთი აღიარების მიმართ (ნებისმიერი ფიზიკური ხასიათის მოთხოვნების ჩათვლით) და უზრუნველყონ, რომ ტრანსგენდერ პირებს შეეძლოთ დაუყოვნებლივ დაქორწინება სქესის კვლავმინიჭების პროცესის დასრულებისთანავე.*

თ. IV, ნაწ. VI: წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, რომ განათლების უფლება ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. მათ შორის უნდა იქნას მიღებული ზომები ჩაგვრისაგან და სოციალური გარიყვისაგან დასაცავად; ეს მოიცავს თანასწორობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, ქცევის კოდექსებსა და თანამშრომელთა თრეინინგების პროგრამებს, ისევე, როგორც სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის დამკვიდრებისათვის ზომების მიღებას, სასკოლო პროგრამებში და საგანმანათლებლო მასალებში ობიექტური ინფორმაციის შეტანას, ლგბტ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სპეციალური ინფომაციის მიწოდებასა და მხარდაჭერას, ტრანსგენდერი სტუდენტების სპეციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ზომების მიღებას.

თ. V, მ. 2: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასჯელის განსაზღვრისას, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივი მხედველობაში იქნას მიღებული როგორც დამამძიმებელი გარემოება.

თ. V, მ. 8: საჯარო მოხელეები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები უნდა წახალისდნენ, რათა სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის მასმედიასა და სპორტულ ორგანიზაციებთან, პოლიტიკური და რელიგიური თემების წარმომადგენლებთან დიალოგის დროს ხელი შეუწყონ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანის მიმართ შემწყნარებლობისა და მათი უფლებების პატივისცემის დანერგვას.

თ. V, მ. 15: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ შესაბამისი ზომები ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლე-

ბებისთვის გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეების დასაცავად, აღნიშნული დემონსტრაციის უკანონო შეწყვეტის ან შეკრების თავისუფლებით სარგებლობაში ხელის შეშლის მცდელობების აღსაკვეთად.

თ. V, მ. 17: ხელისუფლების წარმომადგენლებს ყველა დონეზე უნდა მოეწოდოს, რომ საჯაროდ დაგმონ, განსაკუთრებით მედიაში, გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების ინდივიდუალურ და ჯგუფურ უფლებაში ნებისმიერი არაკანონიერი ჩარევა, განსაკუთრებით როცა ეს ეხება ადამიანის უფლებებს ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებსა და ტრანსგენდერებთან მიმართებაში.

თ. V, მ. 18: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პირებს შორის ერთსქესიანი ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირის სისხლის სამართლებრივად ამკრძალავი ყველანაირი დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუქმება.

თ. V, მ. 21: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ცხოვრების ყველა სფეროში მოახდინონ პირის სქესის შეცვლის სრული სამართლებრივი აღიარება; კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შესაძლებელი გახადონ ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის შეცვლა სწრაფი, გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი გზით; წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, საჭიროების მიხედვით, არასახელმწიფო ერთეულების მიერ შეცვლილი სქესის და აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელებული სხვა ცვლილებების შესაბამისი აღიარება ისეთ ძირითად დოკუმენტებში, როგორიცაა განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან შრომის წიგნაკი.

თ. V, მ. 22: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ტრანსგენდერი ადამიანის მიერ მისი ახალი სქესის საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან ქორწინების უფლების რეალური გამოყენება.

თ. V, მ. 27: წევრმა სახელმწიფოებმა, რომელთა ეროვნული კანონმდებლობა მარტოხელა პირებს შვილად აყვანის უფლებას აძლევს, უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი კანონის გამოყენება მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

— ე. ი. ევროსაბჭო საქართველოს მთავრობისგან მოითხოვს: ლგბტ პირების უპირობო მხარდაჭერასა და პრივილეგიების მინიჭებას; სქესის შეცვლის პროცედურის დაფინანსებას სახელმწიფოს მიერ; ჰომოსექსუალობა არცერთ საბუთში არ განისაზღვრებოდეს

ავადმყოფობად ან გარყვნილებად; მშობლებს უნდა აეკრძალოთ არასრულწლოვანი ლგბტ შვილების მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად; ლგბტ პირებმა უნდა ისარგებლონ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი თანხებით; ლგბტ სტუდენტების სპეციალური (sic) მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს; ლგბტ პირებმა დემონსტრაციების გამართვა თავისუფლად უნდა შეძლონ; ერთსქესიანი პირების სექსუალური კავშირების ამკრძალავი ყველანაირი კანონი უნდა გაუქმდეს; ჰომოსექსუალებს შვილის აყვანის უფლება უნდა მიეცეთ; ერთსქესიანებმა დაქორწინება უნდა შეძლონ.

ახლა ეს მოთხოვნები შევადაროთ საეკლესიო კანონმდებლობას და დავრწმუნდებით, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა პირით თვით ეშმაკი გველაპარაკება. დიდსა და მცირე სჯულისკანონებში წ~ა ბასილი დიდისა და წ~ა გრიგოლ ნოსელის არაერთი ეპიტიმია არის დადებული მამათმავალთა, მემრუშეთა და მსიძავთათვის, მაგრამ ამჯერად არც პავლე მოციქულის მკაცრ შეგონებებს გაგიმეორებთ და მხოლოდ წ~ა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერით შემოვიფარგლებით: «ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმადიდებელმან, ამათ სიტყუათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა არა იჯმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან... უეჭველად მოიწიოს მის ზედა ამას უკუე საწუთოსა საშინელი რაჲმე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამჴდელი რისხვაჲ მსგავსად წუნწუბასა თანა აღრეულისაჲ მის სოდომელთა ცეცხლისაჲ. ხოლო... ჩუენგან არღარა კურთხევაჲ, არამედ კდემაჲ და მხილებაჲ დაიმკჳდროს საუკუნოჲ» (კან. 18).

«რეკომენდაციათა» შესრულების თაობაზე წარმოდგენილ ერთერთ ანგარიშში სპეციალური დამკვირვებლები ასკვნიან: «სკოლებსა და უნივერსიტეტებში ლგბტ პირების მიმართ არსებული დამოკიდებულება ასახავს საზოგადოებაში არსებულ ტენდენციებს და იმ ტრადიციული სტიგმების, ტაბუებისა და ფასეულობების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, რომელთაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს» (გვ. 27). მიუხედავად კოდირებული ტერმინოლოგიისა, დასკვნიდან მაინც ჩანს, ლგბტ-ების უფლებათა დამცველებმა კარგად უწყიან, რომ მათი გლობალური მიზნების განხორციელების გზაზე ტრადიციული ფასეულობანი და მართლმადიდებელი ეკლესია შებრკოლების ლოდებად არიან აღმართულნი.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით ზემოთ აღნიშნულ მაისის აქციაზე სამღვდელოების მიერ მხედრული მამაცობის გამოჩენის შემდეგ,

ახალი ტოტალიტარული სექტა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ნებისმიერ მეთოდს გამოიყენებს. ალბათ, როგორც არასდროს, ქართველებს განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს. თუ ჩვენს ზნეობრივ და სულიერ საძირკველს ძირი გამოუთხარეს, უნდა ვიცოდეთ, რომ მერე ყოველგვარი ცდა და გარჯა ამაო გამოდგება. ერთ-ერთი სუსტი მხარე ჩვენი სტრატეგიისა, ჩვენი აზრით, არის ეროვნული ინსტიტუტების არარსებობა, მაშინ როცა, დასავლური იდეოლოგიითა და ფინანსებით აღჭურვილი არასამთავრობო ორგანიზაციები ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ ტრადიციებს დაუფარავად ებრძვიან.

ალბათ ყველას ახსოვს, «ვარდების რევოლუციის» შემდეგ ყოფილმა ჩინოვნიკებმა და, უბრალოდ, ეკონომიკურად შეძლებულმა ქართველებმა რა მძიმე ხარკი მიიტანეს «ნაციონალური მოძრაობის» ურდოს წინაშე. მანამდე კი არავინ მოინდომა, რომ ამ «ხარკის» რაღაც ნაწილი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის გაეღო, ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაცია, სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, პერიოდული გამოცემა ან ტელეარხი დაეარსებინა და ნაცების ლიბერალურ-კოსმოპოლიტურ მსოფლმხედველობას იდეოლოგიურად შებრძოლებოდა. თითქოს ყველამ ერთბაშად დაივიწყა დიდი ქართველი პოეტის შეგონება: «არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს». პარადოქსია, მაგრამ თუ ბიზნესმენი თავისი პროდუქციის რეკლამირებისთვის შემოსავლის 20-30%-ს ხარჯავს, თავისი სამშობლოს გადარჩენისთვის ფული უნდა შეენანოს?! ნუთუ არ შეიძლება, რომ რეალურმა საფრთხემ გაერთიანება გვასწავლოს და ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ ქვეყანას უანგაროდ შევეწიოთ? ამისთვის სულაც არ არის საჭირო ბიზნეს-ცენტრებში ხმაურიანი კონფერენციების მოწყობა, სურვილის შემთხვევაში, ქართველები თავიანთ ვიწრო სამეგობრო წრეებშიც კარგად შეძლებენ მნიშვნელოვანი საქმეების წამოწყებას.

ზემოთ განხილული პრობლემების, განსაკუთრებით სოდომური «რეკომენდაციების», გათვალისწინება აუცილებელია ჩვენი პოლიტიკური ვექტორის მიმართულების დასადგენად. ის «სტიგმები და ტაბუები», რომელნიც ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრებით მიღებულ სარგებლიანობას დაასაბუთებდნენ, ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ევროატლანტიკური სტრუქტურების მიმართ პოზიტიურად არის განწყობილი, ძირითადად მასმედიის ზომბირებას, ანუ ქვეცნობიერ ზემოქმედებას განიცდის, თორემ ცოდნას აღნიშნული

სტრუქტურების შედგენილობის, იერარქიისა და მიზანდასახულობის შესახებ საერთოდ არ ფლობს; ამგვარი ინფორმაცია მას, უბრალოდ, არავისგან არ მიეწოდება* (რატომ? — პასუხი თქვენ გამოიცანით).

საზოგადოება ნელ-ნელა იწყებს გაცნობიერებას, რომ ეს «საშინელი და ოკუპანტი» რუსეთი, რომელსაც ანტიჰომოსექსუალური კანონების მიღების გამო მთელი დასავლური სამყარო უპირისპირდება, მარტოდმარტო დგას ქრისტიანული ზნეობის სადარაჯოზე და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ტოტალიტარული სექტებით წალეკვისაგან იცავს. ამას წინათ, რუსეთში სტუმრობისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ფრიად მნიშვნელოვანი აზრი გამოთქვა: «სტალინი გამოჩენილი პიროვნებაა. ასეთი პიროვნებები იშვიათად იბადებიან. მან იცოდა რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა» („ს.რ.“, 01.08.2013). უკვე დიდი ხანია, სწორედ ამ მნიშვნელობის დაკნინებისთვის მუშაობს დასავლეთის დიდი და მრავალდარგოვანი მილიტარისტულ-იდეოლოგიური მანქანა, მაგრამ ჩვენი ვალია შეცნობა ჭეშმარიტებისა და აღიარება სიმართლისა, რათა ჩვენს სამშობლოსთან ერთად ჩვენი სულიცა და ხორციც გადავარჩინოთ. გადარჩენა კი, დღევანდელ გაუკუღმართებულ სამყაროში, რუსეთთან თანადგომის გარეშე შეუძლებელია.

ჟურნალის წინა ნომერში, ჯავახეთის წარსულზე საუბრისას, ჩვენს მკითხველს დავპირდით, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე შექმნილ ისტორიულ ნაშრომებს კრიტიკულად განვიხილავდით,** მაგრამ მანამდე ვიტყვით, რომ ტენდენციამ რუსეთის ძაგებისა მწვერვალს ნაცების ცხრაწლიანი თარეშის დროს მიაღწია და, უწინარეს ყოვლისა, სასწავლო სახელმძღვანელოების შინაარსი დაამახინჯა. ამიტომ ახალგაზრდებს დაფიქრებისკენ უნდა მოვუწოდოთ, რომ მათი ზერელე ცოდნითა და გამოუცდელობით სხვებმა არ ისარგებლონ და, მით უმეტეს, ამ მოახლოებული არჩევნების წინ არასწორი გადაწყვეტილება არ მიაღებინონ. სწორ გადაწყვეტილებაში ჩვენ ვგულისხმობთ ქვეყნისთვის სასარგებლო არჩევანის გაკეთებას, ხოლო მის მთავარ მახასიათებლად რუსეთთან კეთილმეზობლური და ძმური ურთიერთობის აღდგენას მივიჩნევთ.

---

* ერთ-ერთი გამონაკლისია შ. აფხაიძის სტატია «ბომბები წარწერით — აღდგომას გილოცავთ» (ჟ. სამი საუნჯე, 2(8), 2013).

** რამდენადაც მასალა საკმაოდ დიდია, სტატიის მომზადებამდე მკითხველს ვურჩევთ, წაიკითხოს თ. მირიანაშვილის «სიმართლე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში» (ჟ. სამი საუნჯე, 4(6), 2012).

არ გაგვიკვირდება, თუ ვინმე ჩვენი შეხედულებისთვის რუსეთის აგენტის სტატუსს მოგვანიჭებს, მაგრამ ამგვარმა ცილისწამებებმა უკვე ხიბლი დაკარგა. ადამიანები ნაცების ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ფაქტებს გონივრულად აანალიზებენ და თუ აქამდე ეშინოდათ ხმის ამოღებისა, ახლა აღარ მალავენ, რომ მძიმე წლებში თავს სწორედ რუსეთიდან გამოგზავნილი სახსრებით ინახავდნენ. სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემი თაობა რომ ცრუ პროპაგანდას ემსხვერპლა, ამის თქმა კი შემიძლია; ახალგაზრდობაში, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, რუსების მიმართ ისეთი აგდებული და ქედმაღლური დამოკიდებულება გვქონდა, რომ რუსეთში ჩადენილ სათაკილო საქციელსაც კი ვაჟკაცობად მივიჩნევდით (დღემდე ვინანიებ ჩემს უვიცობას).

გვეგონა, რომ რუსების მიერ დასავლურ ქვეყნებსა და იქაურ მოვლენებზე მოწოდებული იმფორმაცია უეჭველად ყალბი იყო, ხოლო სიმართლეს მხოლოდ «ამერიკის ხმა», რუსი დისიდენტები და ჩვენი «ეროვნული მოძრაობის» აქტივისტები ამბობდნენ. წლების განმავლობაში, დასავლური სპეცსამსახურების მიერ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში (КГБ) ჩანერგილი ჩეკისტები იდეურად ხრწნიდნენ საბჭოთა კავშირს და რუსების სიძულვილის წილ «ცისფერსისხლიანი» ამერიკელებისა და ევროპელების გაიდეალებას ეწეოდნენ. სამწუხაროდ, პოლიტიკური ატმოსფერო იმდენად იყო გაჯერებული ცრუ პროპაგანდით, რომ მართალი სიტყვის მთქმელი ერთი კაციც არ მახსენდება. მგონია, რომ ასეთი სიტყვის მისაღებად ადამიანებს ცნობიერების სარქველებიც კი დახშული ჰქონდათ (ზომბირების კლასიკური მაგალითია). დასავლეთმა თითქოს მიზანს მიაღწია, სსრკ დაიშალა, მაგრამ დარჩა რუსეთი, რომლის «მსოფლიო მნიშვნელობა» კიდევ უფრო გაიზარდა და, რელიგიური თვალსაზრისით, შეიძინა მისია «მესამე რომისა», რასაც არა ანტიკური, არამედ ბიზანტიური ახსნა აქვს და მასში მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვა იგულისხმება.

ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ უფრო კრიტიკულად შევაფასოთ ცრუ იდეოლოგების მიერ ხელოვნურად პოპულარიზებული ქართული მესიანიზმი და თავმდაბლად მივიღოთ ის წყალობა, რასაც უფალი ჩვენზე უფრო ძლიერთა ხელით გვიგზავნის. მართალია, იყო მომენტები, როცა სერბებიც და ჩვენც მოწოდების სიმაღლეზე აღმოვჩნდით, მაგრამ თავს ნუ გავიმედიდურებთ: რომ არა მართლმადიდებელი რუსეთის სიახლოვე, ნატოელ კომანდოსებს თავიანთი წესრიგი, სერბეთის მსგავსად, საქართველოშიც კარგა ხნის დამყარებული ექნებოდათ.

გვანცა კოპლატაძე

სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში

ნაწილი I

წინა ხელისუფლების განცხადებანი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ისტორია 2004 წლიდან იწყებოდა, ისეთი ცხადი ტყუილი იყო, რომ თავიდან მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევდა. ამგვარ არასერიოზულ განცხადებებს მას მხოლოდ ბაქიაობა-კვეხნაში ვუთვლიდით, ვერც იმ საშიშროებას ვხედავდით, რომელიც მათ უკან იმალებოდა. სინამდვილეში ამგვარი და სხვა ამგვარი განცხადებანი ხშირ-ხშირად, „დათა თუთაშხიას“ ცბიერი და ვერაგი პერსონაჟის, არქიფო სეთურისა არ იყოს, იმ იმედით კეთდებოდა, რომ ხალხს ეფიქრა, ასეთ ცხად სიცრუეს როგორ გვეტყვის ჩვენი არჩეული ხელისუფლება, ეტყობა, მართლაც რაღაცაშია საქმეო.

თუ წინა თაობებს მაინც შეიძლებოდა შერჩენოდა ხსოვნა ქართველი ერის ამ სამყაროში უხსოვარი დროიდან არსებობისა და მისი ტრაგიკულად დიდებული ისტორიისა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომავალ თაობებს საკუთარი სამშობლოს არსებობის ათვლა 21-ე საუკუნიდან დაეწყოთ, ე. წ. განათლების რეფორმის შედეგად, სასკოლო სწავლება სრულიად მოიშალა. დღეს ჩვენს სკოლადამთავრებულებს ზერელე, ინფორმაციული ცოდნაც კი არ აქვთ არც საქართველოს ისტორიაში, არც მშობლიურ ლიტერატურასა და არც მეცნიერების სხვა დარგებში. სამწუხაროდ, მას ჩვენ ვხვდებით, ე. წ. ძველი თაობები, რომელთაც საშუალო სკოლაში განათლების საფუძვლები მართლაც შევიძინეთ, თორემ ახალგაზრდობა იმასაც კი ვერ ხვდება, რომ მას ჭეშმარიტი განათლების მიღების უფლება წაართვეს.

სადაო არაა, რომ ერის ძლიერებას მეცნიერების ყველა დარგში

საფუძვლიანად ცოდნამიღებული თაობები განაპირობებენ, მაგრამ მის არსებობას ყველაზე დიდ საფრთხეს მაინც საკუთარი ისტორიისა და კულტურის დავიწყება ქმნის.

წმ. ილია მართლის შეგონება იმის თაობაზე, რომ „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს... ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“ (თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 179), ჩვენზე უკეთ ჩვენმა მტრებმა გამოიყენეს და დედამიწაზე ქართველი ერის სახსენებლის გასაქრობად სწორედ ამ, ერთი შეხედვით მშვიდობიან, მაგრამ ყველაზე ვერაგულ ხერხს იყენებენ და მიზანსაც აუცილებლად მიაღწევენ, თუ გონს დროზე არ მოვეგეთ და თავის გადარჩენის გზები და საშუალებანი არ გამოვძებნეთ.

ისევ ილია ჭავჭავაძეს მოვუსმინოთ: „ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა-კაცსა უკან მომდევარი იმ-ისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს“ (ტ. III, გვ. 12). მაშასადამე, ისტორიის არცოდნით მტერს ჩვენზე გამარჯვების მოპოვებას იმითაც გავუადვილებთ, რომ წინაპართა შეცდომებზე კი არ ვისწავლით, არამედ პირიქით, ისე ადვილად და გაუაზრებლად გავიმეორებთ, რომ არც დავფიქრდებით, საკუთარ არსებობას რა საფრთხეში ვაგდებთ.

ჯერ კიდევ წმ. ილია მართალმა უწოდა „ოსმალოს საქართველო“ ისტორიულ მესხეთს, რომელიც დანარჩენ საქართველოს თურქეთმა მე-17 საუკუნეში მოგლიჯა. ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა მხარე, რომელიც „მედგრად იბრძოდა ჩვენთვის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგენისათვის და მათდა და ჩვენდა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა“ (ტ. IV, გვ. 10). და დაკარგა რა მიზეზით? ეს მიზეზი უწინარესად საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ: ესაა დაუოკებელი სურვილი საკუთარი პატივისა და დიდების მოხვეჭისა, რომლისკენაც გზა აუცილებლად საქვეყნო ინტერესების ღალატზე გადის.

„სამი საუნჯის“ ეგიდით მოწყობილმა ექსპედიციებმა სამცხე-ჯავახეთში — ისტორიული მესხეთის იმ ნაწილში, რომელიც მე-19 საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ორი ომის შედეგად სამშობლოს დაუბრუნდა, ერთხელ კიდევ მწვავედ გვაგრძნობინა, რომ ჩვენი ისტორიის არა თუ დავიწყება, არამედ ერთმანეთისათვის მუდმივად

შეხსენება გვმართებს, რათა სიფხიზლე არ დავკარგოთ და ოცნება არ ავუხდინოთ ისტორიის ასპარეზიდან ჩვენი გაქრობის მოსურნეებს, რომელნიც ცდილობენ, პოლიტიკაზე გაუთავებელი ლაყბობისა, უაზრო შოუებისა თუ პრიმიტიული სერიალების საყურებლად ტელეეკრანებთან მიგვაჯაჭვონ, რათა ცხოვრების დიდი ნაწილი მათ სმენასა და ყურებაში ისე გავლიოთ, რომ კარს მომდგარ საფრთხეთა გასააზრებლად და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად აღარც დრო გვქონდეს და აღარც ძალა შეგვწევდეს.

სამხრეთ საქართველოში მოგზაურობისას მუდმივად გახსენდება სიტყვები: დიდებული მესხეთი და ღალატი, ამპარტავნობის საზარელი შედეგი.

1453 წელს, როცა თურქებმა არა მხოლოდ ბიზანტიის, არამედ მთელი მართლმადიდებლური სამყაროს ათასწლოვანი დედაქალაქი კონსტანტინეპოლი აიღეს, სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს მეფე-მთავრები ერთმანეთზე უპირატესობის მოპოვების სურვილით ისე იყვნენ გატაცებულნი, რომ არა თუ კონსტანტინეპოლის დაცემა და მისი ქრისტიანული მოსახლეობის ენით უთქმელი სისასტიკით ამოჟლეტა განუცდიათ ისე, როგორც ეს ქრისტიანებს მოეთხოვებოდა, არამედ ის საფრთხეც კი ვერ გაუთვალისწინებიათ, რომელიც შეიძლებოდა ამ ფაქტს პირადად მათი სამეფო-სამთავროებისათვის მოჰყოლოდა: ბიზანტიის განადგურება და მცირე აზიაში ოსმალების გაბატონება საქართველოს ხომ „მაჰმადიანთა საბრძანებლის რკალს არტყამდა“. „...ამიტომ, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — სწორედ განმაცვიფრებელია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში კონსტანტინეპოლის აღების შესახებ ასეთი მცირე და მხოლოდ მშრალი მატიანესებური ცნობები მოიპოვება“ (თხზ. ტ. III, თბ., 1982, გვ. 290).

პირველობისათვის ერთმანეთთან ბრძოლით გართული ქართველი მმართველები, 1459 წელს რომის პაპის მოწოდებამ, ევროპელ ჯვაროსნებთან ერთად გაელაშქრათ თურქების წინააღმდეგ კონსტანტინეპოლის გამოსახსნელად, მცირე ხნით ერთმანეთთან გააერთიანა. გამოდგა, რომ გიორგი მეფეს თურქების წინააღმდეგ ორმოციათასი კაცის გამოყვანა შეეძლო, მესხეთის მმართველს — ყუარყუარე ათაბაგს — 20.000 ცხენოსანის; სამეგრელოს მთავარსაც აღუთქვამს, რომ ამ ბრძოლაში მთელ თავის სამხედრო ძალას ჩააბამდა. ითვალისწინებდნენ რა თურქებთან ბრძოლის სირთულეებს, ქართველმა დიპლომატებმა მოკავშირეობა მცირე აზიაში ჯერ ქრისტიან მეზო-

ბლებს — ტრაპიზონის მეფესა და მცირე სომხეთის პატრონს შესთავაზეს, ხოლო შემდეგ სპარსეთის მეფე უზუნ-ჰასანი, რომელსაც ოსმალები ჭირის დღესავით სძულდა, ბრძოლაში მონაწილეობაზე დაითანხმეს.

ქართველთა გაცხოველებულ მზადებას მომავალი ბრძოლისათვის დასავლეთმა სრული გულგრილობითა და, რაც მთავარია, უმოქმედობით უპასუხა. რომში ჩასული ქართველი მეფე-მთავრებისა და მათი მოკავშირეების ელჩებთან პაპმა თავი იმით იმართლა, რომ დასავლეთის ქვეყნები მის მოწოდებას თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის მოწყობის შესახებ დუმილით შეხვდნენ და ისინი საქმის გასარკვევად საფრანგეთის მეფესა და ბურგუნდიის მთავართან გააგზავნა. ელჩები მართლაც ჩავიდნენ საფრანგეთშიც და ბურგუნდიაშიც და დასავლეთის სხვა მთავრებსაც მიაკითხეს, მაგრამ უშედეგოდ.

დასავლეთში არც თურქების ხელში ჩავარდნილი კონსტანტინეპოლის ბედი აღელვებდათ და არც, საერთოდ, აღმოსავლეთის ქრისტიანებისა, რომელთაც მცირე აზიაში თურქების გაბატონება უდიდეს საფრთხეს უქმნიდა. დასავლეთის გულგრილობა რა სახსენებელია იმ უგუნურებასთან, რომელიც საქართველოს მმართველმა წრეებმა კარს მომდგარი საფრთხისა და საკუთარი მომავლის წინაშე გამოიჩინეს. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მცირეაზიელ მოკავშირეებთან ერთად უკვე ისეთი მრავალრიცხოვანი ჯარი იყრიდა თავს, რომ ოსმალთა წინააღმდეგ გალაშქრება დასავლეთის დახმარების გარეშეც შეეძლოთ, გეგმის ჩაშლისთანავე ერთმანეთთან მტრობა გაიხსენეს და ერთმანეთის (და არა თურქთა) წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს.

განდიდების ჟინმა მესხეთის მმართველ ყვარყვარე ათაბაგს გონება ისე დაუბნელა, რომ მშობლიური ეკლესიის წინააღმდეგაც აამხედრა. ქვეყნის ერთიანობის ღალატის გზაზე შემდგარი, სამწუხაროდ, მიზნის მისაღწევად, ისეთი უმძიმესი ცოდვის ჩადენასაც კი არ მოერიდა, როგორიც ეკლესიის მთლიანობის დაშლა-დაყოფაა და თავისი სამფლობელოს — მესხეთის საკათალიკოსო საყდრისგან ჩამოშორებისათვის დიდად „იღვაწა“. საათაბაგოსათვის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება მან ამ ვერაგული ხერხით გადაწყვიტა. გეგმის ბოლომდე განსახორციელებლად ყვარყვარემ მაწყვერელი ეპისკოპოსის უფლებათა გაფართოება განიზრახა, ისე რომ, ამიერიდან მესხეთის საეპისკოპოსოები არა „ქართლისა კათა-

ლიკოსსა და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარქის“ პატრონობის ქვეშ ყოფილიყვნენ, არამედ აწყურის ეპისკოპოსისა. ეპისკოპოსებად და არქიმანდრიტებად შერჩეულ პირთა ხელთდასხმაც ამიერიდან აწყურში უნდა შესრულებულიყო და არა მცხეთაში. და კიდევ ერთი: ხელთდასასხმელ პირთა შერჩევის უფლება ყვარყვარეს სასულიერო პირებისათვის წაურთმევია და თვითონ მიუთვისებია, რათა მომავალი ეპისკოპოსები მისი უგუნური პოლიტიკის მხარდამჭერნი და გამტარებელნი ყოფილიყვნენ.

მართალია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავითის ბრძნული მოქმედებით, რომელიც არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით, არამედ საეკლესიო კანონებითაც იყო განმტკიცებული, ყვარყვარე ათაბაგმა წადილი ვერ აისრულა, მაგრამ მამის ოცნების განხორციელება მისმა მემკვიდრემ მზეჭაბუკმა შეძლო. მიზნის მისაღწევად მან მესხეთში საკალმასოდ ჩამოსული ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი გამოიყენა, რომელიც ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად მებრძოლი ქართლის მეფის, კათოლიკოს-პატრიარქისა და თვით ხალხის „უსჯულოებაში“ დაარწმუნა. შედეგად პატრიარქმა ზემოხსენებული „უსჯულოებისადმი“ რისხვა გამოხატა, ხოლო თავად მზეჭაბუკს ღმრთის მიერ განმტკიცებული და განძლიერებული **დიდი მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფე** უწოდა. ასე რომ, მზეჭაბუკ ათაბაგმა მესხეთის დედაეკლესიისაგან სარწმუნოების მოწყვეტითა და იქაურ ეკლესია-მონასტრებში საქართველოს კათოლიკოსისა და მეფის ხსენების ამოკვეთით მოახერხა, რომ „საქართველოს მთლიანობის ეს გარეგნული, სიმბოლური გამოხატულებაც გამქრალიყო და მცხეთის საყდართან დამოკიდებულება მოსპობილიყო“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1967, გვ. 167).

მიზანი მიღწეულ იქნა: მესხეთის სასულიერო პირებს ეპისკოპოსებად ხელთდასხმისათვის მცხეთაში წასვლა და მეფე-კათალიკოსის ერთგულების აღთქმის დადება აღარ სჭირდებოდათ. მესხეთმა თვითმწყსობის უფლება მიიღო, მაგრამ შედეგი ამ უგუნური მიზნის მიღწევისა თვით მესხეთისათვის ბევრად უფრო ტრაგიკული გამოდგა, ვიდრე დანარჩენი საქართველოსათვის.

ბოროტება წინ ვერ იხედება და მომავალს ვერ ჭვრეტს, იგი მხოლოდ ხანმოკლე გამარჯვებით ზეიმობს. ვერც სამცხე-საათაბაგოს მმართველებმა გაიხედეს წინ და ვერ განჭვრიტეს, რა განსაცდელს უმზადებდა ქართველ ერს მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტერი ოს-



მალეთის სახით, რომელიც მეზობლად გაუხდა „ერთმორწმუნე, მეგობრულად განწყობილი ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწიფოების მაგიერ“ (იქვე, გვ. 56). მართალია, როგორც ჩანს, თვითონ მზეჭაბუკს პიროვნულად ეს განსაცდელი არ აშინებდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ამტკიცებდა „დედის მუცლით ჩემითგან“ ღმრთისმშობლისადმი „მოლტოლვილი“ ვიყავიო, მაინც ქართლის მეფის მორჩილებას ოსმალთა მორჩილება ამჯობინა, როგორც ამას ვახუშტი ბატონიშვილი მოწმობს: „მზეჭაბუკ დაეზავა ოსმალთა მორჩილების პირსა ზედა“-ო, მაგრამ საკუთარ ხალხს რას ერჩოდა? თუმცა ხალხი

რა სახსენებელია იმათთვის, რომელთაც სარწმუნოების ღალატიც კი არ უჭირთ ამაო და კვამლივით წარმავალი ამქვეყნიური დიდების მოსახვეჭად. თუმცა ისიც საკითხავია, მართლა აიცილა თუ არა განსაცდელი სამშობლოს ღალატითა და ოსმალთა მორჩილებით ათაბაგმა თუ, პირიქით, თავი მარადიული განსაცდელისათვის გასწირა? სანამ ამ ცისქვეშეთში ზნეობრივი ღირებულებები იარსებებენ, მასზე ხომ ვერავინ იტყვის: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.

მე-16 საუკუნის შუა ხანებში ევროპის ქვეყნების დაპყრობით გართულმა ოსმალებმა მეზობელი საქართველოსთვისაც მოიცალეს. რა თქმა უნდა, თურქების ამიერკავკასიაში გაბატონების დიდმპყრობელურ ზრახვებს უწინარესად სამხრეთ საქართველო, სამცხე-საათაბაგო შეეწირა. ამ ზრახვათა განხორციელების გზაზე მათ ირანიც ჩამოიცილეს, რომელიც ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, იძულებული გახდა მთელს ამიერკავკასიაზე ოსმალეთის უფლება ეცნო (1590 წ.). კასპიის ზღვაზე გასვლის შემდეგ, თურქებს რეალური შესაძლებლობა გაეხსნათ თავდაპირველ სამშობლოსთან — შუა აზიასთან კავშირის გაბმისა, „რის შემდეგაც ისინი ადვილად შეძლებდნენ ხელთ ეგდოთ ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალი, ეს კი რუსეთის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას ნიშნავდა“ (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 35). ასე რომ, მეგობრული ურთიერთობის დამყარება და საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანება როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა.

ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის 80-იანი წლებიდან თურქები თვლიდნენ, რომ სამცხე-საათაბაგოს ვასალური დამოკიდებულება ოსმალთა სახელმწიფოზე, რაც პოლიტიკურად მოხარკეობით გამოიხატებოდა, რეალობას საკმარისად არ ასახავდა და დაპყრობილი სამხრეთ საქართველოს სრულად შემოერთების საქმეს შეუდგნენ, რასაც შედეგად მისი სამხედრო ერთეულებად დანაწილება, სამამულო სოციალურ-ეკონომიკური წყობის მოშლა და სანაცვლოდ თურქული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის შემოღება-დანერგვა მოჰყვა. მართალია, 1628 წლამდე სამცხე-საათაბაგო ირანსა და ოსმალეთს შორის ისევ ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ ოსმალებმა ჩილდირის ვილაიეთის (ისტორიული მესხეთის) ბეგლარ-ბეგად გამაჰმადიანებული ჯაყელების შთამომავალი ბექას, შემდეგში საფარ-ფაშად წოდებულის დანიშვნის შემდეგ მესხეთში ფეხი მკვიდრად მოიკიდეს და ქვეყნის გადაგვარება-გათურქების პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარეს. რეალური პოლიტიკური ვითარება ირანთან 1639 წელს დადებული

ზავით გაფორმდა. აქედან მოყოლებული, უწინარესად შინა გამცემთა და მოღალატეთა „მოღვაწეობის“ შედეგად პოლიტიკურად დაშლილი საქართველო ვერცერთხელ ვერ გაიმართა წელში, ისე რომ, მესხეთის დაბრუნებაზე ფიქრი და ოცნება რეალობად ექცია, მით უმეტეს, რომ მე-17 საუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლეთ საქართველოს ახალი უბედურება დაატყდა თავს მეზობელი ლეკების სახით. სამუშაოს მძებნელი ლეკი აბრაგებისათვის სულერთი იყო, რომელი ძალა დაიქირავებდა, მათთვის მთავარი ფული იყო, რომლის შოვნისთვის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად ბრძოლასა და ტყვეთა გაყიდვას თვლიდნენ. ლეკთა ბელადები ერეკლე მეფეს მიმართავდნენ: ჩვენ გვირჩევნია თქვენ დაგვიქირაოთ და თქვენს მტრებს მიგვისიოთ, ვიდრე თქვენმა მტრებმა დაგვიქირავოს და თქვენი ქვეყანა გვანადგურებინოსო, მაგრამ სამწუხაროდ ქართველ მეფეებს, ათასგზის დარბეული და გაძარცული ქვეყნის პატრონებს, სწორედ ფული არ გააჩნდათ. ერეკლე მეფის ისტორიკოსი ომან მდივანბეგი მის შესახებ ამბობს: „არა აქვნდა პირდაპირი ძალი, არცა ჯარითა, არცა ხაზინითა და თვინიერ სიმხნისა კიდევ არა რაი აქვნდაო“. სამაგიეროდ, ამ გასაოცარი მხნეობისა და ქვეყნის ერთგულებისათვის დიდ მეფეს უფალი წყალობდა და სასწაულებრივად აძლევდა ძალას ყოველი მხრიდან შემოსეული მტრებისათვის პასუხი ღირსეულად გაეცა.

ასეა თუ ისე, გამაჰმადიანებული, თანაც სუნიზმის მიმდევარი ლეკები ქართულ სოფლებს თავს ჯგუფ-ჯგუფად ესხმოდნენ, აწიოკებდნენ, მინდვრებში მომუშავე ადამიანებს ატყვევებდნენ და ყირიმსა და თურქეთში ჰყიდდნენ. მე-18 საუკუნეში თურქების ხელშეწყობით ლეკმა აბრაგებმა ახალციხეში დაიდეს ბინა და ქვეყანა თითქმის რკალში მოაქციეს. ქვემო ქართლის მოოხრების შემდეგ, როცა უკვე „არღარა იპოვებოდა შენობა ქართლსა შინა“, ლეკებმა სათარეშო ასპარეზად სამცხე-ჯავახეთი გაიხადეს და ისედაც გაწამებული მხარე სულ „წაახდინეს“.

საქართველოს ისტორიაში ქართლის განსაკუთრებულ როლზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ასეთ უმძიმეს ვითარებაშიც კი, ქართლს, რომელიც თვითონაც სპარსეთის მოხარკე ვასალი იყო, მცდელობა არ დაუკლია თურქებისაგან მესხეთის გამოხსნისათვის. მიზნის მისაღწევად ქართლის მეფეები ირან-თურქეთს შორის არსებულ პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ შუღლს იყენებდნენ და ირანის მხარეს იჭერდნენ, მაგრამ თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ ამ გზით სანუკვარ შედეგს ვერ მიაღწევდნენ, რადგან ზავის დადებისას ირანი ქართლის

ინტერესებს არასოდეს ითვალისწინებდა.

1762 წელს გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ ერეკლეს გამოცხადებისას ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ოსმალთა უღელქვეშ მყოფი მესხეთი იმყოფებოდა, რომელიც დედა-სამშობლოს სარწმუნოებრივადაც და კულტურულადაც საბოლოოდ შორდებოდა; ამიტომ დიდი მეფის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხად ტყვეობიდან იმ მხარის გამოხსნა გახდა, საიდანაც თავის დროზე საქართველოს გაერთიანება და კულტურული აღმავლობა დაიწყო. რადგან საკუთარი ძალებით ამ მტკივნეული საკითხის გადაჭრა შეუძლებელი იყო, მეფე ერეკლე ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირის დამყარების გზას დაადგა, რაც შექმნილ ვითარებაში მართლაც ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო.

XV-XVII საუკუნეების მოვლენათა დაწვრილებითი ანალიზის შედეგად სრულიად მართებულად ასკვნის შოთა ლომსაძე: „ქართველი პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ ირანი მოკავშირედ არ გამოდგებოდა, ხოლო ქართულ სამეფოებს საკუთარი ძალებით ამის გაკეთება არ შეეძლოთ“ (სამცხე-ჯავახეთი, გვ. 60). ჩვენი მხრიდან მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ მაჰმადიანთა რკალში მოქცეულებს და მათთან ყოველდღიური ბრძოლით სისხლდაცლილებს, მალე ძალა არა დაკარგული მხარეების დასაბრუნებლად, არამედ საკუთარი თავის დასაცავადაც აღარ ეყოფოდათ. ამ ვითარებაში რა უნდა ექნათ ქართველ მეფეებს, გულხელდაკრეფილებს მშვიდად ეყურებინათ, როგორ თვალსა და ხელს შუა ილეოდა ქართველი ერი თუ გამოსავალი მოეძებნათ? იმერეთისა და ქართლ-კახეთის მმართველებმა გამოსავლის მოძებნა ამჯობინეს და ამჯერად იმედის თვალი სრულიად მართებულად ერთმორწმუნე რუსეთს მიაპყრეს.

პირველი შედეგი რუსეთთან გაცხოველებული ურთიერთობისა 1769 წლის შემოდგომაზე დარიალის გზით საქართველოში გენერალ ტოტლებენის მეთაურობით რუსთა მცირე რაზმის შემოსვლა იყო. ახლა დაწვრილებით თხრობას იმისა, რაც ცნობილი ასპინძის ბრძოლას უძღოდა წინ, აღარ შევუდგებით და მკითხველის ყურადღებას უფრო საინტერესო დეტალებზე შევაჩერებთ. გენერალი ტოტლებენის მიერ ბრძოლის ველის მიტოვებას ხშირად იხსენიებენ, მაგრამ არ მახსენდება ვინმეს ხშირად ან თუნდაც იშვიათად ეხსენებინოს, ასპინძის ბრძოლაში მებრძოლი მხარეები ეთნიკურად და სარწმუნოებრივად ვისგან შედგებოდნენ, სახელდობრ, ვინ მოისურვა ქართველთა ლაშქრის ამოწყვეტა და თვით სახელოვანი მეფის გაწირვა.

საქმე ისაა, რომ ქართველთა საპირისპიროდ ძირითად ქართველებივე იდგნენ, ოღონდ გამაჰმადიანებულები, რაც სრულიად დასაბუთებული აქვს შოთა ლომსაძეს წიგნში „სამცხე-ჯავახეთი“: „ეს იყო ძირითადად ახალციხის საფაშოში შეკრებილი ადგილობრივი ლაშქარი, რომელთა უმრავლესობა გამაჰმადიანებული მესხებისა და ლაზებისაგან შედგებოდა“ (გვ. 77), — ასკვნის იგი. საბედნიეროდ, ეს უთანასწორო ბრძოლა, მეფე ერეკლეს გენიალური სამხედრო ნიჭისა და სიმამაცის წყალობით, მეფის ლაშქარმა მოიგო, მაგრამ ვინ დაამარცხა? — ძმები, რომელთაც ძალით თავსმოხვეული რელიგია ეთნიკურ ერთობაზე მაღლა დააყენეს და თავიანთი ჯიშისა და მოდგმის ძმებს, რომელნიც დედასამშობლოში მათ დასაბრუნებლად მზად იყვნენ სიცოცხლე გაეწირათ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ.

ეს ფაქტი ხაზგასმით არა მათ მიმართ საყვედურის გამოსახატავად წარმოვადგინეთ, რადგან რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებულებს გააზრებული არ ჰქონდათ ვის ებრძოდნენ, არამედ რათა დღევანდელ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების საფუძვლიანად გაანალიზება შევძლოთ და მწვავე პრობლემათა გადასაჭრელად (მაგ., ე.წ. თურქი მესხების მესხეთში დაბრუნების საკითხი), რაც შეიძლება, სწორი გზა დავსახოთ.



ნოდარ ლომოური

რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობის შესახებ

ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აღსავსეა მეტად რთული წინააღმდეგობებით; უდიდესი წარმატებები, გამარჯვებები, აღმავლობა ენაცვლებოდა საშინელ მარცხებს, ქვეყნის აოხრებებს, შიდა გამცემლობებს... XVIII ს-დან ამ პროცესებში ჩაერთო ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი — რუსეთი. იგი კი არ ჩაერთო ამ ურთულეს კოლიზიებში, არამედ გახდა მათი წარმმართველი და განმაპირობებელი. საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და ამიერიდან სწორედ ეს იმპერია მართავდა ჩვენი პატარა ერის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს. ასე იყო შემდეგაც, საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთ რესპუბლიკად, მის ორგანულ ნაწილად საქართველოს ყოფნისას.

და აქ მე მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებაზე: ესაა, ერთი შეხედვით, თითქოს აუხსნელი ვითარება, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ჩვენი პატარა ერი კი არ ჩაიხრჩო მასზე მომდგარ აგრესიულ ოკეანეში, არამედ შეინარჩუნა ეთნიკური თვითთავადობა, საკუთარი ენა, კულტურა, თვითშეგნება და დღემდე ამ პოზიციაზეა. უფრო მეტიც, ქართველმა ერმა განავითარა თავისი ეროვნული კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება და იქცა ერთ-ერთ პროგრესულ ძალად რუსეთის იმპერიის შემადგელობაში.

ამ რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების აღწერა, გააზრება და შეფასება, ეს ცალკე თემაა; ამჟამად კი გვინდა, შევეხოთ დღევანდელ ვითარებასა და რუსეთთან ჩვენს ამჟამინდელ ურთიერთობას.

რუსეთისგან ჩვენმა ერმა ბევრი წყენა იწვნია, რაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა შეფასებული. მაგრამ, ამავე დროს, იმავე რუსეთიდან ჩვენ იმდენი სიკეთე, დადებითი მუხტი და ჩვენი კულტურის აღორძინებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა მივიღეთ,

რომ ამის დავიწყება არამც და არამც არ შეიძლება.

სამწუხაროდ, დღეისათვის, განსაკუთრებით სააკაშვილ-ლომაიას ე. წ. რეფორმის და 2008 წლის აგვისტოს სამარცხვინო ომის შემდეგ, ჩვენ მთლიანად დავკარგეთ ურთიერთობა რუსეთთან, გაგვიწყდა კავშირი მის მოწინავე, პროგრესულ ძალებთან და ეს ჩვენთვის უდავოდ უდიდესი დანაკარგია. მე ჯერ კიდევ 2003 წ. ვწერდი, რომ ჩვენთვის არსებობდა და არსებობს „ორი რუსეთი". „პირველი" — ესაა პროგრესული, ჩვენი მრავალი თაობისათვის ძვირფასი რუსეთი და „მეორე" — აგრესიული, მონათა და ბატონთა, „დაუბანელი" (მ. ლერმონტოვი) რუსეთი, რომელიც, ცხადია, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია.[1]

და აი დღეს, ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება, ბიძინა ივანიშვილის სახით, ცდილობს გამონახოს საერთო ენა „პირველ რუსეთთან"; შეიქმნა საგანგებო კომისიაც კი დიდად გამოცდილი დიპლომატის ზურაბ აბაშიძის თავმჯდომარეობით, რომელიც უკვე ცდილობს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების განხორციელებას.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობის ილია II-ის ჩაბრძანება რუსეთში და მცდელობა საეკლესიო ურთიერთობათა გამოცოცხლებისა. სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს ჩვენი ინტელექტუალური ელიტის ღონისძიებები, „პირველ რუსეთთან" ურთიერთობის აღდგენის მიმართულებით. ჩემი მიზანიც ამჟამად არის, გავაცოცხლო ოდინდელი ურთიერთობები სწორედ „პირველ რუსეთთან" და ჩემი, ამ მხრივ არსებული გამოცდილების, მოგონებების სახით წარმოჩენა.

ჩემს თაობას ბავშვობის წლებიდან ჰქონდა რუსულ ლიტერატურასთან, პოეზიასთან, ხელოვნებასთან ურთიერთობა. ამ მხრივ არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნო ჩვენი მოწაფეობის დროიდან გაცნობა მოსკოვში მოღვაწე მწერლის **ანა ანტონოვსკაიას** მონუმენტური რომანისა „დიდი მოურავი", რომლის მიხედვით 40-იან წლებში თბილისის კინოსტუდიაში მიხეილ ჭიაურელის და ნიკოლოზ შენგელაიას მიერ გადაღებულ იქნა ორსერიანი ფილმი.[2] შემდგომ ჩვენი მასწავლებლების ხელმძღვანელობით ვეუფლებოდით გამოჩენილ რუს

[1] **იხ. კრებული «Некоторые вопросы грузино-русских взаимо отношений в современной историографии», თბ., 2011, გვ. 154-159.**

[2] **ანა ანტონოვსკაია 1886 წ. დაიბადა თბილისში, აქვე მიიღო სასკოლო განათლება, შემდეგ მონაწილეობდა კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებში. 1922 წ-დან გადავიდა ოჯახთან ერთად მოსკოვში, თუმცა საქართველოსთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. იყო რუსეთის აღიარებული მწერალი და აქვე შექმნა თავის მონუმენტური რომანი „დიდი მოურავი".**

მეცნიერთა ნამოღვაწარსაც. მაგრამ პირველი უშუალო ზიარება რუსულ მეცნიერებასთან მე მომიხდა 1954 წ., როდესაც ჩემი დიდებული მასწავლებლის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მოთხოვნით მე მასთან ერთად (აგრეთვე ცნობილ მეცნიერებთან ლ. მელიქსეთ-ბეგთან და ვ. დონდუასთან ერთად) გავემგზავრე პეტერბურგს (მაშინდელ ლენინგრადს) ბიზანტინისტთა IV საკავშირო კონფერენციაზე.

ჩვენი იმჟამინდელი ყოფნა პეტერბურგში საკმაოდ დაწვრილებით მაქვს აღწერილი ჯერ კიდევ 1996 წ. ამჟამად მოკლედ აღვნიშნავ, რომ ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი, რომელიც განაპირობა იქ სიმონ ყაუხჩიშვილის ყოფნამ და კონფერენციაში მონაწილეობამ, ეს იყო პირველი აშკარა აღიარება ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლის უაღრესად მაღალი დონისა, აღიარება უპირობო. რად ღირს თუნდაც რუსული ბიზანტინოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენლის **ზინაიდა უდალცოვას** ასეთი განცხადება: „როდესაც საბჭოურ ბიზანტინოლოგიას ჰყავს სიმონ გიორგის-ძე ყაუხჩიშვილი, ჩვენ უნდა ვიფიქროთ ქართული ენის შესწავლაზე!“ ან იქვე დიდი რუსი აღმოსავლეთმცოდნის, აკადემიკოს **ვასილ სტრუვეს** აღიარება ს. ყაუხჩიშვილის უმაღლესი მეცნიერული დონისა და მილოცვა საბჭოთა ბიზანტინოლოგიისადმი, რომ მას ჰყავს ასეთი მეცნიერი, როგორიცაა ყაუხჩიშვილი.[3]

იმ ვიზიტის დროს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ინტელექტუალურ ელიტაში უდიდესი ავტორიტეტითა და აღიარებით სარგებლობენ ისეთი ქართველი მეცნიერები, როგორიც ბრძანდებოდნენ გრიგოლ წერეთელი და გიორგი ჩუბინაშვილი.

ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო. რუსი მეცნიერები ასე ადვილად არ თმობდნენ თავიანთ პრიორიტეტებს. აქედან დაიწყო ქართული მეცნიერების მსოფლიო ასპარეზზე გასვლა და აღიარება.

ქართული ბიზანტინოლოგიის ეს წარმატება შემდეგშიაც გაგრძელდა და ეს უკვე ჩვენმა თაობამაც იწვნია. რუს მეცნიერებასთან უმჭიდროესი კავშირი გამოიხატა აქტიურ ურთიერთობაში რუს კოლეგებთან. კონკრეტულად მე ასეთი კოლეგიური და მეგობრული ურთიერთობა მქონდა რუსეთის ბიზანტინოლოგიის და კლასიკური ფილოლოგიის წარმომადგენლებთან (გ. ლიტავრინთან, ს. კარპოვთან, ი. მედვედევთან, ბ. ფონკიჩთან და სხვ.). ჩვენ ერთმანეთს სისტემატურად ვხვდებოდით, ისინი თბილისშიაც ჩამოდიოდნენ. 1994 წ-დან ვიდრე 2008 წ-დე ვიყავი მოსკოვში გამომავალი სამეცნიერო ჟუ-

3 იხ. ჩვენი — „სიმონ ყაუხჩიშვილი, მეცნიერი, მოძღვარი, ერისკაცი, მოქალაქე“, თბ., 1996, გვ. 62-71.

რნალის, «Византийский Временник»-ის სარედაქციო საბჭოს წევრი, არჩეული ვიყავი ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საკავშირო ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრად. ასეთი უმჭიდროესი კონტაქტები რუსეთთან მხოლოდ ჩვენი დარგის წარმომადგენლებს როდი გვქონდა, არამედ შემიძლია უშუალოდ დავაფიქსირო ურთიერთობა და აღიარება ქართული მეცნიერების სხვა დარგებისა, განსაკუთრებით ისეთისა, როგორიც იყო, მაგალითად, ანთროპოლოგია. საკმარისია, აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ანთროპოლოგიური სკოლის ფუძემდებელი **მალხაზ აბდუშელიშვილი** 1971-1983 წწ-ში რუსეთის აკადემიის ინიციატივით ხელმძღვანელობდა ფართომასშტაბიან ექსპედიციას ინდოეთში. ეს უდავოდ დიდი გამონაკლისი იყო და რუსეთისთვის ეს იშვიათი დათმობა გახლდათ.

და უცებ აშკარა გარდატეხა! ასპარეზზე აქტიურად გამოვიდნენ დიდმპყრობელური რუსეთის აგრესიული ძალები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ არა მარტო ქართული თვითმყოფადობის ყოველმხრივი დაკნინებისთვის, არამედ საერთოდ ქართველობის აღმოფხვრისათვის, ეს ნიშნავს ასპარეზზე „მეორე რუსეთის“ აქტიურ გამოსვლას. ასეთი აგრესიულობის აშკარა გამოხატულება იყო ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ა. სახაროვის გაუაზრებელი და სრულიად აფსურდული განცხადება, როდესაც მან საქართველო „მცირე იმპერიად“ მონათლა. ამას მოყვა ნაკადი ანტიქართული გამოხდომებისა, რომელთა ავტორები — ზატულინები, ეპიფანცევები, მიგრანიანები და სხვები, იქამდე მივიდნენ, რომ საერთოდ უარყვეს ქართული სახელმწიფოს, უფრო მეტიც, ქართული ეროვნების არსებობა. მაგრამ აქ აუცილებლად პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, ვინ არიან ეს ადამიანები, არიან კი ისინი თვითონ რუსეთის ინტერესთა ერთგულნი და დამცველნი? და კიდევ ერთი: არც საქართველოს აკლდა და აკლია ადამიანები, რომელნიც თავს მგზნებარე პატრიოტებად სწორედ რადიკალური განცხადებებით წარმოაჩენენ, თუმცა არ შეიძლება იცოდნენ, რომ ამგვარი განცხადებებით ქვეყანას მხოლოდ ზიანს აყენებენ. მათ აფსურდულ, ყოველმხრივ ყალბსა და აგრესიულ განცხადებებს არაერთგზის გაეცა პასუხი, მაგრამ დღევანდელმა და მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ამის შესახებ.

ეს იყო ღია შემოტევა „მეორე რუსეთისა“, რომელიც განსაკუთრებით გამძაფრდა და აშკარა აგრესიაში გადაიზარდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესების დროს, თუმცა აქ კვლავ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება არის გასათვალისწინებელი,

რომელმაც აშკარა გახადა, რომ ამ უმძიმეს ვითარებაშიც ჩვენთვის „პირველი რუსეთი“ არ დაკარგულა.

1992 წლის ზაფხულში დაიწყო აფხაზეთში სეპარატისტული ძალების წინააღმდეგ ქართული კანონიერი ხელისუფლების სამხედრო ძალების მოქმედება, ანუ ე. წ. „აფხაზური ომი“. აფხაზ სეპარატისტებს იმთავითვე რუსეთიდან ჰქონდათ მხარდაჭერა და აფხაზთა ერთ-ერთი ორგანიზაციის, ე. წ. „სლავური სახლის“ ხელმძღვანელებმა მიმართეს რუსეთის მეც. აკადემიის ეთნოლოგიისა და ეთნიკური ანთროპოლოგიის ინსტიტუტს თხოვნით, მიევლინებინათ აფხაზეთში სპეციალისტი, რომელიც მათ დაეხმარებოდა ეთნო-კულტურულ პრობლემებზე მუშაობისას, კონსულტაციებს გაუწევდა აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის მათ სასარგებლოდ და საქართველოს საწინააღმდეგოდ გადაწყვეტა-დასაბუთებაში. სწორედ ამ მიზნით გაიგზავნა აფხაზეთში აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი **სვეტლანა ჩერვონნაია**. და მოხდა მოულოდნელი რამ: გაეცნო რა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, მიიღო რა სათანადო ინფორმაცია ორივე დაპირისპირებული მხრიდან, სვ. ჩერვონნაიამ სრულიად მიუდგომლად შეაფასა აფხაზი სეპარატისტების დასაგმობი და დაუსაბუთებელი ქმედებები და ასეთი სახის დასკვნით წარდგა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ თავისი ინსტიტუტის ზედამხედველობის წინაშე. ამან იქ საშინელი აღშფოთება გამოიწვია და მას მრავალნაირი ბრალდებები დაატეხეს თავს. მაგრამ სვ. ჩერვონნაია არ შეშინდა და შემდეგ წელს გამოსცა ცალკე წიგნი, რომელშიც აფხაზეთის მოვლენების უფრო ღრმად და მეცნიერულად გაანალიზების საფუძველზე შეაფასა აქ მიმდინარე პროცესები, როგორც რეაქციული აჯანყება კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ.[4]

მაშასადამე, აქ კვლავ ვხედავთ საქართველოს მიმართ „ორი რუსეთის“ მოქმედებას — „მეორე რუსეთის“ მესვეურთა მიერ აფხაზეთის სეპარატისტების ყოველმხრივ ხელშეწყობას, ხოლო ამის საპირისპიროდ, „პირველი რუსეთისაგან“ ჩვენს იდეოლოგიურ და ყოველმხრივ მხარდაჭერას.

ასეთი რთული კოლიზიები შემდგომაც გრძელდებოდა, მაგრამ 2008 წლიდან ჩვენი ყოველგვარი კონტაქტები რუსეთთან შეწყდა. როგორც აღვნიშნე, ამჟამად გამოჩნდა რაღაც პერსპექტივები რუ-

---

[4] **С. М. Червонная, Абхазия -1992: Посткоммунистическая грузинская Вандея, М. 1993; ვანდეა — საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს რეაქციული, როიალისტური აჯანყება.**

სეთთან ურთიერთობის განახლებისა. ეს, ვიმეორებ, აუცილებელია; ესაა ერთადერთი გზა რუსეთის რეაქციული ძალების, ე. ი. „მეორე რუსეთის“ ზეწოლის შერბილებისა, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ სვლისა. ჩვენ მოგვდის ინფორმაციები რუსეთიდან, რომ იქ კვლავ არსებობენ საქართველოსადმი ლოიალურად განწყობილი ძალები, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს მათთან ურთიერთობის დამყარებისთვის.

მაგრამ ასეთი მოქმედებისას ჩვენ უნდა ვიყოთ უაღრესად ფხიზლად, რადგან რუსეთში არსებობენ ჩვენი მოწინააღმდეგე სხვა ძალებიც, კერძოდ, ჩვენი სამხრეთელი მეზობლის — სომხეთის — ჩვენს მიმართ უაღრესად აგრესიულად განწყობილი დაჯგუფებები. საკმარისია დასახელდეს, მოსკოვში წლების მანძილზე მოსაქმე ვიადა არუთინოვა-ვიდანიანი, იქვე მყოფი მიგრანიანი, თვით სომხეთში მყოფი სხვადასხვა ერემიანები, მურადიანები და სხვ., რომელთაც საქართველოს ნახევარი სომხურად გამოაცხადეს, მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, კუმურდო და ა. შ. სომხურ ძეგლებად, ქართული დამწერლობის შექმნა სომხებს მიაწერეს, ხოლო ჩვენი სასიქადულო მოღვაწეები, მათ შორის შოთა რუსთაველიც კი, სომხებად მონათლეს. ამის შესახებ საკმაოდ ბევრი დაიწერა და გამოქვეყნდა,[5] მაგრამ ეს ძალები დღესაც მოქმედებენ, „მეორე რუსეთის“ ხელშეწყობით, ეს არ უნდა დავივიწყოთ!

უაღრესად ფხიზლად უნდა ვიყოთ უფრო დიდი და ძლიერი მეზობლის — თურქეთის მიმართ, რომელიც არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ აშკარა აგრესიასაც ახორციელებს ჩვენ მიმართ, იმედია, ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლება და გამოცდილი დიპლომატები ამას ყოველივეს გაითვალისწინებენ.

***

მინდა მოკლედ შევეხო დღეს ჩვენში მომდინარე პროცესებსაც. უპირველეს ყოვლისა, საყოველთაო მითქმა-მოთქმის საგნად ქცეული ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ იგი პოლიტიკური მოღვაწეობიდან წასვლას აპირებს. რეაქციულად განწყობილი ძალები ცდილობენ, საქმე ისე წარმოაჩინონ, რომ ეს უახლოეს დროში მოხდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიაზროთ, რომ ბ. ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას მას შემდეგ ვარაუდობს, როდესაც გაირკვევა

[5] **იხ. კრებული — «Некоторе вопросы истории Грузии в армянской историографии», т. 5, 2009.**

ვინ არის ქვეყნის პრეზიდენტი, დალაგდება ახალი მთავრობა, დამყარდება მშვიდი პოლიტიკური გარემო. ამას კი საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ამასთან, ბ. ივანიშვილი სრულიადაც არ გეგმავს პოლიტიკიდან მთლიანად წასვლას, იგი დატოვებს უმაღლეს თანამდებობებს, ხოლო აქტიურად განაგრძობს ერისთვის აუცილებელ და საჭირო პროცესებში მოღვაწეობას.

აუცილებლად გასააზრებელია, რომ ამ უახლოეს დროში არ შეიძლება რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე ლაპარაკი; ეს იქნება კონტაქტები „მეორე რუსეთთან“ და არსებითად ჩვენი ძირძველი მხარეების დამოუკიდებლობის აღიარება. ასევე ამ ეტაპზე მიუღებელია სომხეთ-რუსეთის რკინიგზის ამოქმედება. ეს შესაძლოა, საერთოდ სასარგებლო საქმეა, მაგრამ დღევანდელ პირობებში ამის განხორციელება დაუშვებელია.



გრანი ქავთარია

სტრატეგიული პარტნიორობა თუ ყმადნაფიცობა
(ქართველები სხვათა ომში)

ისტორიულმა ბედუკულმართობამ კოლხ-იბერთა ნაშიერებს სხვათა ომებში სისხლისღვრა დაგვიკანონა. ამ სასჯელს „პატრიოტები“ საამაყო მემკვიდრეობად და ეროვნული ღირსების სამკაულად წარმოსახავენ.

ქართულ ხომალდს დასაბამიდან გიგანტურ აისბერგებს შორის უხდებოდა ზღვაოსნობა. კარგი მესაჭეებიც მრავლად გვიბოძა უფალმა და მათი სიბრძნის წყალობით გამოვაღწიეთ უსასტიკეს გრიგალებს, მაგრამ იყო პერიოდები, როდესაც გზის გაგნება გვიჭირდა და უმწეოდ ვიხლართებოდით მტარვალთა ბადეში (თვალსაჩინოებისთვის: ნაცისტების თავგზააბნეული და ცრუპატრიოტიზმის ჰანგებზე მომართული გაუგებრობა ამ რეალობის ნათელი დადასტურებაა). უცხო ტომელები ცეცხლითა და მახვილით წვავდნენ და თელავდნენ ჩვენს მთა-ბარს. ყოველივე ამას ემატებოდა შინაური აშლილობა. მამულის სიყვარულს ამოფარებული თვალთმაქცობა ღრღნიდა მის ხერხემალს. ბოროტი ძალა თვალმოუხუჭავად გვადგა თავს დამოკლეს მახვილად.

საქართველოს წარსული გამუდმებული ომების ისტორიაა (იგივე გრძელდება დღესაც). ჩვენი მემატიანეები ისტორიას სისხლითა და ცრემლით წერდნენ. მათ თხზულებებში მრავლადაა აღნუსხული საარაკო გმირობისა და ამაღლების ფაქტები, მაგრამ ასევე ხშირია დაცემის ეპიზოდებიც.

პირველ ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს, თავისი თხზულების „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ დასაწყისშივე ხაზგასმული აქვს ეროვნული უბედურების საიდუმლო კოდი, რომელიც ბუნებამ, როგორც წყევლა ისე გადმოგვცა. XI საუკუნის მემატიანე მოგვითხრობს იმ მარადიულ სატკივარზე, რომლითაც დაავადებული

იყო ჩვენი ერი დასაბამიდან. იგი წერს, „ხოლო ვითარცა მოკუდა მცხეთოს, ძე ქართლოსისი, შთავიდა შური შორის შვილთა ქართლოსისთა: იწყეს ბრძოლად და ხდომად ურთიერთას... რომელსამე ჟამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის, და კუალად შეიშალნიან და ებრძოდიან.

და გაგრძელდა მათ შორის ესევითარი საქმე, და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა. და არცა სახელედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელი და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა.“

მემატიანის გადმოცემით, გვაროვნული წყობილების ხანაში, ტომის ბელადების უფლებრივი შეუვალობის მთავარ არგუმენტს ის წარმოადგენდა, რომ არავინ ყოფილიყო მათ შორის „უწარჩინებულეს და უსახელოვანეს“. ტომთა შორის წამოჭრილ დავათა მოგვარება დაეკისრა მცხეთის მამასახლისს, როგორც დამზავებელსა და ბჭეს ქართლოსიანთა.

ეროვნული საისტორიო ტრადიციით, ქართველი ტომების დაულაგებელი ცხოვრება გაგრძელდა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე. ქართული წყაროები („ქართლის ცხოვრება,“ მოქცევაჲ ქართლისაჲ“), ანტიკური მწერლობის დარად, ქება-დიდებით აღნიშნავენ ძლევამოსილი გმირის მსოფლიო ისტორიულ როლს: „მეფემ ყოვლისა ქუეყნისა“, „დაიპყრა ყოველნი კიდენი ქუეყნისანი“. მატიანეების თანახმად, არც საქართველო დარჩენილა „ყოვლისა ქუეყნისაჲს“ დამპყრობი მეფის ყურადღების გარეთ. შემოვიდა დიდი ლაშქრით და ქართლი გაათავისუფლა უწმინდური დამპყრობლებისგან (ბუნთურქებისაგან). იმავე ტრადიციით, ალექსანდრე დიდმა ჩაუყარა საფუძველი ქვეყნის გაერთიანებას. პირველობის გვირგვინი გადასცა თავის მოკავშირეს, არიან ქართლის მეფის ძეს აზონს (აზოს). „კაცი ძნელი და მესისხლე“ (ლეონტი მროველი) გახდა „უწარჩინებულეს და უსახელოვანეს“ ქართველ ერისთავთა შორის.

აზონის დროს გამოიკვეთა საქართველოს საზღვრები. ამ საზღვრებში განაგებდნენ მომდევნო მეფეები ერთიან ქვეყანას.

„კაცი ძნელი და მესისხლეს“ ბატონობა დაამხო მცხეთის მამასახლისთა მემკვიდრემ ფარნავაზმა. დაიწყო ახალი საფეხური საქართველოს ისტორიაში. მემატიანის სიტყვებით, დიდმა რეფორმატორმა და განათლებულმა ადამიანმა ჩვენი ქვეყანა ჩართო იმდროინდელ საერთაშორისო პროცესებში. ურთიერთობა დაამყარა ელინისტური

ეპოქის სუპერსახელმწიფოსთან, სელევკიდების აზიურ იმპერიასთან, ფიქტიური აღიარებით, „მსახურებდა ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანისასა.“ საქართველოში სრულიად განსხვავებული წესრიგი დამყარდა, შეიქმნა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ახალი სისტემა. ლეონტი მროველი წერს, „ოცდაშვიდი წლისა მეფე იქმნა, და სამეოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ... და აღაშენა და განავსო ქართლი.“ მემატიანის სიტყვებით, ფარნავაზის მეფობა წარმოადგენდა უბედნიერეს ხანას, „იყო განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათვის ფარნავაზისსა და იტყოდეს ამას ყოველნი: ვჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან, და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიმხნითა და სიმდიდრითა.“

თითქოს გადაილახა მამასახლისობის პერიოდის განკერძოებულობა, მაგრამ ფარნავაზის მეფობა მის სრულად დასაძლევად საკმარისი არ აღმოჩნდა.

გარდაიცვალა ფარნავაზი, გამეფდა მისი ძე საურმაგი. ამ დროს მოხდა წარმოუდგენელი საოცრება, რომელმაც ფარნავაზის სადიდებელი ხოტბა არარაობად აქცია. ლეონტი მროველი წერს, საურმაგის გამეფებისთანავე, „ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ.“

ლეონტი მროველის თანახმად, საურმაგი გაერიდა მამულს, შეკრიბა ჩრდილო კავკასიელები, შემოუბრუნდა შეთქმულებს, ბევრი დასაჯა, ბევრიც დაამდაბლა. ერისთავების აზრით, სამეფო ხელისუფლებამ შელახა თანასწორუფლებიანობა, მისტიროდნენ იმ დროს, როცა არავინ იყო მათ შორის „უწარჩინებულეს და უსახელოვანეს.“ აქ გაისმა ეროვნული უბედურების მაუწყებელი სიტყვები. იმ უხსოვარი დროიდან მოყოლებული კოლხ-იბერები „ვინცა-ვინ გამოჩნდნენ მძლეს“ იმედად რჩებოდნენ, ჯიჯგნიდნენ ერთმანეთს და გზას უთავისუფლებდნენ დედამიწის ოთხივე მხრიდან შემოსეულ ურდოებს.

ერისთავების ავბედითი ანდერძისათვის „მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე“ (ერისთავების „მძლე,“ თანამედროვე ტერმინოლოგიით არის სტრატეგიული პარტნიორი) არ გვიღალატია დღესაც. ერთგულად ვიცავთ შორეულ წარსულში შემუშავებულ დოგმებს.

საურმაგის ეპოქიდან ქართველთა ბუნებაში ცვლილებები უმნიშვნელოა. ამქვეყნიურ დანიშნულებას განვიხილავთ ისე, როგორც განიხილავდნენ ჩვენი წინაპრები ათასწლეულების წინათ. ერისთავების მრუდე ნაზრევს ვერ ვივიწყებთ და კვლავ „მძლეთა“ იმედით ვსულდგმულობთ.

„მძლენი“ დათარეშობდნენ ჩვენს მიწაზე და მიაქროლებდნენ საუკუნეებს. ბორკილ-დადებული კოლხ-იბერებით ივსებოდა ტყვეთა ბაზრები. დავიწყების მორევში იძირებოდა ხილული და უხილავი. მეომარი კოლხ-იბერებით ივსებოდა „მძლეთა“ ურიცხვი ლაშქარი. ერეკებოდნენ შორეულ ქვეყნებში სისხლის დასანთხევად. ეს იყო ჩვენი ბედისწერა უხსოვარი დროიდან და იმავე მდგომარეობაში ვიმყოფებით XXI საუკუნეშიც.

„მძლეთა“ დაწესებულ ხარკს სისხლით იხდიდნენ. დამპყრობელს დაპყრობილი მიჰყავდა სხვა ქვეყნების დასაპყრობად.

ცნობები ქართველთა მონაწილეობაზე სხვის ომში დაცული აქვს „ისტორიის მამად“ წოდებულ ჰეროდოტეს, „ბერძენ-სპარსელთა ომებში.“ მისი ინფორმაციით, სალამინის ბრძოლაში (ძვ.წ. 480 წ.) აქემენიდური იმპერიის მრავალრიცხოვან არმიაში, აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ერთად იმყოფებოდნენ ქართველური ტომებიც (კოლხები, სასპერები, ხალიბები, მაკრონები, მოსინიკები). აღნიშნული მითითების გათვალიწინებით, საეჭვო არ არის, რომ კოლხ-იბრები იქნებოდნენ მარათონის ველზეც, სალამინის ბრძოლამდე ათი წლით ადრე.

„ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე“ ატრიალებდა და ატრიალებდა ჩვენი ერის ბედ-იღბალს. ქართველი მეომრების სისხლით ირწყვებოდა თვალუწვდენელი ველები ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთის ოკეანემდე. კოლხ-იბერები მარათონის ბრძოლის მომდევნო საუკუნეებში ყველა „მძლეს“ (სპარსელების, უნდა ვიგულისხმოთ პართებიც, ბერძნების, რომაელების და სხვ.) ლაშქრობებში მონაწილეობდნენ. ბერძენ-რომაელი ავტორების გვერდით ამ რეალობის შესახებ ვრცლად მოგვითხრობენ ეროვნული მატიანეები. სამხედრო ბეგარას თითქმის ჩვენი ყველა მეფე ასრულებდა. საკმარისია ეროვნული ისტორიისა და სულიერების რამდენიმე გამოჩენილი ფიგურის დასახელება: მეფე მირიანი (პირველი ქრისტიანი მეფე) სპარსეთის მოკავშირედ გამოდიოდა რომის წინააღმდეგ. საქართველოს ლეგენდარული მეფე და გმირობის სიმბოლო ვახტანგ გორგასალი, მოსისხლე მტრის სპარსეთის არმიის შემადგენლობაში იბრძოდა ინდოეთში. იგი იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა აღმოსავლეთის მბრძანებლების მოთხოვნა. ინდოეთის ოპერაციას საქართველოსთვის შვება არ მოუტანია.

დამპყრობელი დარჩა დამპყრობელად. სამშობლოში დაბრუნებული გორგასალი კვლავ სპარსელებთან ომში ჩაება და მათთან ბრძოლას შეეწირა. ვახტანგ გორგასალის დაღუპვის მომდევნო ხანებში სასანიდებმა ქართლში ხელისუფლება საერთოდ გააუქმეს.

ქართველთა ბეგარა იყო ბრძოლა არაბებისა და ბიზანტიელების დროშის ქვეშ. ფუნქციები კიდევ უფრო დამძიმდა მონღოლთა ბატონობის ხანაში. მონღოლური მპყრობელობით საქართველოს დაკისრებული ჰქონდა განსაზღვრული რაოდენობის მეომართა გამოყვანა. აბჯარასხმული ქართველები მონღოლთა მხარდამხარ ეწირებოდნენ დამპყრობლის დაუნდობელ ბრძოლებს. ირანის ილხანებისა და ოქროს ურდოს დაპირისპირებისას, „სტრატეგიული პარტნიორის“ მსხვერპლი გახდა მეფე დავით ულუ და მისი უფროსი ძე. რიგით ქართველ მეომართა რიცხვზე შავი დღეების აღმნუსხველი ჟამთააღმწერელი ცნობებს არ გვაწვდის.

ქართველთა პარტნიორობას უხვად იყენებდნენ ოსმალები და სპარსელები (ყიზილბაშები). ბევრი „პატრიოტი“ ამაყობს იმ გმირობით, რაც ჩაიდინეს ჩვენმა წინაპრებმა ავღანეთში XVIII საუკუნის დასაწყისში. იმის შესახებ იშვიათად თუ წამოსცდებათ, რომ სპარსეთის დროშის ქვეშ სამსახურს ქართლის ორი მეფე (ქაიხოსრო და გიორგი XI) რომ შეეწირა.

საუკუნეებში ჩაიფერფლა მრავალი გმირის ამქვეყნიურობა. რჩეულნი ძვლებით აგებდნენ სიმაგრეებს, ორგულნი ანგრევდნენ ნაშენებს და „პატრიოტული სიტყვაკაზმულობით“ ჰყიდდნენ. ქვეყნის ბედზე ხმამაღლა მოლაპარაკეებმა, უწინარესად ყურადღებით უნდა წაიკითხონ და დაიმახსოვრონ „ქართლის ცხოვრების“ შეგონებები, რომ გაუადვილდეთ იმ ვნებათა დაძლევა, რომელთა გამოც გოდებდნენ დიდი წიგნის („ქართლის ცხოვრების“) ავტორები.

შორეულ წარსულს თავი რომ დავანებოთ, დავით გურამიშვილის დროინდელსა და დღევანდელ საქართველოს შორის დიდი განსხვავებაა? ისევ მრავლად მიდი-მოდიან ოსმალები, სპარსელები, ჩრდილო კავკასიელები (უფრო მეტი, ალბათ, ინდო და ჩინელი). როგორია მათი მიზნები? ნაცისტებმა შეთხზეს ახალი ზღაპარი, რომ ისინი არიან კეთილი მეზობლები. მათი აზრით, ჩვენ გარშემო ყველა კეთილია რუსების გარდა. ამ არაჯანსაღ იდეოლოგიას ფართო აგიტაციას ეწევა მეათე წელია.

მეზობელი კეთილი და ბოროტი არ არსებობს. გონივრული ხელისუფლებისათვის ასეთი დაყოფა მიუღებელია. მეზობელთან ურთ-

იერთობას აწესრიგებს დიპლომატიური წინდახედულება. ჭკვიან ხელისუფლებას ჭკვიანური დიპლომატია აქვს, ნაკლებად ჭკვიანს — უჭკუო. შორს რომ არ წავიდეთ, ნაცისტების დიპლომატიური სიმაღლის „გვირგვინად“ უნდა ჩაითვალოს ჩერქეზთა გენოციდის მემორიალის აღმართვა ქართულ მიწაზე (მიზანი ძლიერი მეზობლის გაღიზიანებაა, შორეული ძლიერის იმედით). პარალელურად — ათეულ ათასობით ქართველ გმირთა ხსოვნის ამსახველი ძეგლის აღგვა პირისაგან მიწისა ქუთაისში.

„მძლეთა“ ბორკილები ბოჭავდა საქართველოს. მხსნელად მოვლენილმა ნაცისტებმა ქვეყანას უფრო მძიმე უღელი დაადგეს და სასუნთქი გზები გადაუკეტეს. სააკაშვილმა და მისმა ცახესებმა თავი ცივილიზაციის მწვერვალზე წარმოიდგინეს და ერს განმანათლებლის ამბიციებით მოძღვრავდნენ. თვალებში ნაცრის ფრქვევით გვიმტკიცებდნენ, რომ „ბედნიერი ერის“ შვილები ახლოს ვართ სამოთხის კართან. ვუახლოვდებით აღთქმულ სამოთხეს — ნატოს. ევროპეიზაცია და მოდერნიზაცია გაგვათავისუფლებს მიწიერ საზრუნავთაგან.

ნაცისტებმა ისტორიული მეხსიერება წარსულის გადმონაშთად გამოაცხადეს, ეროვნულობას ჩამორჩენილობის გრიფი მიაკერეს. წერტილი დაუსვეს ყოველივე არსებულს და ისტორიის ათვლა 2003 წლიდან დაიწყეს. ბარბაროსულად მოედვნენ ჩვენი დუხჭირი ცხოვრების ყველა სფეროს და ვანდალურად გათელეს და დაანგრიეს, რისი დანგრევაც კი შეიძლებოდა. დასავლური სტანდარტების დამკვიდრების სახელით დაიწყო უვიცობის ზეიმი. ევროპეიზაცია-მოდერნიზაციის წაღმა-უკუღმა ტრიალით დაუბრუნდნენ გვაროვნული პერიოდის აზროვნებას, რომლის ამოსავალიც იყო, „მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე.“ სახელმწიფოებრივი იდეოლოგია წავიდა უკან. საქართველოს ცრუმესიამ ახალ „მძლედ“ და მხსნელად დაგვიხატა ამერიკა და დაიწყო მისი მისამართით დაუოკებელი ქება-დიდება. პარალელურად გაათმაგებული ენერგიით აზვირთდა ძველი „მძლეს“ უთავბოლო ლანძღვა-გინება. ერთი „მძლეს“ საამებლად, მეორე „მძლეს“ აუგი ჩვენს მამულს ძვირად რომ დაუჯდა, ამას ბევრი „პატრიოტი“ ვერ აცნობიერებს.

თანამედროვე პოლიტიკოსებს არ აწყენდათ VI საუკუნის კოლხი დიდებულების აიეტისა და ფარტაზის სახელის შეხსენება. ბიზანტიელი მწერლის აგათია სქოლასტიკოსის თხზულებაში დაცული მათი სიტყვები, წარმოთქმული სახალხო კრებაზე, იმავე პრობლემას შეეხებოდა, რომლის წინაშე დგას დღეს საქართველო. გასათვალ-

ისწინებელია, როგორი არგუმენტებით ასაბუთებდნენ ჩვენი წინაპრები თავიანთი ორიენტაციის უპირატესობას. აღმოჩნდა, რომ VI საუკუნის ქართველები უფრო სახელმწიფოებრივად აზროვნებდნენ და მსჯელობდნენ, ვიდრე ევროპა-ამერიკაში მორბენალი ნაცისტები.

გამრუდებულ გზაზე მდგარ შემთხვევით გადიდკაცებულებს, თავი ისე ეჭირათ, თითქოს ოლიმპოს მთიდან ცეცხლის მომტაცებლები ყოფილიყვნენ. ერსა და ბერს აიძულებდნენ, ერთ ხმაში ემღერათ და ღმერთისთვის მადლობა შეეწირათ, რომ ამ დიდი ბედნიერების მხილველნი გახდნენ.

უზარმაზარი იმპერია დაიშალა. დამოუკიდებლობა მოიპოვეს ისეთმა ხალხებმა, რომლებსაც ის საერთოდ არ ჰქონიათ. ღვთის წყალობით ყველამ ისარგებლა ქართველების გარდა. დასაწყისში იმ ზღაპრით ვირთობდით თავს, თითქოს იმპერია ჩვენ დავანგრიეთ, მაგრამ ვერ შევამჩნიეთ, როგორ მოვყევით ნანგრევებში. კვლავ ღმერთის იმედზე უნდა ვიყოთ, როდის გამოვალთ ნანგრევებიდან. ხელაპყრობილები ვლოცულობთ სტრატეგიულ პარტნიორებზე, გვეიმედებიან მეგობარი ქვეყნები. ბავშვური თვითდაჯერებით თითქოს ვერ ვამჩნევთ, რომ მოსკოვს ჩაენაცვლა თავისუფლების სიმბოლო ვაშინგტონი. რუსი ოკუპანტების ნაცვლად ბედნიერ ქართველებს, ფრთოსანი ამერიკელი ანგელოზები ევლებიან თავს და ტკბილ ხმაზე უმღერიან ძილისპირულს. რუსული აგრესიის ფონზე ვერ ვამჩნევთ და ვეგუებით თურქულ ოკუპაციას, რომელიც მშვიდად იკავებს ქართულ ქალაქებსა და სოფლებს.

სერიოზული განსჯის ნაცვლად სახელმწიფო პოლიტიკა საჭირბოროტო საკითხებს „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ ჰანგზე განიხილავდა და დამარცხებას გამარჯვებად ასაღებდა. სააკაშვილი და მისი გუნდის ნაცრის მფქვეველი „დემოკრატები“ უტიფრად ქადაგებდნენ „ვარდების რევოლუციის“ უზენაეს მიზნებზე. ცხრა წელი სიცრუე ბატონობდა ჩვენს მიწაზე. ცხრა წელი გვიმტკიცებდნენ, რომ საქართველო იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ქუხდა გაამაყებული „მესია“, რომ ქვეყანა მიდიოდა დემოკრატიის წესების სრული დაცვით. ნაციონალების ძალისხმევით მოიპოვა დამოუკიდებლობა და ამ მონაპოვარს უნდოდა დაცვა (შინაური მოხმარების ტრაფარეტი). სინამდვილეში ქვეყნის სასიცოცხლო ფუნქციების წარმმართველები გახდნენ სტრატეგიული პარტნიორები (ძველ ქართველთა მძლენი), გადამწყვეტი ხმის უფლებით ისინი სარგებლობდნენ (საუბედუროდ, მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა), მათი ნებისმიერი მითითება სრულ ჭეშმარიტებად იყო გამოცხადებული, რაც უმძიმეს ტვირთად

აწევს ჩვენს მიწა-წყალს. სტრატეგიული პარტნიორების ნდობის განმტკიცებას ემსახურებოდა ავღანეთის ომში მონაწილეობა. დიდი გაუგებრობაა მტკიცება, თითქოს ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში ემსახურებიან სამშობლოს ინტერესებს (ვის ინტერესებში შედიოდა ჩვენი ბედკრული თვისტომების ბრძოლები ავღანეთში XVIII საუკუნეში?). რას ნიშნავს — ავღანეთი გვაახლოებს ევროპასთან. ავღანეთის ომი რომ არ იყოს, ევროპა შორს არის?

ჩვენი ჯარისკაცების სისხლით გვინდა თავის მოწონება და ევროპელების გაკვირვება? ვინმე ხედავს განსხვავებას წარსულსა და დღევანდელობას შორის?

ჩვენს მამულში დომინირებს სტრატეგიული პარტნიორის კულტი. მის გუნება-განწყობილებაზეა დამოკიდებული, ვისთან დავამყაროთ ურთიერთობა და ვისთან არა. რომელი დოკუმენტი შევინახოთ და რომელი გავანადგუროთ. თანაც გვიმტკიცებენ, რომ ვართ დამოუკიდებლები. ოდნავი გადახვევის შემთხვევაში, „დემოკრატიის“ აპოლოგეტებს არგუმენტი მზად აქვთ: რას იტყვიან სტრატეგიული პარტნიორები. არავის აინტერესებს, რას იტყვიან ქართველები. მათი აზრი არ აინტერესებს, არც შინაურს და არც გარეულს. გალაღებული მედროვეები მედიდურად უბურღავენ ტვინს ერს და შეუდრეკელი ენამზეობით მოძღვრავენ მოახლოებული ბედნიერების შესახებ: ნატოს კარები ღიაა, სულ მალე შევაბიჯებთ სამოთხეში და მოვიპოვებთ მარადიულ სიმშვიდეს. ასე მარტივად აქვთ წარმოდგენილი ევროპული „განათლებით“ დახუნძლულ „ერის მამებს“ ქვეყნის მომავალი. მეათე წელია აღვივებენ ამ სიცრუეს. ნუთუ ჰგონიათ, გონიერი ქართველები ამ სიცრუეს ვერ ხვდებიან?

უხსოვარი დროიდან ადამიანების ფანტაზია ქმნიდა „მზის ქალაქებს“ (ჰელიოპოლისებს), „ნეტართა კუნძულებს,“ და ილამაზებდნენ დუხჭირ წუთისოფელს. ასე ოცნებობდნენ მონათმფლობელური პერიოდის უუფლებო ადამიანები. ქართველმა ნაცისტებმა ბრბოს თვალის ასახვევად აღთქმულ სამყაროდ დაგვისახეს ნატო, რომელიც მოგვიგვარებს ყოველგვარ პრობლემას და ვიცხოვრებთ სამოთხეში.

სტრატეგიული პარტნიორების ხელთდასხმით, „პატრიოტი“ დემაგოგები ახვავებდნენ უმისამართო და უშინაარსო სიტყვების ნიაღვარს. თითქოს დიდად შესტკიოდათ გული ბრბოდქცეულ მასაზე, კეკლუცობდნენ სოფისტური საკენკით, რომ ხალხი არის ბრძენი, სამართლიანი და არნახული სილამაზით შემკული. ბრიყვთათვის გამიზნული სიყალბე უფრო მიმზიდველი რომ გაეხადათ, დახელოვნებული

ორატორები სიტყვა-სიტყვით იმეორებდნენ თავიანთი ბელადის მრავალჯერ ნათქვამს. ჩვენი სამშობლო არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ხიდი. ზღაპარი გახდა ბრბოს იდეალური თავშესაფარი და ამ ზღაპრით ასაზრდოებდნენ გონებაწართმეულ ერს. ცხრა წელი საქართველო იდგა რეალობისა და სიცრუის გზაჯვარედინზე. მძლავრობდა ძალადობა, იჩაგრებოდა სიმართლე.

ათ წელია სააკაშვილი და მისი რეფორმისტული, ევროპეიზაციამოდერნიზაციას ამოფარებული ყალბისმქნელთა გუნდი აყრუებდა გარემოს და განუწყვეტლივ გვიმეორებდა, მამულს მონობის უღელი ავხსენითო. სინამდვილეში უფრო მძიმე ბორკილები და ტვირთი რომ დაადეს, ამას თითქოს ვერ ვამჩნევდით.

სტრატეგიული პარტნიორების რჩევებით დალაგებული საქართველო, ნაცისტების მხურვალე ოვაციებით მიექანებოდა უფსკრულისაკენ. ამ უბედურებას მეტაშფანდურენი ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას უწოდებდნენ. ტრაგედიას გვიახლოვებდა უმწიფარ და შემთხვევით ადამიანთა ატყორცნა დიდების კვარცხლბეკზე. ბრძენის მანტიამოსხმული მედროვეები, უცხოელთა ზოგად და არაფრისმთქმელ გამონათქვამებს აზროვნების უკანასკნელ გაბრწყინებად ახვევდნენ თავს სმენადაქვეითებულ ერს.

სტრატეგიულ პარტნიორთა ღვაწლის შესანიშნავი დადასტურებაა მათ მიერ მოწონებული განათლებისა და მეცნიერების რეფორმა, რომელიც ბნელეთის მოციქულმა მინისტრებმა (ლომაია, შაშკინი) ახალი ეპოქის დაბადებად გამოგვიცხადეს. ევროპული სტანდარტების მყვირალა ქადაგებამ, ქართული მეცნიერების აკვანი, თბილისის უნივერსიტეტი გაუგებარ პოლიტიკურ დანამატად ჩამოაქვეითა, ხოლო აკადემია დაშალა. რევოლუციურმა ხელისუფლებამ დამსახურებული ადამიანები წარსულის გადმონაშთად გამოაცხადა. სკოლა იმდენად გააპარტახეს და დააკნინეს, რომ მასწავლებელთა დიდმა უმრავლესობამ ცოდნის მინიმუმიც ვერ გამოავლინა. ეს უბედურება უნდა მივიჩნიოთ უფრო დიდ ტრაგედიად, ვიდრე სხვის ომში უმიზნო ბრძოლა.

სტრატეგიული პარტნიორების თანხმობით, ნაცისტებს ეძნელებათ ასპარეზის დათმობა და ყურადღების მოსადუნებლად დაიწყეს „დემოკრატობანას“ თამაში. სანამ კვერთხი ხელთ ეპყრათ, დემოკრატია მაშინ არ გახსენებიათ. შეცვლილ სიტუაციაში გამოიკვეთა ზღაპრის ახალი კონტურები. ტაშის მოტრფიალენი, კართაგენის დაცემის შემდეგაც, სულს უბერავენ ჩაფერფლილ ნაცარს და ცდილობენ თვისტომთა მხედველობის დაბინდვას. დიდი ყაენის ხელის ბიჭები კუბოში ჩას-

ვენებულ მესიაზე აფიცებენ თავგზააბნეულ „ნეტარ მორწმუნეებს“ და პირობას დებენ, რომ დაიბრუნებენ დაკარგულ დიდებას. ამის დამადასტურებელია ვოიაჟები ჩვენს ქალაქებში, თითქოს „დემოკრატიული“ გზით სურთ, ხალხს მიანდონ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა. ნაცვლად იმისა, რომ თავდახრილებმა მოინანიონ ეშმაკის სამსახურში ნებივრობა, უტეხი უტიფრობით პირფერობენ, რომ დაიცავენ ხალხის ინტერესებს (აქამდე ვინ უშლიდათ ხელს?). განსაკუთრებით აქტიურობენ არაფრის მაქნისი, ახლად გამოჩეკილი ნაცისტები, რომლებიც ვარაუდობენ, რომ ფარას მოექცნენ სათავეში. ურცხვად ყელყელაობენ ტრაფარეტული ფრაზებით და მრისხანე გამომეტყველებით იმუქრებიან, რომ მათ ევროპულ ორიენტაციას წინ ვერავინ აღუდგება (საინტერესოა, ვინ ედავება?). საკაშვილის „ბრძნული“ იდეების მეხოტბენი კვლავ ძველ ბაიათებს აბულბულებენ. ნუთუ ისევ ჰგონიათ, რომ ქართველები ბრიყვები არიან და მათ აბდაუბდა დაპირებებს ირწმუნებენ.

საქართველოს დამოუკიდებლობა დამოკიდებულია სტრატეგიულ პარტნიორზე (ხომ არ აჯობებდა ძველქართული ყმადნაფიცობა?). ნაცისტების ბატონობის ხანაში მოხდა „მძლეს“ უფლებამოსილების უკიდეგანო გაფართოება და ქედმოდრეკილობას ვუწოდებთ დამოუკიდებლობას და დემოკრატიის აყვავებას.

ნაცისტების რეკლამირებული სტრატეგიული პარტნიორობა თითქმის არ განსხვავდება მორჩილების იმ სტატუსისაგან, რომელიც აცამტვრებდა ჩვენს მამულს უხსოვარი დროიდან (ერთი საუკუნის, დავით აღმაშენებლის ეპოქის გარდა). თითქოს მოვიპოვეთ თავისუფლება. ვართ თავისუფლები? ისევ „მძლეთა“ სალტეში ვრჩებით და მათ მითითებებს ვასრულებთ. ისევ მიერეკებიან ქართველებს სისხლის საღვრელად შორეულ ქვეყნებში.

წარსულიდან ფრაგმენტების მოხმობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ბევრი რამ არ შეცვლილაა. როგორც მსჯელობენ ჩვენი წინაპრები ათასწლეულების წინათ („მივცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე“), ისე განვიკითხავთ დღესაც ქვეყნის ბედს. სახელმწიფოებრივი აზროვნება ტომის ბელადების არგუმენტებისაგან არ განსხვავდება.

ნაცისტების „პატრიოტულმა“ დემაგოგიამ საქართველო „მძლეს“ მიაჯაჭვა და მის ბრმა იარაღად აქცია. დამოუკიდებლობა შინაური მოხმარების სიგელის ფუნქციას ასრულებს. მარათონის ბრძოლიდან მოყოლებული კოლხ-იბერები „მძლეთა“ (თანამედროვე ტერმინოლოგიით, სტრატეგიული პარტნიორების) მოლაშქრეები იყვნენ და იმავე იარაღად განიხილებიან XXI საუკუნეშიც.



მამუკა ცუხიშვილი

პეტრე ბაგრატიონი

200 წელი გვაშორებს იმ დღიდან, როდესაც რუსეთ-საფრანგეთის ომის (ბოროდინოს ბრძოლის) მთავარი გმირი და რუსეთის არმიის მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი აღესრულა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს მკითხველისთვის, როდის, რა ვითარებაში და რატომ დაემკვიდრა საქართველოს სამეფო დინასტიის ერთ-ერთი უდიდესი შტო რუსეთში. ზაქარია ჭიჭინაძე ბრძანებს: „პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის სწავლა-განათლების მიღება რუსეთში, სამხედრო სამსახური და სახელოვნება ჩვენთვის არ უნდა იყოს უცხო და ხამი. აი, რათა: ქართველთ და რუსთა კავშირი იწყება ძველთაგანვე, 17 საუკ. გაცხარებით მიწერ-მოწერაც იმართება ქართველთ და მოსკოვის რუსთა მეფეთა წინაშე. შემდგომ ამისა, ანუ 18 საუკ. დამდეგიდან პეტრე დიდი საქართველოს აპყრობს დიდ ყურადღებას და ხალხთა შორისაც იმართება მიწერ-მოწერა“[1].

იმავე პერიოდიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ვახტანგმა თავი რუსეთს შეაფარა, მას თითქმის მთელი სამეფო ოჯახი თან გაჰყვა. მათ შორის იყვნენ ბაქარი, ვახუშტი, პაატა, ლევან, ივანე, ალექსანდრე და კირილე ბატონიშვილები, ზაალ ანდრონიკაშვილი, ერასტი თურქესტანიშვილი, მიხეილ ელვაძე, გაბრიელ გელოვანი, სვიმონ მაკაციძე და სხვები.

ვახტანგის ძმას იესეს (ალიყული-ხანი, 1680-1727 წწ.) ჰყავდა 5 ვაჟი; პირველი ცოლისაგან, მარიამ ყაფლანიშვილისაგან — გიორგი, ხოლო თეიმურაზ I-ის ასული ელენესაგან 4 ვაჟი — თეიმურაზი (ანტონ I კათალიკოსი, 1720-1788 წწ.), აბდულა-ბეგი, ისაყ-ბეგი და უსეინ-ბეგი.

აბდულა, ისაყი და უსეინი მაჰმადიანები იყვნენ, თუმცა, როგორც

[1] ზ. ჭიჭინაძე, რუსეთის სამამულისშვილო ომი, თბ., 1912, გვ. 21.



* ისაყ-ბეგი და მისი ვაჟები 1759 წელს მოინათლნენ მართლმადიდებლებად. ისაყ-ბეგს ეწოდა ალექსანდრე, ხოლო ვაჟებს იოანე/ივანე და სოლომონი.

წყაროებიდან ირკვევა, 1750 წელს კვლავ დედაეკლესიის წიაღში დაბრუნებულან და მართლმადიდებლურად მონათლულან, მაგრამ მასალებში ჩანს მხოლოდ ისაყ-ბეგი ვაჟებით: „ისაყ ბატონიშვილი, რომელ ესვიდა სჯულსა მაჰმადისასა, აღიარა წმიდა სჯული ქრისტიანობისა, და განიხარა მეფემან მორწმუნემან თეიმურაზ. განიყვანეს ქალაქისა გარეთ, ჩასვეს ისაყ მტკვარსა შინა, განათლეს შვილითურთ წმიდისა ნათლისღებითა და აღბეჭდეს წმიდისა ბეჭდისა მირონისათა. აღქმელ იქმნა მეფე ცხებული, და უწოდეს ქრისტიანობისა ალექსანდრე და ძეთა მისთა უწოდეს იოანე და სოლომონი. გაურიგეს მამული საბატონიშვილო ალექსანდრე ბატონიშვილს“[2].

ალექსანდრეს, ყოფილ ისაყ-ბეგს, ექვსი შვილი ჰყავდა — იოანე, სოლომონი, ანა, თომა და კიდევ ორი ქალიშვილი, რომელთა სახელები, სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ. თვით ალექსანდრე სამხედრო სამსახურში შესულა და იოანე, სოლომონი და თომაც სამხედრო სამსახურში შეუყვანია. ხოლო ანა თავად გოლიცინზე გათხოვილა და პეტერბურგში გადასახლებულა.

ალექსანდრეს უფროსი ვაჟი იოანე (მეტწილად მოიხსენიებენ როგორც ივანეს) 1749-1763 წლებში ფსკოვის კარაბინერთა პოლკში მსახურობდა. იმხანად ეს პოლკი პოლტავაში იყო დაბანაკებული, ქართველთა კოლონიასთან, კრემენჩუკის ახლოს. ხოლო ყიზლარში თავად იოანეს ნაბოძები ჰქონდა პატარა მამული, სადაც დაემკვიდრა, ცოლი შეირთო და შეეძინა ორი ვაჟი — პეტრე (1765-1812 წწ.), შემდეგში სახელოვანი სარდალი, ბოროდინოს გმირი და რევაზი (იგივე რომანი, 1778-1834 წწ.).[3]

მეცნიერთა და მკვლევართა მხრიდან არაერთი მცდელობის მიუხედავად, აქამდე ვერ მოხერხდა იოანე/ივანე ბაგრატიონის მეუღლის ვინაობის დადგენა, ანუ ჩვენთვის არ არის ცნობილი, ვინ იყო პეტრე ბაგრატიონის დედა. თუმცა გამოითქვა რამდენიმე ვარაუდი, რომელმაც ბაგრატიონთა გენეალოგიაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა (პ.იოსელიანი, ს. ცომაია).

„ალექსანდრე იესეს ძე ბაგრატიონი, ძმისწული ვახტანგ VI-ისა, საქართველოდამ რუსეთში გადასახლდა 1757 წელს. ამ ალექსანდრემ სწავლა რუსეთში მიიღო, ვახტანგ მეექვსის დროს, რუსეთში გადასახლებული მსახურობდა პოლკოვნიკად კავკასიის დივიზიაში.

[2] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, თბ, 1981, გვ. 34. ტექსტი დაადგინა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა.

[3] ვ. პარკაძე, პეტრე რევაზის ძე ბაგრატიონი, თბ., 1956, გვ. 7.

კირილე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი იყო იმდენად მოშზადებული და განათლებული, რომ უკანასკნელ მიაღწია სენატორობამდე. კირილე ბაგრატიონის ძმა უნდა იყოს ივანე ბაგრატიონი, ვისი შვილიც უნდა გახლდეს პეტრე ბაგრატიონი. როგორც სჩანს, ივანე მამას არ გაჰყოლია რუსეთში, იგი საქართველოში დარჩენილა და 1757 წ. არ გადასახლებულა. ამიტომაც პეტრე ბაგრატიონი საქართველოში დაბადებულა 1765 წელს".[4]

სამწუხაროდ, ზაქარია ჭიჭინაძე, უდავოდ განსწავლული და ჭკვიანი ისტორიკოსი, ამჯერად უნდა ცდებოდეს, რადგან დადასტურებულია ის, რომ ივანე ბაგრატიონი საქართველოდან გადავიდა საცხოვრებლად რუსეთს 1749 წელს, რასაც იზიარებს ვ. პარკაძე და თ. ლომოური. შესაბამისად, იქვე შეირთო ცოლი და შეეძინა ჯერ პეტრე (1765 წ.), ხოლო მოგვიანებით რომანი, იგივე რევაზი (1778 წ.). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, რამდენადაც რუსეთის იმპერიაში არც სენატი არსებობდა და არც მსგავსი ინსტიტუტი, ამდენად, გაუგებარია, კირილე ბაგრატიონი რომელი სენატის წევრი იყო.

ცნობილი რუსი მკვლევარი ს. ბორისოვი წერს: „არწივი! ასე ეძახდნენ ჯარისკაცები ბაგრატიონს. მას, როგორც სუვოროვის[5] ერთერთ უნიჭიერს მოწაფეს, ჯეროდა, რომ: „სამხედრო ხელოვნების ჭეშმარიტი წესია — პირდაპირ თავს დაესხა მოწინააღმდეგეს მისთვის ყველაზე უფრო საგრძნობი მხრით და არა დახვდე მას ლაჩრულად შესასვლელი გზებით. ბაგრატიონს ჰქონდა საამისოდ საჭირო თვისებები: რკინისებური შეურყევლობა და ტაქტიკური თვალზომა, რომლებიც მან ბრძოლის ველზე წარმატებით განავითარა".[6]

ის უდავოდ დიდი მხედართმთავარი, გონებაგმაჭრიახი სამხედრო მოღვაწე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატიონს არ მიუღია იმ დროისათვის სათანადო უმაღლესი სამხედრო განათლება, რაც მაშინვე გახდა მითქმა-მოთქმის საფუძველი. „ბაგრატიონს ჰქონდა ერთი ნაკლი, რომელმაც ხელი შეუშალა მას, გამხდარიყო ისეთი რანგის სარდალი, როგორიც სუვოროვი და კუტუზოვი. ეს იყო სამხედრო განათლების არქონა".[7] „მისთვის (ბაგრატიონისთვის — მ.ც.) მთლიანად მისაწვდომი არ იყო დიდი საბრძოლო მოსაზრებანი, მაგრამ ის

[4] დასხ. ზ. ჭიჭინაძე, გვ. 22.

[5] 1730-1800 წწ. რიმნიგის გრაფი, იტალიის თავადი, რუსი მხედართმთავარი, სამხედრო თეორიტიკოსი და გენერალისიმუსი.

[6] ს. ბორისოვი, ბაგრატიონი, თბ, 1941, გვ. 5, ქართულად თარგმნა გ, ჩიგოგიძემ.

[7] იქვე, გვ. 6.

იყო ლომი, რომელმაც არც საფრთხე იცოდა და არც შიში“. [8]

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ მე-18 საუკუნის შუა წლებში რუსეთში არც ერთ მაღალი რანგის სამხედრო მოხელეს უმაღლესი სამხედრო განათლება არ მიუღია და, ბუნებრივია, გამონაკლისი არც ბაგრატიონი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ მან მხოლოდ 47 წელი იცოცხლა (ანუ ამ პერიოდში მიაღწია სამხედრო პირისთვის შესაფერის ყველა მაღალ ჩინს და იმპერატორის ყველაზე ძვირფას თანაგუნდელად ითვლებოდა), მაშინ როცა, სუვოროვი გარდაცვალების მომენტისათვის 69 წლისა იყო (1730-1800 წწ.), ხოლო კუტუზოვი — 68 წლის (1745-1813 წწ.).

რომ გადავხედოთ ახალგაზრდა გენერლისა და გმირის ცხოვრებას, დავრწმუნდებით, რომ მისთვის მთავარი იყო სამხედრო ღირსება და მუნდირი, ბრძოლა თავისუფლებისა და ერთიანობისათვის, ბრძოლა გამარჯვებამდე, რასაც შეეწირა კიდეც.

პეტრე ბაგრატიონი 17 წლის იყო, როდესაც რუსეთის მოქმედ არმიაში მიიღეს, როგორც რიგითი ჯარისკაცი. ის იმ პოლკში მსახურობდა, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა და იცავდა კავკასიის მისადგომებს (1783-1792 წლები). ეს ყველაფერი მამიდის, ანა გოლიცინას წყალობით მოხდა. მან უამბო ძმისშვილზე რუსეთის არმიის გენერალს გრიგოლ პოტიომკინს და ამ დიდებული ადამიანის რეკომენდაციით ჩაირიცხა ასტრახანის ქვეითთა პოლკის სერჟანტად. მისი სამხედრო სამსახურის ნათლობად ითვლება 1782 წლის 21 თებერვალი. 1783 წელს პირველად გავიდა საბრძოლო ველზე და მონაწილეობა მიიღო ჩეჩნების წინააღმდეგ განხორციელებულ ბრძოლაში. 1785 წელს ჩეჩნებთან მეორე ბრძოლის დროს, რომელიც მდინარე სვინშთან გაიმართა, პოლკოვნიკი პიერის რაზმი სრულიად განადგურდა, შემოვლის თუ პატრულირების დროს ჩეჩენმა მეომრებმა მომაკვდავი ბაგრატიონი მოკლული ცხენის ქვემოდან გამოიყვანეს, ჭრილობები დაუმუშავეს და გონზე მოიყვანეს. ეს ყველაფერი იმ უდიდესი მადლიერებისა და სიყვარულის გამოხატულება იყო, რომელიც მისმა მამამ, ივანემ მოიმკო ამ ხალხში. მანსურ მაგომამის (ჩეჩნეთის სარდალი) ბრძანებით, ღამით, რუსების ბანაკთან ახლოს მიიყვანეს დაჭრილი სერჟანტი და თავად უკან დაბრუნდნენ. გამოჯანმრთელებული ბაგრატიონი ახალი ძალებით შეუდგა სამხედრო სამსახურს. რეორგანიზაციაც განიცადა მისმა ბრიგადამ, ის

[8] ვ. პოტტო, საქართველო და მისი ისტორიული წარსული, მოსკოვი, 1856, გვ. 172, ციტატა რუსულიდან თარგმნა ანჟელა ლალიაშვილმა.

შეუერთდა ტომსკის ქვეითთა პოლკს და ამირიდან კავკასიის მუსკეტერთა პოლკი ეწოდა.

1787-1791 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ახლაგაზრდა ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა უკრაინაში, ნიკოლაევის ოლქის ქალაქ ოჩაკოვის ციხე-სიმაგრის აღებას, რისთვისაც სუვოროვის მადლობა და კაპიტნის ჩინი დაიმსახურა. ამ დროს სუვოროვს პირველად შეხვდა, მაგრამ გენერალს არც დაუმალავს ბაგრატიონისადმი თავისი კეთილი დამოკიდებულება. 1793 წელს მიენიჭა პრემიერ-მაიორის სამხედრო ჩინი (ვიცე-პოლკოვნიკის რანგის ჩინია, წესისამებრ მეთაურობს ბატალიონს) კიევის კავალერიის პოლკში თავდადებული სამსახურისათვის. 1794 წელს ბაგრატიონი, სუვოროვის გადაწყვეტილებით, დაინიშნა ბულგარეთის ქალაქ ბროდისა და ჩეხეთის ქალაქ სელდეცის ბრძოლების ბრიგადის მეთაურად, სადაც 1000 პოლონელი დაამარცხა და ხელთ იგდო სამხედრო ტექნიკა და 250 ტყვე. ამ ბრძოლების გამო, 1794 წელს მიენიჭა ვიცე-პოლკოვნიკის ჩინი, 1798 წელს პოლკოვნიკის სამხრეები ებოძა, ხოლო 1799 წელს გენერალ-მაიორის უმაღლესი სამხედრო ჩინით დაჯილდოვდა.

1798 წლის ბოლოს ინგლისმა, ავსტრიამ, თურქეთმა, ნეაპოლის სამეფომ (ჯერ იტალიის შემადგენლობაში იყო, ხოლო ალფონსო I-ის წყალობით ესპანეთის მფარველობაში გადავიდა და ორი სიცილია გაერთიანდა) და რუსეთმა შეკრეს სამხედრო კოალიცია საფრანგეთის წინააღმდეგ იტალიის ტერიტორიების გამოსახსნელად. შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ჯარს გამოიყვანდა ავსტრია და რუსეთი, ხოლო ფინანსურ პრობლემებს გადაწყვეტდა ინგლისი. იმპერატორი იძულებული გახდა, არმიის მთავარსარდლად დაენიშნა ალექსანდრე სუვოროვი (აქვე შევნიშნავთ, რომ იმხანად ფელდმარშალ სუვოროვს უთანხმოება ჰქონდა იმპერატორ პავლე პირველთან, რის გამოც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და მშობლიურ სოფელ კონჩანსკოვოში იყო გადასახლებული, სადაც მეთვალყურედ ადგილობრივი ბოქაული დაუნიშნეს და სადაც გაბედულად სტუმრობდა მისი მოსწავლე პეტრე ბაგრატიონი) და გენერალისიმუსიც შეუდგა ცნობილ შვეიცარიულ ლაშქრობას. სუვოროვმა ავანგარდის, ანუ მოწინავე ლაშქრის მეთაურად დანიშნა გენერალ-მაიორი პეტრე ბაგრატიონი, რომლის უშუალო სარდლობით ჯერ ვენა გაათავისუფლეს, შემდეგ კი ჩრდილოეთ იტალია.

1799 წლის 10 აპრილს ბაგრატიონის შენაერთებმა ქალაქ ბრეშის ციხე-სიმაგრეს შეუტიეს და აიღეს კიდეც. მსუბუქად დაჭრილი სარ-

დალი ბრძოლის ველზე რიგით ჯარისკაცებთან ერთად მამაცურად იბრძოდა. ტყვე და ნადავლი აურაცხელი იყო. ამ მოვლენის შესახებ იმპერატორისადმი მიწერილ სუვოროვის პატაკში ვკითხულობთ: „გენერალ-მაიორ ბაგრატიონს, ვიცე-პოლკოვნიკ ლომონოსოვს და მაიორ პოზდნევს (ბაგრატიონის ავანგარდში შემავალი სამხედრო ნაწილების მეთაურებს) ვაქებ ციხის აღებისას გამოჩენილი სიმარდის, არაჩვეულებრივი თავგამოდებისა და გულმოდგინებისათვის“.[9] ამ პატაკს მოჰყვა უდიდესი რეზულტატი. იმპერატორის განკარგულებით რუსეთის არმიის პირველი არარუსი გენერალი დაჯილდოვდა წმიდა ანას პირველი ხარისხის ოქროს ორდენით.

იმავე წლის 26-27 აპრილს სუვოროვმა ჩრდილოეთ იტალიაში მდებარე მდინარე ადასთან გაანადგურა ფრანგების არმია. მდ. ადასთან გამართული ბრძოლების დროს ბაგრატიონმა აიღო ბერგამო (ქალაქი იტალიაში, ლომბარდიის რეგიონში), შემდეგ კი ქალაქ ლუკოსთან დაამარცხა საფრანგეთის საპატიო მარშალი, „ძლევამოსილი“ ჟან-მატიე-ფილიბერ სერიურიეს დივიზია.

1799 წლის 17-19 ივნისს ბაგრატიონმა თავი გამოიჩინა მდინარე ტრებთან (იტალია, ქალაქი პიაჩენცა) გამართულ ბრძოლაში. ეს ბრძოლა დასრულდა სუვოროვის გამარჯვებით, მოწინააღმდეგე მხარემ 18 000 ჯარისკაცი დაკარგა. ბაგრატიონი ამ დროს კიდევ დაიჭრა, თუმცა მას ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. მომდევნო დღეებში, რუსებსა და ფრანგებს შორის ქალაქ ნოვისთან გამართული შეტაკების დროს დაიღუპა გენერალი ჟიბერი. საომარი მოქმედებების დროს გამოჩენილი მამაცობის, სიმარჯვისა და ერთგულებისათვის სუვოროვმა რუსეთის იმპერატორს ბაგრატიონზე მისწერა: „იერიშზე გადასული არმიის მარცხენა ფრთაზე გენერალ-მაიორმა ბაგრატიონმა ექვსი ბატალიონითა და კაზაკთა ორი პოლკით დაიკავა გენუის ციხე-სიმაგრე ნოვოი, სადაც მან ხელთ იგდო დიდი რაოდენობის ნადავლი, სამხედრო ტექნიკა და სხვა საარტილერიო მარაგი. მადლობას ვუძღვნით ამისათვის გენერალს“.[10]

ამ ბრძოლის წარმატებით ჩატარებისათვის იმპერატორმა პავლემ გენერალ ბაგრატიონს თავისი ხმალი აჩუქა, რომელსაც პეტრე სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა.

რუსეთის არმიის ასეთმა წარმატებამ შეაშფოთა ინგლისისა და ავსტრიის მმართველი წრეები. სუვოროვს უბრძანეს, რომ იტალიაში

[9] მიხ. გონიკაშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986, გვ. 132.
[10] ა. შერვაშიძე, ბაგრატიონი, ბათ., 1976, გვ. 19.

დაეტოვებინა ავსტრიელები, თავისი არმიით კი ალპები გადაეკვეთა და შვეიცარიაში შეჭრილიყო. შესაბამისად, დახმარებაც აღუთქვეს, თუმცა ავსტრიელებმა პირობა არ შეასრულეს.

1799 წლის სექტემბერში სუვოროვის არმიამ ალპები გადალახა სურსათ-სანოვაგისა და დამხმარე ძალების გარეშე, სადაც ავანგარდს ისევ გენერალი ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. პირველი წინააღმდეგობა „ეშმაკის ხიდთან“ წარმატებით დაძლიეს, შემდეგ დაიკავეს ქალაქი მიუტენი. ავსტრიის ღალატის გამო რუსეთის არმია ალყაში მოაქციეს. სუვოროვის ბრძანებით დაიწო ალყის გარღვევა, მთავარი ძალის გამოყენება ისევ ბაგრატიონს დაევალა. პეტრე გზაში დაიჭრა, ამჯერად მესამედ, მაგრამ მსუბუქად, წესისამებრ არ დაემორჩილა ადიუტანტებს და გმირულად იბრძოდა. ბოლო შეტაკება მოხდა ქალაქ შვანდენთან, რომელმაც არმიის მშვიდობიანად უკან დახევა უზრუნველყო.

ამის შემდეგ ბაგრატიონი დაინიშნა არიერგარდად, რუსეთის არმიის ხერხემლის მეთაურად. მან ბრძოლა მოიგო, მართალია, დიდი დანაკარგით, მაგრამ საიმპერატორო კარი ამას აღფრთოვანებით შეხვდა და უდიდესი მადლიერების ნიშნად, ბაგრატიონს პავლე პირველმა ლიტვაში „სამეფოდ“ წოდებული სოფელი უბოძა.

აქ პეტრე ბაგრატიონის პირად ცხოვრებას შევეხებით, ვინაიდან ჟამთა სვლის თანმიმდევრობას ასე უფრო დავიცავთ.

პეტრე იმპერატორის ოჯახთან დაახლოებული პიროვნება იყო. ის მეთაურობდა ეგერთა ლეიბგვარდიის ბატალიონს, რომელსაც იმპერატორის და მისი ოჯახის დაცვა ევალებოდა. არასაომარ ვითარებაში პეტრე იმპერატორს თან ახლდა როგორც აგარაკებზე, ისე საიმპერატორო წვეულებებსა და ბალ-მასკარადებზე.

პეტრეს ცხოვრებაში დადგა მომენტი, როდესაც 18 წლის ეკატერინე სკავრონსკაიამ მისი გაცნობა მოისურვა და შუამოვლობა სთხოვა გრაფ ბალაშოვს, რომელიც დაახლოებული იყო გენერალთან. ბაგრატიონი ამ შემთხვევას თავს არიდებდა. ამის მიუხედავად, თავხედი თავადის ასული მივიდა და უთხრა: „მამაც გენერალს არ შეჰფერის, სუსტ ქალიშვილს ზურგი უჩვენოს და გაიქცეს.“[11] პეტრე მოიხიბლა ქალიშვილის პირდაპირობით და მათ შორის სასიყვარულო სიმი გაიბა, თუმცა თავადის ქალი არც ისე მგრძნობიარე და ნაზი აღმოჩნდა, როგორც თავს აჩვენებდა.

გაჭიანურებული ქორწინების ამბავმა იმპერატორის ყურამდეც

[11] ა. ჟილინი, „კუტუზოვი“, თბ., 1956, გვ. 87.

მიაღწია და ჯვრისწერის საიდუმლოს შესრულება, აღდგომის მძიმე მარხვაში ბრძანა, მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი და თავად გენერალიც უარზე იყვნენ. საბოლოოდ, ჯვრისწერა შესრულდა 1800 წლის 14 სექტემბერს, საიმპერატორო კარის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში და სიძის მეჯვარე გახლდათ თავად რუსეთის იმპერატორი პავლე პირველი.[12]

ქორწინება კრახით დასრულდა, ვინაიდან ერთი შეხედვით მოკრძალებული პატარძალი მხოლოდ დროსტარებასა და გართობაზე ფიქრობდა. ამას დაემატა ბაგრატიონის ორი პირადი ტრაგედია. 1800 წლის მაისში 69 წლის ასაკში გარდაიცვალა მისი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი ალექსანდრე სუვოროვი, ხოლო 1801 წელს მოკლეს იმპერატორი პავლე პირველი. გულაცრუებული მხედართმთავარი უმეტეს დროს ან ჯარში ატარებდა, ან საომარ ველზე.

1805 წლის აპრილში შეიკრა რიგით მესამე კოალიცია ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ. არმია ისევ რუსეთს და ავსტრიას გამოჰყავდათ, ინგლისი კი მას ფინანსურად უზრუველჰყოფდა. თუმცა მანამდე, სანამ გენერალი კუტუზოვი თავის არმიას გენერალ მაკის არმიას შეურთებდა, ნაპოლეონმა ავსტრიელებს შეუტია და ქალაქ ულმთან ისე დაამარცხა, რომ 21 ოქტომბერს ავსტრიელებმა კაპიტულაციას მოაწერეს ხელი. როდესაც ეს ამბავი კუტუზოვმა შეიტყო, მან გადაწყვიტა სწრაფი უკან დახევით ეშველა თავისთვის და არმია მდინარე დუნაის მეორე მხარეს გადაეყვანა. გზაში მას გენერალ მაკის არმიიდან გადარჩენილი ავსტრიელებიც შეუერთდნენ გენერალ კინმაიერის მეთაურობით. კუტუზოვის გეგმა დუნაის გადალახვის შემდეგ არმიის გენერალ ფ. ბუკსგევდენის კორპუსთან შეერთებას ითვალისწინებდა.

რუსეთის არმია უკან დახევას ცდილობდა საარიერგარდო ბრძოლებით, რომელსაც ბაგრატიონი სარდლობდა. უკან დახევისას, არიერგარდმა მტრის შესაჩერებლად მდინარე ენსი გადალახა და ხიდები გადაწვა. თუმცა ბრძოლა არ შეწყვეტილა. ავსტრიის ქალაქ ამშტეტენთან არიერგარდს შეუტიეს, მაგრამ გენერალ მილორადოვიჩის დახმარებით ბაგრატიონმა გამარჯვებას მიაღწია.

ვენის აღების შემდეგ, იმავე წლის 15 ნოემბერს, მარშალ იოჰიმ მიურატის შენაერთმა მდინარე დუნაი გადმოლახა და შეეცადა, რუსეთის არმიისათვის უკან დასახევი გზები მოეჭრა. მის შესაჩერებლად ბაგრატიონის არიერგარდი გაემართა, თუმცა მიურატს ეგონა,

[12] გენერალი დ. დავიდოვი, „სამხედრო ჩანაწერები“, მოსკოვი, 1897, გვ. 34.

რუსეთი მთელი არმიით გამოდიოდა და მოლაპარაკება გააჩაღა. ნაპოლეონი მიხვდა მიურატის დაბნეულობას და წინსვლა უბრძანა. ბრძოლა მიმდინარეობდა ქალაქ შენგრაბენთან. ალყაში მოქცეულმა ბაგრატიონმა გაარღვია ჩაკეტილი სივრცე და სამშვიდობოს გავიდა, რასაც ნაპოლეონის მხრიდან ბრძოლის შეწყვეტის შესახებ ბრძანება მოჰყვა.

კუტუზოვმა მიწერა იმპერატორს: „მოწინააღმდეგემ ალყა შემოარტყა ბაგრატიონს იმგვარად, რომ მისი კორპუსის განადგურება გარდაუვალი იყო, თავად ბაგრატიონი მამაცურად ებრძოდა თავისი 6 000 მეომრით 30 000 მეტ კაცს, გეგმაზომიერად დაიხია უკან და შემოუერთდა მთავარ არმიას, რამაც რუსული არმია განადგურებისაგან იხსნა“.[13]

ამ ბრძოლაში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის პეტრე ბაგრატიონს ებოძა გენერალ-ლეიტანანტის სამხედრო ჩინი და დაჯილდოვდა მარი-ტერეზას ორდენის კომანდორის ჯვრით, რომელიც მიანიჭა ავსტრიის იმპერატორმა კარლ მეექვსემ (ეს ჯილდო ენიჭებოდა მხოლოდ ავსტრიელებს, გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ ბაგრატიონზე), ხოლო არიერგარდის მებრძოლებს გადაეცათ სპეციალურად მათთვის დამზადებული სამკერდე ნიშნები წარწერით „ხუთი ოცდაათის წინააღმდეგ“.

ამის შემდეგ კუტუზოვის არმიას გენერალ ბუკსგევდენის კორპუსი შეუერთდა და მისმა რიცხვმა დაახლოებით 85 000-ს მიაღწია. ბაგრატიონი სათავეში ავანგარდს ასეთ ვითარებაში ჩაუდგა. 27 ნოემბერს დაიძრა გაერთიანებული არმია ნაპოლეონ ბონაპარტესთან შესარკინებლად. ბაგრატიონმა იმთავითვე დაიკავა ქალაქი ვიშაუ, ხოლო ქალაქ ოლმიუცში ჯარები გაერთიანდა, რომელთაც ალექსანდრე I და ფრანც II ჩაუდგნენ სათავეში. ამაყმა იმპერატორებმა კუტუზოვის მიერ წარდგენილი გეგმა არ მოიწონეს და თავიანთი, უნიჭოდ შედგენილი გეგმით დაიწყეს საბრძოლო მოქმედება. მანამდე პეტრეს გააცვნეს გეგმა და მან ერთმნიშვნელოვნად განაცხადა: „ჩვენ ამ ბრძოლას წავაგებთ“.[14]

1805 წლის 2 დეკემბერს[15] სოფელ აუსტერლიცთან გაიმართა ბრძოლა იმპერატორების გეგმის მიხედვით (იგივე ვეიროტერის გეგმა).

[13] ი.როსტუნოვი, ბაგრატიონი, მოსკოვი, 1937, გვ, 51.

[14] ს. ბორისოვი, ბაგრატიონი. თითქმის ეს ფრაზა გამოიყენა ლევ ტოლსტოიმ თავის ნაწარმოებში „ომი და მშვიდობა.“

[15] თარიღები ყველგან ნაჩვენებია ძველი სტილით, როგორც ეს მითითებულია რუსეთის ომების ისტორიის ენციკლოპედიურ გამოცემაში, მოსკოვი, 1902.

ბაგრატიონს ჩაბარებული ჰქონდა არმიის მარჯვენა ფლანგი. მის განკარგულებაში იყო 13 000 მეომარი (არის წყაროები, რომლებიც 14 და ზოგჯერ 15 ათასსაც ასახელებენ). მის წინ განლაგებული იყო გენერლების, მიურატისა და ლანის საჯარისო შენაერთები. ნაპოლეონმა ისარგებლა „ვეიროტერის“ აბსურდული გეგმით და სრულიად მარტივი სვლებით მოიგო ბრძოლა. ერთადერთი შენაერთი, რომელიც არ დაშლილა და ბრძოლის ველიდან არ გაქცეულა, გენერალ ბაგრატიონის ნაწილი იყო. როგორც ეს უმეტესად ხდება, იმპერატორებმა გაქცევით უშველეს თავს.

მესამე კოალიციური ომი ფრანგების გამარჯვებით დასრულდა, რასაც რუსეთის იმპერატორის გაღიზიანება და სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება მოჰყვა, მათ შორის კუტუზოვიც დაისაჯა. ერთადერთი, ვისაც აუსტერლიცის ომის გმირი ეწოდა, ბაგრატიონი იყო, იგი დააჯილდოვეს წმიდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენით.[16] ამ ბრძოლამ განსაზღვრა ბაგრატიონის უდიდესი ავტორიტეტი მთელს რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში.

1806 წელს რუსეთმა, ინგლისმა, პრუსიამ და შვედეთმა შექმნეს კიდევ ერთი, რიგით მეოთხე კოალიცია. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ჯარები საბრძოლველად გამოჰყავდა რუსეთს, მეკავშირედ პრუსია გამოვიდა. ფინანსურ უზრუნველყოფას ინგლისი ახორციელებდა. მოქმედებათა დაწყებამდე ნაპოლეონი პრუსიაში შეიჭრა 170 000-იანი არმიით, რომელიც გაანადგურა გერმანიის ქალაქ იენასთან მომხდარი ბრძოლის დროს; იქიდან კი ბერლინისკენ გაეშურა და უომრად ჩაიგდო ხელში.

იმავე წელს ფრანგები პოლონეთში შევიდნენ. საომრად მზად იყვნენ გენერლების, ბუკსგევდენისა და ბენიგსგენის ნაწილები, რომელთა საერთო რაოდენობამ 135 000 გადააჭარბა. ნაწილებს ხნიერი გენერალი კამენსკი ხელმძღვანელობდა, რომელმაც არმია უმალვე დატოვა, ვინაიდან მიხვდა თავის ფიზიკურ უძლურებას. ის ჩაანაცვლეს უნიჭო ბენიგსგენით, ხოლო მას შემდეგ, რაც მისი შეცდომები ცხადი გახდა, ავანგარდის მეთაურად გენერალი ბაგრატიონი განამწესეს. მიმდინარე ბრძოლებისას პინა ხან ბაგრატიონის, ხან კიდევ ფრანგების მხარეს იხრებოდა. რომ არა მრავალი უნიჭო სარდალი და მათი მოქმედება, ბაგრატიონი უფრო მალე მიაღწევდა სასურველ შედეგს. ბაგრატიონის არმიამ გაათავისუფლა ფრანგების

[16] მ. ბოგდანოვიჩი, ისტორია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველისა, რუსეთი და მისი დრო, მოსკოვი, 1869, გვ. 81.

მიერ დაკავებული ქალაქი ეილაუ (ზოგან პროისიშ-აილაუ, რუსეთი, კალინინგრადის ოლქი), რომელსაც 1947 წლის 7 სექტემბერს ბაგრატიონოვსკი ეწოდა.

ეილაუს ბრძოლის დროს გაიცა მოღალატური ბრძანება უკან დახევის შესახებ, რომელმაც გადაწყვიტა ბრძოლის შემდგომი ბედი. საერთოდ, ბენიგსგენმა არაერთი შეცდომა დაუშვა, რასაც მოჰყვა უკანდახევა, ჯარების არასწორი განლაგება, უყურადღებობა, თვითნებობა. მარცხი გარდაუვალი აღმოჩნდა, 1807 წლის ივლისში ქალაქ ტილზიტში ზავი დაიდო, რომელმაც ვერ შეძლო მხარეების დაზავება. სამაგიეროდ, უარყოფითი შედეგები უხვად მოიტანა, რამაც შედეგად რუსეთის მოსახლეობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოების და, შესაბამისად, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის კარგა ხნით ისევ ჩიხში მოქცევა მოიტანა.

მეოთხე კოალიციის სახელით ცნობილი ომის შემდეგ ბაგრატიონი ერთხანს პეტერბურგში ისვენებდა, მაგრამ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა შვედეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. არმიას მთავარსარდლობდა გენერალი ბუკსგევდენი, რომელიც თებერვლის ბოლოს ფინეთში შეიჭრა. ბაგრატიონის 21-ე დივიზიამ, 26 გრადუსი ყინვის მიუხედავად, წარმატებით გადალახა საშიში გზები და მარტის 10-სათვის დაიკავა ფინეთის ქალაქები — ტავასტჰუსი, აბო და ტამერფორსი. შემდეგ აიღო ქალაქი ბეირნებორგი, მაგრამ წინსვლაში უნიჭო მხედართმთავარმა შეუშალა ხელი. რასაც დაემატა ბაგრატიონის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება და ამიტომ მან სექტემბრამდე ტაიმ-აუტი აიღო.

წინა მხედართმთავარს კიდევ უფრო უნიათო ჩაენაცვლა. კარლ კნორინგმა ყველასთან შეუთანხმებლად დაიწყო სვლა ქალაქ სტოკჰოლმისაკენ. თუმცა ეს ძალიან სახიფათო იყო, რადგან გადასალახი იყო ბოტნიის ყურე (ბალტიის ზღვაში). ამის მიუხედავად, ბაგრატიონმა 17 000 მეომრით ღირსეულად გადალახა ყურე და დაიკავა ალანდის კუნძულები (ყოფილი პრინცესას კუნძულები, ფინეთის არქიპელაგთან ახლოს). სტოკჰოლმისაკენ მიმავალ გზაზე შეიტყვეს, რომ შვედეთში დაიდო ფრიდრიხსგამის ზავი, ხოლო რუსეთში დაბრუნებულ რუსეთ-შვედეთის ომის მთავარ გმირს ინფანტერიის გენერლის სამხედრო ჩინი ებოძა.

გარკვეული დროით შეისვენა ბაგრატიონმა, მაგრამ პეტერბურგში მას დახვდა მეუღლის აუარებელი ვალები. ეკატერინეს თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ ვალების აღება მეუღლეს დააბრა-

ლა და მაღალ საზოგადოებაში მისი სახელი შებღალა. ჩვენთვის არ არის ცნობილი, განქორწინება შედგა თუ არა, მაგრამ როგორც ეკატერინეს რწმუნებული ვ. ბოგოლიუბოვი იგონებს: „პეტრე იყო უაღრესად მოკრძალებული, თავმდაბალი და ასეთი ცოლი მას არ შეეფერებოდა“[17].

ეკატერინეზე გულაცრუებულმა პეტრემ თითქოს ნავთსაყუდელი ჰპოვა ალექსანდრე პირველის დასთან, მაგრამ ეს რომანიც კრახით დასრულდა. ეკატერინე (ესეც ბედის ირონიაა) ჯერ ავსტრიის პრინც ფილიპე მეორეზე უნდა დაქორწინებულიყო, რაც არ შედგა, მაგრამ იგი დააქორწინეს ედიმბურგის უფლისწულ გეორგიზე, რომელიც რუსეთის არმიის გენერელ-მაიორი იყო. ამის მიუხედავად, ეკატერინესა და პეტრეს შორის რაღაც სიმი მაინც ირხეოდა, რაც არ გამოჰპარვია იმპერატორს და მან პრევენციულ ღონისძიებას მიმართა — პეტრე ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გააგზავნა, რამაც ამ ორი ადამიანის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა.

რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომი გამოწვეული იყო ოსმალეთის რევანშისტული პოლიტიკით. კონტანტინეპოლში მიიჩნევდნენ, რომ რადგან რუსეთი 1804 წელს ირანთან ომობდა, ხოლო 1805 წელს საფრანგეთთან, ოსმალეთი ადვილად შეძლებდა საქართველოს დაპატრონებას და შავიზღვისპირეთში თავისი ჰეგემონიის დამყარებას. 1806 წლის 21 ნოემბერს რუსეთის 40 000-იანმა არმიამ გენერალ მიხელსონის მთავარსარდლობით მდინარე დნესტრი გადალახა და დუნაის სამთავროები დაიკავა. 18 დეკემბერს ოსმალეთმა რუსეთს ომი ოფიციალურად გამოუცხადა. საომარი მოქმედებები გაიშალა დუნაიზე და ამიერკავკასიაში, ხოლო პარალელურად რუსეთის არმიამ ათონთან ბრძოლაში დაამარცხა ოსმალთა ფლოტი.

1807 წლის მიწურულს მთავარსარდალი ი. მიხელსონი გარდაიცვალა, მის ნაცვლად დაინიშნა ა. პროზოროვსკი, რომელიც ასევე მალე, 1809 წელს გარდაიცვალა. იმავე წლის 11 აგვისტოდან არმიას მთავარსარდლობდა პეტრე ბაგრატიონი. 17 სექტემბერს რუსეთის საჯარისო ნაწილებმა იერიში მიიტანეს რასევატის ციხე-სიმაგრეზე, რომელიც აიღეს კიდეც. რასაც მოჰყვა ბაგრატიონის დაჯილდოვება წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უმაღლესი ორდენით.

გარკვეულ მომენტში ბაგრატიონის ნაწილებმა ქალაქ ტარაციტასთან მარცხი იწვნიეს. იგი შეეცადა, განახლებული ძალებით კვლავ დაეწყო შეტევა, მაგრამ გაბრაზებულმა იმპერატორმა, 1810

[17] ბ. გრიბანოვი, „ბაგრატიონი პეტერბურგში“, მოსკოვი, 1976, გვ. 67.

წლის თებერვალში პეტრე გაანთავისუფლა არმიის მთავარსარდლობიდან და მოლდავეთის არმია ჩააბარა, მისი ადგილი კი გენერალმა კამენსკიმ დაიკავა.

1812 წლისათვის საფრანგეთსა და რუსეთს შორის ისედაც გართულებული ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ბონაპარტემ პრუსია-ავსტრიასთან ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვით მათი არმიები ნაპოლეონის განკარგულებაში გადავიდნენ. რუსეთს კი მხარს უჭერდა ინგლისი, ესპანეთი და შვედეთი. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ბაგრატიონი დანიშნა პოდოლსკის არმიის მთავარსარდლად. მან შეადგინა სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანი იყო შეტევითი მოქმედებების რადიკალური განხორციელება და, შესაბამისად, საფრანგეთის მოკავშირეების — ავსტრიის, პრუსიისა და პოლონეთის — ჩამოცილება. იმპერატორმა მხარი არ დაუჭირა ბაგრატიონის გეგმას და უპირატესობა გენერალ ფულეს ინიციატივას მიანიჭა.

24 ივნისს ნაპოლეონმა 600 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი არმიით, მოულოდნელად, ომის გამოუცხადებლად გადალახა მდინარე ნემანი და გენერალ ფულეს გეგმის მიხედვით წარმოებული ანტირუსული საომარი მოქმედებები უმალვე მოიგო, რამაც სამარცხვინო დამარცხება აგემა ალექსანდრე იმპერატორსა და მთელს რუსეთს. 17 აგვისტოს ნაპოლეონმა იერიში მიიტანა სმოლენსკზე. ქალაქს იცავდა დასავლეთის პირველი არმია, ბაგრატიონის არმია კი მოსკოვისკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა, რათა მტრისთვის დედაქალაქში შესვლის საშუალება არ მიეცა. ბარკლაი-დე-ტოლიმ თავიდან მტერს ქალაქი არ დაუთმო, თუმცა მეორე დღეს სმოლენსკი მტრის ხელში აღმოჩნდა, რამაც ბაგრატიონისა და ბარკლაი-დე-ტოლის ურთიერთობა უფრო დაძაბა. რასაც მოჰყვა დე-ტოლის დაუყოვნებლივ დათხოვა თანამდებობიდან, რომელიც კუტუზოვმა ჩაანაცვლა. მ. კუტუზოვმა ნაპოლეონის წინააღმდეგ საბრძოლველად აირჩია ბოროდინოს ველი. სადაც ძალები ასე გადანაწილდა: რუსები — 120 000 ჯარისკაცი და 640 ზარბაზანი, ფრანგები — 130 000 ჯარისკაცი და 587 ზარბაზანი. ბაგრატიონს ჩააბარეს მარცხენა ფლანგი.მოულოდნელად ნაპოლეონის სიძემ, ფრანგმა მარშალმა და ნეაპოლის მეფემ (1808-1815 წწ.) იოაჰიმ მიურატმა დაიწყო შეტევა და შევარდინოს რედუტიც (ტრაპეციის ფორმის მიწაყრილი) დაიკავა, თუმცა ბაგრატიონმა ბრძოლაში თავი გამოიჩინა და რედუტი უკან დაიბრუნა. თუმცა კუტუზოვის მოულოდნელმა განკარგულებამ ბაგრატიონი უკან დააბრუნა და შესაბამისად შევარდინო ფრანგებს დაუთმეს.

7 სექტემბერს ფრანგებმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს რუსების მარცხენა ფრთას, რომელსაც ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. დაახლოებით 100 ზარბაზანი იყო იერიშზე გადასული. სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით. ვორონცოვის (შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალი) ფლანგს უტევდა გენერლების, დეზესა და კომპანის დივიზიები, გადალახეს ეგერთა პოზიციები და ბაგრატიონის ფლეშებში* შეაღწიეს. მაგრამ ეგერების თავგანწირული ბრძოლის კვალდაკვალ უკან დაიხიეს. ბრძოლა მეტად დაძაბულსა და დაუნდობელ ვითარებაში მიმდინარეობდა, დაიჭრნენ კომპანი და დეზე, მარშალმა დავუმ კონტუზია მიიღო.

მესამე შეტევისათვის ნაპოლეონმა შემტევი ჯარები გააძლიერა, მათი უმთავრესი სამიზნე სწორედ ბაგრატიონის ფლეშები იყო. ამ ბრძოლაში დაიჭრნენ კუტუზოვი და ვორონცოვი. რუსები არ მოერიდნენ ნაპოლეონის ასეთ გააფთრებას და კონტრშეტევა განახორციელეს. ფლეშები მონაცვლეობით ხან მტრის, ხან კიდევ ბაგრატიონის ხელში იყო. 11 საათისათვის ნაპოლეონმა 45 000 ქვეითითა და კავალერიით და 410 ქვემეხით მეოთხე იერიში დაიწყო. ბაგრატიონი მიხვდა რა ძალთა მკვეთრ სხვაობას, უმალ გადავიდა შეტევაზე 20 ათასი მეომრით, რომელსაც, ომის კანონების საწინააღმდეგოდ, თავად ჩაუდგა სათავეში. ბრძოლის შუაგულში ფრანგებმა ხიშტებით დაიწყეს ბრძოლა, რომელიც 1 საათი გაგრძელდა. რუსებმა უპირატესობა მოიპოვეს. მაგრამ მოხდა ის, რამაც საგონებელსა და შოკში ჩააგდო მთელი არმია. მტრისგან ზარბაზნის ყუმბარის ნასხლეტით ბაგრატიონი მარჯვენა ქვემო კიდურის წვივში დაიჭრა (დეტალებზე ცოტა ქვემოთ) და ბრძოლას გამოეთიშა, მიუხედავად იმისა, რომ გონების დაკარგვამდე მამაცურად იბრძოდა. ამ ტრაგიკულმა ფაქტმა გადაწყვიტა ბოროდინოს ბრძოლის ბედი. ჯარებმა უკან დახევა დაიწყეს. დაჭრილი და ღონემიხდილი ბაგრატიონი სოფელ სიმში გადაიყვანეს.

აკადემიკოსი ტარლე წერდა: „ბაგრატიონის ასეთმა მდგომარეობამ საგონებელში ჩააგდო გენერალიტეტი და ჯარისკაცები. ეს იყო ბრძოლის ყველაზე კრიტიკული და საბედისწერო ეპიზოდი. გარდა იმისა, რომ არმიასა და ჯარისკაცებს უყვარდათ გენერალი, მათ სჯეროდათ მისი უძლეველობისა და სიმამაცის“.[18]

მხედართმთავარს მკურნალობას უწევდნენ სახელგანთქმული ექ-

[18] კ.ტარლე, ნაპოლეონი, მოსკოვი 1941, გვ 91.

* ფლეში — სველე სიმაგრე ბლაგვი კუთხის ფორმისა (რედ).

იმები. თავად მთავარი ექიმი გოვოროვი არ ტოვებდა გენერალს. ერთ მომენტში მას ექიმებმა ფეხის ამპუტაციაც კი შესთავაზეს მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, რაზეც მკაცრი უარი მიიღეს. როდესაც ფრანგების მიერ მოსკოვის აღება შეიტყო, პეტრემ ხმამაღლა წარმოთქვა: „მშვიდობით, ჩემო პატივცემულო მეგობრებო! მე ვკვდები არა ჭრილობით, არამედ მოსკოვით“.

ამის მიუხედავად ის იმედებს არ ჰკარგავდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. მასში იფეთქა ქართულმა ჯიშმა და როდესაც შეიტყო, რომ მოსკოვზე ფრანგები ბატონობდნენ, ფეხზე წამოიჭრა და რამდენიმე მეტრი ჩქარი ნაბიჯებით ოთახში გაიარა, რამაც უკიდურესად დაამძიმა მისი მდგომარეობა და განგრენაც განუვითარდა.

ექიმი გოვოროვი არის უტყუარი მომსწრე ბაგრატიონის უკანასკნელი დღეებისა და მის მიერ დაწერილი პატარა ნაშრომი, რომელიც ქართულად 1990 წელს თარგმნა მზია გელაშვილმა, სავსებით ამომწურავად სცემს პასუხს ყველა კითხვას, თუ როგორი ადამიანი იყო რუსეთის არმიის ყველა დროის ყველაზე გამოჩენილი მხედართმთავარი. აქვე ვიტყვით, რომ გოვოროვმა გააცოცხლა ბაგრატიონი, რომელიც შეეწირა კეთილდღეობას და თავისუფლებას რუსეთისა, რომელიც უყვარდა.

„მე მივმართე: თავადო, თქვენო აღმატებულებავ, ასეთ დროს ხშირად ღმრთის მადლი სასწაულებრივად მოქმედებს სნეულზე, ამიტომ ხომ არ ინებებდით მღვდელი გვეხმო წმიდა ზიარების მისაღებად?“ ბაგრატიონმა მიპასუხა: „დიახ! კარგად მესმის, ეს რასაც ნიშნავს. მე მუდამ მართლმორწმუნე ქრისტიანი ვიყავი და უბრძანეთ, ახლავე მოიყვანონ მღვდელი (ამ პასუხში ნათლად ჩანს თავად ბაგრატიონის პიროვნება; მასშია წარმოჩენილი გულის უმაღლესი გრძნობიერება და დიდებული მართლმორწმუნე ქრისტიანის სული)“. „საღამოს 9 საათზე თავადმა ქრისტიანის ყველა უკანასკნელი ვალი პირნათლად მოიხადა. მეორე დღის პირველ საათზე იგი მშვიდად მიიცვალა“.

დაგვეთანხმებით, ეს ციტატა კომენტარს არ საჭიროებს. აქ სრულიად მკაფიოდ და ამაღლებულადაა გადმოცემული დიდი ადამიანის ცხოვრების უკანასკნელი დღეები. ამის მიუხედავად მაინც დავსძენთ, რომ პეტრე ბაგრატიონი იყო წმიდა ადამიანი, რომელიც რუსეთის ისტორიაში იყო მოვლენა და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსეთის არმიის ძლევამოსილებას.

მისივე მკურნალი ექიმი განგარტი წერდა: „ჭრილობისაგან ის გრძნობდა სასტიკ ტკივილს, იტანჯებოდა შეტევებით, მაგრამ მცი-

რეოდენი წუხილიც კი არ გამოუხატავს თავის ბედსა და ტანჯვაზე. ყველაფერს იტანდა, ისე როგორც ნამდვილი გმირი, არ ეშინოდა სიკვდილისა. მის მოახლოებას ისეთივე სიმშვიდით ელოდა, როგორითაც მზად იყო გააფთრებულ ბრძოლაში მას შეხვედროდა.“ [19]

17 დღიანი უშედეგო მკურნალობის შემდეგ, 24 სექტემბერს პეტრე ბაგრატიონი გარდაიცვალა და 30 სექტემბერს მოკრძალებული პატივით მიაბარეს სიმის სასაფლაოს.

ბაგრატიონის თანამებრძოლისა და პირველი ადიუტანტის, გენერალ დენის დავიდოვის სურვილი იყო, რომ მისი ნეშტი ბოროდინოს ველზე გადაესვენებინათ, რაც 27 წლის შემდეგ, 1839 წელს განხორციელდა, თუმცა იდეის ავტორი ამას ვერ მოესწრო.

პეტრე ბაგრატიონის დამსახურება რუსეთის სახელმწიფოს წინაშე მის სიცოცხლეშივე არაერთგზის დაფასდა, ამაზე მეტყველებს ის ჩინ-მედლები, რომლებიც მანამდე არც ერთ არარუს (და იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც რუს) მაღალი რანგის სამხედრო მოღვაწეს არ მიუღია: „სარდინიელი წმიდანების მავრიკიოსისა და ლაზარეს პირველი ხარისხის ოქროს ორდენი“, „მარი-ტერეზას ოქროს ორდენი კომანდორის ჯვრით“, მალტის „წმიდა იოანე იერუსალიმელის ოქროს ორდენი ალმასებით“, „წმიდა ანას პირველი ხარისხის ოქროს ორდენი ბრილიანტებით“, „წმიდა ალექსანდრე ნეველის ოქროს ორდენი ალმასებით“ (ყველა 1799 წელს), „წმიდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენი“ (1806 წელი), პრუსიული „წითელი არწივის ოქროს ორდენი“ და პრუსიული „შავი არწივის ოქროს ორდენი“ (ორივე 1807 წელს, ეს ორდენები ენიჭებოდათ მხოლოდ პრუსიელებს და მხოლოდ ერთხელ დაუშვეს გამონაკლისი, ისიც გენერალ ბაგრატიონის გამო), „წმიდა ვლადიმერის პირველი ხარისხის ოქროს ორდენი“, (1808 წელი), „წმიდა ანდრია პირველწოდებულის ოქროს ორდენი“ (1809 წელი, ეს ორდენი სპეციალურად დამზადდა და რუსეთის სამხედრო მოღვაწეებიდან მიენიჭა მხოლოდ ბაგრატიონს), „ოქროს დაშნა მხედრული სიმამაცისათვის“ ალმასებითა და ბრილიანტით (1810 წელი, გადაეცა იმპერატორისაგან და როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ეს იყო პირველი და უკანასკნელი უძვირფასესი საჩუქარი ბოძებული უშუალოდ იმპერატორისაგან).

იმპერატორმა პავლემ და იმპერატორმა ალექსანდრემ უბოძეს ქალაქი და რამდენიმე სოფელი, რაზეც ბაგრატიონმა მადლობა შესწირა მათ, მაგრამ უარი განაცხადა, რაც მის კეთილშობილურ ბუნებასა

[19] ბ. გრიბანოვი, ბაგრატიონი პეტერბურგში, მოსკოვი. 1979, გვ. 200.

და სულიერებაზე მეტყველებს.

200 წლის წინ რუსეთი გამოეთხოვა თავის ყველაზე ახალგაზრდა, ერთგულ, ძლიერსა და უნიჭიერეს გენერალს და მხედართმთავარს, თავის მამაც და გულწრფელ მეომარს, გონიერ და გონებაგამჭრიახ სამხედრო მოღვაწეს, რუსეთის არმიის რეფორმატორსა და ორგანიზატორს.

200 წლის წინ მთელი ევროპა შეძრა ამ ტრაგედიამ, ხოლო ნაპოლეონს ათქმევინა: „მე მეშინოდა ბაგრატიონის, მისი სიკვდილით რუსეთის არმიას დედაბოძი წაექცა“. ამის მიუხედავად, გმირული სულით აღვსილმა რუსეთის არმიამ საბოლოოდ მაინც შეძლო და დაამარცხა ნაპოლეონი, ხოლო ამ დიად გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ ბაგრატიონს მიუძღვის.

სულით და გულით ქართველმა, ბაგრატიონთა დინასტიის ღირსეულმა შთამომავალმა, თავადმა პეტრე ბაგრატიონმა თავისი სიცოცხლე ანაცვალა რუსეთის ძლიერებას, რაც გამარჯვების ერთ-ერთ ძირითად პირობად მიაჩნდა იმ ბრძოლაშიც, რომელსაც მისი პატარა სამშობლო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში აწარმოებდა.



ბორის დარჩია

ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ ბრძოლა და იოსებ სტალინი

ამ თემამდე ნოდარ ალანიაზე სტატიის წერამ მიმიყვანა.

2009 წელს ჟურნალ *„ქართულ მწერლობაში“* დავბეჭდე მოზრდილი წერილი *„ნოდარ ალანიას გახსენება“* (ნოემბერ-დეკემბერი, № 6), რომელიც შემდეგ გადავბეჭდე ჩემს წიგნში[1]. მასში საკმაოდ ვრცლად მიმოვიხილავ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. როცა ჩემს ამ შესანიშნავ მეგობარზე, უტყუარ კაცსა და მოქალაქეზე ვსაუბრობ, გვერდს ვერ ავუვლი ერთ ცნობას, რომელიც ბეჭდურადაა გამოთქმული: თითქოს ნოდარი ამბობდა, რომ დიდმა ვაჟამ გაზეთ *„ივერიაში“* ილიას წინააღმდეგ ამხედრებული სოსო ჯუღაშვილი კარგა მაგრად გალახა და კიბეზე დააგორაო.

აქედან გამოჰყავთ დასკვნა, რომ ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ 1951-1952 წლებში ჩვენი რესპუბლიკის მეთაურ კანდიდ ჩარკვიანის თაოსნობით ჩატარებული ამაზრზენი კამპანია სათავეს იოსებ სტალინისაგან იღებდა, მისგან მოდიოდა. ამის მიზეზი თითქოს ის პირადი წყენა იყო, რაც *„ივერიაში“* მას მწერალმა მიაყენა: ბელადმა ვაჟას ეს შეურაცხყოფა არ დაუვიწყა და სამაგიერო ამით გადაუხადაო.

ამის სარწმუნო წყაროს ვერვინ ასახელებს, ზეპირად და წერილობითაც კი ზოგიერთი დაბეჯითებით იმეორებს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევარი **თამაზ ჩხენკელი** აღნიშნავს: *„სტალინის ინიციატივით და დავალებით უარყოფილი იყო ვაჟას შემოქმედება საქართველოში და ეს სახელმწიფოებრივი ღონისძიების დონეზე იქნა ჩატარებული. ამბობენ, თითქოს ვაჟას შემოელახა ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი ჯუღაშვილი. არ არის გამორიცხული! ვაჟას წიხლით დაუგორებია გაზეთ*

1 ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ., 2013, გვ. 446-469.

«დროების» კიბეზე პეტერბურგიდან ჩამობრძანებული ვინმე აშინოვი (...) და ახალგაზრდა ჯულაშვილის გალახვა არ გაუჭირდებოდა. მაინც რატომ არ უყვარდა რუსთაველის ერთი სტროფის რუსულად მთარგმნელს, ილიასა და აკაკის «დამფასებელ» სტალინს ვაჟას პოეზია? იმიტომ ხომ არა, რომ აღიზიანებდა ვაჟას ღრმა მითოსი, მისი უნივერსალური მსოფლმხედველობა და პირწმინდად ქართული მსოფლშეგრძნება, რაკი თვითონ ქმნიდა თავის უბადრუკ, კომუნისტურ ფსევდომითოსს და ლოკალურ ფსევდოფილოსოფიურ მატერიალიზმს?"[2]

ვაჟა-ფშაველას ცხოვრების მკვლევარი **გიგი ხორნაული** აღნიშნული კამპანიის თაობაზე წერს: *„ვაჟა-ფშაველას მიმართ დაუნდობელი ბოლმა არ ამოდიოდა ბოლშევიკები(ს), იგივე სოციალ-დემოკრატების გულიდან, რაკიღა ის თავის დროზე ეწინააღმდეგებოდა მათ კოსმოპოლიტიზმს, რაკიღა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პოზიციაზე იდგა სიკვდილამდე. როგორც მისი ძმები და სხვა ახლობელნი მაშინ უცილობლად ამტკიცებდნენ, ამიტომ მოაკვლევინეს გამოსაწერად გამზადებული ვაჟა ექიმებს. მეორე შვილი დაუხვრიტეს, ძმა მოუკლეს.*

*ამასგარდა, სტალინს ვაჟას მიმართ პ ი რ ა დ უ ლ ი წყენაც ჰქონდა გულში. ე ს ა მ ბ ა ვ ი ჩ ა წ ე რ ი ლ ი, დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი მ ე პ ი რ ა დ ა დ ა რ ს ა დ შ ე მ ხ ვ ე დ რ ი ა, ზ ე პ ი რ ა დ კ ი ხ შ ი რ ა დ მ ო მ ი ს მ ე ნ ი ა, თვით **ზვიად გამსახურდიასაგან**, რომელმაც პირველ გამოცემასთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნასთან ერთად ამაზეც მითხრა, მეორე გამოცემაში აუცილებლად შეიტანეო. მეორე გამოცემაში უკვე ჩემდაუნებურად გამომრჩა. ახლა საოცრად განათლებულმა მკურნალმა **ხუტა პაჭკორიამ** დამაძალა – აუცილებლად შეიტანეო. ეს ეპიზოდი კი ასეთია:*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ «ივერიაში» იოსებ (სოსო) ჯუღაშვილს გამოუქვეყნა პირველი ლექსები სოსელოს ფსევდონიმით. ამ ლექსებმა, რომელთა შორის იყო «ვარდს გაეფურჩქნა კოკორი», საერთო მოწონება დაიმსახურა. ეტყოდა ილია, რა თქმა უნდა, ასეთი ლექსები კიდევაც მოგვიტანეო. სოსომ კი კომუნისტური იდეოლოგიით გადამლაშებული ლექსები მიუტანა. ილიამ უარი უთხრა მათ დაბეჭდვაზე. სოსო დაემუქრა «ჩამორჩენილ ნაციონალისტს», ხვალ მოვალ და აგაფეთქებო. არ გაუჭირდებოდა, რადგან მოწინააღმდეგებს, მით უმეტეს თავადებს, როგორც კლასობრივ მტრებს, დაუნდობლად

[2] თამაზ ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, ტრაგიკული ნიღბები, თბ., 2009, გვ. 291-292. ხაზგასმა აქ და ქვემოთ, ყველგან, ჩემია – ბ. დ.

უსწორდებოდნენ პროლეტარიატის დიქტატურისათვის მებრძოლნი.

მეორე დღეს, სანამ ეს მგზნებარე რევოლუციონერი გამოჩნდებოდა, «ივერიის» რედაქციაში ვაჟა-ფშაველა მივიდა. ილიამ ცოტა ხნის საუბრის შემდეგ შესჩივლა:

*— ეს რა ახალგაზრდობა მოდის, ვინ არიან, ეს **კაშნეგადაგდებული** რევოლუციონერი მოკვლით დამემუქრაო.*

ვაჟამ დაამშვიდა: მე არ წავალ, მოვიდეს ერთი აქ და მე ვასწავლი ჭკუასაო.

მოვიდა ისიც. როგორც კი ილიას უკმეხად მიმართა, ვაჟამ ჯერ ერთი-ორი შემოჰკრა, მერე დაითრია, ჰკრა წიხლი და კიბეზე დააგორა.

*ისეთი გულბოროტი კაცი, როგორიც სტალინი იყო, იოლად ვერ მოინელებდა ასეთ შეურაცხყოფას. (ვაჟა — **ბ. დ.**) მოკლეს, ერთხანობას დაასამარეს კიდეც მისი შემოქმედება, მისი სახელი საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, მაგრამ არ აკმარეს. დროდადრო კვლავ ცოფი უვლიდათ".*[3]

აქ უნდა შევნიშნოთ: ი. სტალინის ლექსები ადრეც[4] და ამ ბოლო ხანებში რამდენიმეჯერ თავმოყრილად დაიბეჭდა, ცალკე ბროშურადაც კი. ისინი, მათი თემატიკა სათანადოდ და საგანგებოდაც არის განხილული, მაგრამ მათში სოციალისტური და კომუნისტური არაფერია. პირიქით, პატრიოტიზმით, იმჟამინდელ მამულიშვილთა სიყვარულითა და ღრმა რელიგიურობითაც კია გამსჭვალული. მეორეც, სოსო ჯუღაშვილი იმ კაშნეს, რომელიც მას 1905 წლის რევოლუციის დროინდელ გადაღებულ სურათში უკეთია, ყოველთვის, 90-იან წლებშიაც, განუყრელად დაატარებდა? ანდა კიდევ 1915 წელს სოსო ჯუღაშვილს რა ძალა ჰქონდა ისეთი, რომ „საავადმყოფოდან გამოსაწერად გამზადებული" ვაჟა ექიმებს მოაკვლევინა?

რევაზ (რეზი) თვარაძე თავის მოგონებებში დაბეჯითებით ამბობს, რომ ი. სტალინი ვაჟას **მტრობდა**. ამას ასე გვისაბუთებს: *„დღესდღეობით მრავალმა არც იცის, ბევრს აღარ ახსოვს, ან არ სურს გაიხსენოს, რა ღავღავი იყო ატეხილი მაშინ, სწორედ ცხრაას ორმოცდათერთმეტ-ორმოცდათორმეტ წლებში, ვაჟა-ფშაველას ენასთან დაკავშირებით. ამას დასაბამი, ვგონებ, რომ არ მეშლება თარიღი, ცხრას ორმოცდაათ წელს მიეცა, როდესაც ქართველ*

[3] გიგი **ხორნაული**, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, მესამე შევსებული გამოცემა, თბ., 2008, გვ. 364-365. სტილი დაცულია.

[4] ჟურ. „მნათობი", 1937, № 5.

მეცნიერთა ჯგუფი სტალინს ეახლა და ახალგამოსული წიგნი მიართვა - «ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის» პირველი ტომი. საიმდროოდ ეს დიდი კულტურული მოვლენა იყო.

საუბარი, რაღა თქმა უნდა, ქართული ენის, სახელდობრ, სალიტერატურო ენის საკითხებს შეეხო. მაშინ უთქვამს ბელადს ამგვარი ფრაზა (ასე გადმომცა ჩემმა ნაცნობმა იქ დამსწრე ერთი პიროვნების ნათქვამად, თითქოს უეჭველ ფაქტად):

— როგორც ცნობილია, ახალ სალიტერატურო ქართულ ენას საფუძველი ჩაუყარეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და იაკობ გოგებაშვილმა.

*— და ვაჟა-ფშაველამ, — შეუშველებია სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს (ანუ კანდიდ ჩარკვიანს — **ბ. დ.**), რომელიც, ცხადია, მოვალე იყო, ამ შეხვედრას დასწრებოდა.*

ამის პასუხად ბელადი წამოდგა, ჩიბუხი გააწყო, გაიარ-გამოიარა და მერე ხაზგასმით თქვა:

— ახალ სალიტერატურო ქართულ ენას საფუძველი ჩაუყარეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და იაკობ გოგებაშვილმა".

ბატონი რევაზი განმარტავს: „*ხომ ცხადია, რასაც ნიშნავდა ეს ყოველივე – წამოდგომა, ჩიბუხის გაწყობა, ბოლთის დარტყმა და ადრე ნათქვამი ფრაზის სიტყვასიტყვით გამეორება — დიდი ბელადის უკიდურეს გაღიზიანებას. აქედან ერთი ნაბიჯი რჩებოდა აფეთქებამდე, გამღიზიანებლის უმოწყალოდ გასრესამდე. სწორედ ასე აღიქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მომხდარი და ამ მხრივ მართალიც იყო. სხვა მხრივ არ იყო მართალი, საქართველოში დაბრუნებულმა ვაჟა-ფშაველას მიწასთან გამასწორებელ კამპანიას რომ დაუდვა სათავე. ან იქნებ ასე ვთქვათ – ვითარების მსხვერპლი იყოო.*

ალბათ ვერასოდეს შევიტყობთ, მართლა გაცოფდა თუ არა სტალინი ვაჟა-ფშაველას ხსენებისას. შესაძლოა, საქართველოს კომუნისტთა ლიდერის რეპლიკამ დააკარგვინა წონასწორობა, რაკი ფორმულად ჩამოქნილი მისი დებულება ვიღაცამ არასრულად შერაცხა და ისე გაკადნიერდა, ამ დებულების სრულყოფა მოიწადინა თავის ჭკუით. სულ არ იქნებოდა გასაკვირი, ასე რომ ყოფილიყო საქმე. თუმცა ისიც შესაძლოა, როგორც მერე და მერე ითქმოდა თბილისში, სტალინს ვაჟა-ფშაველას მიმართ ჰქონდა პ ი რ ა დ ი ანტიპატია. ეს იმიტომო, ***მარწმუნებდა აწ განსვენებული ლიტერატორი ნოდარ***

ალანია, რომ ახალგაზრდობისას სოსო ჯუღაშვილს რომელიღაც გაზეთის რედაქციაში დიდი უსიამოვნება შეემთხვა ვაჟა-ფშაველასთან და ამან, გაცეცხლებულმა, სოსელო კიბეზე დააგორაო. ეს თუ მართალია, სხვა მიზეზის ძებნა აღარც იქნებოდა საჭირო, რადგან, კარგად არის ცნობილი, დიდი ბელადი მიმტევებლობით და ქრისტიანული შემწყნარებლობით არასოდეს გამოირჩეოდა და ალბათ გაჭირდება ამგვარი შემთხვევის გახსენება, როცა ვისიმე წყენა შეერჩინოს და უსასტიკესი სამაგიერო არ მიეზღოს.

ასეა თუ ისე, საქართველოს კომპარტიის ლიდერი დაფეთებული ჩამოქანდა თბილისს და ის კამპანია ააგორა, ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ მიმართული".

ბოლოს ამთავრებს: *„ის სამარცხვინო კამპანია დღემოკლე აღმოჩნდა, სხვა რომ არაფერი, სტალინის აღსასრულის ჟამი იყო მოახლოებული და ამის შემდეგ ვაჟა-ფშაველას შეჩვენება ამ მოხალისე კრიტიკოსებისთვისაც კი თავისთავად კარგავდა ყოველგვარ აზრს. ეგ არის, ცხრაას ორმოცდათერთმეტ-ორმოცდათორმეტ წლებში ვაჟას წინააღმდეგ შემართული პროფესორები თუ დოცენტები ამას ვერ საზღვრავდნენ, ბელადიც და მის მიერ აწყობილი სისტემაც, საკუთარი პერსონის არ იყოს, სამარადჟამო, წარუვალ რაიმედ მიაჩნდათ".*

მოგონების ეს ნაწილი, რომელიც შემდეგ რ. თვარაძის წიგნშიაც გადაიბეჭდა, 2006 წლის გაზაფხულზე გაზეთ „კალმასობაში" გამოქვეყნდა (№ 3, გვ. 4). თუმცა ამ მკვლევართა დასახელება რად გვინდა, როცა ამ საქმეში ი. სტალინს ხელს პირდაპირ თავად კ. ჩარკვიანი ადებს. მოვუსმინოთ მას: „*ი. სტალინი, რასაკვირველია, კარგად იცნობდა ვაჟა-ფშაველას პოეზიას. საგულისხმოა, რომ ვაჟას ის ზოგჯერ გვარით იხსენიებდა – «ლუკა რაზიკაშვილის ლექსიო», იტყოდა. ჩანს 90-იან წლებში, როცა სოსო ჯუღაშვილს ქართულ პოეზიასთან უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა, დიდი პოეტის ფსევდონიმი იმდენად არ იყო დამოუკიდებელი, რომ გვარი მთლიანად შეეცვალა. სტალინი დროდადრო გაიხსენებდა და ზეპირად იტყოდა ვაჟას ლექსს «სიტყვა გადვაგდე ხალხშია», მისი პოემების მონუმენტურობასაც ხშირად ხაზს უსვამდა.*

1950 წლის ოქტომბერში სტალინთან, ცივ წყაროზე, ლაპარაკი ჩამოვარდა ქართული ლიტერატურის შესახებ. შეეხეთ ვაჟა-ფშაველასაც, რომლის პოეზიას მე ძალიან მაღალი შეფასება მივეცი. სტალინს თავისი აზრი მაშინ არ გამოუთქვამს, მან მხოლოდ ის

მთხოვა, რომ მისთვის ვაჟა-ფშაველას თხზულებები გამომეგზავნა. სამი დღის შემდეგ ვაჟას ოთხ თუ ხუთტომიანი გამოცემა სტალინის მაგიდაზე იდო. გავიდა თითქმის თვენახევარი და 1950 წლის 30 ნოემბერს, გვიან ღამით, ი. სტალინმა გაგრიდან დამირეკა. შედგა საკმაოდ გრძელი საუბარი ვაჟას პოეზიისა და მსოფლმხედველობის შესახებ. დილით ეს საუბარი ჩავიწერე მთელი შესაძლებელი სიზუსტით. ავტენტურობისათვის მომყავს მისი ტექსტი ორიგინალის ენაზე.

Товариш Сталин: Я получил книги Важа-Пшавела, прочитал и на днях пришлю вам обратно. Должен вас разочаровать. Вы говорили, что Важа-Пшавела - гений. Он действительно большой талант, но мировоззрение его очень отсталое. Ни одной большой проблемы он не ставит. Замкнулся в отсталых районах Пшави и хевсуретии и ничего, кроме междоусобных войн и мелких стычек между хевсурами, пшавами и кистами не видит и не описывает. Ни экономического, ни культурного развития Грузии он не замечает. Эти вопросы не пользуются его вниманием.

Язык у Важа-Пшавела провинциальный, старый, непонятный. Характерно, что каждый том его сочинении снабжен тольстым словарем. Иначе читатель не поймет его произведений. Акакий Церетели был, конечно, прав, упрекая его в отсталости языка;

«ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო!»

Акакий Церетели и Илья Чавчавадзе создавали единый литературный язык, а Важа-Пшавела признает за каждым провинциальным наречием право литературного языка. Для него все равно на каком языке пишутся поэтические произведения. В этом – безнадежная отсталость Важа-Пшавела.

Меня удивляет вступительная статья Геронтия Кикодзе. Марксист он или не марксист? Он не дает правильной оценки идеологии“[5].

კ. ჩარკვიანი ამ საკითხზე ი. სტალინთან საუბარს უფრო ფართოდ გადმოგვცემს 1989 წლის 3 თებერვალს გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ წერილში „საჭირო განმარტება“, რომელიც კი-

[5] კანდიდ ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, განცდილი და ნააზრევი, თბ., 2004, „მერანი“, გვ. 510-511.

მი კლიმიაშვილის კრიტიკული წერილის პასუხია. ეს მასალა საჭირო სისრულით გადმოცემულია გიგი ხორნაულის ზემორე დასახელებულ წიგნში, სადაც არის აგრეთვე ამონაწერები 1951 წლის 10 იანვარს თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე კ. ჩარკვიანის მოხსენებიდან, რომელიც კონფერენციაზე სხვა გამომსვლელთა სიტყვებთან ერთად 14 იანვარს გამოქვეყნდა გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში" და რომელმაც საფუძველი დაუდო ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას. აქედან დავიმოწმებ ზოგიერთ ადგილს, რომლებიც კ. ჩარკვიანის წიგნში არ შესულა:

„ი. სტალინი სიტყვას ბანზე არასოდეს არ აგდებდა, პირდაპირ დავალებასაც ყოველთვის არ იძლეოდა. ასეთი იყო მისი ხასიათის ერთ-ერთი ნიშანი. შემდგარი მსჯელობიდან დასკვნა თვითონ უნდა გამოგეტანა და საჭირო ღონისძიება გაგეტარებინა. ხანგრძლივი გამოცდილებით ვიცოდი, რომ, თუ ამას არ გავაკეთებდი, უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდებოდი. ადრე თუ გვიან სტალინი გვკითხავდა — ამა და ამ საკითხზე რომ ვილაპარაკეთ, რა ზომები მიიღეთო?

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეფასება აუცილებელი გახდა და, რადგანაც ის სტალინისაგან მომდინარეობდა, საბჭოთა საზოგადოების სამსჯავროზე ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით უნდა ყოფილიყო გამოტანილი. ამგვარი კრიტიკის როლში გამოსვლა ჩემთვის სასიამოვნო არ იყო, მაგრამ მოვალეობას თავს ვერ ავარიდებდი.

გაგრიდან განმეორებითმა ზარმა დამარწმუნა, რომ ჩემი მოსაზრება სწორი იყო. ამჯერად სტალინს საქართველოს ოლქებად დაყოფისათვის მზადების მიმდინარეობა აინტერესებდა. როცა ამ საკითხს მოვრჩით, მან მკითხა:

— რა ქენით, ვაჟა-ფშაველას შეფასებას შეურიგდით?

— საერთოდ კი, ამხანაგო სტალინ, მაგრამ მისი ზოგიერთი მომენტი მაინც ძალიან მკაცრად მეჩვენა.

—ხომ გახსოვთ სიტყვები, რომლითაც მარქსი «გოთას პროგრამის» კრიტიკას ამთავრებს? — «მე ვთქვი და ვიცხონე სული», თქვენ კი, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, — ხმაში შესამჩნევი წყენით დაამთავრა სტალინმა ჩემთან საუბარი ვაჟა-ფშაველას გამო. ამრიგად, მე მეძლეოდა პირდაპირი დავალება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ზოგიერთი მხარის კრიტიკით გამოვსულიყავი.

1951 წლის იანვარში თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია უნდა შემდგარიყო. გადავწყვიტე, საანგარიშო მო-

ხსენებაში გამომეყო თავი «სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის საკითხი» და იქვე ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის ზ ო გ ი ე რ თ ი საკითხიც გამეშ უქებინა. მოხსენებაში სტალინზე მითითება არ შემეძლო, რადგან ამის რწმუნება არ მქონდა. იყო მეორე მოსაზრებაც, რომელიც ასეთ მითითებას გამორიცხავდა. ქართულ საზოგადოებრიობაში ადრიდანვე დამკვიდრებულია უმართებულო აზრი, რომლის მიხედვითაც დიდი მწერლის, დიდი მეცნიერის შემოქმედების ამა თუ იმ მხარის ოდნავი კრიტიკაც კი ლამის მთელი ერის შეურაცხყოფად განიხილება. და, თუ ეს ასეა, როგორიღა უნდა ყოფილიყო მკითხველის რეაქცია ვაჟას შემოქმედების ამ მართლაცდა უსამართლო შეფასებაზე. მე არ შემეძლო ასეთი «შეურაცხმყოფლის» როლში სტალინი გამომეყვანა, თუმცა კარგად ვიცოდი: ამის გამო მის მიმართ საყვედურის ხმამაღლა გამოთქმას ვერავინ გაბედავდა“ (გვ. 363-264).

რატომ არ შევიდა ეს ნაწილი წიგნში? უამისოდ ვაჟას გაკრიტიკებას ახსნა არა აქვს. ძველადაც და ახლაც რამდენი სწავლულია ჩვენში, რომელთაც სალიტერატურო ენის თაობაზე აკაკისა და ვაჟას გალექსებაში აკაკის მხარე გულწრფელად უჭირავთ! გარდა ამისა, კრიტიკა კრიტიკაა, მაგრამ ის რეპრესიები, თუნდაც მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზიდან ვაჟას სურათის ჩამოხსნა რითია გამართლებული?

ამ გაუკუღმართებულ გაგებასთან დაკავშირებით მაგონდება ჩვენი თანამშრომლის, ძველქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობის ნიჭიერი მკვლევარისა და დიდებული პიროვნების, ვახტანგ (გუგული) ბააკაშვილის, ნაამბობი, რომელიც თავისი ძმისაგან მოუსმენია.

ძმა, გივი ბააკაშვილი, შესანიშნავი გეოლოგი და ასევე დიდებული პიროვნება გახლდათ. 1941 წელს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იკვლევდა რაჭის, სვანეთისა და აფხაზეთის მთის ქანებს. აფხაზეთში დაეძებდა ვერცხლის წყლის საბადოებს. მათ შესახებ შესანიშნავად მოგვითხრობს თავის წიგნში „ექვსი თვე გამოქვაბულში“ („მერანი“, 1989). ალბათ არც ის იქნება ზედმეტი, აღინიშნოს, რომ გივი და გუგული გამოჩენილი მეცნიერ-გეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, ალექსანდრე ჯანელიძის, დისშვილები იყვნენ.

აი, ბატონი გივის მონაყოლი, რაც ბატონმა გუგულიმ გვიამბო:

— აფხაზეთის გეოლოგიურ ექსპედიციაში ყოფნის დროს რიწის ტბიდან მოვდიოდი. გზაში ტბისკენ მიმავალი მაღალი თანამდებობის მქონე ნაცნობი ინჟინერი, ექსკავატორით, ბულდოზერითა და სხვა

ტექნიკით შეიარაღებული მოდიოდა. ვკითხე და მითხრა: რიწის ტბის გასაღრმავებლად მივდივართო.

— რიწის ტბას რა გაღრმავება სჭირდება-მეთქი? — გავიკვირვე. ამიხსნა: ეს სტალინის მოთხოვნა ყოფილა და დაგვავალესო.

— ამას სტალინი როგორ მოითხოვდა-მეთქი? — კიდევ უფრო გავიკვირვე.

თურმე, სტალინს რიწის ტბის სიღრმე უკითხავს. რომ უთხრეს, რამდენიც იყო, უთქვამს, კარგი იქნებოდა, უფრო ღრმა ყოფილიყოო.

მე ამ ინჟინერს ავუხსენი, რომ რიწის ტბის ადგილი კირქვიანი ქანებია და, თუ მათ შევეხებით, შეიძლება წყალი სულაც დაიკარგოს-მეთქი. ამ საუბარს შედეგი გამოუღია და რიწის ტბის „გაღრმავების“ საქმე ამით დამთავრებულა.

ბატონ კანდიდ ჩარკვიანს, თუ ის სიმართლეს გადმოგვცემს, ვაჟა-ფშაველას იგივე „გაღრმავების“ ეპიდემია შეყრია!

მაგრამ, ძალიან ვეჭვობ, კანდიდ ჩარკვიანი მთლიან სიმართლეს გადმოგვცემდეს!

მეორე მხრივ, არაერთი და ბევრად უფრო სანდო ცნობა არსებობს, საიდანაც ნათლად და გარკვევით ჩანს, ი. სტალინი თ ა ვ ი დ ა ნ ვ ე და ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს რა დიდად აფასებდა ვაჟა-ფშაველას პოეზიასა და, რაც ამჯერად მთავარია, მის დამსახურებას ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. ი. სტალინის მიერ ვაჟას პოეზიის ცოდნასა და მისადმი სიყვარულს, რასაც კ. ჩარკვიანიც გვიდასტურებს, თავის მოგონებებში აღნიშნავს პეტრე კაპანაძე. არსებობს მალაქია ტოროშელიძესთან ი. სტალინის საუბრის ჩანაწერი მოსკოვში საკავშირო მწერალთა პირველ ყრილობაზე ქართულ მწერლობაზე გასაკეთებელი მოხსენების შესახებ, სადაც ვკითხულობთ:

„ი. ბ. სტალინისა და მ. ტოროშელიძის დიალოგი

ი. სტალინი — როგორც გადმომცეს, თქვენ ყოფილხართ საქართველოში მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

— დიახ, მე გახლავართ. — უპასუხა მ. ტოროშელიძემ.

— მაშ, თქვენ გამოხვალთ მოხსენებით მწერალთა საკავშირო ყრილობაზე ქართული ლიტერატურის შესახებ?

— დიახ, მე მაქვს დავალებული.

— აბა, მოკლედ მითხარით, როგორ აპირებთ მოხსენების აგებას, რას მოახსენებთ მწერალთა ამ დიდ ყრილობას ქართული მწერლობის შესახებ?

— მე ვიტყვი, ამხანაგო სტალინ, რომ ოქტომბრის დიდმა რევო-

ლუციამ გაათავისუფლა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ერები. ამ ერებმა მოიპოვეს კულტურული შემოქმედების საშუალება და, მათ შორის, ეს საშუალება მოიპოვა ქართველმა ხალხმაც, რომელიც აი, თითქმის 15 წელიწადია, საბჭოთა წყობილების პირობებში ქმნის ახალ ეროვნულ ლიტერატურას და მე ვუამბობ ყრილობას, რას წერენ ჩვენში საუკეთესო მწერლები: მ. ჯავახიშვილი, გ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ლეონიძე, ტ. ტაბიძე, ალ. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი და სხვები.

— როგორ, თქვენ ეტყვით ყრილობას, რომ ქართველმა ხალხმა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოიპოვა კულტურული შემოქმედების საშუალება და მანამდე არაფერი შეუქმნია კულტურის დარგში? ამას ეტყვით ქვეყნიერებას ყრილობის ტრიბუნიდან? გადაეცით ქართველ მწერლებს ჩემი სახელით, რომ, თუ რაიმე მისი მსგავსის შექმნა არ შეუძლიათ, რაც ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ კულტურისა და მწერლობის დარგში, მათი მემკვიდროების გამოჩენის უნარი მაინც იქონიონ. მოხსენება უნდა დაიწყოთ შოთა რუსთაველიდან მაინც, თუ უფრო ადრინდელი პერიოდიდან არა. დაწვრილებით უნდა ილაპარაკოთ რუსთველზე.

დაე, გაიგოს ყველამ ჩვენს ქვეყანაშიაც და მისი საზღვრების გარეთაც, როგორი ღირებულების კულტურული განძი შეუქმნია ქართველ ხალხს ოქტომბრის რევოლუციამდე შვიდი საუკუნით ადრე. შემდეგ გადმოხვალთ უფრო ახლობელ საუკუნეზე და დაახასიათებთ სულხან-საბა ორბელიანის, დ. გურამიშვილის, ბესიკ გაბაშვილის შემოქმედებას. განსაკუთრებით ვრცლად უნდა გაარჩიოთ ნ. ბარათაშვილის პოეზია. აი, როგორი დიდი პოეტი წარმოუშვია საქართველოს მე-19 საუკუნის დამდეგს, როცა იგი თვითმპყრობელობის დამონებულ კოლონიად იყო ქცეული. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარზე რომ გადახვალთ, დაწვრილებით უნდა ილაპარაკოთ ი. ჭავჭავაძის შესახებ. საქართველოში თურმე რაღაცა უაზრო და ყალბი თვალსაზრისი გაუვრცელებიათ, თურმე ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგიის, ამ კლასების ინტერესების დამცველი ყოფილიყოს. ვის მოუვიდა თავში ასეთი სიყალბე, ასეთი მცდარი და უკუღმართი აზრი?! თურმე საქართველოში ვიღაცეებს უპირისპირებენ ი. ჭავჭავაძეს. აქვს ვისმე მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის თუნდაც ისეთი ძლიერი სოციალური პროტესტი, როგორც მოცემულია ილიას შემოქმედებაში? მე ამის შესახებ რამოდენიმეჯერ ველაპარაკე

ქართველ ამხანაგებს, მაგრამ, როგორც ჩანს, აქედან დღემდე არავითარი დასკვნა არ გაუკეთებიათ. იმას ხომ არ ელოდებიან, თუ როდის გამოვცემთ დეკრეტს ამ საკითხზე? შემდეგ ა. წერეთელსაც თავისი უნდა მივუზღოთ, ვაჟა-ფშაველასაც. რად ღირს თუნდაც ამ ორი დიდი ეროვნული პოეტის მხურვალე მონაწილეობა 1905 წ. რევოლუციურ მოძრაობაში. ვაჟა-ფშაველას შესახებაც ბევრ გაუგებრობასა და დაბნეულობას აქვს ადგილი, პრიმიტიულ ადამიანად და მოაზროვნედ თვლიან. აი, თქვენ საშუალება გეძლევათ, გაფანტოთ ყველა ეს გაუგებრობა. შემდეგ უნდა განიხილოთ გასული საუკუნის მწერლების ი. ევდოშვილის, ალ. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის შემოქმედება და დასასრულს იტყვით, რომ ასეთი ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციების საფუძველზე თავისუფალი და აღორძინებული ქართველი ხალხი ახლაც ქმნის თანამედროვეობის შესაფერის ლიტერატურას და ბოლოს მიმოიხილავთ ქართველ საბჭოთა მწერლობის ყველაზე დამახასიათებელ ნაწარმოებებს.

მოხსენებას, რასაკვირველია, დაწერილს ჩამოიტანთ. მე წავიკითხავ მას და შემდეგ გაიტანთ ყრილობაზე, – უთქვამს ბოლოს სტალინს“.

აქ მონათხრობი მე ალექსანდრე ბარამიძის, ბესარიონ ჟღენტისაგან და სხვებისაგანაც მომისმენია. ამჟამად ხელთა მაქვს რემინგტონის მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი, რომელიც გადმომცა ჩემმა თანაკურსელმა მეგობარმა და შესანიშნავმა პედაგოგმა **მაყვალა (ნათელა) ბერუაშვილმა**. მისთვის იგი ამ ორმოცი წლის წინათ ვიღაცას მიუცია, თუ ვის, არ ახსოვს. მე არ ვიცი, როდის, ვისგან და ვის მიერაა იგი ჩაწერილი, ან გამოქვეყნებულია თუ არა. სიმართლის შემცველი რომ არის, მ. ტოროშელიძის მოხსენებიდან გარკვევით ჩანს. ვნახოთ, რა თქვა მან ყრილობის ტრიბუნიდან. მოხსენებაში ვაჟა-ფშაველაზე ცალკეა საუბარი. ვიმოწმებთ ნაწყვეტებს:

„ფრიად ორიგინალურ მოვლენას წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში პოეტი ვაჟა-ფშაველა, ჩამომავლობით ფშაველი და მიუხედავად მიღებული განათლებისა – მთელი თავისი ცხოვრებით. პოეტის არაჩვეულებრივი შემოქმედება მომწიფდა 80-იანი წლების რეაქციის პირობებში, როდესაც ცარიზმი განსაკუთრებული ძალით ავიწროებდა «ინოროდცულ» განაპირა კუთხეებს, სდევნიდა ენას, ცნებებს. (...) მისთვის დასავლეთ-ევროპის ლიტერატურის გზაც ხსნილი იყო. მაგრამ ყველაზე მეტად მასზე გავლენას ახდენდა გარემო ვითარება, – მთიელთა ცხოვრება, სადაც თითქმის ხელუხლებლად

იყო დარჩენილი ძველი გვაროვნული ყოფა-ცხოვრება თავისი პატრიარქალური ურთიერთობით.

პოეტს თანაბრად ძულს ცარიზმიცა და ბურჟუაზიული ეკონომიკაც, როგორც საქართველოს დამმონებელი და კაპიტალიზმი – როგორც ძველი საფუძვლების დამანგრეველი და ნაციონალური საზღვრების მომშლელი.

(...) ვაჟა-ფშაველა თავის მასალასიღებს ცოცხალი სინამდვილიდან და ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს ძველი ცხოვრების მეხოტბეებთან – ა. წერეთელთან და ი. ჭავჭავაძესთანაც შედარებით.

(...) ამ მომენტების თავისებურება ვაჟა-ფშაველას კი არ აახლოვებს წინამორბედ პოეტებთან, რომელთა გავლენას ის თითქოს განიცდის, არამედ განასხვავებს მათგან და მას სრულიად ორიგინალურ მწერლად ხდის.

(...) მისი ლირიკული ლექსების რამდენიმე ტომი ააშკარავებს პოეტში ხალხური პოეზიის გავლენას, რომელსაც იგი მონურად კი არ ჰბაძავს, არამედ ოსტატურად იყენებს და ამშვენებს. იგი ზოგჯერ ძალუმად განიცდის ამ გავლენას და შემოაქვს ლიტერატურისათვის უცხო გამოთქმანი და ადგილობრივი დიალექტების ლექსიკური მასალა, რისთვისაც მას აკაკი წერეთელმა საჯაროდ უსაყვედურა. მაგრამ ამ დეფექტს ის სავსებით სძლევს თავის პროზაში, რომელიც წარმოადგენს მხატვრული სტილის, ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული შეხამების ნიმუშს"[6].

მთლიანი მოხსენების ზოგიერთ შეფასებას შეიძლება არ დაეთანხმო, მაგრამ მასში ვაჟას დამამცირებელ გამოთქმას ვერაფერს ნახავთ. პირიქით, ყველგან აღმატებულადაა იგი წარმოდგენილი.

ბარემ აქ ერთს კიდევ დავუმატებ. რამდენადაც მახსოვს, არსებობს ცნობილი მწერლისა და ჟურნალისტის პეტრე პავლენკოს მონათხრობი, რომ ომის დროს იგი ი. სტალინსა და ლ. ბერიას თან ახლდა მოსკოვთან ფრონტის ახლოს, სადაც ი. სტალინმა ლ. ბერიას ქართულად უთხრა ვაჟა-ფშაველას სტრიქონი ლექსიდან „ფშაველი ჯარისკაცის წერილი". რუსეთის ჯარში მოსამსახურე ფშაველი ჯარისკაცი დედას ეკითხება: „*ნეტა თუ დაგვიფასდება ქართველთა შვილებს ამაგი*". პ. პავლენკოს, რომელსაც 1900 წლიდან საქართველოში უცხოვრია და 20-იანი წლებიდან თბილისის გაზეთებში უმუშავია, მაშინ ეს ლექსი რუსული ასოებით ჩაუწერია და შემდეგ მისი რაობა ლ. ბერიასთან

[6] მალაქია ტ ო რ ო შ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურა, მოხსენება საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე 1934 წლის 20 აგვისტოს, თბ., 1934, გვ. 51-53.

დაუზუსტებია. ახლახან გივი ლომიძემ მითხრა, რომ პ. პავლენკოს ეს მოგონება მისთვის მოსკოვის მივლინებიდან დაბრუნებულ ნოდარ ალანიას უამბია.

ახლა ყველაზე მთავარი. მოვუსმინოთ, დასმულ საკითხზე რას გვიამბობს **აკაკი ვასაძე** 1946 წლის ოქტომბერში სოჭში ი. სტალინთან შეხვედრის შესახებ: ერთ დღეს, როდესაც მან ლექსი „ვეფხისა და მოყმის სიმღერა“ წაიკითხა, წერს: *„აი, გავასრულე ლექსი და ყველამ ერთდროულად ტაში შემოჰკრა, სტალინმა კი თქვა:*

— მარგალიტია!

როდესაც მადლობის გადასახდელად მივუახლოვდი, მითხრა: «შენც მარგალიტი ხარ» და მხარზე ხელი დამკრა.

— აი, ვაჟა-ფშაველას ძირები სად არის! აი, საიდან წამოვიდა ვაჟა! – თქვა სტალინმა“.[7]

მეორე ადგილას ვკითხულობთ: *„აქედან ანაზდეულად ქართულ სალიტერატურო ენაზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე ჩამოვარდა საუბარი. ყველა ენა, — თქვა მან (ი. სტალინმა — **ბ. დ.**), — ეკონომიის გზით ვითარდება, რომ უფრო სადად, უფრო ნაკლები სიტყვებით გამოიხატოს აზრი. ენის განვითარების საკითხი სახელმწიფოებრივი საკითხია და, ამიტომაც, მისი დადგენის საქმეში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს (...) მე მესმის, რომ ქართულში დიალექტი ძირითადია და მის საფუძველზე უნდა შეიქმნას სალიტერატურო ენა, მაგრამ ისიც არ უნდა ვაქციოთ ფეტიშად. დასავლეთ საქართველოს ამა თუ იმ მხარისათვის დამახასიათებელი მეტყველებიდან ბევრი კარგი ფორმა უნდა გამოვიყენოთ. გურულიდანაც, მეგრულიდანაც, იმერეთიდანაც და ასე უფრო გავამრავალფეროვნოთ, გავამდიდროთ და ეკონომიურადაც უფრო დავხვეწოთ სალიტერატურო ქართული. ჰო, სულ დამავიწყდა მთიულური, ხევსურული, ფშავური კილოკავებიც აუცილებელი და გამოსაყენებელია. მერედა, ამ კილოკავების, ამ კუთხური მეტყველების ფორმების გამოყენებით რამდენად გაიზრდება ლექსიკაც! ყველა ეს ქართული ენაა და რა კუთხურიც არ უნდა იყოს სიტყვა, თუ იგი სალიტერატურო მეტყველებას სჭირდება, გამოყენებული უნდა იქნეს. ენის საკითხი უაღრესად რთულია და ამ საკითხში, ვიმეორებ, თვით სახელმწიფო აპარატის ჩარევაა საჭირო. მაგალითად, სახელმწიფო აპარატი რომ არ ჩარეულიყო უკრაინული ენის საკითხში 1918-19 წლებში, რა გამოვიდოდა? ზოგი მწერალი და მოღვაწე იძახდა, გალიციური ენა უნდა ედოს საფუძვლად*

[7] აკაკი **ვასაძე**, მოგონებები (წიგნი მეორე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2010, გვ. 375.

უკრაინულ სალიტერატურო ენასო, ზოგი დონბასის ენისაკენ ექაჩებოდა, ზოგი — ძველი სლავიანურისაკენ. ჩვენ კი ასე დავადგინეთ, უკრაინულ სალიტერატურო ენას კიევის ენა უნდა დაედოს საფუძვლად და სამივე დიალექტის ხარჯზე გამდიდრების გზით უნდა განვითარდეს და ჩამოყალიბდესო. საქართველოში კიდევ უფრო მრავალფეროვნებაა დიალექტების მხრივ. აქ მეტი სირთულეა და მეტი შესაძლებლობებიც. საჭიროა მისი, რაც შეიძლება სწრაფად საბოლოოდ დადგენა და განვითარება, როგორც მთლიანად საქართველოს ენისა. ამ საქმეში კი მეტი, რაც შეიძლება მეტი, სისადავეა საჭირო, რომ სალიტერატურო ენა კახელისათვისაც, ქართლელისათვისაც, აფხაზისთვისაც, გურულისთვისაც, იმერლისთვისაც, მეგრელისთვისაც, სვანებისთვისაც და საერთოდ, ყველა კუთხის წარმომადგენლისთვის ადვილად ასათვისებელი და გასაგები იყოს. ამას არა მარტო ლიტერატურული ან მეცნიერული, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობაც აქვს და ამ საქმეში ახლა დადებითი მარცვალი შემდგომ დიდ საჭირო ნაყოფს გამოიღებს და ასეთ დროს შემოეხიდება ქართველ კაცს, ისეთ დროს განამტკიცებს, რომ... "

აქ ციტატას ერთი წუთით მეც შევწყვეტ და ხმამაღლა ვიკითხავ: ამ მსჯელობას რაიმე ზადი ახლავს?! ან უთვალავი სახელმწიფო საქმეებით სავსე საბჭოთა ქვეყნის მეთაური რომ ენის მოვლა-პატრონობაზე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის რანგის საქმეზე, ამდენს რომ ლაპარაკობს, შევადაროთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ კისერტეხით მებრძოლ მიხეილ სააკაშვილსა და მის ყოფილ „რეფორმატორ" მინისტრ ალექსანდრე (კახა) ლომაიას, რომლებმაც პრეზიდენტს დაქვემდებარებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია და არსებული ენის პალატა გააუქმეს! გავაგრძელოთ ი. სტალინის მსჯელობა, რომელიც უშუალოდ ჩვენს საკითხს ეხება:

(ენის — **ბ. დ.**) ***„კარგი სისადავეა აქ საჭირო და ლაკონიურობა. ამ მხრივ, თუ კი ი. ჭავჭავაძეს ღრმა პატივს ვცემ, მაგრამ აკაკი მაინც უფრო ნოვატორად მიმაჩნია საქართველოში ენის გახალხურების და განვითარების საქმეში. აკაკის კვალად, ვაჟაც დიდად დაეხმარა ქართულ სალიტერატურო ენას თავისი ხალხური მეტყველების ფორმებით, ლექსიკითა და გრძნობათა და აზრთა სადად გამოთქმით"***[8].

[8] იქვე, გვ. 381-383.

არის ამ ნაამბობში რამე საეჭვო და საჭოჭმანო?! მაშინ როდესაც კანდიდ ჩარკვიანის მონათხრობი ნიშანდობლივ კითხვებს იწვევს: ნუთუ საქართველოს პირველმა პირმა, რომელიც საკავშირო მთავრობასთან და, კერძოდ ი. სტალინთან, იმდენად ახლოს იმყოფებოდა, ვაჟაზე მისი შეხედულება მხოლოდ იმ საუბრისას გაიგო? ან ი. სტალინმა ამ გაგზავნილი ტომებით გაიცნო ვაჟა-ფშაველას შემოქმედება? თავიანთ მონათხრობში ვინ უნდა იყოს მართალი, აკაკი ვასაძე, რომელიც რაიმე წინასწარ დასახული მიზნის უქონლად გადმოგვცემს თავის ნანახსა და მოსმენილს, თუ კანდიდ ჩარკვიანი, რომელმაც ვაჟა-ფშაველასა და ქართველი ერის წინაშე დიდი უსამართლობა ჩაიდინა და მისგან თავის დაღწევას ცდილობს?

ახლა ნოდარ ალანიას დამოწმების თაობაზე.

მანამდე უნდა შევნიშნოთ: რ. თვარაძისა თუ მისი ინფორმატორის ცნობით, სტალინს ვაჟას დამამცირებელი სიტყვა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიღებისას უთქვამს, კ. ჩარკვიანი კი ამას ვაჟას ტომების მიღებას უკავშირებს! რ. თვარაძემ ეს არ იცოდა? თუ ი. სტალინმა ორივეჯერ თქვა?

როცა „კალმასობაში“ ბატონი რევაზის მოგონება დაიბეჭდა, მინდოდა, ამის თაობაზე მასთან საუბარი, მაგრამ ვერ მოვახერხე: სენი, რომელმაც მას ბოლო მოუღო, იმდენად გაუძლიერდა, რომ სამსახურში, ლიტერატურის ინსტიტუტში, იშვიათად მოდიოდა, ისიც მცირე დროით, მხოლოდ საბუთებზე ხელმოსაწერად, რამდენიმე თვეში კი გარდაიცვალა.

ვაჟას მიმართ ჩატარებულ იმდროინდელ მართლაც თავმოსაჭრელ ღონისძიებებზე ნოდარ ალანიასთან სხვადასხვა დროს სხვადასხვა ამბებთან დაკავშირებით მეც მისაუბრია. მაგალითად: პირველად მისგან მოვისმინე მწერალთა კავშირის სასახლის დარბაზის კედლიდან ვაჟას სურათის ჩამოხსნისა და გატანის ამბავი. ერთ-ერთ სხდომაზე როგორ აღიმაღლა ხმა დიმიტრი ბენაშვილმა და მაშინ სხდომის თავმჯდომარე გიორგი ლეონიძე ამაზე რა უხერხულად და ორჭოფულად აძლევდა მას პასუხს. მაგრამ არასოდეს არ უთქვამს, რომ ამ საქმეში ი. სტალინს რაიმე ბრალი მიუძღოდა. ნოდარი, რევაზ თვარაძისაგან განსხვავებით, რეპრესირებული ოჯახიდან არ ყოფილა, ი. სტალინის მიმართ სიძულვილი არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში ჩემთან, არასოდეს გამოუმჟღავნებია. პირიქით კი ყოფილა.

როცა ბატონი რევაზის აღნიშნული დამოწმება წავიკითხე, მე ამ საკითხზე საგანგებოდ ველაპარაკე ნოდარის მეუღლე **ლილი გოგოხიას**,

თანაკლასელ და თანაკურსელ **გალაქტიონ (კუსა) სიხარულიძეს**, თანაკურსელ და ახლო მეგობარ **გივი ლომიძეს,** უახლოეს მეგობარ **ოთარ (რიჩა) გაგუას**, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დამიდასტურა, მისგან ამის მსგავსი რამე გაეგონოს!

მაგრამ, რადგან კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, რა არის ეს „ცეცხლი"? აშკარაა, ვაჟა-ფაველას მიერ სოსო ჯუღაშვილის კიბეზე დაგორების შესახებ ლეგენდას საფუძველი დაუდო გაზეთ „დროებაში" მომხდარმა ერთმა ამბავმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთში გამოჩნდა კატორღიდან გამოქცეული ავანტურისტი, ვინმე პენზელი მდაბიო **ნიკოლოზ ივანეს ძე აშინოვი**, რომელსაც თავი *თავისუფალი ყაზახების ატამანად* მოჰქონდა. თავისი აფერისტული საქმიანობით პეტერბურგში განცხრომით ცხოვრობდა, ყველგან ძლევამოსილ გმირად მიაჩნდათ და არისტოკრატთა ოჯახები ფართოდ უღებდნენ კარს. თუმცა ზოგი ხედავდა, იგი აქეთ-იქით რა საძაგლად დაძრწოდა, მაგრამ მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

აი, ეს კაცი 80-იან წლების თბილისში ჩამოვიდა და თავისი ოინები დაიწყო. გაზეთმა „დროებამ" დაბეჭდა, რომ *„გამოჩენილა ერთი ვიღაც ხელაღებული აშინოვი (...) და მთელი ოდისეა დაუწყიაო"*.

აკაკი წერეთელი რუსულად დაწერილ მოგონებაში მოგვითხრობს: *„ერთ მშვენიერ დილას რედაქციის კანტორაში ვისხედით: თითონ რედაქტორი განსვენებული სერგეი მესხი, მე და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ასპარეზზე მაშინ ახლად გამოსული ჩვენი ცნობილი მწერალი **ვაჟა-ფშაველა**, როგორც მთიელს, მას ჩოხა ეცვა და ხანჯალი ეკიდა.*

უცებ შემოვარდა ვიღაც კაცი, ჩასხმული, ქერა, მაცეცა თვალებიანი, ყაზახურად გამოწყობილი და გააფთრებულად დაიწყო:

— «დროების» რედაქცია აქ არის? რომელია რედაქტორი? — დაიყვირა მან.

— რედაქტორი მე ვარ! რა გნებავთ? — უპასუხებს ოდნავ აღელვებული რედაქტორი.

— როგორ თუ რა მნებავს?! თქვენ მოათავსეთ სტატია... გალანძღეთ აშინოვი, აშინოვი კი მე ვარ!.. მე!.. თქვენ გნებავთ, ხელი შემიშალოთ?! თქვენ როგორც «ტუზემეცს», ალბათ, არ მოგწონთ ჩვენი კონფიდენციალური პოლიტიკა?

— ესე იგი, რაღაც ბოდვა...

— ბოდვა? თქვენ ამას ბოდვას უწოდებთ, როდესაც სხვა თქვენზე

უფრო კომპეტენტურნი გვიჯერიან და ხელს გვიწყობენ? ჰმ! .. განა თქვენ დედაქალაქის გაზეთებს არ კითხულობთ? მე თქვენ მოგაწვდით Московские ведомости*–ს.*

— თუ შეიძლებოდეს, ნუ ყვირით. აქ ბაზარი კი არა, რედაქციაა! მიბრძანდით აქედან.

— რას ნიშნავს მივბრძანდე? როგორ თუ მივბრძანდე! მე აქედან ცოცხალი არ გავალ, სანამ ჩემთანვე თქვენ მიერ დაბეჭდილის უარყოფას არ დასწერთ... — დაიყვირა მან და ხანჯალზე ხელი გაივლო.

რედაქტორი გაფითრდა, მე კი შევშინდი. მაგრამ ახალგაზრდა მთიელი ვაჟა-ფშაველა, რომელიც ცნობისმოყვარეობით უყურებდა მთელ ამ სცენას, უცებ წამოხტა, სტაცა აშინოვს კისერში ხელი, მაღლა აიტაცა და დაუყვირა: ვის აშინებ შენ ხანჯლითა, ჰა? იცოდე, შე უბადრუკო, ვიდრე ხანჯალს ამოიღებდე, თავს ათჯერ წაგაცლი!

ჩვენი «გმირი», რომელიც თავისი ხანჯლის წვერზე თეირანის მორთმევას გვპირდებოდა, ამნაირ რამეს არ მოელოდა. მას უცბად მიავიწყდა თავისი ხანჯალი, კილო იცვალა და მთავრობასთან ჩივილით დაიწყო მუქარა.

მაგრამ ახალგაზრდა მთიელმა დიდხანს ლაპარაკი არ დააცალა: ჰკრა პანღური და კიბეზე დააგორა".[9]

როგორც ვხედავთ, აშინოვისა და ი. სტალინის ამბები ერთნაირია. ჩემთვის წარმოუდგენელია, აკაკისა და ვაჟას ჩინებულ მცოდნე ნოდარ ალანიას აკაკის დამოწმებული მოგონება არ სცოდნოდა.

ახალგაზრდა ი. სტალინთანაც იგივე რომ მომხდარიყო, რაც აშინოვთან, ვიმეორებთ, ამის შესახებ არავითარი სანდო ცნობა არ მოიპოვება. პირიქით, ი. სტალინის თანასემინარიელი პეტრე კაპანაძე იგონებს, რა ძალისძალით გაუშვეს იგი „ივერიის" რედაქციაში ილია ჭავჭავაძესთან და რა კრძალვით იყო ის გამსჭვალული მისთვისაც სასიქადულო მწერლისა და მოღვაწისადმი: „*მუდამ საღი ატმოსფეროს მაძიებელ სოსოს თბილისის პოპულარულ გამომცემლობებთან ცოცხალი კავშირი ჰქონდა. ფხიზლად თვალყურს ადევნებდა საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას, პუბლიცისტიკას, სიტყვაკაზმულ მწერლობას, ბელეტრისტიკასა და ისტორიას გატაცებით კითხულობდა. სემინარიის მეორე კლასში იყო, რომ თითონაც სცადა წერა. პირველი მისი ნაწარმოები ლექსები იყო. რამდენიმე ლექსი ამხანაგთა მცირე წრეს წაუკითხა.*

[9] ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ, შეადგინეს: იუზა ე ვ გ ე ნ ი ძ ე მ, ლადო მ ი ნ ა შ ვ ი ლ მ ა, ჯუმბერ ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე მ, თბ., 2003, გვ. 400-401.

ამხანაგებს ძალიან მოეწონათ სოსოს ლექსები, ზოგი პირდაპირ აღტაცებული იყო.

ამხანაგებმა ურჩიეს ლექსი წაეღო გაზეთში დასაბეჭდად. იმ ხანად გაზეთი «ივერია» გამოდიოდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა.

სოსო დიდ უარზე იდგა, მორცხობდა, ეკრძალებოდა, მაგრამ ბოლოს ამხანაგთა დაჟინებითი მოთხოვნით, როგორც იყო, რედაქციისაკენ გაემართა. რედაქციაში «მეველე» (დავით მიქელაძე) დახვედროდა და სოსოს განცხადებაზე — მინდა რედაქტორი ილია ჭავჭავაძე ვნახოო, ეპასუხნა, ამჟამად ილია აქ არ არის და ხვალ შეგიძლია ნახვაო.

სოსოს აღარ უნდოდა მეორედ წასვლა რედაქციაში. ამხანაგები აღარ მოეშვნენ. მეორე დღეს სოსომ «მეველის» მითითებით მოკრძალებით შეაღო ილიას კაბინეტის კარი და თავდაბალი სალამი მისცა დიდ მწერალს. როცა ილია შეეკითხა — ახალგაზრდავ, რა გინდაო, — სოსომ მოკრძალებით გაუწოდა თავისი დაწერილი ლექსი.

სოსო გულისძგერით მოელოდა ილიას მსჯავრს. გაათავა ილიამ ლექსის წაკითხვა, ცოტა შეისვენა, რამდენჯერმე შეხედა მის ავტორს, წამოდგა, მხარზე ხელი დაადო სოსოს და უთხრა — «კარგი ლექსია, ახალგაზრდავ, იმეცადინე, სწერე და კარგი მწერალი იქნებიო».

სოსო გაბარებული და კმაყოფილი დაბრუნდა. არანაკლებ სასიამოვნოდ დაგვრჩა ეს გარემოება მის მეგობრებსაც. ჩქარა მისი ლექსი «ივერიაში» დაიბეჭდა და ჩვენს სიხარულს დასასრული არ ჰქონდა. მახსოვს, ის ნომერი გაზეთისა მოწაფეთა ხელიდან ხელში გადადიოდა...“[10]

უცნაურზე უცნაურია, ამ მონათხრობში რაიმე ეჭვი შეიტანო, როგორც ამას ალექსანდრე დაუშვილი სჩადის: „*ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ზემოთ მოტანილი მოგონება, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრის ეპიზოდი, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, თუმცა მასში არც დაუჯერებელი ამბავი არ არის გადმოცემული“.*[11]

დასკვნის სახით დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ი. სტალინის შესახებ აღნიშნული ლეგენდა გაუგებრობის ნიადაგზეა შექმნილი, ყოველ შემთხვევაში, ნოდარ ალანიასთან მას არავითარი კავშირი არ აქვს!

---

[10] პ. კაპანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრმობა (მოგონება), თბ., 1945, გვ. 54-55.

[11] ალექსანდრე დაუშვილი, სოსო ჯუღაშვილის ამბავი, წიგნი პირველი, სოსელო, თბ., 2000, გვ. 122.

თინა იველაშვილი

მესხეთიდან გასახლებული მუსლიმების ისტორია
2. ახალციხის მაზრა

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის, ე. წ. „თურქი მესხების“ დაბრუნება-არდაბრუნების პრობლემა და მათი ვინაობის გარკვევის საკითხი ქართველი ხალხის წინაშე დიდი ხანია დგას და მის შესახებ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ქვეყანაში პოლიტიკური ციებ-ცხელების გამძაფრების შესაბამისად, ეს პრობლემა პოლემიკის სახით დროდადრო აქტიურად წამოტივტივდება (თუ შეგნებულიდ წამოატივტივებენ ხოლმე).

დღეისათვის არსებული წერილობითი წყაროების, სპეციალური თუ ზოგადი ლიტერატურის, საარქივო დოკუმენტებისა და ჩვენ მიერ ათეული წლების განმავლობაში მოძიებულ-დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშეჯერება-გაანალიზება საშუალებას იძლევა, ერთხელ და საბოლოოდ განისაზღვროს, რა ობიექტურ-სუბიექტური მიზეზების გამო მოხდა სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე (განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა) მოსახლეობის შუა აზიაში გასახლება.

გამაჰმადიანებული მოსახლეობა (თარაქამები, ქურთები, თურქები, მოგვიანებით ისლამმიღებული ქერთველები) გასახლებამდე ძირითადად ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ცხოვრობდა. ახალქალაქის მაზრის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. „სამი საუნჯე,“ 2, 2013). წარმოდგენილ წერილში კი მიმოვიხილავთ 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციამდე ახალციხის მაზრაში, ხოლო რევოლუციის შემდეგ ახალციხისა და ადიგენის რაიონებში არსებულ მდგომარეობას.

წერილობითი დოკუმენტებითა და ეთნოგრაფიული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ XX ს-ის 40-იან წლებამდე, ეთნიკური შემად-

გენლობითა და რელიგიური კუთვნილების მიხედვით, ახალციხისის მაზრის მოსახლეობა მეტად ჭრელი იყო. აქ ცხოვრობდნენ ძირძველი, მკვიდრი ქრისტიანი და ნაწილობრივ გამაჰმადიანებული ქართველები, მოგვიანებით შემოცხოვრებული ქურთები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები თუ ყარაფაფახელები.

1870 წელს გამოცემული „თბილისის გუბერნიის აღწერილობის მასალების კრებულის“ მონაცემებით, იმ დროისათვის ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ცხოვრობდა: „მაჰმადიანი ქართველი — 20 855 სული, ქურთი — 1 067, თარაქამა — 2 360, თათარი — 575“ [3, 7], სულ — 24 857 სული.

1916 წლის მონაცემებით, ახალციხის მაზრაში „ქართველი მუსლიმები — 52 000, ქურთები — 2 000, ახალქალაქის მაზრაში — 7 000 მუსლიმი ქართველი, 1000 — ქურთი და 1000 თარაქამა“ ცხოვრობდა [4, 12]. ამ მონაცემებს თუ შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ ორივე მაზრაში მთლიანობაში 59 ათასი ქართველი მაჰმადიანი, 3000 ქურთი და 1000 თარაქამა ცხოვრობდა, მთლიანობაში კი ორივე მაზრის მუსლიმანური მოსახლეობა 63 000 სულს შეადგენდა.

1939 წლის აღწერის მასალებით, ახალციხის რაიონში 83 სოფელი იყო 55 450 სული მოსახლეობით. აქედან ქრისტიანი ქართველები 5 836 სულს შეადგენდა, გამაჰმადიანებული ქართველები — 28 428 სულს, სომხები — 16 454 სულს, ქურთები — 1 423 სულს. ქრისტიანი ქართველები ცხოვრობდნენ 7 სოფელში, გამაჰმადიანებული ქართველები — 47 სოფელში, სომხები — 14 სოფელში, ქურთები — 24 სოფელში და ბერძნები — 1 სოფელში [1;2,69]. თუ შევაჯამებთ ამ მონაცემებს, დავინახავთ, რომ ახალციხის რაიონიდან გასახლებულთა რიცხვში მოხვდა 28.428 გამაჰმადიანებული ქართველი და 1 423 ქურთი, სულ 29 851 სული [2,60].

ახალციხის რაიკომის მდივნის, გ. კირვალიძის მიერ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივან კ. ჩარკვიანისადმი 1944 წლის ივნისში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია: ახალციხის რაიონის გამაჰმადინებული ქართველებით დასახლებული 47 სოფლიდან, რომელთა მოსახლეობის მუსლიმანიზაცია ფაქტობრივად XVIII საუკუნიდან დაიწყო (აღარას ვამბობთ ქურთების სოფლებზე), „22 სოფელში კარგად ლაპარაკობენ ქართულ ენაზე...12 სოფელში ქართულად სუსტად ლაპარაკობს მცირე ნაწილი მოსახლეობისა და უმეტესობა მათ შორის მოხუცებია, ახალგაზრდობამ და ბავშვობამ თითქმის არ იცის ქართული ენა... დღეისათვის 47 სოფლიდან მხ-

ოლოდ 24 სოფელში ლაპარაკობენ და ესმით ქართული ენა“ [3,60].

იმ სოფლებში, სადაც მხოლოდ გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ, უკვე დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ქართული; ფაქტობრივად, თურქულ ენაზე საუბრობდნენ და მათი უმრავლესობა ეთნიკურად თურქობას აღიარებდა.

1918–1919 წლებში, ამ სოფლების გამაჰმადიანებული მოსახლეობისგან შემდგარი ფანატიკოსთა ბანდები, ე. წ. ხუჟნები* ქრისტიანებს, გამურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა.

გამაჰმადიანებული ქართველების ის ნაწილი, რომელიც ქრისტიან თანამოძმეებთან ერთად ცხოვრობდა, ნაწილობრივ ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი ქართული ეროვნული ცნობიერება, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ძნელბედობის ჟამს გაჭირვებაში ჩავარდნილ ქრისტიან თანამოძმეებს და მოძალადე თანამორწმუნეებისგან იარაღითაც კი იცავდა. სამწუხაროდ, ასეთი ერთეულები ამინდს ვერ ქმნიდნენ, ამიტომ არა მარტო ახალქალაქის, არამედ ახალციხის მაზრის ქრისტიან მოსახლეობასაც ამ წლებში ორჯერ მოუხდა აყრა და გაქცევა.

1944 წლისთვის სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სარწმუნოებაგამოცვლილი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე თავისი შეგნებით, მრწამსითა და რწმენით თურქი იყო და ნებაყოფლობით აირჩია გასახლებულთა ბედი. ეს რომ სიმართლეა, იქიდანაც ჩანს, რომ იმ სოფლებში, სადაც შერეული ქრისტიანულ-მაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობდა, გასახლებამდე რამდენიმე დღით ადრე მოწვეულ იქნა სოფლის საერთო კრება. ყოველ მაცხოვრებელს, განურჩევლად რწმენისა, მიეცა საშუალება, ნებაყოფლობით აერჩია ქრისტიანობა-ქართველობა ან მაჰმადიანობა-თურქობა (ამ რეგიონის მოსახლეობაში ქრისტიანობა ნიშნავდა ქართველობას, ხოლო მაჰმადიანობა – თათრობა-თურქობას). არა მარტო ქურთებმა, თარაქამებმა და თურქებმა, არამედ სარწმუნოებაგამოცვლილმა ქართველთა დიდმა უმრავლესობამაც (რამდენიმე ცალკეული ოჯახის გარდა) შეგნებულად თავის რჯულად მაჰმადიანობა, ე. ი. თურქობა აღიარა და, ამდენად, თვითონვე გადაწყვიტა თავისი ბედი; მათ მაჰმადის რჯულის დატოვებას სამშობლოს დატოვება ამჯობინეს და, როგორც მასალებიდან ჩანს, ამას მათი შთამომავლობა არც ნანობს.

---

* ადგილობრივი მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობა „ხუჟნებს“ ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველთა მოთარეშე ბანდებს ეძახდა.

უკვე ათეული წლებია ქართველი თუ უცხოელი „ჭკუის დამრიგებელნი“ დაჟინებით გვიკიჟინებენ, რომ ამ მოსახლეობის გასახლება იყო „საბჭოთა ბოროტება“, ამ მოსახლეობის მიმართ შეგნებულად გატარებული გენოციდი“ და ა. შ. მაგრამ არავინ ხმას არ იღებს იმ ობიექტურ (თუნდაც სუბიექტურ) მიზეზებზე, რის საფუძველზეც გადაწყდა, მაინცდამაინც საზღვრისპირა რეგიონებიდან, მხოლოდ მაჰმადიანი მოსახლეობის — ქურთების, თურქების, ჰემშირების, სარწმუნოებაგამოცვლილი ქართველებისა და არა აქ მაცხოვრებელი სხვა ხალხების, მაგალითად, სომხების, ებრაელების, უკრაინელების, ოსების, ან თუნდაც ქვემო ქართლიდან აზერბაიჯანელების გასახლება. ყველა ლაპარაკობს ამ გასაიდუმლოებული დადგენილების შესახებ, იშველიებენ „გადასახლების ჩატარების შესახებ არსებულ ინსტრუქციას“, მაგრამ სრული ტექსტი (თავისი პრეამბულით) ამ საიდუმლო დადგენილება-ბრძანებისა, არც ერთ კრიტიკოსს დაფიქსირებული არ აქვს, ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილ რეალობებს კი იგნორირებას უკეთებენ. ისე კი, ყველა კერძო პირი და სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, ვინც ამ გასახლებულთა საკითხებზე „მუშაობს“, მასალების და ინფორმაციის მისაღებად არა სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ რეპატრიანტებისაგან მიღებული ინფორმაციით კმაყოფილდებიან და მათ მონათხრობს, მოპირდაპირე მხარესთან გადაუმოწმებლად, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს „უტყუარ საბუთად“ აწვდიან.

ცნობილი ფაქტია, რომ, „საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებში საზღვარი თურქეთთან ისე მტკიცე არ იყო, რომ თავისუფალ მოძრაობას დაჩვეული თათრები მისვლა-მოსვლას დახსნოდნენ....საასაზღვრო რეჟიმი 1937 წლიდან გამკაცრდა, მაგრამ მისვლა-მოსვლა მაინც გრძელდებოდა. თათრები საზღვარზე გადმოდიოდნენ და იქიდან ახლობლების მოკითხვა და დანაბარები მოჰქონდათ აქაურებისათვის. თურქეთში ქრისტიანი ქართველიც ბევრი იყო, პოლიტიკური თუ სხვა მოტივით გადახვეწილი. 1944 წლამდეც კი არალეგალური მიმოსვლა და მათთან კონტაქტი არ შეწყვეტილა“, —სამართლიანად აღნიშნავს მ. ბერიძე [6, 110].

„მეორე მსოფლიო ომის მოლოდინში მყოფი საბჭოთა ხელისუფლება ახალ აღწერას ატარებს და ამავდროულად, მოსახლეობის პოლიტიკურ განწყობასაც ფარულად ამოწმებს. 1937 წლის აღწერის შედეგები მთავრობამ „დეფექტურად“ ჩათვალა და 1939 წელს ხელახალი აღწერა ჩაატარა. ამ აღწერის დროს მთლიანად იქნა

უგულვებელყოფილი ეროვნული მიკუთვნებულობის განსაზღვრის გენეტიკური და ისტორიული ფაქტორები. გამოსაკითხი პირი საკუთარ ეროვნულობას თვითონ ასახელებდა“ [8,59]. ამ აღწერისას მაჰმადიანმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი ეროვნული კუთვნილება. საბოლოოდ, საკუთარი ნებით ოფიციალურად გაემიჯნა ქართველობას და თავი თურქად (აზერბაიჯანელად) გამოაცხადა[6,112]. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ამ ფაქტში საშიში ტენდენცია დაინახა. სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე მოსახლეობის (განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა) დიდი ნაწილი დაუფარავად აღიარებდა არა მხოლოდ თურქეთთან კონფესიურ და ეთნიკურ იდენტურობას, არამედ გამოხატავდა ფარულ პოლიტიკურ ნებასაც — თურქეთის სახელმწიფოსადმი სიმპათიას და მისგან შესაძლო მფარველობის იმედს.

როგორც ჩანს, მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევა საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას ბიურის 1937 წლის 15 ივნისის დადგენილებით, აღწერის წინ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან შეიქმნა კომისია, რომელიც ვითარების გასარკვევად სამცხე-ჯავახეთში გაემგზავრა.

კომისია ადგილზე ატარებდა მოსახლეობის გამოკითხვას მათი ეროვნული კუთვნილების შესახებ. არაოფიციალური ცნობებით, მაჰმადიანებს წინადადებას აძლევდნენ, რომ ქართველებად დაწერილიყვნენ. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში აკად. ს. ჯანაშიაც შედიოდა. მან მოიარა სამცხე-ჯავახეთის სოფლები, სადაც ხვდებოდა მაჰმადიან მოსახლეობას, არკვევდა მათ ეროვნულ კუთვნილებას და ქართველებად ჩაწერას სთავაზობდა. ამ წინადადებას მოსახლეობა სასტიკი უარით ხვდებოდა. მ. ბერიძის მოტანილი აქვს არა ერთი ფაქტი იმისა, თუ როგორი წინააღმდეგი იყო მუსლიმანური მოსახლეობა პასპორტსა თუ აღწერის გრაფაში ქართველად ჩაწერისა. ერთ-ერთი მთხრობლის გადმოცემით: „ასპინძის რაიკომში მაშინ მუშაობდა ინდუსელი გელაშვილი, სახელად მურთაზი ერქვა, ქართულს ჩვეულებრივად ლაპარაკობდა. რაიკომის მდივანს, ეტყობა, ენანებოდა გასასახლებლად და შესთავაზა, — კაცო, მაინც ქართული გვარი გაქვს და რა იქნება გაქართველდეო, — არაო, რჯულს არ შევიცვლიო. — რჯულის შეცვლას და მონათვლას ხო არავინ ავალებდა, მარტო პასპორტში უნდა ჩაეწარა ეროვნებად ქართველი. — არ ქნა, არ აღიარა თავი ქართველად და გაასახლეს სხვებთან ერთად“[6,

116]. მისი მართებული შენიშვნით: ამ საგანგებო აქციის მიზანი „იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად შეიძლებოდა ქართველ მაჰმადიანთა თურქული ორიენტაციიდან შემობრუნება და მათში პოლიტიკური დასაყრდენის მოპოვება“ [6, 112].

ფაქტია, რომ 1941-1944 წლებში თურქეთის საზღვრებთან მოსახლე მაჰმადიანურმა მოსახლეობამ მთელი რიგი სირთულეების წინაშე დააყენა იმდროინდელი ხელისუფლება. თვალსაჩინოებისთვის რამდენიმე ფაქტს მოვიტანთ. სამცხე-ჯავახეთში დარჩენილ ადგილობრივ მკვიდრ ქრისტიან ქართველთა გადმოცემით: „ჩვენი ქვეყანა თურქეთთან საომარ მდგომარეობაში იყო, რადგან ის გერმანიის მოკავშირეს წარმოადგენდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა ომში ჩაბმულიყო ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ აქ, საზღვართან ჩვენი სამხედრო ბატალიონები იდგა და თურქების გამო გერმანიის ფრონტზე ვერ მიდიოდა. მართალია, ჯარი იდგა, მაგრამ თათრების გადასვლა-გადმოსვლა მაინც არ წყდებოდა. თათრებში ჩუმათ ძალიან მუშაობდნენ მოლები და ხალხს აქეზებდნენ, რომ ომში არ წასულიყვნენ. არაერთხელ მოხდა, რომ ვისაც პოვესტკა (ჯარში გასაწვევი ბარათი) მიუვიდა ომში გაწვევისა, ან საზღვარზე გადავიდა ჩუმად და თურქეთში გაიქცა, ან შეირაღებული ტყეში გავიდა. ომის პერიოდში ადიგენის ტყეებში ასეთი 200-კაციანი შეიარაღებული რამდენიმე ბანდა იყო“[7].

1942 წელს სოფელ მუსხის გამაჰმადიანებული მოსახლეობისაგან შეიქმნა 300 კაციანი რაზმი და ფრონტზე წასვლის ნაცვლად ტყეში გავიდა. ამავე წელს სოფელ ხონიდან ფრონტზე გაწვეულმა ოცდაორმა მაჰმადიანმა წვევამდელმა საზღვარი გადალახა და თურქეთში გადავიდა. თურქეთის მხრიდან მეორე ფრონტის გახსნის მოლოდინში, თურქეთის ხელშეწყობით შეიარაღებული გამაჰმადიანებულ ქართველთა სამასკაციანი ჯგუფი მოხის ტყეში იყო დაბანაკებული. მათ გასანეიტრალებლად ხელისუფლებას სამხედრო ძალის გამოყენება დასჭირდა. ფაქტების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის დასანახათ, როგორი „ეროვნული სულისკვეთებით“ იყო გამსჭვალული სამცხე-ჯავახეთში მაცხოვრებელი მუსლიმანი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

ინფორმატორთა ცნობით, „ომის დამთავრებისას ქვეყნის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა, თურქეთისაგან მიტაცებული ჩვენი მიწები დაებრუნებინა. ამიტომ ამოწმებდა თათრების სანდოობას და მათ სოფლებში თავისი ხალხი შეგზავნა. მაგალითად, გასახლებამდე რამდენიმე თვით ადრე 60 ჩეკისტი შევიდა ვალეში, ვითომ

ომიდან გამოქცეულები. ისინი საბძელში ცხოვრობდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ: „მალე თურქეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყებს ომს და ვისაც იარაღი გაქვთ, ჩვენთან მოიტანეთ და შემოგვიერთდითო.“ ძალიან ბევრმა თათარმა დამალული იარაღი (თოფი, ვინტოვკა, ტყვიამფრქვევიც კი) მათთან ჩუმად მიიტანა და თურქების შემოსვლას ელოდნენ“[7].

„მაჰმადიანური მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია, როგორც ჩანს, დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენდა მხარის დანარჩენი მოსახლეობისათვის. თათრები თავიანთ მომავალს აშკარად აკავშირებდნენ სხვა სახელმწიფოს ბედთან. ამიტომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ქართველ მოსახლეობაში გაჩნდა თათრების აგრესიის შიში“[6,115].

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, 64-65 ათასი მუსლიმანური სარწმუნოების მქონე ადამიანი გაასახლეს და არა 125 ათასი, როგორც ამას ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია თუ მისი წარმომადგენელი აცხადებს [3,12]. ამ ციფრს თუ სომხეთიდან რამდენიმე ათეულ ათას გასახლებულ მუსლიმანურ მოსახლეობას დავამატებთ, რომელთა შორის „1926 წლის აღწერით 6311 ყარაფაფახელი“ იყო [10,24], მაშინ კი გამოვა 125 ათასი.

მეტად საინტერესოა ერთი გარემოება. სომხეთმა არ აღიარა მისი ტერიტორიიდან იმ რამდენიმე ათეული ათასი მუსლიმი მოსახლეობის გასახლების ფაქტი და, აქედან გამომდინარე, არც ვალდებულება აიღო მათი უკან დაბრუნების შესახებ. როგორც ჩანს, უცხოეთის გარკვეული წრეების მიერ მსუყე დაფინანსებით საქართველოში დაფუძნებულმა „კვლევითმა“ ინსტიტუტებმა და ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლებულმა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს მოსახლეობაც მიზანმიმართულად „თურქ მესხებად“ მონათლეს და საქართველოს თავსატეხად აქციეს.

ყველა პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია, ვისაც არ ეზარება ამ თემაზე საუბარი, რატომღაც სამხრეთ კავკასიიდან (როგორც საქართველოს სხვა კუთხეებიდან, ისე სომხეთიდან) გასახლებულ მუსლიმანურ მოსახლეობას, გარკვეული პოლიტიკური მიზნით, მხოლოდ და მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში მაცხოვრებლებად მიიჩნევს და მათ გენეტიკურ მეხსიერებაზე ამახვილებს ყურადღებას.

საერთოდ, რაც შეეხება „გენეტიკურ მეხსიერებას“ (რომლისთ-

ვისაც ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე თავს იკლავს), იგი სიცოცხლის უნარიანია მხოლოდ იმ ხალხში, რომელსაც არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება, მშობლიური ენა, ტრადიციები და ეროვნული მეობა. გენეტიკური მეხსიერება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სრულიად გააზრებულად შემორჩენილი აქვთ არა რაღაც 60-70 წლის წინათ სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ გამაჰმადიანებულ ქართველობას, არამედ სამი-ოთხი საუკუნის წინ კახეთიდან ძალით აყრილ და ფერეიდანში გადასახლებულებს, ასევე თურქეთის საქართველოში საკუთარ მიწაზე მცხოვრებ მილიონობით ქართველს, რომლებსაც რამდენიმე ასეული წლის წინ სარწმუნოება შეუცვალეს, მაგრამ ეროვნული მეობა, მენტალიტეტი, თვითშეგნება არ დაუკარგავთ და დღესაც (ყოველ შემთხვევაში ოჯახში მაინც) მშობლიურ ქართულ ენაზე მეტყველებენ.

მართალია, 1999 წელს, გარეშე ძალების ფარული ზეწოლის შედეგად, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მიეღო გადაწყვეტილება 1994 წელს სამხრეთ კავკასიიდან გასახლებული მუსლიმანური მოსახლეობის უკან დაბრუნების შესახებ, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს, ისიც აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება გადაწყვეტილებად დარჩა და მის განსახორციელებლად კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა.

დღეს, როდესაც ლუკმა-პურის შესაძენი გროშების მოსაპოვებლად საქართველოდან, რომლის მოსახლეობაც ოფიციალურად ოთხ მილიონს ძლივს მოითვლის, თითქმის მილიონნახევარი შრომისუნარიანი საზღვარგარეთ არის გადახვეწილი, მათი დაბრუნებისთვის შრომითი პირობების შექმნის ნაცვლად, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან (და არა მარტო სამცხე-ჯავახეთიდან) სარწმუნოებაგამოცვლილი და ეროვნული თვითშეგნებადაკარგული გასახლებული მოსახლეობის უკან დაბრუნების შესახებ ევროკავშირისა თუ გაურკვეველი ფუნქციების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებულ უაზრო ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობას გამოვკიდებივართ.

როცა სჭირდება, ევროსაბჭო, დროდადრო საქართველოს შეახსენებს ამ ვალდებულებების არსებობას. სწორედ „ამგვარი შეხსენების“ შემდეგ ქართულ პოლიტიკაში აქტიურად მუსირებს ე. წ. „თურქი მესხების“ „სამშობლოში“ დაბრუნებისა და მათი ინტეგრაციის საკითხი. ამ საქმეში ჩარეულია არაერთი პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ვითომდა საქმის

შესასწავლად ასეულათასობით (დღეისათვის უკვე მილიონობით) თანხებს ითვისებენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სრულიად მართებულად აღნიშნავს ადამიანთა უფლების დამცველი გიორგი თევზაძე: საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის „გასახლების გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო საკავშირო ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე. საინტერესოა ევროსაბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომა. რატომ ავალდებულებენ საქართველოს საკავშირო ხელისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგების ლიკვიდაციას“[9].

ამ არასამთავროების ნაცვლად (რომლის წევრთა უმრავლესობამ ხეირიანად არც კი იცის, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების საზღვრები რა ტერიტორიებს მოიცავდა, ვინ ცხოვრობდა წარსულში ან ვინ ცხოვრობს დღეს. ამიტომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხშირად დაუზუსტებელი და მცდარია) უკეთესი იქნება, შეიქმნეს კომპეტენტურ სპეციალისტთა მცირე ჯგუფი (მასში აუცილებლად ჩართულნი უნდა იყვნენ გამოცდილი იურისტები და ისტორიკოს-ეთნოგრაფები), რომელიც საკითხის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლის შედეგად მისი გადაწყვეტის შესახებ დასაბუთებულ დასკვნას დადებს.

ყურადღებიდან არც ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გამოგვრჩეს. ადვილი შესაძლებელია, მეზობელი სახელმწიფოს მუშაობის შედეგად, ზოგიერთმა საქართველოში შემოღწევისა და თავისი პოზიციების განმტკიცების სურვილით შეპყრობილმა, დროებით არც ქართულ წარმომავლობაზე და არც ქართული გვარის დაბრუნებაზე თქვას უარი, რათა ჩვენი ქვეყნის საზიანოდ გარედან დაკვეთილი, შორს გამიზნული ვერაგული ჩანაფიქრის განსახორციელებლად როგორმე „სამშობლოში“ დაბრუნდეს. ამას გვაფიქრებინებს ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები. კერძოდ: რელიგიურ ნიადაგზე მოსახლეობის დაპირისპირების არაერთი შემთხვევა, მიხეილ სააკაშვილის მიერ თურქეთის ათასამდე მოქალაქისთვის უპირობოდ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება, საქართველოში ისლამისტთა რაოდენობის გაზრდის აუცილებლობის შესახებ თურქეთის გარკვეული პოლიტიკური წრეების განცხადებები და ა. შ.

ჩვენ ადრეც ვაცხადებდით და ახლაც ვამბობთ, რომ ყოველი ქართველი, თუ მას შემორჩენილი აქვს ეროვნული თვითშეგნება, სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამშობლოში დაბრუნების სურვილი, ჩვენი საზრუნავია და შეძლებისდაგვარად კიდეც უნდა დავეხმაროთ.

მაგრამ ისიც უნდა დაგვეხმაროს იმით, რომ გაითვალისწინოს ქვეყნის დღევანდელი შესაძლებობები, შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დასთანხმდეს იმას, რასაც არსებული ვითარებიდან გამომდინარე სახელმწიფო შესთავაზებს.

დაბოლოს, ე.წ. „თურქი მესხების“ საქართველოში შემოსახლება-არშემოსახლებას, ეს ჩვენი შინაური საქმეა და თუ ჩვენ სრულუფლებიანი, სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვჭირდება არც გაეროს, არც მსოფლიო ბანკისა და არც ევროკავშირის წინაშე რაიმე ვალდებულებების აღება, არც მათი, ხშირად ჩვენი სინამდვილისათვის მიუღებელი, მითითებებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება-შესრულება.

გამოყენებული ლიტერატურა

1 . გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი,“ № 63 (11293), 1989 წ.

2. ჟურ. „საბჭოთა სამართალი,“ № 7, 1989 წ.

3. მ. ბარათაშვილი, მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თბ., 1998.

4. პ. ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, კონსტანტინოპოლი, 1918.

5. მ. ბერიძე, მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა, ახალციხე, 2013.

6. მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები ახლო წარსულიდან, თბ., 2005.

7. თ. იველაშვილი, 1983 წლის სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

8. ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს., დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1994.

9. გაზ. „ახალი თაობა,“ № 109, 2011 წ.

10. ტომ ტრირერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორესტ კოლიმნიკი, გზა შინისაკენ, თბ., 2011.

ბონდო არველაძე

ვერცხლის ჭუჩაზე ქართული ეკლესია დგას

ჟურნალ „სამი საუნჯის“ 2011 წლის №1 ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი ნაშრომი — „თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (სურბ-ნშანის) ეკლესიის გადაცემას სომხები უპირობოდ მოითხოვენ“. მასში საისტორიო წყაროების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვაჩვენე, რომ ეს ეკლესია ძველ ქართულ საკულტო ძეგლზეა დაშენებული ან აშენებული. ამ მოსაზრებას არ იზიარებს სამველ კარაპეტიანი (იხ. «Церковь сурб-Ншан сурб Никогойоса, Тбилиси, 2012, документы Армянской Архитектуры, ერევანი). ამთავითვე უნდა ვთქვა, სომეხი მეცნიერის განცხადებით, წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესია სომხურია; მაგრამ განცხადება განცხადებად რჩება, რადგან ის „ახალი ცნობები“, რითაც იგი აღნიშნული მოსაზრების დამტკიცებას ცდილობს, ამ ეკლესიის სომხურ წარმომავლობას კი არ ადასტურებს, არამედ კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ იგი XVII ს-ში სომხებს ჩაუგდიათ ხელში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ამ ეკლესიის აშენების თარიღი უცნობია, მაშინ გამოდის, რომ ს. კარაპეტიანი კვლევას ბოლოდან იწყებს. მას ჯერ მისი აშენების დრო უნდა დაედგინა და მერე ემტკიცებინა ამ ეკლესიის „სომხურობა“. ეს მან ვერ გააკეთა, ხოლო მის მიერ მიგნებული „ახალი ცნობები“ კი, როგორც აღვნიშნეთ, თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (სურბ-ნშანის) ეკლესიის სომხურ წარმომავლობას კი არ ადასტურებს, არამედ ამტკიცებს იმას, რომ XVII ს-ში ეს ეკლესია უკვე მისაკუთრებული ჰქონიათ სომხებს, რაც ისედაც იყო ცნობილი. კონკრეტულად როდის მოხდა ეს და კანონიერი გზით დაეპატრონნენ მას, თუ მათი ჩვეულებისდა მიხედვით მიიტაცეს, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ დავადგინეთ.

ამდენად, თუ სამველ კარაპეტიანს უნდოდა ამ ეკლესიის თავიდანვე სომხურობა დაემტკიცებინა, რისი სურვილიც მის ნაშრომში აშკარად ჩანს, ამისთვის უნდა მოეტანა სარწმუნო წყარო, რომელიც თბილისის წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის პირველად აშენების თარიღს პირდაპირ ან არაპირდაპირ თუ არ დაადასტურებდა, მიანიშნებდა მაინც. თუ იგი ფიქრობს, წმ. ნიკოლოზის ეკლესია XVII ს-ში აიგო, მაშინ ხსენებული საარქივო საბუთები არ გამოადგება, რადგან მათში ლაპარაკია სომეხ ბერზე, რომელსაც 1624 წელს ამ ეკლესიაში ხელნაწერი გადაუწერია; აგრეთვე, მეორე საბუთის მიხედვით, 1656 წლის სამახსოვრო ჩანაწერზე, საჩუქარზეა საუბარი და არა ამ ეკლესიის აშენების თარიღზე. ამ სომხური საბუთის თანახმად, ცხადი ხდება მხოლოდ ერთი რამ — თბილისის წმ. ნიკოლოზის მართლმადიდებელი ეკლესია XVII ს-ში უკვე სომხურ-გრიგორიანულია.

ს. კარაპეტიანი გვთავაზობს მის მიერ მოპოვებულ „ახალ წარწერებს“, რომელშიც ლაპარაკია ამ ეკლესიის რესტავრაციის შესახებ.

პირველი წარწერა — „111 (1662)... რძალი; გასპარი; ბეროს სიდედრი, ქარაიაჰატ (მშენებელი) ნავასარდ არიჭიდან; ეს ეკლესია აშენდა მისი ხელით“.

ს. კარაპეტიანის ინტერპრეტაცია ასეთია: ეპიგრაფიკული წარწერის წყალობით ირკვევა არა მარტო ამ ეკლესიის მორიგი რესტავრაციის თარიღი (1662), არამედ მისი არქიტექტორის სახელი — ნავასარდ. ეს წარწერიანი ხაჩქარი უნახავს სამხრეთ აფსიდში (მინაშენში) და ასკვნის: «по всей вероятности, строительная надпись старой церкви с целью сохранения была перевезена в южной придел новой церкви после ее возведения» (გვ. 4).

საინტერესოა, რის საფუძველზე ასკვნის, რომ ამ ეკლესიის საააღმშენებლო წარწერა ძველი ეკლესიიდან გადმოიტანეს ახალი ეკლესიის სამხრეთ მინაშენში. ამის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ აქვს. მაგრამ ეს სჭირდება იმისთვის, რომ განაცხადოს: XVII საუკუნის ეს წარწერა „პირველწყაროა“, რომელიც ადასტურებს, რომ თითქოს წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის მშენებლობის დაწყებამდე (ხან წერს „რესტავრაციას“, ხან „მშენებლობას“. თუმცა მათ შორის დიდი აზრობრივი განსხვავებაა), იქ საუკუნით ადრე ნამდვილად იდგა სურბ-ნშანის ეკლესია, რომელიც „საფუძვლიანად აღუდგენია „არქიტექტორ ნავასარდს“ (გვ. 4).

ვფიქრობთ, ძალიან ტენდენციური დასკვნაა. ამ წარწერის მიხედ-

ვით, სულაც არ ჩანს, რომ 1662 წლის რესტავრაციამდე აქ სომხური ეკლესია იყო, თანაც საუკუნით ადრე აგებული; ანდა რით მტკიცდება — ეს ვითომ ძველი სომხური ეკლესია შემდგომი სურბ-ნშანის სეხნია რომ იყო...

მეორე წარწერაში, რომელიც ხაჩქარზეა განთავსებული, წერია: „სურბ-ნშანი“ (წმინდა ჯვარი). ეს სახელი ეკუთვნის ამ ხაჩქარს (ქვა-ჯვარს) და, ამდენად, ამ ეკლესიის სახელწოდებად ვერ განიხილება.

აღსანიშნავია, რომ სომხური ტექსტის რუსულ თარგმანში სიტყვა — *ქარაიჰატ* გადმოტანილია — строитель-ად (მშენებელი), მაგრამ ტექსტის ინტერპრეტაციის დროს ს. კარაპეტიანი ნავასარდს არქიტექტორს უწოდებს. მათ შორის განსხვავებაა: *ქარაიაჰატ* — მართლაც ნიშნავს მშენებელს, მაგრამ ამ სიტყვის არქიტექტორის მნიშვნელობით ხმარება შეცდომაა. არქიტექტორი სომხურად არის — *ჭარტარაპეტ.*

ს. კარაპეტიანი ფიქრობს, რომ წარწერაში მოხსენიებული „არქიტექტორი ნავასარდი“ არის ბოლნისის ხაჩენის კირაკოსის ეკლესიის (1655 წ.) და ბნი-ძორის ვანქის (1663 წ.) — სოფელ შხვერის (დიდი შულავერის გვერდით მდებარე) ეკლესიის „ხუროთმოძღვარი“ (გვ. 4). ეს მოსაზრება არავითარი წყაროთი არ არის გამაგრებული. შემთხვევითობა გამორიცხული არ არის.

კვლავაც ვიმეორებთ, თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის, სურბ-ნშანის ეკლესია XVII ს-ში სომხებს ჩაუგდიათ ხელში, რაზეც არავინ დაობს, მაგრამ წერილობითი წყაროები ან ზეპირი ცნობები ამ ეკლესიის სომხური წარმომავლობის შესახებ არ არსებობს, რასაც ვერ ვიტყვით ქართულზე, რადგან წმ. ნიკოლოზის ეკლესიის შესახებ არის ტრადიციული შეხედულება ამ ეკლესიის ადრე ქართულობის თაობაზე, რაც დაფიქსირებულია კიდეც. დავიწყოთ ვახუშტი ბაგრატიონით, რომელიც წერს: „არს კუალად დაბალსა ციხესა შინა ეკლესია გუმბათიანნი და აწ ცარიელი და სხვანი გუმბათიანნი არიან, გუმბათიანნი უპყრავთ სომეხთა, უგუმბათო აღაშენა კარის საყდრად დედოფალმა მარიამ. კუალად აღაშენა ერთი უგუმბათო — კუალად უგუმბათო ოთხი, აწ უპყრიათ სომეხთა“.[1]

ამ ცნობას კომენტარი გაუკეთა და უფრო დააზუსტა პლ. იოსელიანმა. სომხები თბილისში დაპატრონებიან შვიდ ქართულ ეკლესიას, ამათგან სამი გუმბათიანი იყო. სომხების მიერ მისაკუთრებული ეკლესიებიდან ერთ-ერთი მათგანია «Сурб-Ншан, бывщая в руках

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, 1973, გვ. 336.

православнных во имя св. Николая Чудотворца».[2]

სომეხი მკვლევარი გ. აღაიანცი სამართლიანად აღნიშნავდა: „ტრადიციული გადმოცემის თანახმად, სურბ-ნშანის ადგილზე იყო ქართული წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია, რომელიც სომხებს მიუსაკუთრებიათ და მის ადგილზე ამავე სახელწოდების ეკლესია აუშენებიათ“.[3]

გ. აღაიანცის ცნობის დასტური შეიძლება იყოს ს. კარაპეტიანის მოპოვებული „ახალი ცნობები“, რომელშიც ლაპარაკია ეკლესიის შენებაზე. ასეა თუ ისე, ხსენებულ ავტორთა მოწოდებულ ცნობებში ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ადრე ქართულობა თბილისის ქართულ და სომხურ საზოგადოებაში ცნობილი ყოფილა და მასში ეჭვი არავის შეპარვია.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ძველი თბილისის მემატიანის ზ. ჭიჭინაძის ცნობა: „სომხებმა შეისყიდეს ოქრომჭედლის ქუჩაზე ქართველების დიდი საყდარი — წმ. ნიკოლოზის, რომელსაც დღეს სურბ-ნშანს უწოდებენ“.[4] ამ ცნობაშიც საგანგებოდ არის ხაზგასმული თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ქართულობა, რომელიც შემდეგ სომხებს სურბ-ნშანად მოუნათლავთ.

თბილისის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნის, პროფ. თ. კვირკველიას აზრით: „გადმოცემით ადრე აქ (იგულისხმება წმ. ნიკოლოზის ეკლესია — ბ. ა.) მართლმადიდებელთა ეკლესია იდგა, მისი დანგრევის შემდეგ იგი აღუდგენიათ სომეხ გრიგორიანებს... ეკლესია თავისი ზომით და მაღლივი გუმბათით მკვეთრად გამოირჩევა ძველი თბილისის განაშენიანებაში“.[5] ეს გარკვეულწილად იმეორებს გ. აღაიანცის ცნობას, მაგრამ მასში კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ ქართული წმ. ნიკოლოზის ეკლესია სომხებს მიუთვისებიათ.

ს. კარაპეტიანს მოაქვს ჩვენი მოსაზრება სურბ-ნშანის ქართულობის შესახებ, რომელიც დამყარებულია, ერთი მხრივ, ზემოთ აღნიშნულ წერილობით წყაროებსა და ტრადიციულ გადმოცემებზე, მეორე მხრივ კი, სომეხი მეცნიერების ბ. ულუმბაბიანისა და გ. ასატრიანის შეხედულებებზე. ამ მეცნიერთა მართებული აზრით: „სომხეთში არ იყო მიღებული ამ წმინდანის (იგულისხმება წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედი — ბ. ა.)

[2] Описание древностей города Тбилиса, 1866, с. 258.

[3] ჰანდ. ფ. 332, აღწ. 1. გ. 102, ფურ. 8 (სომხური სიტყვების ქართული ტრანსკრიფცია აქაც და სხვაგანაც ჩვენია — ბ. ა.).

[4] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ზ. ჭიჭინაძის პირადი ფონდი — V — 413.

[5] ძველი თბილისის დასახელებანი, 1985, გვ. 84.

თაყვანისცემა“.[6] ე. ი. სომხეთში წმ. ნიკოლოზის კულტი პოპულარული არ იყო და შესაბამისად მის სახელზე აგებული ეკლესიებიც უიშვიათესია. ეტყობა, ეს ფაქტი ს. კარაპეტიანს ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნია და გაწიწმატებული წერს: «В действительности, культ св. Николая было, где разных гаварах (округах) его имен были освящены многочисленные церкви...» (გვ. 2). ამას კი აცხადებს, მაგრამ ახალი, დამატებითი მასალა ვერ მოაქვს და ისევ დასახელებულ სამიოდე ეკლესიას ჩამოთვლის. ეს კი სომხეთში ამ წმინდანის არაპოპულარობაზე მოწმობს. ამიტომაც მის სახელზე სამიოდე ეკლესიაზე მეტი არ არის. ესენია: კამარაკაპის და ნარეკვნის — მაზრა, სოფ. ბტარიაჩის ახლოს მონასტერი, ერზინკის მაზრა — სოფ. ზამარას ეკლესია, ტივრიკის მაზრა — დადივანქის მონასტრის ფრესკა (მეფის მაზრა).

მკითხველმა განსაჯოს, ამ მცირე ჩამონათვალის მიხედვით შეიძლება თუ არა ლაპარაკი წმ. ნიკოლოზის პოპულარობაზე სომხეთში. მას თუ უნდოდა, დაემტკიცებინა წმ. ნიკოლოზის პოპულარობა სომხეთში, მაშინ ხსენებული სომეხი მეცნიერების, ბ. ულუმბაზიანის და გ. ასატრიანის მიერ აღნუსხული წმ. ნიკოლოზის სახელობის სამი ეკლესიისთვის უნდა დაემატებინა სხვა ეკლესიები, რახან ეს ვერ გააკეთა, ე. ი. ამის საფუძველი არც ჰქონდა. ამიტომაც, ზედმეტია საუბარი წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიების მრავალრიცხოვნებაზე სომხეთში.

ს. კარაპეტიანი შემდეგ ცნობაზე ირონიით წერს: «Выгодная и приятная для православной церквы мысль нашла свое место даже в официальных изданиях: «Церковь эта (იგულისხმება თბილისის წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანი) — ბ. ა.) как и многие ..., в Грузии была некогда в руках православнаго, посвященная Николаю Чудотворцу».[7]

მოტანილი ცნობა საქილიკო არაფრით არ არის. ამ კალენდრის შემდგენელნი იყვნენ განსწავლული სასულიერო და საერო პირები, რომელნიც გამოირჩეოდნენ ობიექტურობით, რაც ძნელია ითქვას ს. კარაპეტიანზე.

როგორც ჩანს, სომხებს თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ქართული ეკლესია არაერთგზის გადაუკეთებიათ-გადმოუკეთებიათ და „აუშენებიათ“ 1703 წელს და შემდგომ წლებში. ზედმეტად მიმაჩნია, განვიხილო 1703 წლის და შემდეგი პერიოდის საღმშენებლო წარწერები, ცნობები, რომელშიც ლაპარაკია ამ ეკლესიის რესტავრაციაზე. ეტყობა, აქაც და სხვაგანაც ქტიტორულ წარწერებში „მშენე-

[6] ჰაიკაზიანთა არმენოლოგიური ჟურნალი. ტ. VII, 1980, გვ. 37-38, ბეირუთი (სომხ. ენაზე).
[7] Кавказский календарь на 1886 г; 1885, с. 152.

ბლობა“ რესტავრაციის განახლების მნიშვნელობით არის ნახმარი, მაგრამ 1662 წლის წარწერაში სიტყვა „შენებას“ (შინეცავ) რესტავრაციის მნიშვნელობა აქვს და არა მშენებლობის.

პლ. იოსელიანის, ზ. ჭიჭინაძის, გ. აღაიანცის და სხვათა ცნობებს წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ადრინდელი ქართულობის შესახებ ს. კარაპეტიანი „გამონაგონს“, „შეთხზულს“ უწოდებს და მისი ჭკუით მათ უპირისპირებს XVII ს-ის „სომხურ ცნობებს“. ვთქვი და კვლავ ვიმეორებ — ეს ცნობები, როგორც ძველი ისე ახალი, წმ. ნიკოლოზ ეკლესიის თავიდან სომხურობას კი არ ამტკიცებს, არამედ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეს ქართული ეკლესია XVII ს-ში სომხებს რაღაც ხრიკებით ხელში ჩაუგდიათ.[8]

ს. კარაპეტიანს წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის თავიდანვე სომხურობის დასამტკიცებლად უნდა მოეტანა თბილისის წმ. ნიკოლოზის ქტიტორული წარწერა ან ქართველი მეფის (ფეოდალს თავის მამულში მეფის ნებართვა არ სჭირდებოდა) თარიღიანი სიგელი, ნებართვა, რომლის მიხედვითაც ცხადი გახდებოდა, რომ ქართველი მეფე თბილისელ სომხებს უფლებას აძლევდა, აეშენებინათ ვერცხლის ქუჩაზე ეკლესია, სურბ-ნშანის სახელობისა. მსგავსი არავითარი საბუთი არ მოაქვს და თავგამოდებით ცდილობს, დაამტკიცოს ამ ეკლესიის ადრიდანვე სომხურობა და თანაც პლ. იოსელიანის, გ. აღაიანცის, ზ. ჭიჭინაძის და სხვათა ცნობებს უტიფრად „შეთხზულს“ უწოდებს. მას ქართული ცნობები „მონაგონი“ იმიტომ ჰგონია, რომ მიჩვეულია მისი თანამემამულე მეცნიერების მიერ ისტორიის, საბუთების ფალსიფიკაციას და მეცნიერულ ოინბაზობას, რაც საყოველთაოდ ცნობილია.

აი, რას წერს რუსი მიტროპოლიტი ბართლომე ელინური სიტყვიერების დოქტორს, პორფირ უსპენსკის: „მამა პორფირ, არ დაუჯერო სომეხთა საბუთებს, ისინი თაღლითები არიან. დაამზადებენ რაღაც ყალბ საბუთს, შეინახავენ მიყრუებულ ან ნესტიან ადგილზე, რათა გაყვითლდეს და ძველ საბუთს დაემსგავსოს“.[9]

როგორც ვხედავთ, ფაქტების ფალსიფიკაცია XIX ს-ში სომეხ მეცნიერთა და ჟურნალისტთა ჩვეული ხერხი ყოფილა. ამ ტრადიციიდან გამომდინარე, ს. კარაპეტიანმა მისთვის არახელსაყრელ ავტორთა ცნობებს იოლად მიაკერა „შეთხზულის“, „გამონაგონის“, „ნაყალბევის“ იარლიყი.

---

[8] ს. კარაპეტიანი შენიშნავს, არ მოიპოვება ცნობა ამ ეკლესიის თავიდან ქართულობის შესახებ. მაგრამ ავიწყდება, რომ არც იმის ცნობა არსებობს, რომ ადრიდანვე სომხური იყო.

[9] **Ф. Ахундов, Разрушители — Фалсификация, т. I, Баку, 2012, с. 8.**

ახლა ვნახოთ, როგორი პოპულარულია წმ. ნიკოლოზის კულტი საქართველოში. ამ წმინდანის კულტი საქართველოში, მართალია, ისეთი ფართოდ გავრცელებული არ არის, როგორიც წმ. გიორგის, მაგრამ გაცილებით პოპულარულია, ვიდრე სომხეთში. ისიც აღსანიშნავია, რომ წმ. ნიკოლოზის კულტი უფრო მიღებული იყო მართლმადიდებელ სამყაროში, ვიდრე მონოფიზიტურ ქვეყნებში. სომხეთიც მონოფიზიტური ქვეყანაა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ამ ეკლესიას ქართველებმა აშენებისთანავე წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელი მიაკუთვნეს, რაც ინერციით შემორჩა, როცა სომხების ხელში მოექცა და უწოდეს სურბ-ნშანი. ისტორიულ სიმართლეს თუ დავიცავთ, იგი უნდა მოვიხსენიოთ თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (სურბ-ნშანის) ეკლესიად და არა პირიქით, როგორც ამის დამკვიდრებას ს. კარაპეტიანი ცდილობს. ამით სწადია, ამ ეკლესიის სომხურის პირველადობას შეაჩვიოს მკითხველი.

ვნახოთ წმ. ნიკოლოზის სახელობის რამდენი ეკლესიაა საქართველოში: ნიკორწმინდის (XI), ყინწვისის (XII), ვერის (XVI), ჩუღურეთის (XVII), ნარიყალის (XI), წინწყაროს (აღდგენილია XIX), თეთრიწყაროს (XVIII), მატნის (XVI), გრემის (XVI-XVII), ქვემო ნიჩბისის (XVII), ტანძიის (XVII); აგრეთვე გორში — სამი, ხაშურში — ორი, და სხვ. ეს არასრული სიაა. რაც შეეხება წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის გამოსახულებას, იგი ხშირად გვხვდება კედლის მხატვრობაში, უფრო კი საკურთხევლის, ეკლესიის მამათა რიგში და იშვიათად წმ. ნიკოლოზის ცხოვრების ციკლებში: წალენჯიხა, რკონის მონასტერი, ახალი შუამთა; აგრეთვე, გვხვდება დავით გარეჯის ე. წ. „უდაბნოს“ მონასტრის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის საკურთხევლის კონქში (XII) და სხვ.

წმ. ნიკოლოზის რელიეფური გამოსახულებები დღეისთვის თითქმის უცნობია, ანანურის გარდა. იგი მხოლოდ თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (სურბ-ნშანის) ეკლესიის გუმბათის წახნაგზე გვხვდება. ეს არის სტილურად განსხვავებული გამოსახულება, რომელიც სავარაუდოდ 1703 წელს უნდა იყოს შექმნილი (П. Мурадян, Армянская эпиграфика Грузии (Тбилиси), ერევანი, 1988, გვ. 69-74).

სახვითი ხელოვნებისგან განსხვავებით საქართველოში მრავლად მოიპოვება წმ. ნიკოლოზის ცხოვრების კიმენური და მეტაფრასული რედაქციების თარგმანები (წმ. ეფთიმე მთაწმიდელის) და სხვ.[10]

[10] ეკ. კვაჭატაძე, წმ. ნიკოლოზის რელიეფური ხატი ანანურის ღვთისმშობლის ეკლესიის ფასადზე// „საქართველოს სიძველენი“, ტ. X, 2007, გვ. 141.

თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გუმბათის წახნაგზე არსებული წმინდანის რელიეფური გამოსახულება კიდევ ერთხელ მოწმობს რომ იგი ადრე ქართული ყოფილა. სომხებმა 1703 წელს ეს ეკლესია ფუნდამენტურად გადააკეთეს და მიაშენ-მოაშენეს. ამ დროს სომეხმა ოსტატმა გამოკვეთა წმ. ნიკოლოზის აღნიშნული რელიეფური გამოსახულება გუმბათის წახნაგზე, რითაც ინერციით გააგრძელა ქართული ტრადიცია ამ ეკლესიის წმ. ნიკოლოზის კუთვნილების შესახებ, მაგრამ რელიეფური გამოსახულება სომხური რელიეფური ქანდაკების სტილში შეასრულა.

ამდენად, განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, პლ. იოსელიანის, გ. აღაიანცის, ზ. ჭიჭინაძის და სხვათა ცნობები სანდოა და არავითარი მონაცემი არ არსებობს მათში ეჭვის შეტანისთვის, როგორც ამას აკეთებს ს. კარაპეტიანი.[11]

გრძნობს რა, რომ დამაჯერებელი არგუმენტებით ვერ უარყო პლ. იოსელიანის, ზ. ჭიჭინაძის, გ. აღაიანცის და სხვათა ცნობები თბილისის წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) თავიდან ქართულობის შესახებ, ს. კარაპეტიანს, ნაშრომის ეს სუსტი მხარე რომ გადაფაროს, მოაქვს 1703 წლის შემდგომი (როცა ეს ეკლესია კარგახნის გასომხურებული იყო) წლების სომხური ეპიგრაფიკული და საეკლესიო საარქივო მასალა, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, თუ რამდენჯერ ჩაუტარდა ტაძარს რესტავრაცია, რამდენი ურემი კირი და აგური დაიხარჯა და ა. შ. უხვად აქვს მოტანილი ცნობები ამ ეკლესიის ქონების, საეკლესიო მამასახლისთა ვინაობის შესახებ, აქ არსებული ვაჟთა და ქალთა სკოლის მოწაფეთა რიცხვი, ეკლესიის ეზოში საფლავთა ეპიტაფიური წარწერები, რომელნიც შესრულებულია ქართულ, სომხურ, რუსულ ენებზე. აქვე არის გასოხმებული ქართველის მეღვინიშვილის (მეღვინიანცის, 1843-1894) საფლავის წარწერა, რომელიც ბელგიის ვიცე-კონსული ყოფილა.

ჩვენ ამ მასალას არ განვიხილავთ, რადგან გვიანდელია და ეკუთვნის XIX ს-ს. ფაქტი ერთია, თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ქართული ეკლესია სომხებმა მიითვისეს და უწოდეს სურბ-ნშანი. ეს კი ყველა დროის კანონით აკრძალულია და ითვლება სხვის ტერიტორიაზე, მასპინძელი ქვეყნის საკულტო ძეგლის მიტაცებად. ამ დანაშაულს ხანდაზმულობა არ აქვს.

ვფიქრობთ, აუცილებელია ამ ეკლესიის საფუძველიანი არქეოლ-

[11] ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ჩვენი: „ეჯმიაწინი თბილისის წმ. ნიკოლოზის (სურბ-ნშანის) ეკლესიის გადაცემას უპირობოდ მოითხოვს“, თბილისი, 2003.

ოგიური გამოკვლევა და მოპოვებული მასალის გამოწვლილვით გაანალიზება. ამ სამუშაოს ჩატარებამდე თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედი (სურბ-ნშანის) ეკლესიის გადაცემა საქართველოს სომხური ეპარქიის გამგებლობაში დაუშვებელია.

P.S. სტატია დამთავრებული მქონდა, როცა გამოქვეყნდა პრემიერ-მინისტრის ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის სომხეთში გაკეთებული განცხადება. მან გამოთქვა მზადყოფნა, საკუთარი ფონდის მეშვეობით ახლავე დაიწყოს ორივე მხარის სადაო ეკლესიების რესტავრაცია-კონსერვაცია. ეს ძალიან საქმიანი წინადადებაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ამ საკითხში სომეხ მეცნიერებს ძალიან მკაცრი პოზიცია აქვთ. ისინი თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ სომხეთში, კერძოდ ლორე-ტაშირში, არავითარი ქართული ეკლესია არ ყოფილა და არც ახლა არისო. ახტალას, ჰნევანქის, ქობაირის და სხვათა ქართული ეპიგრაფიკა მხოლოდ მათ ქართულობას არ ამტკიცებს, რადგან ეს მხოლოდ გარკვეული პერიოდის დროებითი ისტორიული გავლენის შედეგიაო. თუ ეს ასეა, მაშინ თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია თავიდანვე ქართული იყო და მასზე არსებული სომხური ეპიგრაფიკა დროებითი „ისტორიული გავლენის“ შედეგია, ამიტომ ეს ეკლესია ქართული იყო და რჩება ქართულად.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე ჩვენი მოკლე კომენტარი კი ასეთია: როგორც ვთქვით, სომეხი მეცნიერები კატეგორიულად არ ცნობენ ქართული ეკლესიების არსებობას სომხეთში. ვფიქრობ, ქართულმა მხარემ თავი უნდა შეიკავოს საქართველოში არსებული სადავო ეკლესიების რესტავრაცია-კონსერვაციისაგან, ვიდრე სომხეთის კულტურის სამინისტროსგან ოფიციალურად არ მიიღებს ლორე-ტაშირში ქართული ეკლესიების აღდგენის უფლებას.



გვანცა კოპლატაძე

სამცხე — ადიგენის რაიონი
(ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია)

ეთნოგრაფიული პროექტი «ჩემო სამშობლო მხარეო».
ექსპედიცია №2, 14-15 სექტემბერი, 2013 წ.
ხელმძღვანელი გრიგოლ რუხაძე.
ფინანსური მხარდამჭერი — საქართველოს საპატრიარქო.

ადიგენის რაიონი სამხრეთ საქართველოს, ისტორიული სამცხეს შემადგენლობაში შედიოდა. ამ მხარის მმართველებად იყვნენ მთავრები — ხურციძეები, რომელთა სამთავრო ცენტრადაც ითვლებოდა ჩორჩანი. შუა სს-ში, იმდროინდელი მოსახლეობა გადააგვარა და თითქმის გააქრო ოსმალეთის იმპერიის რამდენიმესაუკუნოვანმა ბატონობამ. სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის პერიოდში ადიგენის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მკვიდრი, მაგრამ გაკათოლიკებული და გამაჰმადიანებული ქართველები, რომლებიც იმ დროისთვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, აგრეთვე, ჩამოსახლებული მაჰმადიანები.

II მსოფლიო ომის შემდეგ ადიგენის რაიონში დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებულ იქნენ ქართველები, რაც შეეხება სომეხ და სხვა ეროვნების მოქალაქეებს, ისინი რაიონის ტერიტორიაზე მიგრირებულნი არიან როგორც მეფის რუსეთის მმართველობის, ასევე საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. ამჟამად რაიონში ცხოვრობენ როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ისე კათოლიკე ქრისტიანები და მუსლიმანური რელიგიის მიმდევრები.

დაბა ადიგენი 1917 წლამდე შედიოდა ტფილისის გუბერნიის ახ-

ალციხის მაზრაში, 1917–1930 წლებში — ახალციხის მაზრაში, 1930 წლიდან კი ცალკე რაიონია. ადიგენს დაბის სტატუსი მიენიჭა 1961 წელს. ადიგენის მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობებით. მის ტერიტორიაზე 88 ისტორიული ძეგლია აღრიცხული. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ზარზმის, იჯარეთისა და ჭულეს მონასტრები, ოქროსციხე, ზანავის ციხე, ოძრხე; ბუნების ძეგლთაგან — გოდერძის გაქვავებული ტყე და ბენარის ფაუნა.

სოფელ **ზარზმაში**, ქვაბლიანის ხეობაში, შემორჩენილია გუმბათოვანი ეკლესია, სამრეკლო და რამდენიმე ერთნავიანი სამლოცველო. გადმოცემით, იქ იყო მდინარეზე ჩასასვლელი გვირაბი, რომელიც დღეს ლოდებითაა ამოვსებული. მონასტერი დაუარსებია ფეოდალური ხანის ცნობილ სასულიერო მოღვაწეს სერაპიონ ზარზმელს, წარმოშობით კლარჯს, რომლის ცხოვრებაც აღწერილია ბასილი ზარზმელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში. აღმშენებლობაში სერაპიონს დახმარებია ადგილობრივი მთავარი გიორგი ჩორჩანელი. მას მონასტრისთვის სოფლები და მამულები შეუწირავს. მანამდე უდაბურ ადგილას ქართული კულტურის ახალი კერა გაჩნდა. უძველესი ეკლესია, რომელსაც დღემდე არ მოუღწევია, ხუროთმოძღვარ გარბანელს აუშენებია. ზარზმის ახლანდელი ტაძარი აგებულია XIV ს. დასაწყისში სამცხის მთავრის, ბექა მანდატურთუხუცესის დროს. უძველესი ისტორიული ნაშთია ერთ-ერთი სამლოცველოს შესასვლელის თაღში ჩასმული ადრინდელი შენობიდან გადმოტანილი X ს. წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ქართველი მეფის დავით III დიდი კურაპალატის გალაშქრების ამბავს ფეოდალ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ, რომელიც ბიზანტიის იმპერატორს აუჯანყდა.

ზარზმის ტაძარი ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. კედლის მხატვრობაში ტრადიციულ სიუჟეტებთან ერთად შემონახულია სამცხის მფლობელ ჯაყელთა, აგრეთვე, XVI ს. ისტორიულ პირთა (იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის, სერაპიონ ხურციძისა და სხვ.) პორტრეტები. ზარზმის მონასტრის სამრეკლო ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში და ამ ტიპის ქართულ ნაგებობათა საუკეთესო ნიმუშია.

ოქროსციხე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია სოფელ ბოლაჯურში. აგებულია XIII ს-ის დასასრულს ან XIV ს-ის დასაწყისში. იგი სამცხის ათაბაგ ჯაყელთა კუთვნილებას წარმოადგენდა. სლესის, წროხის, ოძრხის, ერემჭალის, აწყურის, ასპინძის, ხერთ-

ვისისა და სხვა ციხეებთან ერთად ჰკრავდა უმთავრესი გზებისა და ცენტრების ირგვლივ გარკვეული სისტემით განლაგებულ სიმაგრეთა ჯაჭვს. ოქროსციხე განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა XV-XVI სს-ში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. XVI ს-ის მიწურულიდან მას, ისევე როგორც მთელ მესხეთს, თურქები დაეპატრონნენ. იგი საქართველოს 1828 წელს, რუსთაგან თურქების დამარცხების შემდეგ, დაუბრუნდა.

ადიგენის ტრადიციული სახალხო ზეიმებიდან აღსანიშნავია: **„ბერობანა“,** იმართება XVII ს-ის დასაწყისიდან ძველ მესხურ სოფლებში არალსა და უდეში. იგი იმართება ადრე გაზაფხულზე, დიდმარხვის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე და მთელი კვირის განმავლობაში გრძელდება. ტარდება შეჯიბრებები ჭიდაობაში, მკლავჭიდში, ცეკვებში და სხვ. უშუალოდ კვირა დღეს იმართება განსაკუთრებული სარიტუალო ღონისძიება „ბერობანა“, რომელშიც 90-100 კაცი მონაწილეობს. „ბერობანაში“ ასახულია მონღოლების მიერ დაპყრობილ საქართველოში არსებული მდგომარეობა.

„ანთიმოზობა“ იმართება ყოველი წლის 26 ივნისს სოფ. უდეში, ამ სოფლის მკვიდრის, ცნობილი საეკლესიო და საერო მოღვაწის წმ. ანთიმოზ ივერიელის ხსოვნის პატივსაცემად. ზეიმს სათავე დაედო 2005 წელს რუმინეთის საელჩოს ინიციატივით.

„შუამთობა“ ძველი ქართული ტრადიციული დღესასწაულია, რომელიც იმართება ყოველი წლის ივლისის თვის ბოლო შაბათ-კვირას, ე.წ. ფერსათის მთაზე საზაფხულო იალაღებზე მყოფი მოსახლეობის მონაწილეობით. „შუამთობისას“ იმართება შეჯიბრებები დოღში და სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სრულდება ცეკვები, სიმღერები და სხვა სახის გასართობი ღონისძიებები. ანალოგიური სახის დღესასწაული იმართება უდისა და არალის მთებშიც, გოდერძის უღელტეხილთან მიმდებარე საზაფხულო იალაღებზე მყოფი მოსახლეობის მიერ, ყოველი წლის აგვისტოს თვის პირველ შაბათს. აღნიშნულ დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ როგორც ადიგენის, ასევე მეზობელი რაიონების (ხულო, შუახევი) მოსახლეობაც.

სახალხო დღესასწაული **„ზარზმობა“** იმართება ყოველი წლის 11 ნოემბერს ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, წმ. სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღეს. დილით ზარზმის მონასტერში წირვის შემდეგ ზეიმის მონაწილეები (რაონის მოსახლეობა, მოწვეული სტუმრები) მონასტრის სიახლოვეს სპეციალურად მოწყობილ თეატრონის სცენაზე წარმოადგენენ მხატვრულ თვითშემოქმედებას, ასევე ეწყობა

გამოფენები, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ასევე ტრადიციული მესხური რეწვის ნიმუშებისა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 6 **სკოლამდელი** აღზრდის დაწესებულებაში (დ. ადიგენის, უდეს #1 და #2, არალის, ბოლაჯურისა და დ. აბასთუმნის) 42 თანამშრომელი და 170 აღსაზრდელია, რომლებიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. სულ რაიონში არის 25 **სკოლა.**

ადიგენის რ-ში მდებარეობს ცნობილი სამეცნიერო ცენტრი **აბასთუმანი**. 1930-31 წწ. მთიანი რაიონების ატმოსფერული რეჟიმის შესასწავლად სამთო ასტრონომიული ობსერვატორიის შექმნასთან დაკავშირებით, საქართველოში ჩამოვიდა საგანგებო ექსპედიცია რუსი ასტრონომების შემადგენლობით. გამოკვლევები ჩატარდა ცივგომბორზე, შუამთაში, ბაკურიანში, ცემში, წაღვერსა და აბასთუმნის მიდამოებში. აღნიშნული ექსპედიციის მუშაობის შედეგად კვლავ დადასტურდა, რომ აბასთუმანში მართლაც უნიკალური პირობებია ასტრონომიული კვლევებისათვის. 1932 წელს დაარსდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომელიც საბოლოოდ 1937 წელს, მთა ყანობილზე, 1700 მეტრის სიმაღლეზე, იქნა გატანილი.

ექსპედიციის დღიურები

14 სექტემბერს ექსპედიცია „ჩემო სამშობლო მხარეო“ ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიისაკენ გაემართა. უწინარესად ადიგენის რაიონის სოფლების მონახულება გვქონდა გადაწყვეტილი, განსაკუთრებით ე.წ. შერეული სოფლებისა, რომლებშიც ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები ერთად ცხოვრობენ. ახალციხეში ჩასულებს ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორი ქ-ნი თინა იველაშვილი შემოგვიერთდა. დროის ეკონომიურად გამოყენების მიზნით, პირველად სოფელ **ვალეს** ვესტუმრეთ, რომელსაც ახალციხეს მხოლოდ 8 კმ აშორებს. სოფელ ვალეში მშვენიერი ძველი ბაზილიკა დგას ღმრთისმშობლის შობის სახელობისა. თავდაპირველად იგი გუმბათოვანი ტაძარი ყოფილა, მე-10 საუკუნეში აგებული. ველურ დამპყრობელთა შემოსევის შედეგად დანგრეული ტაძარი მე-14 საუკუნეში აღუდგენიათ, ოღონდ უკვე ბაზილიკის სახით. საბედნიეროდ, იგი ისეა აღდგენილი, რომ, რაც ნგრევას გადაურჩა, პირვანდელი სახითაა შენარჩუნებული. გათლილ მასიურ ქვებზე ამოკვეთილი

ჩუქურთმები და გამოსახულებები, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში მკაფიობა დაუკარგავთ, ჩუქურთმის მჭრელ ოსტატთა მაღალ ხელოვნებაზე მაინც ნათლად მეტყველებენ.

პირველი ვალელი, რომელსაც გამოველაპარაკეთ, 7 წლის მესამე კლასელი მარიამი გამოდგა. მან სიამოვნებით გვაცნობა, რომ ოთხი ძმა და ერთი და ჰყავს და საახალწლოდ კიდევ ერთ დედმამიშვილს ელოდება. როცა გვარიც ვკითხეთ, გოგონამ ერთგვარი სიამაყით გვიპასუხა, რომ იგი კოპაძეა, რობინზონ კოპაძის შვილიშვილი.

ბ-ნი რობინზონის გაცნობამ და მასთან გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ მარიამის სიამაყეს საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. იგი იმ ქართველთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც შეგნებული აქვთ პიროვნული პასუხისმგებლობა როგორც ჩვენი დიდებული წინაპრების, რომელთა განსაცვიფრებელმა სიმამაცემ და თავდადებამ სამშობლო და სარწმუნოება შეგვინარჩუნა, ისე მომავალ თაობათა წინაშეც, რომელთაც ეს ფასდაუდებელნი საუნჯენი ჩვენ უნდა შევუნარჩუნოთ.

სამშობლოსა და სარწმუნოების სამსახურში ჩამდგარი კაცისთვის დიდი და პატარა საქმე არ არსებობს. ტაძარიცა და მისი შემოგარენიც იმ სიყვარულზე და მზრუნველობაზე მეტყველებს, რომლითაც ბ-ნი რობინზონი მათ ემსახურება.

ვალეს ღმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, რომელიც მანამდე საწყობად გამოიყენებოდა, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით, წირვა-ლოცვა 90-იანი წლების დასაწყისში განახლდა. სწორედ ამ პერიოდში ეწვია სოფელს თავად კათოლიკოს-პატრიარქიც. ამ სტუმრობის ამსახველი ფოტო ბ-ნ რობინზონს ერთ-ერთ-ერთ ოჯახში უნახავს, გაუდიდებია, ჩარჩოში ჩაუსვამს და ფაქიზად ინახავს, როგორც ვალელთა ცხოვრებაში ღირსსახსოვარი მოვლენის დამმოწმებელს. დღეს ტაძარში მცხეთის სემინარიის კურსდამთავრებული, ამ სოფლის მკვიდრი მამა სტეფანე (ერისკაცობაში დურმიშხანი) ნადირაძე მსახურობს.

ბ-ნი რობინზონისაგან შევიტყვეთ, რომ დღეისთვის სოფელ ვალეში 800-მდე ოჯახი ცხოვრობს, რომელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ქართული და ძირითადად ადგილობრივი წარმოშობისაა, მესხური: გიორგაძეები, ასპანიძეები, დემეტრაძეები, ნადირაძეები, ბებნაძეები, დარბაიძეები, დიასამიძეები... მათგან დაახლოებით 260-მდე მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია, დანარჩენი — კათოლიციზმის მიმდევარნი, რომელთაც თავიანთი ტაძარიც აქვთ. სოფელს

ორი საშუალო სკოლა აქვს: პირველი და მეორე. ადრე დიდი კეთილმოწყობილი საავადმყოფოც ჰქონდათ, რომელშიც სამშობიაროც შედიოდა, და ვალეს გარდა, კიდევ 6-7 სოფელს ემსახურებოდა. წინა ხელისუფლებამ იგი გააუქმა და ახალციხეში გადაიტანა(!). ახლა ძველი საავადმყოფოს ორსართულიანი კორპუსი მხოლოდ ოჯახის ექიმსა და სასწრაფო დახმარების სამსახურს აქვს დათმობილი.

ბ-ნმა რობინზონმა საუბარში ახალი ხელისუფლების მიმართ მადლიერება გამოხატა იმ უპროცენტო და დაბალპროცენტიანი სესხების გაცემის გამო, რომლის წყალობითაც ვალელებმა მრავალი ჰექტარი მიწის დახვნა, შხამ-ქიმიკატებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენა შეძლეს.

ადიგენის რაიონში პირველად სოფელ **არალს** ვესტუმრეთ, სადაც მასპინძლობა ნოდარ თათეშვილის ოჯახმა გაგვიწია. არალში 835 კომლი ცხოვრობს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ მათი უმრავლესობა კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებელი იყო. ამ ბოლო წლებში იმ მიზეზებში, რომელთაც მათი უახლესი წინაპრების კათოლიკობაზე გადასვლა გამოიწვიეს, ბევრი გაერკვა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, და მართლმადიდებლურ ქრისტიანობას დაუბრუნდა. დღეს სოფელში კათოლიკური ტაძარიც დგას და მართლმადიდებლურიც. წმ. ნინოს სახელობის ბაზილიკაში თავდაპირველ სარწმუნოებაზე დაბრუნებული არლელები მართლმადიდებლურ წირვა-ლოცვას ისმენენ. ალბათ, საერთოდ არლის კათოლიკეთა განწყობილებას გამოხატავს დაწყებითი კლასის მასწავლებლის, კათოლიკე ქ-ნი ინგა ვარდიძის სიტყვები. სახელდობრ, მან გვითხრა, რომ მართალია, უფროსი შვილი კათოლიკედ მონათლა, მაგრამ უმცროს შვილთან დაკავშირებით, ჯერ ვერ გადაუწყვეტია, კათოლიკედ მონათლოს თუ მართლმადიდებლად. ნიშანდობლივია, რომ თვითონ ჩვენი მასპინძლის ოჯახშიც დაახლოებით იგივე მდგომარეობა იყო შექმნილი; ძველი თაობა კათოლიკე იყო, ხოლო ახალი — მართლმადიდებელი.

როგორც ჩანს, სკოლის შენობა არლელ მოსწავლეებს ვერ იტევს და 156 მოწაფე ორ ცვლაში სწავლობს, სოფლის კულტურის შენობაში ბიბლიოთეკაცაა განთავსებული, რომელშიც საბავშვო ბიბლიოთეკა ცალკე არსებობს. არალს აქვს კარგად გარემონტებული, კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი, ამბულატორია, რომლის პერსონალიც მხოლოდ ერთი ექთნით შემოიფარგლება; რაც შეეხება ექიმს, რამდენადაც იგი სხვა სოფლებსაც ემსახურება, არალში კვირაში ერთხელაც ვერ ახერხებს ჩასვლას.

შემდეგი სოფელი, რომელსაც ვესტუმრეთ, **კახარეთი** იყო. სოფლის ცენტრში, სკოლის მახლობლად, მისი დირექტორი ქ-ნი ინგა ბოჭორიშვილი შემოგვხვდა. მისგან შევიტყვეთ, რომ სოფელში 69 კომლი ცხოვრობს, მათგან ადგილობრივი მესხებისა 7-8 კომლია, დანარჩენი გადმოსახლებული იმერლები და აჭარლები არიან. კახარეთის საბაზო ცხრაწლიან სკოლაში 89 ბავშვი სწავლობს. სკოლის შენობა ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვს; იგი ამ მხარის მკაცრი კლიმატური პირობებისათვის შეუფერებელი ხის მასალითაა აგებული და ამიტომ მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც ზამთარში სიცივეს უჩივიან.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ კახარეთს თავისი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც, გაურკვეველი მიზეზების გამო, ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლო წლებში ბიბლიოთეკათა წინააღმდეგ საყოველთაო გალაშქრებას შეეწირა. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში, ალბათ, გონიერი ადამიანების წყალობით, წიგნები არც ღია ცის ქვეშ დაუყრიათ და არც მათთვის სრულიად შეუფერებელ შენობაში შეუზიდავთ — სოფლის ბიბლიოთეკის წიგნადმა ფონდმა სკოლის შენობაში დაიდო ბინა.

კახარეთელ ქრისტიანებს საკუთარი ტაძარი არ აქვთ. რაც შეეხება აქაურ მაჰმადიან ქართველებს, ისინი სოფელ ღორძეში დადიან სალოცავად. სოფელს არც საკუთარი სამედიცინო დაწესებულება აქვს, ამიტომ ცდილობენ ავად არ გახდნენ, ხოლო თუ მაინც გახდებიან, დახმარებისთვის მეზობელი სოფლის, ლელოვანის, სამედიცინო პუნქტს აკითხავენ. მართალია, კახარეთელი პატარები საბავშვო ბაღში სიარულის საშუალებას მოკლებულნი არიან, მაგრამ ადგილობრივების თქმით, საბავშვო ბაღის არქონაზე მეტად, მათ უგზოობა აწუხებთ. შეიძლებოდა ამ ბოლო პრობლემათაგან ერთ-ერთი მაინც თავად სოფელს მეოგვარებინა, რომ ერთი გარემოება არა: თავაუღებელი შრომისაგან მოწეული მოსავლით სარგებლობას ვერ ნახულობენ, რადგან არ იციან, სად წაიღონ. ამიტომ ხშირად ხილ-ბოსტნეულის ჭარბ მოსავალს, მაგალითად კომბოსტოს, მათთვის არა თუ მოგება მოაქვს, არამედ ხშირად ზედმეტ საზრუნავს უჩენს, რადგან იმ მიზეზით, რომ გადაყრა აკრძალულია და ამისთვის ჯარიმაა დაწესებული, აუცილებლად უნდა გაანადგურონ(!). ზემოთქმულიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან, თუკი ვინმე ჩამბარებელი გამოჩნდება, ერთი კილო ვაშლი ხუთ თეთრად ჩააბარონ(!). მიხედავად მოუგვარებელ პრობლემათა სიმრავლისა, სოფლის მოსახლეობამ, ყოველ შემთხვევაში იმ ნაწილმა მაინც, რომელსაც ჩვენ შევხვდით, ახალი

ხელისუფლების მიმართ მადლიერება გამოხატა დარიგებული 600 ლარიანი ვაუჩერების გამო, რადგან ამ მატერიალურმა დახმარებამ საგაზაფხულო სამუშაოთა ჩატარება მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა.

მთავრობის მხრიდან გამოჩენილმა ყურადღებამ გავლენა არა მხოლოდ კახარეთელების მატერიალურ მდგომარეობაზე, არამედ სულიერ განწყობილებაზეც მოახდინა. როგორც მივხვდით, მათ უკეთესი მომავლის იმედი გაუჩნდათ. ეს განსაკუთრებით კარგად იგრძნობოდა ქ-ნი ინგას საუბარში. მისმა ხალისმა და მხნეობამ ჩვენზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

საყოფაცხოვრებო პირობების თვალსაზრისით, მცირეოდენი სხვაობით, დაახლოებით იგივე პრობლემები დაგვხვდა **ლელოვანში, იმერთუბანსა** და **იჯარეთში.** ლელოვანის სკოლაში, რომელშიც ასი კომლი ცხოვრობს, ორასზე მეტი ბავშვი სწავლობს; მოსწავლეთა სიმრავლე იმითაა გამოწვეული, რომ აქ აგრძელებენ სწავლას მეზობელი იჯარეთელი ბავშვები, რადგან იჯარეთის 60 კომლიან სოფელს მხოლოდ ოთხწლიანი სასწავლებელი აქვს. იჯარეთში მე-14 საუკუნეში, შეიძლება უფრო ადრეც აგებული ტაძარი დგას. აქაურებმა იგი შეაკეთეს, გადახურეს და ახლა მასში წირვა-ლოცვას მამა დიმიტრი (კაპანაძე), ჭულეს მონასტრის წინამძღვარი, ატარებს. იგივე მოძღვარი წირავს მეზობელ იმერთუბანშიც. რაც შეეხება აჭარელ მაჰმადიანებს, ისინი კახარეთელ მუსლიმანთა მსგავსად სალოცავად ღორძეში დადიან.

დღის ბოლოს არა მხოლოდ მესხეთში, არამედ საერთოდ საქართველოში, ერთ-ერთ უდიდეს სოფელ **უდეში** ჩავედით, სადაც ჩვენთვის მასპინძლობა მამა ტიმოთეს (ჩილაშვილი) უნდა გაეწია. რომ არა ერთი უდელი ახალგაზრდა ქალბატონის მართლაც დასამახსოვრებელი თავაზიანობა (სამწუხაროდ, სახელი და გვარი არ ვკითხეთ, მან მანქანით მამა ტიმოთეს სახლამდე მიგვაცილა), უდეს ქუჩებსა და შუკებში მასპინძლის სახლის მისაგნებად ხეტიალი დიდხანს მოგვიწევდა.

მამა ტიმოთეს მეუღლემ, ქ-ნმა ლალიმ გულთბილად მიგვიღო; მალე მსახურებიდან მამა ტიმოთეც დაბრუნდა განსაკუთრებით ხალისიანი გუნება-განწყობილებით. ამის მიზეზი, როგორც გვითხრა, იმ დღეს კიდევ ერთი გაკათოლიკებული მესხის მამა-პაპათა სარწმუნოებაზე დაბრუნება გახდა. მისი თქმით, უდეში, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ სრულიად კათოლიკური იყო, დღეს ახალგაზრდობის 95% მართლმადიდებელია, კვირა ისე არ გავა, რომ მარ-

თლმადიდებლურად ერთი კათოლიკე მაინც არ მოინათლოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად მამა ტიმოთეს დამსახურება ამ საქმეში მთელმა მესხეთმა იცის.

ექსპედიციის წევრები ღამის გასათევად ახლო მეზობლებთან გადაგვანაწილეს. მე და რუსუდან ჭანტურია ქ-ნ იამზე ბალახაშვილის ოჯახში მოვხვდით. ქ-ნი იამზეს კარ-მიდამომ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ამ კუთხის დიასახლისები არა მხოლოდ სახლ-კარის სისუფთავეზე ზრუნავენ, არამედ სილამაზეზეც. გზას ჭიშკრიდან სახლამდე ფერადოვანი ყვავილების მაღალი ბუჩქები მიუყვებოდა. რუსუდანი, რომელიც თვითონაც დიდი მოყვარულია ყვავილებისა, დაინტერესდა, როგორ ახერხებდა დიასახლისი მკაცრი ზამთრის პირობებში მათ გადარჩენას და გაარკვია, რომ შემოდგომის ბოლოს, რომ არ გაყინულიყო, ბოლქვებს მიწიდან იღებდა და კარტოფილის მსგავსად ინახავდა, რათა გაზაფხულზე ისევ დაეთესა. ისევე, როგორც არლელი მასპინძლის ეზოში, აქაც ხშირი, ფართო ფოთლებიდან მზერას იტაცებდნენ სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის დეკორატიული კვახები. ამავე შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ ჩვენი ექსპედიციის სხვა წევრებიც ქალბატონების — ელზა გიგოლაშვილისა და თამარ მაისურაძის ოჯახებიდან.

კვირა დილით, ჩვენი ექსპედიციის გამოცდილი „პილოტის", თეიმურაზ დვალის მანქანით მამა ტიმოთეს სოფელ **ბოლაჯურში** გავყევით, სადაც იგი წმ. გიორგის ტაძრის წინამძღვრად მსახურობს. ტაძარი, რომელიც 1996 წელს საკუთარი სახსრებით აქაურ მკვიდრს, გოჩა ქიმაძეს აუშენებია, პატარა, მაგრამ კოხტა ბაზილიკას წარმოადგენს. მთავარი მაინც ისაა, რომ ამ სოფლის მკვიდრთ საშუალება აქვთ თავი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლად იგრძნონ და მისი წეს-კანონებით იცხოვრონ.

ბოლაჯურში მამა ტიმოთეს დავემშვიდობეთ და სოფელ **ჭელასაკენ** გავემართეთ, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ იქ დატრიალებული ამბებით მთელი საქართველოს ყურადღება მიიქცია.

გზად, რა თქმა უნდა, ვერ შევძელით გულგრილად აგვეარა გვერდი **ზარზმის** დიდებული ტაძრისათვის და მის მოსალოცად შევჩერდით. პირველ ეკლესიას, რომელიც სოფელ ზარზმაში ცნობილ სასულიერო მოღვაწეს, სერაპიონ ზარზმელს ადგილობრივი მთავრის, გიორგი ჩორჩანელის დახმარებით აუშენებია, ჩვენამდე არ მოუღწევია. მის ადგილას, მე-14 საუკუნის დასაწყისში ახალი, გუმბათოვანი ტაძარი აუგიათ, რომელიც ღმრთის წყალობითა და წინაპართა თავდადებით,

ვალეს ღმრთისმშობლის შობის ტაძარი, X ს.

დასავლეთი კარიბჭის თაღი.

ვალეს ტაძრის რელიეფური გამოსახულებანი.



ზარზმის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი, XIV ს.

ექსპედიციის მონაწილენი ახალციხეში, თამარ მეფის ძეგლთან.

კახარეთელი გოგო-ბიჭები.

აბასთუმნის წმ. ალექსანდრე ნეველის მონასტერი, «ახალი ზარზმა», XIX ს.

იმერთუბნელი ბავშვები.

სიმწვანეში ჩაძირული აბასთუმანი.



ტელესკოპი აბასთუმნის ობსერვატორიაში.

მომდევნო საუკუნეების სიავეს გადარჩენილი, ქვაბლიანის ულამაზეს ხეობას გვირგვინად ადგას.

წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან აქ სამონასტრო ცხოვრება აღდგა და ტაძარმაც და მისმა შემოგარენმაც იერ-სახე სასიკეთოდ იცვალა. მოვლილსა და სუფთა ტაძარს, ქვებით მოკირწყლული ბილიკებით, დეკორატიული მცენარეებით დამშვენებული ეზოს, კოხტად ამოშენებულ წყაროს მონასტრის ძმობის მზრუნველი ხელი ატყვია. კარგია ისიც, რომ ახალი სამონასტრო ნაგებობანი საშენი მასალითა თუ არქიტექტურული თვალსაზრისით კონტექსტიდან ამოვარდნილის შთაბეჭდილებას არ ტოვებს და მთავარ ტაძართან ერთად მწყობრ სამონასტრო კომპლექსს ქმნის.

სოფელ ჭელას მიახლოებულებს თვალში გვეცა მეჩეთი — რამდენიმე სართულიანი ოთხკუთხედი შენობა, ბრტყელი გადახურვით და პირდაპირ სახურავზე დადგმული დაბალი გუმბათით. სწორედ ამ მეჩეთთან დადგეს უკანონო გზით შემოტანილი მინარეთი — მაღალი, წვეტიანი რკინის ნაგებობა, რამაც ადგილობრივი ქრისტიანების ისეთი მღელვარება გამოიწვია, რომ იძულებულნი გახდნენ მალევე აეღოთ. ჭელაში 45 ოჯახი ცხოვრობს, აქედან 15 ქრისტიანული, გასული საუკუნის 40-იან წლებში რაჭიდან გადმოსახლებულნი, დანარჩენი — აჭარლები, რომლებიც აქ წინა საუკუნის 80-იან წლებში ჩამოასახლეს.

სოფლის ცენტრში, ლითონის ფირფიტებით შეჭედილი შენობის წინ, რომელიც, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, სოფელში რიტუალების სახლის დანიშნულებას ასრულებს, მრავალი ადამიანი ირეოდა. თვითონ შენობიდან (ეტყობოდა მუსიკალური ცენტრი ჰქონდათ ჩართული) გაუკრვეველი სიმღერების ხმები გამოდიოდა.

ამჯერად ჩვენი მოძღვარი და ექსპედიციის წევრი მამა თეიმურაზი (ბარაბაძე) ხალხთან შესახვედრად მანქანიდან არ გადმოსულა, რადგან წინა დღით გაგვაფრთხილეს, რომ ქრისტიანი მღვდელმსახურის გამოჩენას შეიძლება მაჰმადიანი ქართველების გაღიზიანება გამოეწვია.

შეკრებილებმა აგვიხსნეს, რომ რიტუალების სახლში ახალგაზრდების ქორწილს ზეიმობდნენ. ჭელელი ბავშვები მშობლიურ სოფელში ცხრაწლიან სკოლას ამთავრებენ და მერე იძულებულნი ხდებიან სწავლა სხვაგან დაამთავრონ. ისევე როგორც კახარეთში, აქაც სასოფლო ბიბლიოთეკა ამ რამდენიმე წლის წინ მოშალეს და წიგნები სკოლას გადასცეს. სამედიცინო მომსახურების თვალსაზ-

რისით, ჭელა ერთი ექთნის იმედზეა. სოფელს არც საბავშვო ბაღი აქვს და არც გზა უვარგა, მაგრამ მაჰმადიანმა ქართველებმა მეჩეთისათვის სახლის შეძენა და გვერდით, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ უცხო ქვეყნიდან შემოტანილი მინარეთის აღმართვა მაინც შეძლეს, მცირე ხნით იმიტომ, რომ ჭელელი ქრისტიანები იმ მიწაზე, რომლის მკვიდრნიც საკუთარი სარწმუნოების დაცვისათვის მაჰმადიანებთან უთანასწორო ბრძოლებში ამოწყდნენ, მინარეთის აღმართვას ვერ შეურიგდნენ.

სამწუხაროდ, საუბარში უცხო ქვეყნის მიერ წაქეზებულმა და მისი მხარდაჭერის იმედით გულმოცემულმა ქართველმა მაჰმადიანებმა თანამემამულე და თანასოფლელი ქრისტიანების მიმართ შეურიგებელი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ ქორწილს არც ერთი ქრისტიანი მეზობელი არ ესწრებოდა, ამიტომ ჩვენ მათთან შეხვედრა ვერ შევძელით, რის შედეგადაც მხოლოდ ერთი მხარის მოსმენა მოგვიხდა, და კიდევ ერთი: ადგილობრივმა მაჰმადიანებმა საუბარში ერთგვარი ნიშნის მოგებითაც კი გვითხრეს, რომ მათი თანასოფლელი ქრისტიანები უკვე ექვსი წელია აშენებენ ტაძარს, მაგრამ მისი კედლები ჯერ მიწას ორი მეტრითაც კი ვერ ააცილეს. იქნებ ამ ფაქტს იმ შეძლებულმა ქართველებმა მიაქციონ ყურადღება, რომელთაც იმაზე ბევრად მეტი აქვთ, ვიდრე ეს კომფორტული ცხოვრებისათვის სჭირდებათ და ჭელას თხუთმეტიოდე ქრისტიანულ ოჯახს ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწაზე, მათი სულების მოსახსენებლად, იმ რელიგიის სამლოცველოს აგებაში დაეხმარონ, რომლის დათმობასაც მათ სიკვდილი ამჯობინეს.

სოფელ **ჭეჭლისაკენ** მიმავალ გზაზე მარჯვენა მხარეს რამდენიმე მეტრის სიგრძის ცელოფნით შეფუთული, მოხსნილი მინარეთი დავინახეთ, რომელსაც მცველი ჰყავს მიჩენილი.

ჭეჭლაც შერეული სოფელია, ოღონდ აქ ქრისტიანი რაჭველები უმცირესობას არ წარმოადგენენ. 60 კომლიდან ნახევარი ქრისტიანია, ნახევარიც მაჰმადიანი ქართველი, აჭარელი. მაჰმადიან ქართველთა რელიგიური გააქტიურება ამ სოფელშიც ვიგრძენით და ბუნებრივად გაგვიჩნდა კითხვა: თუ აქამდე, აგერ უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, გაცილებით ადრე ჩამოსახლებულ რაჭველებ-იმერლებსა და შედარებით გვიან გადმოსახლებულ აჭარლებს შორის კეთილმეზობლური, ძმური ურთიერთობა სუფევდა, ახლა ვინ და რა საშუალებებით შეძლო მათი დაპირისპირება?

ისევე როგორც ამ მხარის სხვა სოფლებს, გზა, საბავშვო ბაღი და სამედიცინო მომსახურება ჭეჭლასაც აკლია. აქაური ბავშვები, ჭელელ ბავშვთა მსგავსად ცხრაკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ იძულებულნი ხდებიან, სწავლა სადმე სხვაგან გააგრძელონ. ამ მიზნით, ჭეჭლელები, ჩვეულებრივ, მეზობელი მოხის სკოლას აკითხავენ.

მოხე იყო ბოლო სოფელი, რომლის მონახულებაც ექსპედიციამ ადიგენის რაიონში შეძლო. სოფელს, რომელშიც 60 კომლიდან 25 ქრისტიანია, ტაძარი არ აქვს. მართალია, შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნანგრევები, მაგრამ მისი აღმდგენი ჯერ-ჯერობით არ ჩანს. მიუხედავად ამისა, მოხეში შაბათობით ზარზმიდან ამოდის მღვდელი პარაკლისის ჩასატარებლად. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მოხის საჯარო საშუალო სკოლამ, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, ახლომახლო სოფლების ბავშვების სწავლა-აღზრდასაც ემსახურება. გარდა იმისა, რომ არც გზა უვარგათ, არც საბავშვო ბაღი აქვთ და არც აფთიაქი, მოხელები უწყლობასაც უჩივიან.

მზე დასავლეთისკენ უკვე საკმაოდ იყო გადახრილი, როცა ახალციხისკენ გამოვბრუნდით. რადგან აღარსად გვეჩქარებოდა, უკან დასაბრუნებელ გზაზე ქვაბლიანის ხეობის მართლაც უჩვეულო სილამაზე უკეთ შევიგრძენით. შერეული ტყეებით დაფარული მთების ერთმანეთში გარდამავალი მწვანე და ყვითელი ფერები, მოთიბული პატარ-პატარა მინდვრების სიყვითლედაკრული სიმწვანე, მინდვრებში ბორცვებად აღმართული კოხტა ზვინები — ყოველივე ეს მუქი ლურჯი ცის ქვეშ, მზის ოქროსფერ სხივებში გახვეული, ისეთ არამიწიერ სილამაზეს ქმნიდა, კაცს რომ სამყაროს შემოქმედი ღმრთის წინაშე მუხლის მოყრისა და მისი სადიდებელი ღაღადისის სურვილს აღუძრავს. მზის სხივებით განზავებული ჰაერი კი ისე ლივლივებდა, გალაკტიონის სტრიქონები გამახსენა: „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“.

ვიფიქრე, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ წინაპართა საქმენი მართლაც შუქად ჰქონდა შეშენებული ამ ცას და მესხეთის ტანჯულ მიწას მზის ნათელთან ერთად არამატერიალური ნათლითაც აბრწყინებდა.



თეიმურაზ ფანჯიკიძე

განათლების ავბედითი რეფორმა საქართველოში

ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ბრძოლის ის ყიჟინა, იმ მძიმე ბატალიების ექო, რომელიც გამოუცხადა ნაციონალურმა მოძრობამ ქართულ სულიერებას, მის მენტალიტეტს, კულტურას და განათლებას. ჩვენ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აღგვიქვამს, ბოლომდე ვერ გაგვიანალიზებია, რა მოხდა, რაოდენ დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს ნაციონალურმა მმართველობამ, სათანადოდ ვერ შეგვიფასებია, თუ რა დიდი ზიანი მიადგა ჩვენ სახელმწიფოებრიობას, ეკონომიკას, მწერლობას, მხატვრობას, არქიტექტურას, განსაკუთრებით კი განათლების სფეროს, მათ მიერ ჩატარებული რეფორმის შედეგად; რამდენად დაეცა ზოგადად სწავლების დონე, რამდენად შეირყა საშუალო სკოლის ავტორიტეტი, როგორ დაკნინდნენ უმაღლესი სასწავლებლები, როგორ გააუქმეს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, როგორ დაეცა მეცნიერებისადმი ინტერესი და რამდენად არაპრესტიჟული გახდა მასწავლებლის, პროფესორის, საერთოდ, მეცნიერის წოდება. რამდენად ჩაუყვეს ხელი ჯიბეში ისედაც გაღატაკებულ მშობლებს და უფასო სწავლება, რომელსაც სტუდენტთა სტიპენდიებიც ახლდა თან — გააუქმეს. ეს არის რეალური შედეგი სააკაშვილ-ლომაიას მიზანმიმართული რეფორმისა, რომელსაც, მიუხედავად ასეთი სავალალო რეზულტატებისა, ნაციონალებმა ურცხვად წარმატებული რეფორმა უწოდეს.

განათლების რეფორმა რომ საჭირო და აუცილებელი იყო, ამაზე არავის უდავია არც მაშინ და არც დღეს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გარკვეული დროის გავლის შემდეგ თვით ყველაზე რევოლუციური, პროგრესული აზრი ძველდება, რაღაც აუცილებლად საჭიროებს განახლებას. ძველდება არა მარტო ტექნიკური საშუალებები, არამედ თვით სწავლების მეთოდები, ხერხები და საშუალებები.

ყავლი გასდის ადრინდელ პრიორიტეტებს, პროგრამებს. მუდმივადაა საჭირო ინოვაციები, ზრუნვა სათანადო კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის; ყოველივე ეს საჭიროა, რათა არ ჩამოვრჩეთ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ფხიზლად ვადევნოთ თვალი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, დავნერგოთ სიახლეები, მაგრამ წყალში არ უნდა გადავყაროთ წარსულში დაგროვილი გამოცდილება, გავითვალისწინოთ ადგილობრივი სპეციფიკა, დავიცვათ მემკვიდრეობის პრინციპი. ყველაფერი ვაკეთოთ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველგვარი რყევების, სტრესებისა და ტრაგედიების გარეშე.

როგორც გვახსოვს, რეფორმისთვის მზადება საქართველოში ნაციონალებმა ჩვენი მეცნიერული მიღწევების განქიქებით დაიწყეს, ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი მეცნიერება ვერ გადის საერთაშორისო არენაზე და არ იბეჭდება აღიარებულ ჟურნალებსა და კრებულებში. ამ მხრივ, თავი განსაკუთრებით გამოიჩინა ილიას უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ, რომელიც ამტკიცებდა, რომ აკადემიური ინსტიტუტების სამეცნიერო შედეგი პრაქტიკულად ნულს უტოლდებაო. რაც დიდი სიცრუე და ცილისწამება იყო...

მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ბრალდება, რომელიც უკიდურესად იყო გაზვიადებული, ეს იყო კორუფციის ფაქტები განათლების სისტემაში, განსაკუთრებით კი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე. ასეთი ფაქტები ჩვენს სასწავლო სისტემაში, სამწუხაროდ, მართლაც იყო, მაგრამ, თუ ვინმე რამეს მართლა არღვევდა და აშავებდა, ის მკაცრად უნდა დაესაჯათ კიდეც. სახელმწიფოში სწორედ იმისათვის არსებობს კანონები და სადამსჯელო ორგანოები, რომ ასეთი ფაქტები დაუნდობლად ემხილებინათ და აღმოეფხვრათ, ხოლო მისი ჩამდენი პირები თავიდან მოეშორებინათ. მაგრამ, ამ ფაქტების აღიარებასთან ერთად, მინდა პირდაპირ განვაცხადო, რომ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა უდიდეს ნაწილს კორუფცია არანაირად არ შეხებია. მეტსაც ვიტყვი, თუ იმ გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში სადმე იყო პატიოსნება შენარჩუნებული, ეს სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასთან ერთად ზოგ სხვა უმაღლეს სასწავლებელშიც იყო. პროფესორ-მასწავლებელთა უდიდეს ნაწილს არასოდეს მიუღია რაიმე ხელფასისა და ჰონორარის გარდა. ზოგჯერ ამას ემატებოდა და ავსებდა კანონით დაშვებული რეპეტიტორობით მიღებული თანხები.

ამასთან, ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც დაიშა-

ლა საბჭოთა კავშირი, როდესაც ქვეყანამ უარი თქვა სოციალიზმის მშენებლობაზე და კაპიტალიზმს დაუბრუნდა, როდესაც საერთო საკუთრება კერძო საკუთრებამ შეცვალა, ქვეყანაში დაიწყო პრივატიზაცია, საერთო ქონების შეძენა-განაწილება. ამ ეგრეთწოდებულმა პრივატიზაციამ, რომელსაც ხალხმა სამართლიანად უწოდა „პრიხვატიზაცია“, პროფესორ-მასწავლებლებს (გამონაკლისები არა მაქვს მხედველობაში) გროშიც არ შეახვედრა, ეს ადამიანები როგორი ღარიბებიცა და უქონელნიც იყვნენ, ისეთივე ღარიბებად და უქონლებად დარჩნენ. პირიქით, ახალ დროში მათ ოჯახის რჩენის სერიოზული პრობლემა გაუჩნდათ. ბევრი მათგანი კი (სააკაშვილის ტერმინოლოგიით „ჩარეცხილები“) ულუკმაპუროდ დატოვეს, რასაც დიდი ტრაგედიები და სიკვდილიანობა მოჰყვა.

ამ თემაზე ჩვენს პრესასა და ტელევიზიაში ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. მაგრამ, რაც დრო გადის, ამ უახლოეს წარსულში ჩადებული სულ ახალ-ახალი ნაღმები ფეთქდება და ახალ-ახალი უბედურებები იჩენს თავს, რაც ამ ვაი რეფორმამ მოიტანა. სულ უფრო მჟღავნდება ის ავგანზრახულობა, სიბოროტე და მავნელობა, რაც მის ჩატარებას მოჰყვა. ამასთან, სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა — **მაინც რა უნდოდათ, რას ესწრაფვოდნენ, რის მიღწევას ცდილობდნენ, რატომ გააუბედურეს, რატომ დატოვეს ულუკმაპუროდ, უსამსახუროდ, უწამლოდ, უექიმოდ და უსაშველოდ ამდენი ადამიანი; რატომ დატოვეს სტუდენტობა გამოცდილი, კვალიფიციური ლექტორების გარეშე**? რეფორმა ხომ შეიძლება გონივრულად ჩატარებულიყო, ისე რომ, გათვალისწინებული ყოფილიყო ხალხის ელემენტარული ინტერესები, როგორც უკვე ვთქვით, დიდი სტრესების გარეშე. მაგრამ რეალურად ყველაფერი ამის საპირისპიროდ გაკეთდა. მსხვერპლიც შესაბამისი იყო... სამწუხაროდ, ამ რეფორმამ უბედურების მეტი არაფერი მოიტანა...

რეფორმის დაწყების წინ განათლების მაშინდელმა ავადსახსენებელმა მინისტრმა კახა ლომაიამ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კათედრის გამგეები დაგვიბარა სამინისტროში. ინტიმურ გარემოში შეგვხვდა და რეფორმაზე გველაპარაკა. მისი საუბრიდან ის აზრი გამოვიტანეთ, რომ ყოველი ძალით უნდა დაგვეჩქარებინა ეს რეფორმა, რომელიც გულისხმობდა დიდი რაოდენობით პროფესორ-მასწავლებლების გათავისუფლებას, ძველი სტრუქტურების დაშლას, კათედრების და კაბინეტების გაუქმებას, ადრინდელი შეხედულებების ამოძირკვას. მისი თქმით, ეს ყველაფერი

უნდა შესრულებულიყო მანამ, სანამ ნაციონალური მოძრაობა აღმავლობის გზაზე იმყოფებოდა, სხვა შემთხვევაში რეფორმას საფრთხე ემუქრებაო...

არ ვიცი რატომ ჩქარობდა ასე განათლების მინისტრი, ამისათვის რა მოტივაცია ჰქონდა. რატომ ესწრაფვოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ასე გაუბედურებას (ზოგ უმაღლეს სასწავლებელს, რომელიც მეტი მორჩილებით გამოირჩეოდა ასე მკაცრად და დაუნდობლად არ მოქცევიან). პირადული შურისძიება იყო, გარედან მოსული ბრძანება თუ პირდაპირი დავალება სააკაშვილისაგან, რომელიც თავის დროზე არ მიიღეს (საჭირო ქულები ვერ მოაგროვა) სახელმწიფო უნივერსიტეტში და იძულებული გახდა სასწავლებლად კიევში წასულიყო. ან რამდენად უანგაროდ ხდებოდა ეს პროცესი, ამ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გასაცემად ბევრი რამ არის საკვლევი და გამოსაძიებელი. მაგრამ ზოგი რამ პირდაპირ ზედაპირზე ძევს და თვალნათლივ ჩანს: თბილისში, საბურთალოზე, გახმაურებულ საირმის გორაზე, I ექსპერიმენტალური სკოლის გვერდით დგას ხუთსართულიანი სახლი, რომელიც კახა ლომაიას ეკუთვნის. ზოგი ამბობს, რომ ის მიწა, რომელზეც ეს სახლი დგას სკოლას ეკუთვნისო. იმასაც ამატებენ, რომ, როდესაც I ექსპერიმენტალური სკოლის დირექტორმა მოინდომა სკოლის ქონების აღწერა, აღმოაჩინა, რომ ლომაიას სახლი სკოლის კუთვნილ მიწაზე იყო აშენებული. თვითმხილველნი იმასაც ამბობენ, რომ ამ ამბის შემდეგ დირექტორი სასწრაფოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მე, ცხადია, გამომძიებელი არა ვარ, ამის მტკიცება არ შემიძლია, მე მხოლოდ გავიმეორე ის, რაც გავიგონე, მაგრამ ის, რომ გამოსაკვლევია ამ დარგის „წარჩინებულთა“ ფინანსური საქმეები და მათი ქონების წარმომავლობა, ამაში, ალბათ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. განათლების სისტემის ამ კლანმა, როგორც ასევე ამბობენ, დიდი ფული იშოვა და ამით პროკურატურა სერიოზულად უნდა დაინტერესდეს..

როგორც ცნობილია, ყველა რეფორმას თავისი მიზანი და მიღწეული შედეგები აქვს. მაინც რას მიაღწიეს, რა შედეგი დადეს XXI საუკუნის ამ „განმანათლებლებმა“, რითი იწონებენ თავს? ფაქტობრივად — ვერაფრით. პირიქით მოხდა: ყველა მაჩვენებლით ქვეყანაში საოცრად დაეცა სწავლის დონე, უფასო სწავლებიდან გადავედით ფასიანზე (როდესაც რეფორმატორები ტრაბახობენ, რომ აღმოფხვრეს კორუფცია, მათ უნდა გავახსენოთ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ფასიან სწავლებაზე სერიოზული კონკურსიც კი არ იყო,

ახლა კი ფულს თითქმის ყველა სტუდენტი იხდის).

გაწყდა დამაკავშირებელი რგოლი ძველ და ახალ თაობას შორის. ახალგაზრდა რეფორმატორებს აღარ მოუნდათ წიგნებზე, მონოგრაფიებზე, დისერტაციებზე თავის მტვრევა, მათ უცებ მოინდომეს ძველი პროფესურის ერთი დარტყმით თავიდან მოშორება და მათი ადგილის დაკავება. ამისათვის ათას ხერხს მიმართეს: ზოგჯერ მათი ასაკი მოიშველიეს, ზოგჯერ სილაბუსები და კურიკულუმები დაუწუნეს, ბოლონიის პროცესი ახსენეს, გააუქმეს სადოქტორო დისერტაციის დაცვა. ის, ვისაც საკანდიდატო ხარისხი ჰქონდა დაცული სადოქტოროს გაუთანაბრეს. ყველამ პროფესორი დაირქვა. არ მესმის ვის უშლიდა ხელს ძველი იერარქია: ასისტენტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. განა იმით, რომ სასწრაფოდ დაირქვეს: ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, სრული პროფესორი, რაიმე შეიცვალა?

ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ჯერ საკანდიდატო, განსაკუთრებით კი სადოქტორო დისერტაციები უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენდნენ დასრულებულ სამეცნიერო შრომას (რომელსაც თან ახლდა გამოცემული მონოგრაფია). განსხვავებით დღევანდელი სადოქტორო დისერტაციებისაგან, რომელთა უდიდესი უმრავლესობა უბრალო რეფერატის შთაბეჭდილებას თუ სტოვებს.

ყველას გვახსოვს ისიც, რომ საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ წლები უნდა გასულიყო, მრავალი სამეცნიერო შრომა უნდა დაგეწერა, რომ შემდეგ სადოქტორო შრომის დაცვის უფლება მოგეპოვებინა, ყველაფერი ეს ამ ვაირეფორმატორებმა მოშალეს. არ გაითვალისწინეს არც ჩვენი სპეციფიკა, არც მენტალიტეტი და ტერმინების: დოქტორი და პროფესორის წოდებების სრული დევალვაცია მოახდინეს. ადრე, იგივე პროცესები შეეხო აკადემიკოსის წოდებას, როდესაც უამრავი დარგობრივი აკადემიები შეიქმნა და ათასი ჯურის ადამიანმა აკადემიკოსი დაირქვა.

კიდევ რაზე აპელირებდნენ რეფორმის ავტორები? პირველ რიგში ინგლისური ენის ცოდნაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა საშუალება სხვადასხვა ქვეყანაში შედარებით იოლად წასვლის და გადაადგილების. ამან ხელი შეუწყო, სტიმული მისცა, სხვადასხვა ენის ინტენსიურად შეთვისებას, მათ შორის ინგლისურის, რომელიც დღეისათვის ყველაზე გამოყენებად ენად იქცა მსოფლიოში. ინგლისური ენის ცოდნის საჭიროება ჩვენმა ვაირეფორმატორებმა ისეთ სიმაღლეზე

აიყვანეს, რომ აღარაფრად ჩააგდეს არა მარტო საკუთარი, არამედ სხვა არანაკლებ მდიდარი და ღირსეული ენები. გიგი თევზაძე იქამდეც მივიდა, რომ მოითხოვა საქართველოში ინგლისურის სახელმწიფო ენად გამოცხადება. ის, რისთვისაც მთელი ჩვენი ხალხი იბრძოდა — შეენარჩუნებინა და დაეცვა მშობლიური ენა, პროვინციალიზმად გამოაცხადა. ამ მხრივ, საქმე კურიოზამდეც მივიდა: სამეცნიერო შრომაში სხვა ენიდან ციტირებაც კი (კერძოდ, რუსულიდან) მიუღებლად ჩათვალეს.

რუსული ენა ჩვენგან დაცვას არ საჭიროებს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ იგი ათეულობით წლების მანძილზე ჩვენში ასრულებდა უცხოეთთან, უცხო სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურასთან შუამავლის ფუნქციას. მასზე უამრავი რამ არის თარგმნილი და, ცხადია, ეს დიდი საუნჯეა. გაუგებარია რატომ უნდა ვთქვათ მასზე უარი.

სხვა საკითხია, მართლაც იციან თუ არა ჩვენმა ახალგაზრდებმა ინგლისური. როგორც ირკვევა, საფუძვლიანად ძალიან ცოტამ: ენის ცოდნა არ ნიშნავს საყველპურო მარაგის ფლობას. მასზე უნდა შეგეძლოს არა მარტო მეტყველება, არამედ გამართულად წერაც, იმ უმდიდრესი სიტყვიერი მარაგის ცოდნა, რაც ამ ენებს გააჩნია. ჩვენ არაერთხელ ჩავარდნილვართ უხერხულ მდგომარეობაში ჩვენს მიერ გამოცემული წიგნების ინგლისური რეზიუმეებისაგან, სადაც სპეციალისტთა და უცხოელი მეცნიერების თქმით, უამრავი შეცდომა არის დაშვებული.

ძალიან ცუდი როლი შეასრულა რეფორმის ჩატარების დროს პროფესორ-მასწავლებელთა იმ ნაწილმა, რომლებმაც წინააღმდეგობა არ გაუწია, არ გააპროტესტა ამ ვაირეფორმის მესვეურთა გადაწყვეტილებები. მხარში არ ამოუდგა კოლეგებს. მათ, თავიანთი პასიურობით ხელი შეუწყვეს უმაღლესი სასწავლებლების რღვევას, მის წელში გადატეხვას. იმ დროს, როდესაც პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი აპროტესტებდა მიღებულ უკუღმართ გადაწყვეტილებებს, ხალხმრავალ მიტინგებს აწყობდა, აღშფოთებას გამოთქვამდა, იბრძოდა უკანონობის წინააღმდეგ, მეორე ნაწილი, მიმალული იყო კუთხეში და თავისი დუმილით თანადგომას უცხადებდა ნაციონალების მიერ უმაღლეს სასწავლებელთა ნგრევას.

თავისთავად ცხადია, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლებში რომ ერთობა ყოფილიყო, ნაციონალური მოძრაობა ამდენს ვერ გაბედავდა, სააკაშვილს, ბოკერიას, ლომაიას, შაშკინს, ახალაიას, თევზაძეს, რატიანს, ლადარიას და სხვებს ამდენი ბოროტების ჩადენის

საშუალება არ მიეცემოდათ.

არც ისაა გასაკვირი, რომ ამ კატეგორიის ხალხმა სწრაფად გამონახა საერთო ენა და ითანამშრომლა ნაციონალების მიერ დანიშნულ რექტორ ხუბუასთან, იმ ხუბუასთან, რომელმაც დამსახურებული ადამიანები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ უკანონო ქმედებათა გამო, დარბაზში გამოკეტა და ყოველმხრივ დაამცირა. უამრავი უსამართლობა ჩაიდინა და დაცვის გარეშე ვერ დადიოდა. სასწაული ის არის, რომ იგი უნივერსიტეტიდან გაშვების შემდეგ ისევ უკან მიიღეს.

ჩვენი ხალხის უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ დაქუცმაცებულები ვიყავით, არ იყო ერთიანი მიზნის სათანადო გაგება, რის გამოც ძალადობას ერთობლივად ვერ ვუწევდით წინააღმდეგობას. ამიტომ, ნაციონალები ერთ უმაღლეს სასწავლებელს რომ მიადგებოდნენ და განადგურებას დაუწყებდნენ, მეორენი დაჩაგრულების პროტესტში მონაწილეობას არ იღებდნენ. შემდეგ პირიქითაც ასე ხდებოდა ამიტომ ნაციონალებს არ გასჭირვებიათ დაეშალათ უკმაყოფილო ხალხი და თავისი ბინძური საქმე ბოლომდე ეკეთებინათ.

ქება-დიდება მას, ვინც ამ წნეხს გაუძლო და თავისი თანამშრომლები არ გასწირა. ქება-დიდება მას, ვინც ამ ხელისუფლების რისხვას არ შეეპუა და ბევრი შესანიშნავი, უსამართლოდ განდევნილი პედაგოგი შეიფარა. სწორედ ასეთი ღირსეული და უშიშარი კაცი აღმოჩნდა აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი, სტუ-ს რექტორი, რომელმაც ბევრი ღირსეული უნივერსიტეტელი შეიფარა და უბრალოდ სიკვდილს გადაარჩინა. ამისათვის იგი დიდ მადლობას იმსახურებს.

* * *

წერილის ბოლოს მინდა მოგითხროთ ამ ავბედითი რეფორმის ერთ-ერთ ასეთ მსხვერპლზე, შესანიშნავ ადამიანზე, რომელმაც ვერ გაუძლო უსამართლობას, საოცრად დამცირებულად იგრძნო თავი, სასოწარკვეთაში ჩავარდა მისი შრომისა და დამსახურების უკუღმართი შეფასების გამო. მას რეფორმატორებმა პირდაპირ უთხრეს, რომ მისი სპეციალობა და ეთიკის კათედრა უნივერსიტეტს აღარ სჭირდებოდა, ასეთი იყო ეთიკის შეფასება ამ უზნეო, უპასუხისმგებლო ადამიანების მიერ.

თავიდან დავიწყებ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრაზე მრავალი ათეული წელი მუშაობდა დიდებული ქალბატონი, ფილოსოფოსი და ეთიკის ბრწყ-

ინვალე სპეციალისტი, უსპეტაკესი ადამიანი, მრავალი მეცნიერული შრომის, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო კრებულების რედაქტორი, დოცენტი ლილი ჩინჩალაძე, რომელიც კითხულობდა თავის ლექციებს რუსულსა და გერმანულ ენებზე, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, სარგებლობდა სტუდენტთა დიდი სიყვარულით.

ცხოვრებაში არ შემხვედრია ასეთი მოკრძალებული, ზნეობრივი და მოსიყვარულე ადამიანი, როგორც ჩანს, ამ ბუნებრივი სიმორცხვის და მოკრძალების გამო მან ვერ შექმნა საკუთარი ოჯახი და თავისი დიდი სიყვარული და სითბო თავის საქმეზე, ნათესავებსა და საერთოდ ადამიანებზე გადაიტანა. ქვემოთ შემოთავაზებული ეს წერილიც, რომელიც მან გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა, მისმა დამ გადმოგვცა. იგი, მისთვის დამახასიათებელი ტაქტით და საქმის ცოდნით, გამოთქვამდა თავის გულისტკივილს, წუხილს ამ უმართებულოდ ჩატარებული რეფორმის გამო: ეს წერილი მშვენიერი დოკუმენტია იმის დასადასტურებლად, რომ მკითხველმა გააცნობიეროს, თუ რა დიდი ცოდვა დაატრიალეს ნაციონალებმა, რომლებმაც უარი თქვეს მრავალი საჭირო საგნის სწავლებაზე, მათ შორის ეთიკის სწავლებაზე და ამით თავისი უზნეობა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს.

ლილიანა ჩინჩალაძე

ჩემი გულსატკივარი განათლებისა და მეცნიერების რეფორმასთან დაკავშირებით

განათლებისა და მეცნიერების დარგში, ისევე როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა სფეროში, საზოგადოების წინაშე დროდადრო რომ ჩნდება რეფორმის გატარების აუცილებლობა-მიწანშეწონილება დავას არ უნდა იწვევდეს, სადავო ის არის — უწყობს თუ არა ხელს მიმდინარე რეფორმა საზოგადოების პროგრესს, კულტურული ღირებულებების შენარჩუნება-განვითარებას, თუ პირიქით, იწვევს საზოგადოების რეგრესს, კულტურული ღირებულებების დათრგუნვა-განადგურებას.

რეფორმის შესახებ საკითხი უაღრესად რთული და ძნელად გადასაწყვეტია, რაც საზოგადოების ინტელექტუალური ძალების დიდ აქტივობას და უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს.

საუკუნეთა განმავლობაში ურიცხვ მტერთა შემოსევების შედეგად

უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ქართველი ხალხი თავისთავადობას და ძლიერ ეროვნულ მუხტს ინარჩუნებდა მატერიალური და სულიერი კულტურის, მეცნიერების, მწერლობის, პოეზიის, ხელოვნების განვითარების წყალობით.

დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესები, კაცობრიობის ბედი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ თითოეული ერი რა წვლილს შეიტანს ზოგადკაცობრიული კულტურის საგანძურში.

რეფორმას, რომ სწორი მიმართულება მიეცეს, უპირველეს ყოვლისა, ნათლად უნდა იყოს დადგენილი კონკურსის ჩატარების ობიექტური კრიტერიუმები, რაც არსებითად გულისხმობს კონკურენტუნარიანი ძალების დაპირისპირების რეალურ შესაძლებლობას და მათგან უფრო მაღალი კვალიფიკაციის და პერსპექტიული სპეციალისტის არჩევას.

დღეს, როდესაც ჩვენი ხალხი უმწვავეს მატერიალურ და სულიერ კრიზისს განიცდის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, როცა დღითიდღე ღრმავდება ადამიანთა გაუცხოვების პროცესი, ზნეობრივი დეფორმაციები, საზოგადოებისათვის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მაღალკვალიფიცირებული და პერსპექტიული სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების შენარჩუნების საკითხი.

რეფორმასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი წერილები გამოქვეყნდა პრესაში თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის (ფილოსოფიის მიმართულებით) პროფესორ-მასწავლებლების: ბატონ გურამ ასათიანის, ქალბატონ გილდა სიხარულიძის, თსუ-ის ასამბლეის თავმჯდომარის, ქალბატონ დენიზა სუმბაძის და სხვათა მიერ. ჩემი მსჯელობაც თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის (ფილოსოფიის მიმართულებით) ჩატარებულ კონკურსის შედეგებს ეხება.

საკონკურსო კომისიას დიდი ძალისხმევა მართებდა, რათა რეიტინგისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით, ობიექტურად, სამართლიანად, გამჭვირვალედ ჩაეტარებინა კონკურსი.

იმის გამო, რომ სათანადოდ არ იყო გარკვეული კონკურსის ჩატარების ობიექტური კრიტერიუმები, ხელსაყრელი ნიადაგი იქმნებოდა სუბიექტივიზმისა და თვითნებობისათვის, კონკურსის არაგამჭვირვალედ, კლანური პრინციპების შესაბამისად მიმდინარეობისათვის.

კონკურსის არაგამჭვირვალედ ჩატარებამ ხელი შეუწყო თანასწორობის პრინციპის დარღვევას, რაც იმაში გაცხადდა, რომ

ფილოსოფიის ზოგიერთი დარგის წარმომადგენლები, ყველანი დასაქმებულნი აღმოჩნდნენ კონკურსის შედეგად, ხოლო სხვა დარგებიდან — ერთი ან ორი წარმომადგენელი. ამავე მიზეზით, არაერთი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი და აღმზრდელ-პედაგოგი, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი ინტელექტუალური და პროფესიული კულტურით, დარგისა და სტუდენტი-ახალგაზრდობისადმი დიდი ერთგულებით, პასუხისმგებლობის გრძნობითა და სიყვარულით და რომლებიც ამ თვისებების გამო დასავლეთის ნებისმიერ უნივერსიტეტს დაამშვენებდნენ, მოკლებულნი აღმოჩნდნენ სტუდენტებთან მუშაობის შესაძლებლობას, რაც საზოგადოებისათვის დიდი დანაკლისია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სალექციო საათების უკიდურესი შემცირების შედეგად სათანადოდ ვერ განვითარდება ფილოსოფიის ისეთი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა სოციალური ფილოსოფია, ეთიკა, ესთეტიკა და სხვ., რის გამოც მნიშვნელოვნად ჩამორჩება თვით ფილოსოფიის განვითარების დონეც და რის შედეგადაც საზოგადოებას დააკლდება ეპოქის შესაბამისი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციებით ხელმძღვანელობის შესაძლებლობა, რაც დიდად საზიანო იქნება ქვეყნისათვის. შემთხვევით არ უთქვამს ფილოსოფოსებს: „უბედურია ქვეყანა, სადაც არ ყვავის ფილოსოფია“.

ძალიან დასანანია, რომ აღმზრდელობითი თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორც რელიგიათმცოდნეობაა, საერთოდ ამოღებულია სასწავლო ცხრილიდან, მაშინ, როდესაც თსუ-ში პირველად შემოიღეს არჩევითი კურსები, ამ დარგის ღია პრეზენტაციის დროს, რომელიც პროფესორ-მასწავლებლების: ბატონ თეიმურაზ ფანჯიკიძისა და ქალბატონ რუსუდან წიქვაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა, სტუდენტთა დიდმა რაოდენობამ რელიგიათმცოდნეობა აირჩია ფსიქოლოგიასა და ეთიკასთან ერთად.

ვფიქრობ, კონკურსის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს კონკურსანტის მიერ ჩატარებული ლექციების ღია პრეზენტაცია დარგის სპეციალისტების თანდასწრებით და იმ პროგრამების შედარება, რომლის მიხედვით დგება მათი სალექციო კურსები.

უმართებულობად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში უხუცესთაგან არც ერთი პროფესორ-მასწავლებელი არ შეუყვანიათ. არაერთი ასაკოვანი, საუკეთესო მონაცემების და დიდი ამაგის მქონე პროფესორ-მასწავლებელი დარჩა კონკურსის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბა-

ტონ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით 2009 წლამდე პროფესორ-მასწავლებელთა შემცირება არ უნდა მომხდარიყო ასაკის მიხედვით.

ძველი და ახალგაზრდა თაობის ამგვარი დაპირისპირება ზნეობრივად ერთობ საზიანოა. ძველი თაობის ღვაწლმოსილი ადამიანების პატივისცემა და დაფასება, მათი ამაგის კონპენსაცია ადამიანში ბადებს ოპტიმიზმის გრძნობას, რომლის გარეშე ადგილი არ ექნებოდა შემოქმედებით შრომას და ბრძოლას უკეთესი მერმისისათვის, შეუძლებელი იქნებოდა თაობათა თანაარსებობა, სადაც ახალგაზრდა თაობა არა მხოლოდ ძველი თაობის საუკეთესო ტრადიციების მატარებლად გვევლინება, არამედ ნოვატორის როლშიც გამოდის. რაც შეეხება მოხუცებს, როგორც აღნიშნავდა მეჩნიკოვი, „მოხუცებს, რომლებსაც არ დაუკარგავთ მეხსიერება, არ დაქვეითებიათ გონებრივი ძალა, შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი დიდი გამოცდილება საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად რთული საკითხების გადაწყვეტისას“.

როცა ქვეყნად მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღატაკეს განიცდის, მოკლებულია ელემენტარულ საარსებო პირობებს: კვების რაციონს, მკურნალობას და დასვენებას, ადგილი აქვს შტატების დიდი ოდენობით შემცირებას, მასობრივ უმუშევრობას, როცა ნერვული სტრესების შედეგად ავადდება და გვეღუპება მრავალი ადამიანი. უმძიმესი ცხოვრებისეული პირობების გამო სულ უფრო მძაფრდება ადამიანის ცნობიერებაში ძნელად გადასაჭრელი კონფლიქტები და მასთან დაკავშირებული თვითმკვლელობის აქტები, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. არ უნდა გვიკვირდეს, რომ საზოგადოების დიდ ნაწილში იღვიძებს თავდაცვის ინსტიქტები, ზრუნვა თავის გადასარჩენად, პირადი ინტერესები.

მართალია, ფრანგი მატერიალისტები მორალის საფუძვლად პირად ინტერესს თვლიდნენ, მაგრამ ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ პირადი ინტერესი სიკეთეს წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ემთხვევა საზოგადოებრივ ინტერესს. წინაღმდეგ შემთხვევაში ის ბოროტებაა. მორალი, რომელიც გამოყოფს პირად ინტერესს საზოგადოებრივისაგან, საზრისმოკლებულია და საძულველი ადამიანთა ბუნებისათვის. მარტოოდენ პირადი ინტერესის გამოდევნება დაანგრევს სახელმწიფოს, ინდივიდის ქცევის უმაღლესი მიზანი უნდა იყოს საყოველთაო სიკეთე. ამგვარ სიკეთესთან თანხმობაში შეიძლება იყოს მხოლოდ სწორად გაგებული პირადი ინტერესი. ეს უკანასკნელი გულისხმობს მომავალზე, პროგრესზე ორიენტირებულ

ინტერესს. ისიც საყურადღებოა, რომ უზნეობის, როგორც საკუთარის სულისათვის შეუსაბამო მოვლენის, გაცნობიერება, მასთან კომპრომისების დაუშვებლობა სულიერი სიწმინდის ნიშანია, მაგრამ მხოლოდ სულიერი სიწმინდე საკმაო არ არის ზნეობრივი რეზონანსისათვის. აქტიური ზნეობრივი პოზიცია შეურიგებელ, უკომპრომისო, მიზანმიმართულ ბრძოლას მოითხოვს უსამართლობისა და მანკიერების წინააღმდეგ, რაც საზოგადოების კეთილდღეობისა და მისი პროგრესისათვის დიდად სასიკეთეა.

ზნეობრივი პოზიცია ძირეულად უნდა ეწინააღმდეგებოდეს როგორც საშიშ ანტისაზოგადოებრივ ტენდენციებს, ასევე ზნეობის პასიურ ხასიათსაც. როცა ადამიანები უსამართლობის ზემოქმედების შედეგად უარს ამბობენ ბრძოლაზე, რამდენადაც იმედი არა აქვთ, რომ მათი ბრძოლა ნაყოფს გამოიღებს, ისინი უნებლიედ ხელს უწყობენ უზნეობის განმტკიცებას.

ზნეობრივი პრინციპები თვით ცხოვრების წიაღში ყალიბდება, როგორც საზოგადოების პროგრესული ძალების აქტივიზაციის შედეგი. ამისათვის კი საკუთარი თავის სრულქმნაა საჭირო. ტოლსტოიმ კითხვაზე, რით დავიწყოთ სამყაროს გარდაქმნა? უპასუხა: უნდა დავიწყოთ საკუთარი თავის გარდაქმნით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რამ სულიერი სიკეთე გაგვაჩნია, ჩვენ მოვალენი და პასუხისმგებელნი ვართ მივცეთ ეს ხალხს, საზოგადოებას.

ზნეობის აქტიური ხასიათი, რაც სოციალური აუცილებლობის შემეცნებასა და თავისუფლებასთან არის დაკავშირებული, სოციალური ოპტიმიზმის წყაროა. გარდავქმნით და სრულვყოფთ რა თავს საზოგადოების პროგრესული მოთხოვნილების შესაბამისად, ამით ხელს ვუწყობთ ქვეყნად ულევი მატერიალური და სულიერი სიკეთის გამოვლენას და განმტკიცებას, ამდენად, ცხადია, სულიერი აღმავლობა, სრულქმნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიქრი დაწინაურებაზე, ბრძოლა წარმატების გარეგანი ატრიბუტებისათვის, ზრუნვა კარიერისა და საერთოდ პირადი კეთილდღეობისათვის, ამასთანავე ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი რეფორმატორის მიერ გამოთქმული მოსაზრება ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით. ეროვნული თავისთავადობისათვის ზრუნვა, მათი აზრით, მოკლებულია ღირებულებას, სწავლება კი თსუ-ში უნდა იყოს ინგლისურენოვანი. ცხადია, უცხო ენის შესწავლა, რუსული იქნება, ინგლისური თუ სხვა, დიდად სასარგებლოა აზროვნების, შემეცნების, კულტურული დონის ასამაღლებლად, ადამიანთა შორის ურთიერთობების გასაუმჯობე-

სებლად, მაგრამ ადრეულ ასაკში დედაენასთან ერთად უცხო ენის სწავლება, როგორც ამას ზოგიერთი მშობელი ჩადის, გაუმართლებელია პედაგოგიური პრაქტიკის მიერ. რაც შეეხება ეროვნული სუვერენობის, თავისუფლების ზრდას, ის ძალიან სასიკეთოა ზოგადკაცობრიული კულტურის განვითარებისათვის.

სამშობლოს სიყვარული, ეროვნული ფესვების წვდომა, საკუთარი ხალხის პატივისცემა და დაფასება, ზრუნვა ერის ფიზიკური და სულიერი განვითარებისა და კეთილდღეობისათვის ბუნებრივი გრძნობებია, რამდენადაც ადამიანი გენეტიკურად ერის ღვიძლი შვილია.

მამულიშვილური გრძნობა პასუხსაგები და წმინდათაწმინდა გრძნობაა. ეს არის მაღალი სულიერი კულტურის ნაყოფი.

მამულისადმი სიყვარული უნდა იყოს დაკავშირებული კაცობრიობის სიყვარულთან. კაცობრიობის ნამდვილი სიყვარულის გარეშე არ არსებობს სამშობლოს სიყვარული, რადგან სამშობლო კაცობრიობის ნაწილია და შეუძლებელია იგი მოვწყვიტოთ მას უსისხლოდ და ტანჯვის გარეშე.

იმისათვის, რომ კაცობრიობა ვითარდებოდეს, აუცილებელია თითოეული ერის თვითმყოფადობის განვითარება. ცნობილი სოციოლოგის მიხაკო წერეთლის თქმით, „როგორც ძლიერ მსგავსნი ინდივიდნი უფერულებას წარმოადგენენ, როგორც ერთადერთ ინდივიდს არ შეუძლია შემოქმედება, ისე ძლიერ მსგავსნი საზოგადოებანი უფერულ საზოგადოებრივ ცხოვრებას წარმოშობდნენ, ისე ერთადერთ საზოგადოებას ნაკლები შემოქმედების ნიჭი ექნებოდა. მრავალი საზოგადოება მრავალი ინდივიდუალობაა, მათი განსხვავებანი განსხვავებული შემოქმედების წყარონი არიან, მაშასადამე უფრო მდიდრისა და საინტერესო სოციალური ცხოვრებისა“.

ნაციონალურ კულტურებს შეუძლიათ წარმატებით ვითარდებოდნენ მხოლოდ სხვადასხვა ერის თავისუფალი ურთიერთგამდიდრების, ერთი კულტურის მეორესთან დაპირისპირების გარეშე.

რაც უფრო ვითარდება ერი, მით უფრო იღვიძებს მასში შეგნება ინდივიდუალობისა, როგორც პიროვნებას აქვს გრძნობა და შეუფერხებელი მისწრაფება თავის დაცვისა, ისე მთელ ერს, როგორც სოციალურ ორგანიზმს, აქვს ასევე ინსტიქტი და სურვილი თავის დაცვისა.

ერის მიერ საკუთარი ცხოველმოქმედების წესის დადგენა ის ფუნდამენტია, რომელზეც უნდა წარიმართოს გონებრივი და ზნეობრივი მოღვაწეობა. სუვერენობა მნიშვნელოვნად ამაღლებს ერის შემოქ-

მედებითსა და ზნეობრივ პოტენციალს.

ერის კულტურული დონის ამაღლება გულისხმობს კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულ გადამუშავებას, მის ნაციონალურ ათვისებას. ამის მივიწყება არსებითად ნიშნავს მსოფლიო კულტურის მრავალი მიღწევის უგულებელყოფას.

ეროვნული ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო მშობლიურ ენაზე სწავლება, შრომასა და ადამიანებთან ურთიერთობაში მისი გამოყენებაა. დედაენით შეძლო კაცობრიობამ ამაღლებულიყო სხეულებრივ ინსტინქტებზე და აქტიურად ჩართულიყო შემოქმედებითსა და ზნეობრივ განვითარებაში.

არცერთ ერს არ გააჩნია დედაენაზე უფრო ძვირფასი და სანუკვარი რამ. ყველა თვითმყოფადი, თავმოყვარე ხალხი ცდილობს თვალისჩინივით გაუფრთხილდეს დედაენას, ამიტომ დედაენის უფლებათა ხელყოფას, თუნდაც, უნებლიეს, გაუცნობიერებელს, უაღრესად მტკივნეულად განიცდის ყოველი ერის წარმომადგენელი.

როცა ყოფილი სსრ კავშირის ხელისუფალთა მხრივ იყო მცდელობა ცალკეულ რესპუბლიკებში რუსული ენა გაბატონებული სახელმწიფოებრივ ენად ექციათ, ქართველმა ხალხმა ხმა აღიმაღლა და არ დაუშვა უსამართლობა.

სხვადასხვა ერის ერთობაზე მსჯელობისას, ვგულისხმობთ თითოეული ერისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშან-თვისებების შენარჩუნებას. ეს გამოხატავს ერთაშორისი ურთიერთობის ჭეშმარიტი ჰარმონიის პრინციპს. ამ ინდივიდუალური ნიშან-თვისებებთაგან ენა უმთავრესია. ცნობილია, რომ ერის დაცემა ენის გადაგვარებით იწყება. ყოველი ასეთი ეროვნული კატასტროფა დანაკლისია ზოგადკაცობრიული კულტურის საგანძურისათვის.

ენა ხალხის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების უაღრესად სრული და ჭეშმარიტი მატიანეა. ქართულ ენაში აისახა ქართველი ხალხის სულიერი სამყაროს სიმდიდრე და მრავალფეროვნება, მისი ისტორია, ტრადიციები და ადათ-წესები, ადამიანთა მიზანსწრაფვა.

რუსული პედაგოგიკის მამამთავარი დ. უშინსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის სულიერ ფორმირებაში დედაენას და აღნიშნავდა: „ბავშვი დედაენის მშობლიური ძუძუდან იწოვს სულიერ ცხოვრებას და ძალას. დედაენა უხსნის მას ბუნებას, ისე როგორც ვერცერთი ისტორიკოსი ვერ გააცნობდა, მას შეჰყავს იგი ხალხის გრძნობათა სამყაროში, ისე როგორც ვერც ერთი ესთეტიკოსი ვერ შეიყვანდა, ბოლოს იგი აძლევს მას ისეთ ლოგიკურ ცნებებს და

ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომელთაც, რასაკვირველია, ვერ შესძენდა ვერც ერთი ფილოსოფოსი.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ ბავშვის შეუფერხებელი შემოქმედებითი და ზნეობრივი განვითარება მხოლოდ დედაენაზე სწავლების საფუძველზეა შესაძლებელი, რამდენადაც დედაენაზე მეტყველების უნარი დაბადებიდანვე კოდირებულია ადამიანში, მის ჩახშობას, განვითარების შეფერხებას გარდაუვალად მოსდევს გონების დაჩლუნგება და ზნეობის დაცემა.

რაც შეეხება თვითონ ერებს, თავისუფლების ზრდის შესაბამისად, როგორც აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი, თითოეულ მათგანს სულ უფრო მეტი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში სხვადასხვა მონაპოვრით, რომელნიც ავსებენ მსოფლიო კულტურის ზღვას. ერთმა წარჩინებულმა მწერალმა კაცობრიობა შეადარა მგალობელთა დიდ გუნდს — ქოროს, რომლის ჰარმონია მაშინ არის სავსე და სრული, როდესაც ყველა ხალხი თავისი შესაბამისი ხმით იღებს მონაწილეობას მსოფლიო ღაღადისში.



რუსუდან ლოხიშვილი

თეატრის როლი საზოგადოებაში და მისი ეკლესიური შეფასება

თეატრალურ სანახაობებს კაცობრიობის ისტორია უძველესი დროიდან. იცნობს ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნეებმა შეამჩნიეს, რომ ადამიანს თანდაყოლილი სიყვარული ჰქონდა სანახაობათა მიმართ. არისტოტელე მიიჩნევდა, რომ სახელოვან ბერძენ ტრაგიკოსთა ნაწარმოებები ადამიანს ეხმარებოდნენ მდაბალი ვნებებისგან გათავისუფლებასა და განწმენდაში. უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე თეატრს აქტუალობა არ დაუკარგავს. იგი შუა საუკუნეებში იმდენად პოპულარული იყო, რომ მაყურებელთა სიმრავლის გამო დარბაზები მათ ვეღარ იტევდა, რის გამოც ზოგჯერ წარმოდგენები ღია ცის ქვეშ იმართებოდა. იყო ისეთი პერიოდიც, როცა იმდენად უხამსი გახდა თეატრი, რომ ეკლესიის მამები სასტიკად კრძალავდნენ მასზე დასწრებასა და მასში მონაწილეობის მიღებას. საქართველოში პროფესიული თეატრი მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა და საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზოგადოების ცხოვრებაში. წმ. ილია მართალი უდიდეს მისიას აკისრებდა მას საზოგადოების ზნეობის, მისი კულტურული დონის ამაღლებისა და გაკეთილშობილებისთვის. იგი მიიჩნევდა, რომ სცენაზე განხორციელებული ლიტერატურული ნაწარმოებები ადვილად აღსაქმელი იყო უკლებლივ ყველასთვის. ამ საკითხთან მიმართებით, აზრთა სხვადასხვაობა დღესაც არსებობს. კერძოდ, თეატრის, სხვადასხვა სანახაობისა და წარმოდგენის არსებობა საკამათოდ იქცა. წერილი სწორედ ამ საკითხის განხილვას ეძღვნება. ვნახავთ, როგორი შეხედულება აქვს თეატრის შესახებ ეკლესიას და როგორ აფასებენ მას

თავად ამ სფეროში მოღვაწენი, რა როლს ასრულებს ის საზოგადოების ცხოვრებაში და საჭირო არის თუ არა მისი არსებობა.

წმ. ილია მართალი და თეატრი

წმ. ილია მართალმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული თეატრის აღდგენასა და განვითარებას, რადგან ფიქრობდა, რომ მას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო ქართველი ერის ცხოვრებაში. მისი აზრით, ვინაიდან ადამიანს ოდითგანვე იზიდავდა სანახაობა და მისი ბუნებიდან ამ თვისების აღმოფხვრა თითქმის შეუძლებელი იყო, ამიტომ უმჯობესად ამ თვისების მისთვისვე სასიკეთოდ გამოყენებას მიიჩნევდა და თეატრის სრულიად აკრძალვის ნაცვლად მასზე ზედამხედველობის დაწესებას ემხრობოდა, რათა მას ისეთი სპექტაკლები შეეთავაზებინა მაყურებლისთვის, რომლებიც მას ზნეობრივ ამაღლებას შეუწყობდნენ ხელს. „ქართული თეატრი ქართველთათვის ბევრის სიკეთის მომასწავებელია“, — წერს წმ. ილია მართალი, — ჩვენ არ ვიცით სხვა მისებრ უებარი საშუალება, რომელიც ეგრე გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებს ადამიანის უკეთესთა გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზედ“.[1]

ილიას აზრით, „სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს აადგმევინებს, ფრთას ააშლევინებს“.[2] როგორც იგი ამბობს, არ არსებობს მასზე უკეთესი გასართობი და დროის გასატარებელი საშუალება, რადგან მისი უპირატესობა ის არის, რომ „სცენა ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას, იგი ამ თავისი თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმედელი“.[3]

თეატრი, ისევე, როგორც საზოგადოდ ჭეშმარიტი ხელოვნება, ადამიანის კეთილშობილურ გრძნობებს აღვიძებს, ამაღლებს და ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმართავს. ამ გრძნობას ესთეტიკური გრძნობა ჰქვია, რომელიც „უზენაეს სიტკბოებას ეძებს ყველგან, სიცილი იქნება თუ ტირილი, ბოროტი იქნება თუ კეთილი. ამ გრძნობისათვის ზარდამცემი ბოროტებაც ისეთივე მშვენიერებაა,

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1991, გვ. 241-242.
[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 275.
[3] იქვე.

როგორც გულწარმტაცი კეთილი“, იმიტომ, რომ „ხელოვნება თვით ბოროტს აბოროტებს კეთილისთვის და კეთილი ხომ კეთილია.“ [4] ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძეს „ლედი მაკბეტის“ მაგალითი მოჰყავს: „სისხლისმსმელი კაცისმკვლელი მაკბეტის აფთარი ცოლი ისეთივე მშვენიერებაა ხელოვნების თვალით, როგორც გულკეთილი, გულწრფელი და კეთილისმოქმედი კორდელია. თუმცა ერთი გძულს და მეორე გიყვარს, მაგრამ აქ ძულებაც და სიყვარულიც ერთსა და იმავე საგანზეა მიმართული. ერთსა და იმავე ძარღვს ადამიანის გულისას აღძრავს. ერთი ბოროტის უარყოფის გზით და მეორე სათნოების დამტკიცებითა. ერთიც და მეორეც, მართლად მიმავალი, ესთეტიურს გრძნობას საამურად მიაჩნია, და იქნება პირველს შემთხვევაში უდრო ძლიერ იძვრის ადამიანის გული, უფრო დიდს ჭრილობებს და ტკივილს ადამიანის გულისას აყუჩებს იგი დიადი ძულება, რომელიც იბადება დიდის ბოროტის დანახვაზედ. ხორცის ტკივილიც განა იმავე კანონს არ ექვემდებარება? რამოდენადაც დიდია ტკივილი ხორცისა, იმოდენად საამურია მისი დაყუჩება და დაამება“.[5]

გარდა ამისა, თეატრს სხვა მისიაც ეკისრებოდა, ის უნდა ყოფილიყო ქართული ენისათვის თავისუფალი ასპარეზი, სადაც თამამად და უშიშრად გაჟღერდებოდა იგი. მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო იმ დროს ქართული ენა, მას მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი ედგა, რადგან, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, ასევე ეკლესიიდანაც სდევნიდნენ. ენის მოშლა კი ქვეყნის მოშლას ნიშნავს, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, — სრულად ეთანხმებოდა გრიგოლ ორბელიანის ამ თვალსაზრისს დიდი ილია. „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ“,[6] — სწუხდა იგი. საზოგადოება თანდათან ივიწყებდა ქართული სიტყვის საამურ მიხვრა-მოხვრას, აღარსად ისმოდა დარბაისლური ქართული საუბარი, სიმდიდრე ქართული სიტყვიერებისა, ასეთ სავალალო მდგომარეობაში „ქართული სცენა სწორედ ცის ნამია დამჭკნარის ყვავილისათვის“.[7]

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე ორგვარ ღვაწლს აკისრებს თეატრს, პირველი ის, რომ ადამიანის ზნეობის გამწმედელი, აღმზრდელი, ჭკუისა და გონების განმანათლებელი იყოს, და მეორე — იმ ადგილად უნდა იქცეს, სადაც ჩვენი ენა ფეხზე წამოდგება მთელი თავისი მშვენიერებითა და სიმდიდრით. „ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც

[4] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1991, გვ. 312.
[5] იქვე, გვ. 312-313.
[6] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 274.
[7] იქვე, გვ. 275.

გვექნება, სადაც ჩვენის ენით ვილხენთ, ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა“.[8]

ამ მიზნების განსახორციელებლად საგანგებოდ ჩამოყალიბებული თეატრალური დასი იყო საჭირო, რათა სცენაზე წარმოსადგენად მომზადებული პიესები რიგიანი და ღირებული ყოფილიყო. სწორედ ამიტომ თვითონ ჩაუდგა სათავეში დრამატული საზოგადოების დაარსებას, რომლის საქმიანობასაც თავადვე ადევნებდა თვალყურს და მკაცრ კრიტიკასაც არ ერიდებოდა, სიღრმისეულად განიხილავდა და განმარტავდა ყველა საკითხს. მისი აზრით, თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლები უნდა ესადაგებოდეს ჩვენი ცხოვრების რეალობას და ადამიანს დაფიქრებისა და განსჯის საშუალებას აძლევდეს: „ხანუმა“, ავია თუ კარგი, ჩვენის ცხოვრების სურათია, ჩვენის ცხოვრების ღვიძლი შვილია, ამ პიესაში დახატული ცხოვრება ჩვენთვის ყველასთვის ადვილი მისახდომია, ადვილად შესათვისებელი და ყველას გულში გვხვდება... ამათი ლაპარაკი, დარდი, მხიარულება, ამათი ავი და კარგი, ნაკლი და ღირსება გვესმის, არც გვეუცხოვება, — ყველა ეს ჩვენის თვალით გვინახავს, ჩვენის ყურით გაგვიგონია... მოსაწონია თუ არა მათი საქციელი, ამას ყველა ისე განსჯის, როგორც ჭკუა და გონება უჭრის, ამგვარი სურათები მაინც დააფიქრებს კაცსა, სამუშაო მასალას მისცემს მის გონებას“.[9]

ილია ასევე გადმოთარგმნილი პიესების შესახებაც საუბრობს და მიაჩნია, რომ მთარგმნელებმა უნდა შეარჩიონ ღირებული ნაწარმოებები და ისე თარგმნონ, რომ არა მხოლოდ მისაღები და გასაგები იყოს ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ მას გარე სამყაროს შემეცნებაშიც დაეხმაროს: „საჭიროა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ, თეატრის შემწეობით უცხო ქვეყნების ცხოვრებაც გაიცნოს, კლასიკური მწერლების მაღალი აზრებიც შეიტკბოს“,[10] მაგრამ, მისი აზრით, ქართულ სცენაზე უცხო ავტორის პიესის დადგმისას ის ან უცვლელად უნდა გადმოეღოთ და ეჩვენებინათ, სხვა ერის ცხოვრების, მის ზნეჩვეულებათა და ხასიათის გასაცნობად, ანდა მხოლოდ აზრი უნდა გადმოეღოთ პიესისა, თუნდაც მთელი აგებულება, მაგრამ ის წესჩვეულებანი, რომელნიც ჩვენსას არ ესადაგებოდა, ჩვენთვის დამახასიათებელი ხასიათითა და თვისებებით ჩაენაცვლებინათ. „პირველს შემთხვევაში ნაშრომს „თარგმანი“ ჰქვიან, — წერს იგი, — მეო-

[8] იქვე.
[9] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1991, გვ. 244-245.
[10] იქვე, გვ. 245-246.

რეში — „გადმოკეთებული“.[11] გადმომკეთებელს უფრო მეტი შრომა სჭირდება, თარგმნაც უნდა შეეძლოს და შემოქმედებითი უნარიც უნდა გააჩნდეს, ამიტომ „გადმოკეთება პიესისა დიდად საპატივო შრომაა, გადმომკეთებელი უფრო თვითმოქმედია, ვიდრე მთარგმნელი, რომელიც, რაც უნდა ვსთქვათ, ცოტად თუ ბევრად მონაა მისი, ვისაც სთარგმნის“.[12] ილია მართალს მიაჩნია, რომ უმჯობესია ჩვენი საკუთარი პიესები გვქონდეს, მაგრამ როცა ამის საშუალება არ არის, „მაშინ გადმოკეთება რიგიანის პიესისა ორს კურდღელს ერთად დაგვაჭერინებს: ერთი, რომ ყოველი რიგიანი პიესა საყურებლად სასიამოვნოა და ჩვენს საკუთარს ურიგო პიესაზედ ბევრად სამჯობინარია და მეორე — თუ კარგად გადმოკეთებულია ჩვენს ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებზედ, ნატვრას ჩვენის საკუთარისას ცოტად თუ ბევრად აკმაყოფილებს“.[13]

ილია ჭავჭავაძე ბ-ნ საფაროვის მიერ თარგმნილი „დავიდარაბის“ განხილვისას ამბობს: „მართალია, სასაცილო პიესაა, მაგრამ მარტო ეგ განა ღირსებაა, მაშინ, როდესაც მაგ სიცილის შემდეგ რაღაც მჭვარტლი ეკიდება კაცის გულს? იგი სიცილი მაშხალასა ჰგავს, რომელიც მინამ ანთია, კიდევ ჰო, როცა კი დაიწვის და ჩაქრება, დამწვარი მჩვარიღა დარჩება და ცხვირის მოსარიდებელი ნატისუსალი. იქნება იგი პიესა საფრანგეთის ზნესა და ყოფა-ცხოვრებას უხდებოდეს, და ჩვენთვის კი შემაზრზენია. ჩვენ ჯერ საბულვარო ცივილიზაციისაგან იმოდენად ხელუხლებელნი ვართ — ჩვენდა სასიხარულოდ — რომ გარყვნილება და ნამუსახდილობა ჯერ კიდევ საზიზღარია ჩვენთვის და არა გასართობი და სახუმარო“.[14] სწორედ ამას გულისხმობდა ილია, როცა ურჩევდა მთარგმნელებს ჩვენი ზნე-ჩვეულებისთვის უცხო და მიუღებელი პიესები პირდაპირ არ გადმოეღოთ, რადგან ამგვარი პიესა უარყოფითად კი არ განაწყობს ადამიანს ბოროტებისა და უზნეობის მიმართ, მის წინააღმდეგ საბრძოლველად კი არ აღძრავს, არამედ სიცილით უგრილებს გულს, ბოროტებას სასაცილო სახეს აძლევს და ამით ხელს უწყობს მის შემოსვლას ადამიანში და დარჩენას, როგორც მისთვის ჩვეული თვისებისა. „ეს სიცილი პიესისა ხუმრობისა და მხიარულების სიცილი რომ არ იყოს და იყოს იგი გამკითხავი, გამკიცხავი და ბასრ ხმალზედ უფრო მჭრელი სიცილი, რომელიც

[11] იქვე, გვ. 320.
[12] იქვე.
[13] იქვე, გვ. 320-321.
[14] იქვე, გვ. 295.

ზოგჯერ ცრემლზედ მწარეა და ბოროტის საკლავად შხამზედ უარესი, პიესას ამ მხრით წუნი არ დაედებოდა“, — ამბობს ილია, — რადგან „ადამიანის გრძნობას როგორღაც ეთაკილება, ეზიზღება ხუმრობა და გასართობი იქ, საცა ზრზენამ და ზიზღმა თავისი მრისხანე და სამართლიანი განაჩენი უნდა წარმოსთქვას და მახვილმა შეგინებულის ზნეობისამ თავი უნდა იჩინოს.“[15]

იმისათვის, რომ თეატრს სულ არ გამოუთხარონ ძირი და ისედაც ერთი მუჭა ხალხი სულ არ შემოიფერთხონ, წმ. ილია მართალი ასეთ რჩევას იძლევა: „ყოვლის ღონისძიებით ერიდენით კერძო პირთა მასხარად აგდებას სცენაზედ, ეგ თეატრის უკადრისი ქცევაა და შეუნდობელი ცოდვაა“.[16] ამიტომაც იგი მიიჩნევს, რომ მხოლოდ სახუმარო პიესებით არ უნდა იქნას გაწყობილი თეატრის პროგრამა, რადგან, ჯერ ერთი, გაუთავებელი ლხინიც კი ბოლოს ჭირად გადაექცევა ხოლმე ადამიანს, და მეორე: „სიცილიც არის და სიცილიც, უაზრო, უმიზეზო და დაუმთავრებელი სიცილი ლაზღანდარობაა“[17] და მთელ სამ-ოთხ საათს, თეატრში გატარებულს, თუ სულ ამ უაზრო ლაზღანდარობაში გავიყვანთ, იმის ნაცვლად, რომ სპექტაკლიდან გამოსულებმა სულისათვის სასარგებლო თუნდაც ერთი აზრი ჩავიყოლოთ გულში, ტვინგამოლაყებულნი წავალთ სახლში.

შეცდომა იქნება იმის თქმა, რომ „ჭეშმარიტი ხელოვნება სიცილითა და მხიარულებით უფრო იზიდავს [ადამიანს], ვიდრე ცრემლით, ნაღველით და მწუხარებით“.[18] თუ ჩვენი ესთეტიკური გრძნობა ღია იქნება ხუმრობის მისაღებად, არ არსებობს მიზეზი, რომ ნაღველისა და სევდის მისაღებად დახშული იყოს, რადგან „ცალის თვალით ღვიძილი მარტო კურდღელმა იცის და ესთეტიურ გრძნობას კი ერთის თვალით გაღვიძება არ შეუძლიან, ისე, რომ მეორე არ მღვიძარეობდეს“.[19] მთავარია, თავად წარმოდგენა იყოს ჭეშმარიტად ღირებული, აზრიანი, ცხოვრებისეული, მაღალზნეობრივი. „მარილიანს, ჯანიანს და მარგებელს სიცილს აზრი უნდა, მომავლინებლად საბუთი უნდა, ადამიანის გულის ძარღვთაგან მოქსოვილი იმ მრავალფეროვნებით, რითაც ასე მდიდარია ცხოვრება და ადამიანის გული, ეს უტყუარი სარკე ცხოვრებისა. როგორც უმიზეზოდ მტირა-

[15] იქვე, გვ. 295-296.
[16] იქვე, გვ. 496-497.
[17] იქვე, გვ. 312-314.
[18] იქვე.
[19] იქვე, გვ. 313.

ლა კაცი საზიზღარია, ისე უმიზეზოდ მოცინარიცა... სიცილი თავის დღეში არ უნდა გარდაიქმნას ლაზღანდარობად და ტირილი კიდევ უგემურ კნავილად".[20]

ილია თვალყურს ადევნებდა მსახიობების როგორც ქცევას, ასევე მათ მეტყველებას. სასტიკად კიცხავდა ბილწსიტყვაობას სცენაზე და ამის ვითომდა სასაცილოდ წარმოდგენას, რადგან სწამდა, რომ თუ თეატრი თავის მთავარ ფუნქციას, ხალხის ზნეობრივ აღზრდას ვერ მოახერხებდა, მიკიტანხანად გადაიქცეოდა და ასეთ შემთხვევაში მისი გაუქმება სჯობდა.

ამრიგად, განუზომელია წმ. ილია მართლის ღვაწლი ქართული თეატრის არსებობაში.

თანამედროვე შემოქმედთა აზრი სამსახიობო ხელოვნების შესახებ

პროფესიული თეატრი საქართველოში XIX ს-ში ჩამოყალიბდა და უდიდეს როლს ასრულებდა საზოგადოების ცხოვრებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას დიდ მისიას აკისრებდა წმ. ილია მართალი: ის ადამიანისთვის არა მარტო სასიამოვნო დროის გასატარებელი ადგილი უნდა ყოფილიყო, არამედ მისი სულის აღმზრდელი და გამოსაფხიზლებელი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობდა პიროვნების ზნეობრივად ჩამოყალიბებას.

ამგვარ მისიას აკისრებენ თეატრს დღესაც თანამედროვე შემოქმედნი და საზოგადო მოღვაწენი. რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „ქართულ თეატრს ყოველთვის მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების განვითარებაში".[21] ხოლო იმასთან დაკავშირებით, თუ რას უნდა ემსახურებოდეს თეატრი უპირველეს ყოვლისა, ზნეობას თუ ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებას, მას ასეთი მოსაზრება აქვს: „ზნეობრივი აუცილებლად ესთეტიკურიც არის. მე მიმაჩნია, რომ მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იქ მხვდა წილად გამარჯვება, სადაც ჩემმა ფილმმა ან სპექტაკლმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა ადამიანებზე, როცა ისინი გახდნენ უფრო უკეთესები, ვიდრე გუშინ იყვნენ".[22] მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი თეატრის დან-

[20] იქვე, გვ. 314.
[21] „მადლის" 1990-2010 წლების კრებული, I, თბ., 2010, გვ. 77.
[22] იქვე.

იშნულების შესახებ მბობს: „თეატრს, იმ გაგებით, რომ იქ მისული კაცი ზნეობრივად უნდა განიწმინდოს და აღამაღლოს, პატარა ეკლესიას ვუწოდებ. თეატრმა და კინომ ადამიანი ცხოვრებასა და თავის დანიშნულებაზე უნდა დააფიქროს, ყოველდღიური ყოფის წვრილმან საზრუნავებზე აამაღლოს, სამშობლოს სიყვარული განუმტკიცოს, კაცს რაინდული სულისკვეთების, ხოლო ქალს სათნოებისა და ზნეობრივი სიფაქიზის სილამაზე აგრძნობინოს და მისაბაძად დაუსახოს. სპექტაკლმა და ფილმმა ადამიანი, კარგი გაგებით, უნდა ააღელვოს, ანუ იმგვარი ემოციური ზემოქმედება მოახდინოს, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებად გაჰყვება, შემდეგში ეს შთაბეჭდილება დაიწმინდება და აზრად იქცევა... ზოგიერთ სპექტაკლს ჩემზე ისე უმოქმედია, რომ გულსა და გონებაში სამუდამოდ ჩამრჩენია. ჭეშმარიტად მაღალ დონეზე დადგმული სპექტაკლი თუ გადაღებული ფილმი, როგორც წესი, მაყურებელს არასოდეს ავიწყდება“.[23]

შემოქმედთა უმრავლესობა, მსახიობები თუ რეჟისორები, თანხმდებიან იმ საკითხში, რომ „ჭეშმარიტი ხელოვნება ადამიანის სულიერ აღზრდასა და ჩამოყალიბებას უნდა ემსახურებოდეს“,[24] — ამბობს გაზეთი „მადლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რეჟისორი ნანა მჭედლიძე. „ხელოვნებას აუცილებლად ესთეტიკური, მორალური, აზრობრივი დანიშნულება უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს ქართულ თეატრს და კინოს, რომელიც მუდამ იდგა ზნეობის სამსახურში“. — მიიჩნევს გიგა ლორთქიფანიძე, — „თუ ხელოვნება არის ზნეობრივი, ის აუცილებლად არის ესთეტიკურიც“.[25] რაც შეეხება ეკლესიასთან და სულიერ ცხოვრებასთან მიმართებას, მისი აზრით, ეკლესია და თეატრი ორივე ერთ საქმეს — ზნეობის ამაღლებას ემსახურება, ოღონდ მეტ-ნაკლებად და სხვადასხვა გზით. არ არის შემთხვევითი, რომ თეატრს ტაძარს უწოდებენ. ეს არის ის დაწესებულება, რომელიც მაღალ ზნეობას, სიწმინდეს, სიყვარულს ქადაგებს. ვფიქრობ, ჭეშმარიტი თეატრი ეკლესიას უნდა ედგას გვერდით ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების საქმეში“.[26]

მოქანდაკე ჯემალ ბჟალავა ხელოვნებაზე საუბრისას ამბობს: „ხელოვნება საუკეთესო საშუალებაა ხალხების ერთმანეთთან დასაახლოვებლად. ერები ერთმანეთს ხელოვნების საშუალებით ეცნობიან,

[23] იქვე, გვ. 151.
[24] იქვე, გვ. 77-78.
[25] იქვე, გვ.
[26] იქვე, გვ. 78.

კერძოდ, ხელოვანი თავისი ხელოვნებით უცხო ქვეყანას წარმოდგენას უქმნის თავის სამშობლოზე, მის სულიერსა და კულტურულ დონეზე, წარსულსა და აწმყოზე".[27] „ხელოვნების დანიშნულება, პირველ ყოვლისა, თავისი თავის სრულყოფაშია. ამასთან, რამდენადაც ერის განსხვავებულ სახეს წარმოადგენს, იგი ჩვენს ტრადიციებს და იმ ინდივიდუალურ თვისებებს წარმოაჩენს, რომლებითაც სხვებისგან განვსხვავდებით. ამ სრულყოფას ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს, — რაც შეიძლება დიდი სამსახური გაუწიოს სამყაროში სიკეთისა და ზნეობის გამარჯვებას, ადამიანთა და ხალხთა შორის კეთილი ურთიერთობის დამყარებას. საბედნიეროდ ჩვენს ხელოვნებაში შემორჩენილია ის, რაც სხვებთან უმრავლეს შემთხვევაში დაკარგულია და რასაც გაფრთხილება სჭირდება, — საკუთარი ფესვებისა და ტრადიციების ცხოველმყოფელი განცდა, რამაც უნდა გადაგვარჩინოს"[28].

რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი ხელოვნებას ღმრთისგან ბოძებულ მადლად მიიჩნევს და ამბობს: „ხელოვნება ღმრთისგან ბოძებული მადლია, რომელმაც ერი, ადამიანი სულიერად უნდა აღზარდოს და უკეთესი გახადოს".[29]

თეატრის მაღალი ღირებულების განმსაზღვრელი უპირველესად სწორად შერჩეული რეპერტუარია. ოთარ მეღვინეთუხუცესის აზრით, „რეპერტუარს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დასადგმელად თუ გადასაღებად სწორად შერჩეული პიესები და სცენარები განსაზღვრავენ სწორედ თეატრისა და კინოს წარმატებებს".[30]

ამავე აზრისაა დოდო ჭიჭინაძე, რომელიც ამბობს, რომ საჭიროა „ზნეობრივი თვალსაზრისით შერჩევა იმ ნაწარმოებებისა, რომელნიც სცენასა თუ ეკრანზე უნდა იყვნენ გადატანილნი და ამ მხრივ მათზე კონტროლის დაწესება, რადგანაც კინომაც და თეატრმაც ადამიანს სულიერი საზრდო უნდა მიაწოდოს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორი იქნება ეს საზრდო სულისათვის — სნეულებათა შემყრელი, თუ პირიქით, მისი გამწმენდი და გამაჯანსაღებელი. თეატრსაც და კინოსაც დიდი შესაძლებლობები აქვთ, როგორც იმისა, რომ ადამიანებს მაღალი ზნეობის სილამაზე აგრძნობინონ და მისაბაძ მაგალითად დაუსახონ, ასევე იმისაც, რომ უზნეობა, ცოდვა მომხიბვლელად და მიმზიდველად წარმოუდგინონ. აქედან გამომდინარე, ყველა

[27] იქვე, გვ. 62.
[28] იქვე, გვ. 63.
[29] იქვე, გვ. 132.
[30] იქვე, გვ. 151.

რეჟისორი დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს იმ მასალას, რომელიც შემდეგ ფილმად ან სპექტაკლად იქცევა და მაყურებელს მიეწოდება“.[31]

ადამიანის სულისათვის მავნებელია იმგვარი ნაწარმოებების მოსმენა, სადაც უზნეობა სახუმარო საგნადაა მიჩნეული, რადგან ამგვარი ქმედება აჩლუნგებს პიროვნების სინდისს, ცუდისა და კარგის გარჩევის უნარს და მისი გონება და გული ეჩვევა უზნეობას. ამის თაობაზე ოთარ მეღვინეთუხუცესი ამბობს: „სცენიდან და ეკრანიდან მოსმენილი ბილწსიტყვაობა ჩემთვის სრულიად მიუღებელია და, ვფიქრობ, ამას არავითარი გამამართლებელი მიზეზი არ მოეძებნება, მით უმეტეს, როცა თეატრალურსა და კინოხელოვნებას მრავალი საშუალება აქვს სათქმელის არა პირდაპირ, არამედ მინიშნებით გადმოცემისა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ნამდვილად მეკოცნოს სცენაზე ვინმესთვის. ყველაფერს ზომიერება სჭირდება“.[32]

ასევე მიუღებელია უცხო ერებიდან პირდაპირ და უცვლელად გადმოღება მათთვის დამახასიათებელი თვისებებისა თუ ტრადიციებისა. „ჩვენ ბევრი შესანიშნავი ტრადიცია გვაქვს, რომელიც აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. ის, რაც ღირებულია და ფასეულია, რაც ჩვენი მრწამსის განმსაზღვრელია, იმის უარყოფა, რა თქმა უნდა, დაუშვებელია. თუ ახალსა და კარგს მოგვაწოდებენ, მივიღოთ, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ის ტრადიციები, რომლითაც დღემდე მოვდივართ, დავივიწყოთ ან უარვყოთ“,[33] — ამბობს რეჟისორი ნუკრი ქანთარია.

რაც შეეხება მსახიობის პროფესიას, ოთარ მეღვინეთუხუცესის აზრით, „მსახიობი მრავალი თვისებით დაჯილდოვებული პიროვნება უნდა იყოს, უპირველესად, მან ცხოვრებაზე დაკვირვება, ამ გზით გამოცდილების დაგროვება და შემდეგ მისი სცენასა თუ ეკრანზე გადატანა უნდა შეძლოს. მსახიობს არ უნდა ეტყობოდეს, რომ თამაშობს. რაც შეეხება პროფესიულ ოსტატობას და მის სრულყოფას, ამაში, უწინარეს ყოვლისა, ხელოვანს პიროვნული სრულყოფისაკენ სწრაფვა ეხმარება. საკუთარი სულიერი სამყაროს სრულყოფაზე ზრუნვა აუცილებლად შეეწევა მას როლის წარმატებით შესრულებაში. მსახიობი აუცილებლად უნდა იყოს ნაკითხიცა და განათლებულიც“.[34]

[31] იქვე, გვ. 157-158.
[32] იქვე, გვ. 151-152.
[33] იქვე, გვ. 146-147.
[34] იქვე, გვ.149.

საზოგადოებაში ხშირად ისმის კითხვა, იმის თაობაზე, მოქმედებს თუ არა შესრულებული როლი თავად მსახიობის (შემსრულებლის) პიროვნებაზე. შეუძლია თუ არა მიდრიკოს მისი თვისებები კარგისკენ ან ცუდისკენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, მსახიობი ქეთევან კიკნაძე ამბობს: „გარდასახვის პროცესში მსახიობი არ კარგავს თავის ინდივიდუალობას, პირიქით, ინდივიდუალობას დებს როლში. მაგალითად, მე შევასრულე წმ. ქეთევანი ფილმში „წიგნი ფიცისა". ამ როლმა კიდევ უფრო გამიღრმავა ღმრთისადმი რწმენა, გავეცანი წმინდანის ცხოვრების ამსახველ უამრავ მასალას, რომელმაც თვალნათლივ დამანახა, თუ რა დიდი გრძნობაა ღმრთისა და მამულის სიყვარული".[35]

ოთარ მეღვინეთუხუცესი კი მიიჩნევს, რომ „მსახიობი რომ ჰამლეტსა და მეფე ლირს განასახიერებს, არ შეიძლება მათმა პიროვნულმა თვისებებმა მასზე ზეგავლენა არ მოახდინოს. საერთოდ, ღრმად მოაზროვნე მწერალთა ნაწარმოებების გაცნობა და მათი პერსონაჟებისათვის ხორცშესხმა მსახიობის შინაგან სამყაროზე ღრმა კვალს ტოვებს. ამ დროს, მთავარია, მან გარჩევა შეძლოს; ის, რაც ამაღლებული და ზნეობრივია, შეითვისოს, ხოლო ადამიანის დამამდაბლებელი და ღირსების შემლახველი თვისებები შეიძულოს".[36]

რუსეთში მოღვაწე თანამედროვე შემოქმედთა შეხედულებანი თეატრის შესახებ

თეატრისა და ეკლესიის ურთიერთობა პრობლემური საკითხია რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაშიც. ქვემოთ განვიხილავთ რუსეთის საზოგადო მოღვაწეთა და ეკლესიის მამათა შეხედულებებსა და დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

ჟურნალ „Наука и религия"-ში დაიბეჭდა ლევ ალაბინის სტატია, სადაც იგი მიმოიხილავს რა ამ საკითხს, ამბობს: „მსოფლიოში უძველესი დროიდან არსებობდა თეატრი. ეკლესიისა და თეატრის ურთიერთობა გაუარესდა ერეტიკული მოძრაობების გამო. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ერეტიკოსი — არიოზი, რომელმაც უამრავი ხალხი შემოიკრიბა, თავისი სწავლების პროპაგანდისთვის თეატრს იყენებდა. ამიტომაც თავად სიტყვა „თეატრი" ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ერესის სინონიმი, ისე გამოიყენებოდა.

[35] იქვე, გვ. 83.
[36] იქვე, გვ. 152.

კონსტანტინეპოლოს მთავარეპისკოპოსის იოანე ოქროპირის დროს, ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი სავსე იყო ყოველგვარი სანახაობებით, რომელნიც წმინდა მამის მხრიდან მძაფრად იკიცხებოდნენ, იქიდან გამომდინარე, რომ ამ სანახაობებში იყო სიცილი, უსირცხვილობა, დემონური მხიარულება, არეულობა, დროის უსარგებლო ფლანგვა, მანკიერი ვნებების წვრთნა, სიძვის სკოლა, გარყვნილების წაქეზება, უხამსობის მაგალითები („საუბრები" „საქმე მოციქულთა"-ს შესახებ). თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით თეატრის ამა თუ იმ კრიტიკას ქრისტიანული თვალსაზრისით, ნათელი გახდება, რომ უარყოფილია არა თეატრი, არამედ მისი ნაკლოვანება — უსირცხვილობა, უხამსობა, უზნეობა, გარყვნილება".[37]

სტატიის ავტორი ფიქრობს, რომ თანამედროვე მასობრივ თეატრალურ ინდუსტრიას დიდი ზიანი მოაქვს ზნეობისთვის, თუმცა ისიც საეჭვოა, რომ თეატრების დახურვა და ტელეგადაცემათა შეწყვეტა მყისვე ზნეობის გაუმჯობესებას გამოიწვევს. ანალოგიურ აქციებს მიმართავდნენ თავის დროზე ანგლიკანი პურიტანები, მაგრამ უშედეგოდ. მისი აზრით, ჩვენ იმ მდგომარეობაში არ ვართ, რომ თეატრალურობისგან გავთავისუფლდეთ, რადგან ის თანამდევია მთელი ჩვენი ცხოვრების.[38] ავტორს მოჰყავს რამდენიმე ცნობა იმის თაობაზე, თუ რამდენად პოპულარული იყო თეატრი შუა საუკუნეებში და შემდგომაც: „ფლორენციაში 1304 წ. წარმოდგენილი იყო ცოდვილების წამება ჯოჯოხეთში. სცენა მოწყობილი იყო მდ. არნოზე, რომელსაც მაყურებლები ხიდიდან უყურებდნენ. იმდენად ბევრი მაყურებელი მოგროვდა, რომ ხიდი ჩატყდა და უამრავი ადამიანი დაიღუპა მდინარეში. 1412 წ. „წმ. დოროთეს" წარმოდგენისას მაყურებელთა სიმრავლის გამო შენობას სახურავი აეხადა და 33 ადამიანი დაიღუპა. პირველი რუსი დრამატურგისა და თეატრის მფარველის წმ. დიმიტრი როსტოველის პიესა „Ростовское действо" (საშობაო დრამა ადამიანის გამოხსნის შესახებ) დღესაც არ მოძველებულა, ის აღადგინეს და აკადემიური თეატრების რეპერტუარში შევიდა. რუსული თეატრის დამფუძნებელმა თეოდორ ვოლკოვმა თავისი მოღვაწეობა სწორედ წმ. დიმიტრის ცხოვრების თეატრალური დადგმით დაიწყო. რუსეთში უყვარდათ წარმოდგენები წმინდანთა ცხოვრებიდან, მათგან ყველაზე ცნობილი იყო „ცეცხლოვანი ღუმელი", რომელიც პირდაპირ ტაძრებში 17 დეკემბერს, სამი წინასწარმეტყველის ანანიას, აზარიას

[37] **Журнал «Наука и религия», №7,2003, с. 20.**

[38] იქვე.

და მისაილის ხსენების დღეს იმართებოდა. ეს წარმოდგენა XI ს-დან იდგმებოდა, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ იმ სახით მოაღწია, რომელიც მას XVI ს-ში ჰქონდა. უკანასკნელად „ცეცხლოვანი ღუმელი“ XX ს-ის დასაწყისში მოსკოვის კრემლის ტაძარში გათამაშდა. მაშინ ეს სანახაობა მიტროპოლიტი ტრიფონის (თურქესტანოვი) დახმარებით დაიდგა.

რაც შეეხება სამხრეთს, აქ ეკლესიისა და თეატრის ურთიერთობა ერთგვაროვანი და მარტივი არ ყოფილა. პაპმა პავლე III-მ 1549 წ. წარმოდგენების რომის კოლიზეუმში გამართვა აკრძალა. იმავე პერიოდში პარიზში საფრანგეთის პარლამენტის მიერ მისტერიების დადგმა აიკრძალა.

რუსეთშიც გამოჩნდა უხამსი სანახაობები, ტაკიმასხარები და მათი ქმედებები, როკვა და ა. შ. ისინი ეკლესიისგან კატეგორიულად და შეუწყნარებლად გაიკიცხა. 1648 წლის სამეფო დადგენილებებით, ტაკიმასხარები, თავიანთი უნამუსო თამაშის გამო, და მათი „საძაგელი“ საქმის თანამონაწილენი კანონით დასჯას ექვემდებარებიან“.[39] ეკლესიის განმარტებები პირველ საუკუნეებში სანახაობათა შესახებ დღესაც შესაძლოა აქტუალური იყოს. ისინი ეხება მათ, რომელნიც უზნეობას ემსახურებიან, უხამს ფილმებსა და სპექტაკლებში მონაწილეობენ და ეკრანსა და სცენაზე გარყვნილებასა და ავხორცობას ასახიერებენ. მეტი სიცხადისთვის ავტორი წარმოგვიდგენს რამდენიმე საეკლესიო დადგენილებას თეატრისა და სანახაობათა შესახებ. „314 წ. არლეს ეკლესიის დადგენილებით, მსახიობებს აეკრძალათ ყოველგვარი შეხება ეკლესიასთან, სანამ რჩებიან მსახიობებად. 315 წ. ელვირეს ტაძარმა გადაწყვიტა, დართოს მსახიობს ქრისტიანობის მიღების, მონათვლის ნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვის თავის საქმიანობაზე და დადებს აღთქმას, რომ მომავალშიც აღარ დაუბრუნდება მას.

ეს აკრძალვები მსახიობის პროფესიისა ეხებოდა ძველ რომაულ თეატრს, რომელიც იყო სისხლიანი, სასტიკი, უხამსი“.[40]

წმინდა წერილში თეატრალური სიმბოლოების ბევრი მაგალითია. სტატიის ავტორი რამდენიმე მათგანზე ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ: ერთხელ პავლე მოციქულს ესიზმრა სიზმარი: „და ჩვენებასა ღამისასა ეჩუენა პავლეს: კაცი ვინმე იყო მაკედონელი, დგა და ევედრებოდა მას და ეტყოდა: წიაღ მოგუალე მაკედონიად და შემეწიე

[39] იქვე.
[40] იქვე, გვ. 22 .

ჩუენ. და ვითარცა ჩუენება იგი იხილა პავლე, ვისწრაფეთ მეყსეულად განსვლად მაკედონიად, გულისხმა-ვყავთ, რამეთუ მუნ მიჩინნა ჩუენ უფალმან ხარებად მათდა"(საქმ. 16; 9-10). „ისმის კითხვა, რატომ დასჭირდა მაცხოვარს თავისი მოციქულისთვის დამწუხრებული მაკედონელის გაგზავნა, როცა თვითონ შეეძლო მიეთითებინა — სად წასულიყო და რა გაეკეთებინა. როგორც ვხედავთ, თავად ჭეშმარიტებამ, უფალმა აქ მიიღო დახმარების მთხოვნელი მაკედონელის სახე. ჭეშმარიტებას ამით არავითარი ზიანი არ ადგება, რადგან მოციქულებმა, რომელთაც ებოძათ ჩვენება, მშვენივრად გააანალიზეს მისი მნიშვნელობა და ჩვენ გვაჩვენეს, როგორ უნდა გავარჩიოთ სულიერი საკითხები".[41]

კიდევ ერთი მაგალითი: წინასწარმეტყველმა აგაბოსმა, რომელმაც უწინასწარმეტყველა პავლეს ბორკილების დადება, მისი სარტყელით საკუთარი ხელები შეიკრა (საქმ. 21;11). ეს სიმბოლური მოქმედებები უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე უბრალოდ სიტყვები.

თეატრალურობა განსაკუთრებით ჩანს სალოსების ქცევაში. ავტორს ოპტის უკანასკნელი ბერის, ღირსი ნექტარის მაგალითი მოჰყავს, რომელიც კითხვაზე პასუხს თოჯინების მიერ გათამაშებული მთელი სპექტაკლით იძლეოდა. შემკითხველს პასუხებს ეს თოჯინები, სპექტაკლის პერსონაჟები, აძლევდნენ. „მეუფე თეოფანეს არ სჯეროდა ბერის სიწმინდის. ერთხელაც მივიდა ის ოპტის მონასტერში, შევიდა მამა ნექტარისთან. მან კი ყურადღებაც არ მიაქცია, რადგან თოჯინების თამაშით ერთობოდა: ერთს სჯიდა, მეორეს სცემდა, მესამეს ციხეში სვამდა. ამ სურათის ხილვამ მეუფე მისი მოსაზრების სისწორეში დაარწმუნა. მოგვიანებით, როცა ბოლშევიკებმა დააპატიმრეს, ის ამბობდა: „ცოდვილი ვარ უფლისა და წმინდა მამის წინაშე. ყველაფერი, რასაც ის მაჩვენებდა, მე მეხებოდა, მე კი ვიფიქრე, რომ ის არანორმალური იყო"(„ოპტელი მამის ნექტარის ცხოვრება").[42]

მოსკოვის რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მიხეილ შეპენკო თეატრისა და ეკლესიის ურთიერთობის შესახებ ამბობს: „თეატრისა და ეკლესიის ურთერთობა მუდმივი დაპირისპირების საგანია. იოანე ოქროპირმა დაგმო თეატრი, მსახიობი გაუთანაბრა მეძავს, მსახიობებთან ერთად ტრაპეზობასაც კი კრძალავდა. მართლაც, იმ დროს იდგმებოდა უმეტესად რომაული

[41] იქვე, გვ. 21.
[42] იქვე.

კომედიები თავისი სპეციფიკური იუმორით. იოანე კრონშტადტელის დროსაც, როცა უკვე ჩამოყალიბდა რუსული თეატრი, ეს ტრადიციული უსიამოვნება მაინც იჩენდა თავს. ჩვენ ვწვალობდით ამ პრობლემის გამო არა ერთი წელი. რჩევისათვის მივმართეთ ცნობილ მამებს, მაგრამ ისინი არ გვპასუხობდნენ ერთმნიშვნელოვნად... ამბობდნენ, რომ თეატრი რა თქმა უნდა, ცოდვაა, მაგრამ შესაძლებელია იყო თეატრში და ითამაშო, მთავარია ღმერთი არ დაივიწყო".[43]

შეპენკო ფიქრობს, რომ „თეატრი მართლაც უდიდესი ცდუნებაა ადამიანის სულისთვის. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მსახიობები თეატრალური მოქმედების დროს მაყურებელზე უფრო მაღლა დგანან. თუკი ისინი ბრწყინვალედ შეასრულებენ თავიანთ როლებს, პატივმოყვარეობის ცდუნებას ბევრნი ვერ გაუმკლავდებიან. ერთ მართლმადიდებელ ბერს ჰკითხეს, თუ რა თვისებები დაკარგა კაცობრიობამ, მან კი უპასუხა: უმანკოება და მადლიერების გრძნობა. რომელიმე როლის თამაშისას ადამიანი კარგავს უმანკოებას, კარგავს ხელშეუხებლობას".[44]

მიხეილ შეპენკო სამსახიობო ხელოვნებაზე ამბობს, რომ „მსახიობი უნდა იყოს არა „განმცდელი", არამედ „თანამგრძნობი"(თეატრის დიდი ოსტატების შელკინის და ჩეხოვის განმარტებით). თუ მე თანავუგრძნობ სხვას, იხსნება გზა ქრისტიანული სიყვარულისკენ".[45]

დეკანოზი გიორგი დოკუკინი ეკლესიისა და თეატრის ურთიერთობაზე სასულიერო თეატრის „Глас" შესახებ საუბრისას ამგვარ მოსაზრებას გამოთქვამს: „ნ. ვ. გოგოლი ა. პ. ტოლსტოისთვის მიწერილ წერილში წერს: „თქვენი თავდასხმა თეატრზე ცალმხრივი და უსამართლოა. თქვენ თავს იმით იმართლებთ, რომ ზოგიერთი თქვენთვის ცნობილი სასულიერო პირი თეატრის წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ ისინი მართალნი არიან, თქვენ კი — არა. სჯობს გაერკვიოთ, საერთოდ თეატრის წინააღმდეგნი არიან ისინი, თუ იმის, როგორი სახითაც ის ახლა წარმოგვიდგება"...

ეკლესიამ თეატრის წინააღმდეგ ბრძოლა პირველ საუკუნეებში ქრისტიანობის საყოველთაო გავრცელებისას დაიწყო, როცა წარმართობის მიმდევარი მხოლოდ თეატრი დარჩა, სადაც დემონური ღრეობები კვლავ ტარდებოდა. სწორედ ამიტომ გრგვინავდა ასე ძლიერად მათ წინააღმდეგ იოანე ოქროპირი, მაგრამ დრო შეიცვ-

[43] იქვე, გვ. 23.
[44] იქვე.
[45] იქვე.

ალა, ახალი თაობები უკვე ქრისტიანულ გარემოში აღიზარდნენ. ყველაფრის დამახინჯება შეიძლება და ცუდი მნიშვნელობა შეიძლება ყველაფერს მიეცეს; ადამიანი ამის ჩამდენი არის, მაგრამ საჭიროა საკითხს საფუძვლიანად შევხედოთ და ის ისე დავინახოთ, როგორიც უნდა იყოს და იმ კარიკატურის მიხედვით არ განვსაჯოთ, რომელიც ხელოვნურად შეუქმნეს მას...

თეატრი ეს ისეთი კათედრაა, საიდანაც ბევრი კეთილი რამის თქმა შეიძლება მსოფლიოსთვის. არ არსებობს სამყაროში ისეთი იარაღი, რომლის ღმრთის სამსახურში გამოყენება არ შეიძლებოდეს". ეს ამონარიდი გოგოლის წერილიდან საკმარისია იმის გამოსახატად, თუ როგორია ჩემი დამოკიდებულება რუსული სასულიერო თეატრის „Глас"-ის მიმართ". დეკ. გიორგი დოკუკინი აქვე განმარტავს იმასაც, თუ რატომ გადაწყვიტა დახმარებოდა თეატრს იმაში, „რომ ემსახურა ღმრთისა და ქრისტიანული ეკლესიისთვის სასცენო შემოქმედებით".[46]

მისი თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბავშვო სპექტაკლები. „ბავშვი — ეს განსაკუთრებული მაყურებელია, მკაფიოდ გრძნობს როგორც სიმართლეს, ასევე ტყუილს და შესაბამისად რეაგირებს კიდეც მათზე. „მაშინ მოჰგვარეს მას ყრმები, რათამცა ხელი დასდვა მათ ზედა და აკურთხნა იგინი, ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მათ. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართა არს სასუფეველი ცათა"(მთ. 19; 13-15). განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბავშვების რეაქცია სპექტაკლზე, რომელიც ბავშვებისთვისაც იყო და უფროსებისთვისაც, და სახელად ერქვა „ეს თავად ჩვილი ქრისტეა". სპექტაკლი წარმოდგენილი იყო ოჯახური ცხოვრების ფორმით. აქ ბავშვები ეცნობიან მთავარ ბიბლიურ სიუჟეტებს, მოვლენებს, რომლებიც წინ უძღოდა ქრისტეს დაბადებას. პატარა ბავშვი ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ხდება თანამონაწილე უძველესი ბიბლიური მოვლენების. სერიოზული საუბარი ბავშვთან ხდება თამაშითა და იუმორით. ბავშვების სიცილი და მხიარულება გადამდებია. და აი, მთელი დარბაზი, გაერთიანებული ქრისტესმიერი სიყვარულით მღერის: „მოდი ვიმეგობროთ და მშვიდობიანად ვიცხოვროთ!" ასეთი წამები ძვირად ფასობს. ნამდვილად ძვირად ფასობს ასეთი სპექტაკლები. თითოეული მათგანი გვაიძულებს შრომასა და ძიებას საკუთარ სულში, როცა ადამიანი ეკითხება საკუთარ სინდისს და ისიც აძლევს ამ კითხვებზე საიდუმლო პასუხებს. სინდისის კითხვები შეადგენენ მთავარ ღერძს თითოეული სპექტაკ-

[46] «Журнал Московской Патриархий», №9, 2001, с. 76.

ლისას. განსაკუთრებით მძლავრად ისმებიან ისინი იღუმენ იოანეს (ეკონომცევი) პიესაში «китеж», სადაც მოქმედება ხდება სამამულო ისტორიის ბუნდოვან დროში, როცა გამძაფრებული იყო შინაომები და დანაშაულები, მაგრამ ბრწყინავდა ეს დრო, ღმრთის წყალობით, იმგვარ მოწამეთა გმირობით, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, წმინდა ძმები ბორისი და გლები. ასე ხდება დაძლევა ისტორიული მონაცემების... თავისუფლება ქრისტიანისა არის თავისუფლება მისი სინდისის. ის დაფუძნებულია რწმენაზე და ჯვრის ტვირთვის მზადყოფნაზე. ჯვრის ტვირთვა ეს მუდმივი შემოქმედებაა. ის, ვინც არ ქმნის, არც ეზიდება ჯვარს, ის კი, ვისაც ჰგონია, რომ ქმნის, მაგრამ სინამდვილეში თავისი შემოქმედებით ანგრევს, ანადგურებს, ჯვრის მტერია და, მაშასადამე, არ არის თავისუფალი. ქრისტიანული თავისუფლება და შემოქმედება განუყოფელია".[147]

ეკლესიისა და სარწმუნოების თეატრისადმი დამოკიდებულებაზე და ზოგადად თეატრის რაობასა და მის დანიშნულებაზე საუბრობს, აგრეთვე, რუსეთის სახალხო არტისტი, საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, მსახიობი ა. ტოლუბეევი: „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რევოლუციამდე ძლიერ მორწმუნე ადამიანებიც კი არ იყვნენ ასე მტკიცედ განწყობილნი თეატრის წინააღმდეგ. პირიქით, მშვიდი დამოკიდებულება ჰქონდათ, სიმშვიდე კი თავდაჯერებულობის ნიშანია. მე მგონია, რომ მათ, რომელნიც დღეს თეატრის წინააღმდეგ გამოდიან, არც თავიანთი მეგობრების იმედი აქვთ, არც საკუთარი თავის სჯერათ. ამბობენ, რომ სცენაზე ვხედავთ ბოროტებას, უკეთურებას, მკვლელობას... მე კი მოგიყვანთ ასეთ მაგალითს, შესაძლოა, ერთი შეხედვით მოულოდნელს: XX ს-ის დიდი წმინდანი ლუკა სპეციალობით ქირურგი იყო, კვეთდა საშინელ ჭრილობებს, იღებდა იქიდან ჩირქს, მაგრამ ამ ჩირქს განა იმიტომ იღებდა, რომ ამით გარშემომყოფნი დაეავადებინა... ნამდვილი თეატრიც სწორედ ამას აკეთებს, — ხსნის ადამიანურ ჭრილობებს, კურნავს მათ, ან უარეს შემთხვევაში, დიაგნოზს უსვამს ადამიანის სულის სნეულებებს. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა, რომ ეს სნეულებები სცენიდან მაყურებელთა დარბაზში გადავიდნენ. უნდა ენდობოდე მაყურებელს. მას, როგორც წესი, აქვს მტკიცე იმუნიტეტი, მით უმეტეს თუ მართლმადიდებელია. ის კი, ვინც დარწმუნებული საკუთარ თავში არ არის, ნუ უყურებს. ხალხს უნდა შეეძლოს ყოველგვარი სარგებელი მიიღოს თეატრალური ხელოვნებიდან. მე ვფიქრობ, რომ თუ შეურიგებელ პოზიციას

[47] იქვე, გვ. 79-80.

დიდხანს დავიჭერთ, ძალიან ბევრი რამ შეიძლება გამოგვრჩეს“.[48]

იგი იხსენებს თავის ერთ-ერთ როლს სპექტაკლიდან „ვერაგობა და სიყვარული“: „იქ მოქმედ პირთა შორის არის როგორც პატიოსანი, ასევე უპატიოსნო ადამიანები, მაგრამ გოგონა, რომელსაც მაყურებელი გულშემატკივრობს, სასიყვარულო პერიპეტიებში გაბმული, სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას გადაწყვეტს. მაყურებელი ხვდება იმ მოტივებს, რომლებმაც მას ამისკენ უბიძგეს და, შესაძლოა, კიდეც იხრება იქითკენ, რომ გაამართლოს მისი გადაწყვეტილება, მაგრამ იქ დგას მისი ძმა და მტკიცედ ეუბნება: „ნუ გააკეთებ ამას! ეს ყველაზე დიდი ცოდვაა! ღმერთი არასოდეს გაპატიებს!“ როგორ საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს ეს რეპლიკა! აი, ეს არის პიესა იმ რეპერტუარიდან, რომელიც უნდა ნახონ ადამიანებმა, რომელთაც სწამთ ღმერთის. თუმცა არის დღეს ისეთი დრამატურგია, რომელიც მე ძალიან არ მომწონს: მასში არის არა ქება ბიწიერების და მით უმეტეს, არც გამათრახება მისი, არამედ აღტაცება სიბინძურის მიმართ. ეს ცუდი თეატრია, მე მას არ ვგულშემატკივრობ. ხალხის უმრავლესობაც ამ აზრისაა... მაშინაც კი, თუ ადამიანი თვითონ არის ბიწიერი, ბოროტი, მას არ სიამოვნებს, როცა მანკიერებას აღტაცებით აქებენ: ასეთია იდუმალი თვისება ადამიანის სულისა“.[49]

ნამდვილ თეატრს ა. ტოლუბეევი საკურთხეველს ადარებს და წერს: „თეატრი ჩემთვის საკურთხეველია; ის ვალდებულია ამაღლდეს მდაბალ ვნებებზე. სტანისლავსკი ამბობდა, რომ თეატრი არის კათედრა, საიდანაც ისმის ქადაგება. მაშასადამე, საკითხის მთელი არსი ისაა, თუ ვის ხელშია თეატრი, ვინ ხელმძღვანელობს, ვინ თამაშობს, რას ქადაგებენ. მე ვფიქრობ, როდესმე გამოჩნდება რუსული მართლმადიდებლური თეატრი, რომელიც მოუტანს ხალხს მხოლოდ სინათლეს, ასეთ თეატრში შესაძლებელი იქნება, თამამად გაკიცხონ და დასცინონ სიბილწეს, რისი გაკეთებაც დღეს არც თუ ისე მარტივია. ნაკლოვანებები სასაცილოდ უნდა ავიგდოთ, გავამასხროთ, მისგან აუცილებლად უნდა გავთავისუფლდეთ, გავსუფთავდეთ, სხვა გზა არ არის. როცა ყალიბდებოდა რუსული თეატრი, იმ დროს არაფერი მანკიერი არ იყო მასში. ვოდევილები იყო უწყინარი, სცენაზე ყოველთვის იმარჯვებდა სიკეთე. ეს ძალიან

[48] **Газета «Православный Санкт-Петербург», №4, 2004, с. 1.**

[49] იქვე, გვ. 2.

მნიშვნელოვანია, რომ სცენაზე იმარჯვებდეს სიკეთე“.[50]

ტოლუბეევი იმის შესახებაც საუბრობს, თუ რა გავლენას ახდენენ შესასრულებელი როლები მსახიობის სულიერ მდგომარეობაზე: „როდესაც ვთამაშობ არბენინს „მასკარადში“, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩემში ყველაფერი ეწინააღმდეგება ამ როლს, არ ვეფლობი არბენინის ვნებებში. მე ვთვლი, რომ ჩემი თამაშის წყალობით ხალხი ხედავს, როგორი ბოროტება მოაქვს ასეთ ეგოიზმს. ზოგიერთმა კრიტიკოსმა გამკიცხა იმის გამო, რომ არბენინის მიმართ ისეთი დამოკიდებულება მაქვს, როგორც მკვლელის, არამზადის მიმართ. მომიტევეთ, მაგრამ ის ხომ შულერია, მატყუარა, მომწამვლელი. ჩემი ქრისტიანული დავალება ამ სპექტაკლში ის არის, რომ არ გავამართლო ეს პერსონაჟი. დაე, არ შეიცოდოს ის მაყურებელმა, დაე, მაყურებელმა აღიქვას არბენინის სიგიჟე, როგორც უფლის სასჯელი და იმავდროულად უფლის წყალობა ამ ადამიანზე... ფსიქოლოგიურად ამის ჩვენება ძალიან ძნელია...“[51]

იგი იხსენებს ასეთ შემთხვევასაც: „ერთხელ, მძიმე დროს ჩვენთან მოვიდა რომელიღაც მეურნეობის დელეგაცია და გვთხოვა ჩაგვეტარებინა მათთან სპექტაკლი, ოღონდ ფულის ნაცვლად მათსავე მეურნეობაში დამზადებული ქუდები შემოგვთავაზეს. ჩვენ კი ფული არ გვქონდა, რომ ასეთი ქუდები გვეყიდა და სიხარულით დავთანხმდით. ამ ქუდს უკვე ათი წელია ვატარებ. ახლა კი იმის შესახებ, რა მოხდა შემდეგ... ინგლისელი მსახიობები ცრურწმენის გამო არასდროს მოიხსენიებენ შექსპირის ტრაგედიას „მაკბეტს“ პირდაპირ სახელით, არამედ მას „სხვა პიესას“ უწოდებენ. ეს ტრაგედია ითვლება ცუდად, რადგან მასში ასახულია მჭიდრო კონტაქტი ბოროტ სულთან. და აი, სწორედ იმ დღეებში, როცა თეატრი ამ სპექტაკლს თამაშობდა, ყველანაირი უბედურება შემემთხვა. მით უმეტეს, რომ ვთამაშობდი არა თავად სისხლისმსმელ მაკბეტს, არამედ მის მეგობარ ბანკოს, რომელსაც ის კლავს, მაგრამ ყოველი სპექტაკლის დროს რაღაც საშინელება მემართებოდა: დედა ავად გამიხდა და, სწორედ „მაკბეტის“ დღეს რეანიმაციაში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალებიდან მე-9 დღესაც მაკბეტს ვთამაშობდი, მე-40 დღესაც და წლისთავზეც... გადის კიდევ ერთი წელი და მეუღლესთან ერთად ღამით „მაკბეტის“ შემდეგ ვბრუნდებოდი შინ. ეს იყო 22 დეკემბერი, ახლა ამ დღეს, როგორც მეორე დაბადების დღეს, ისე აღვნიშნავ. შევდივარ შესასვლელში და

[50] იქვე.
[51] იქვე, გვ. 3.

უკნიდან მესმის სუნთქვა. მეგონა მეზობელი იყო და შემოვბრუნდი, რომ მეთქვა, ასე რატომ მაშინებ-მეთქი და უცებ თავში რკინის მილის საშინელი, სასიკვდილო დარტყმა ვიგრძენი. ვიღაც ნარკომანი დამიდარაჯდა თურმე. ცოცხალი კი გადავრჩი ჩემი ქუდის წყალობით, რომელიც მეურნეობიდან მქონდა. მას ერთი ყური კარგად არ ჰქონდა მიბმული და მილი ამ ყურით ჩასრიალდა. შემდეგ ავიღე ეს მილი და გავეკიდე, მაგრამ ის გაიქცა. ერთი მხრივ — ცუდი პიესა, და მეორე მხრივ — პატიოსანი შრომით მოპოვებული ქუდი. როგორი გასაოცარი კავშირია! „მაკბეტს“ რაც შეეხება, სჯობს, რომ არ დავდგათ. ამ პიესისას გარდაიცვალა ვლადისლავ სტრჟელჩიკი, ფსიქიურად შეიშალა მიხაილ ვოლკოვი და კიდევ ერთი არტისტი. ყოველ შემთხვევაში, დაზარალდა ათი ადამიანი და, ალბათ, კიდევ უფრო მეტიც — ყველა ხომ არ ამხელს თავის უბედურებას“.[52]

საზოგადოებაზე თეატრის დადებითი გავლენის მაგალითად მსახიობს რამდენიმე პიესა მოჰყავს: „არის ასეთი სპექტაკლი „არტი“. პიესა ეძღვნება ადამიანთა გადაწყვეტილებას — არ ეღალატათ მეგობრობისთვის. დასაწყისში გმირი ჩხუბობს წვრილმანებზე: ერთს არ მოეწონა სურათი, რომელიც იყიდა მეორემ. საქმე განხეთქილებამდე მიდის... მაგრამ საბოლოოდ ისინი მეგობრობის შენარჩუნებას ამჯობინებენ და ერთმანეთს არ ღალატობენ. რითი არ არის კარგი ეს იდეა? დარბაზიც უდიდეს სიამოვნებას იღებს და თამაში ჩვენთვისაც სასიამოვნოა. ყველაზე მკაცრ ქრისტიანსაც შეუძლია მას უყუროს, იქ არაფერი ცუდი არ არის. იყო ასევე ოსტროვსკის «лес»(ტყე). ფინალი სევდიანია, მაგრამ ეს ნათელი სევდაა... ბევრი ბოროტებაა გარშემო, მაგრამ გმირები, რომელნიც, მართალია, ზოგჯერ ჩხუბობენ კიდეც, მაგრამ მაინც პატიოსან ადამიანებად რჩებიან; მათ შორის, ვინც ამ „ტყეში“ბინადრობს და ვისთვისაც ფული სიცოცხლეზე ძვირფასია“.[53]

რაც შეეხება მსახიობის შინაგან სულიერ სამყაროს, ტოლუბეევი ამბობს: „ყველა მოსაზრება მსახიობების თავაშვებულობის შესახებ მტკნარი სიცრუეა. ეს ყველაფერი ჩვენში იმაზე ნაკლებად ხდება, ვიდრე საზოგადოების სხვა ფენებში. თეატრის მოღვაწეთა ერთსულოვნება, მათი უნარი დაეხმარონ ერთმანეთს, არათუ ნაკლებია, ზოგჯერ იმაზე მეტიც არის, ვიდრე სადმე. ისინი, სამწუხაროდ, იძულებულნი არიან, ყოველთვის დამატებით იმუშაონ. მათ დროც არ აქვთ, რომ მოეშვან.

[52] **Газета «Прав. СПБ.», №4, 2004, с. 4.**

[53] იქვე.

რაც უფრო მეტს მუშაობ თეატრში, მით უფრო ცოტას გამოიმუშავებ და საჭიროა დამატებითი სამუშაო, რომ ოჯახი არჩინო. აღარ აქვთ საშუალება გამუდმებული სმისა და ლოთობის, საყვარლების შენახვის. ეს ფულიანი კლასის პრივილეგიაა".[54]

მართლმადიდებელი მორწმუნეებისა და თეატრის ურთიერთ-დამოკიდებულებაზე კი მას ასეთი მოსაზრება აქვს: „საჭიროა ვიყოთ მომთმენნი. საჭიროა ზოგიერთი რამის პატიება. ყველაფრის პატიება მხოლოდ ღმერთს შეუძლია, მაგრამ, რაც შეიძლება, მეტად უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს ადამიანური სისუსტეები — არა სულმდაბლობა, არამედ სისუსტე. თეატრს შეუძლია ეს გვასწავლოს".[55]

დასასრული შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

[54] იქვე, გვ. 5.
[55] იქვე, გვ. 6.



«ქართული ჩემი მშობლიური ენაა»

ინტერვიუ ქართული ენის მასწავლებელთან ანა პაპიკიანთან

სოფელი დილისკა ჯავახეთში, მდინარე ფარავნის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. ვაკეზე გაშლილი სოფელი გამორჩეულია როგორც ადგილმდებარეობით, ისე სიდიდით. აბულის ულამაზესი მთა თავისი თოვლიანი მწვერვალებით შორიდან, მაგრამ ამაყად დასცქერის ჯავახეთის ამ სოფელს, რომლის თავდაპირველი სახელწოდება „დილისკარი“ იყო. ეს იდუმალი და ლამაზი სახელი მართლაც, რომ მშობლიურად ჟღერს და ჩვენს ისტორიულ წარსულზე ჩაგვაფიქრებს. მართალია, დღეს ეს სოფელი სომეხი ეროვნების ხალხით არის დასახლებული, მაგრამ სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობისთვის* ხორციელდება, საკმაოდ წარმატებულია.

ქართული გარემოს შექმნაში ჩამოსულ მასწავლებლებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადგილობრივ მკვიდრს, ეროვნებით სომეხს, ქართული ენის მასწავლებელს, ქალბატონ ანა პაპიკიანს. ქ-ნი ანა 43 წელია მუხლჩაუხრელად შრომობს და ზრდის მომავალ თაობებს დილისკის №1 საჯარო სკოლაში. მართალია, ის 60 წლისაა, მაგრამ მასთან შეხვედრისთანავე იგრძნობთ, რომ ქალბატონ ანას წლები ვერაფერს აკლებს.

გთავაზობთ ინტერვიუს დილისკის №1 საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელთან, ანა პაპიკიანთან, რომელიც გვაცნობს საკუთარ გამოცდილებას და სწავლების უკვე აპრობირებულ და წარმატებულ მეთოდებს.

ქალბატონო ანა, მიამბეთ თქვენ შესახებ, რომ ჟურნალის მკითხ-

---

* *რა თქმა უნდა, ეთნიკური უმცირესობა* არაქართული მოსახლეობის აღსანიშნავად პირობით ტერმინად გამოიყენება, თორემ ჯავახეთში ვინ არის *უმცირესობა*, ჩვენი ჟურნალის წინა ნომერშიც აღვნიშნეთ: კერძოდ, ახალქალაქში მოსახლეობის მხოლოდ 5,1% არის ქართველი (რედ.).

ველს უკეთ გავაცნოთ სოფელ დილისკის ქართული ენის მასწავლებელი.

— ვარ ეროვნებით სომეხი, დედით ქართველი. დედაჩემის, მარიამ ივანიშვილის დიდი დამსახურებაა ჩემი განსაკუთრებული სიყვარული ქართული ენისადმი. სამწუხაროდ, 1987 წლის 7 სექტემბერს დედა ტრაგიკულად დამეღუპა. იმ დღიდან გადავწყვიტე, რა სიძნელეებიც არ უნდა შემხვედროდა ცხოვრებაში, დედის ენა არასოდეს დამევიწყებინა. მომავალი თაობებისთვის ქართული ენის სწავლებას მე დედისადმი მომზადებული „საკურთხის“ მნიშვნელობას ვანიჭებ. დღემდე მისი სულის განსვენებისთვის და მისი მუდმივი მოგონებისთვის, ჩემს სომეხ თანასოფლელებს ქართულ ენას უდიდესი ენთუზიაზმით ვასწავლი.

როდესაც მასწავლებლობა გადავწყვიტე, მაშინვე გააზრებული მქონდა, თუ რა პასუხისმგებლობას ვიღებდი, როგორც უფლის, ისე მომავალი თაობების წინაშე. ჩემი პედაგოგობის პერიოდში მუდმივად მქონდა განცდა, რომ ბავშვებთან ურთიერთობით ყოველდღე ვიცვლებოდი. ვცდილობდი, ფაქიზად შევხებოდი მათ გულებს და შემეყვარებინა კითხვა, წერა, თავისუფალი აზროვნება, რადგან სწორედ თავისუფალ აზროვნებაში აღმოაჩენს და იპოვის ბავშვი სამყაროს, შეეხება ცხოვრებას და იგრძნობს რა არის განათლება, ვინ ვართ ჩვენ და რა დანიშნულება გვაქვს ამ წუთისოფელში.

მახარებს ის ფაქტი, რომ ჩემი მოსწავლეებისგან მუდმივად ვგრძნობ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სკოლის დასრულების შემდგომ მიტოვებენ ძალიან ემოციურ, გრძნობებით სავსე წერილებს. მე ამ წერილებს ვუფრთხილდები, ვუფრთხილდები მათ გულებს და მიხარია, ქართულად ასე კარგად რომ წერენ და აზროვნებენ.

ქალბატონო ანა, გაგვიზიარეთ თქვენი პედაგოგიური გამოცდილება, რას ნიშნავს იყო კარგი მასწავლებელი.

— ბავშვი, ეს არის სიცოცხლე, სიწმინდე; მისი თვალები ყოველთვის მეტყველებს. იგი მასწავლებელთან კონტაქტს მუდმივად თვალებით ამყარებს. პირადად მე, ბავშვებთან ურთიერთობისას, ერთი შეხედვით ვგრძნობ მათ განცდებს, სურვილებს; ვხედავ, როგორ მიიღეს ახსნილი მასალა, რა გაიგეს და კიდევ რას ითხოვენ. მე მრავალი თაობა აღვზარდე და ყოველთვის ჩემს საქმიანობას მათი თვალები ხელმძღვანელობდნენ. ასევე, როდესაც შედიხარ კლასში, სადაც არ ესმით ის ენა, რომელიც უნდა ასწავლო, საჭიროა უფრო

შემოქმედებითი იყო. მაგალითად, მე ყოველთვის ვცდილობ, ბავშვს ახალი სიტყვის შინაარსი კონტექსტიდან გამომდინარე გავაგებინო, და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ავუხსნა სომხურად, თუმცა უკვე მიჩვეულები არიან, რომ ქართულის გაკვეთილზე მხოლოდ ქართულად უნდა ილაპარაკონ და ეს მცდელობა საკმაოდ წარმატებულია.

მასწავლებლობა, ვფიქრობ, უდიდესი საქმინობაა, გაცნობიერებული პასუხისმგებლობაა. სწორედ ამიტომ, ვიაზრებ ყოვლივე ამას და გაკვეთილებსაც დიდი პასუხისმგებლობით ვგეგმავ, რადგან დაგეგმილი გაკვეთილი უფრო წარმატებულია და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს, მისაღწევი შედეგები გამოკვეთილია, მიზნები დასახულია და ვცდილობ ორიენტირებული ვიყო შედეგზე.

ქართულის სწავლება ურთულესია. ჩემი მიზანია, მათ ქართულ ენასთან ერთად ვასწავლო მისი მნიშვნელობა, რადგან ბავშვები მხოლოდ ამის შემდგომ იწყებენ გააზრებას, რატომ უნდა ისწავლონ და კარგი განათლების მიღების შემთხვევაში რა უპირატესობები ექნებათ.

ჩემს გავკვეთილზე ასევე ვცდილობ, ბავშვებს ავუხსნა და გააზრებინო — რა არის ენა, კომუნიკაცია, ღრმად ჩავახედო ენის საკითხებში და შემდგომ შევუდგე გაკვეთილის ახსნას, ამ დროს ვგრძნობ, უფრო ინტერესით მისმენენ. სიტყვათა მარაგის დაგროვებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ქართული ლექსიკის შესწავლა. ამიტომ კვირაში ერთხელ გვაქვს ლექსიკონის დღე და ამ დღეს მარტო ლექსიკაზე ვმუშაობთ.

ბედნიერ ვარ, რომ მაქვს საშუალება, ვუყურო ჩემს ბავშვებს, როგორ იზრდებიან და ვითარდებიან.

თქვენი აზრით, რა მეთოდები არსებობს იმისათვის, რომ სწავლების ეფექტური შედეგი გქვონდეს?

— მოგეხსენებათ, სწავლების უამრავი მეთოდი არსებობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეფექტური სწავლების მეთოდი თავად მასწავლებელმა უნდა მოიძიოს, აღმოაჩინოს — თუ რას ითხოვენ ბავშვები, ცოდნის რა დონეზე იმყოფებიან და რამდენს დაიტევს მათი გონება. ბავშვებს უნდა მივცეთ ფიქრის, საკუთარ თავზე მუშაობის დრო.

მაგალითად, გეტყვით, ჩემი საგაკვეთილო პროცესიდან თუ რას მივიჩნევ ეფექტურ სწავლებად. როდესაც მოსწავლეებს ვუხსნი ახალ მასალას, უამრავი ახალი სიტყვა გვხვდება, რომელიც უნდა განვუმარტო. ამისთვის კი ვიყენებ რაიმე ამბავს, სურათს, ნახატს და ა.შ.

ვიყენებ სხვადასხვა ხერხს, რომ ბავშვები მივიყვანო სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის გაგებამდე ანუ მე კი არ ვუთარგმნო, ან ლექსიკონით კი არ ვათარგმნინო, არამედ კონტექსტიდან გამომდინარე თვითონ ამოიცნონ ახალი სიტყვის შინაარსი. ამასობაში კი საუბარს ეჩვევიან, ფიქრს სწავლობენ და სიტყვებს უკეთ აკავშირებენ ერთმანეთთან.

თავად ბავშვები მეხმარებიან უკეთ დავგეგმო გაკვეთილი და სასურველ შედეგსაც მივაღწიო. ყველაფრის საწყისი ბავშვი და მისი გარემოა, ანუ ჩვენზე, პედაგოგზეა დამოკიდებული, რამდენად ხელსაყრელ გარემოს ვუქმნით მათ სწავლებისათვის, რამდენად ვცდილობთ ბავშვების ჩართვას საგაკვეთილო პროცესში და რამდენად ვაძლევთ შანსს ბავშვს, რომ დაფიქრდეს და მისი აზრი მნიშვნელოვანი და მისაღები გახდეს.

ქალბატონო ანა, თქვენ ძალიან კარგად წერთ, მქონდა საშუალება წამეკითხა თქვენი მოთხრობები, ჩანახატები, სადაც უდიდეს სიყვარულს გამოხატავთ ქართული ენისადმი, მწერლობისადმი...

— ბავშვობიდან მიყვარდა დღიურების წერა. ვწერდი ჩანახატებს და ამით გადმოვცემდი ჩემ სათქმელს. ახლაც ვწერ მოთხრობებს, ესეებს და ხანდახან ვუკითხავ ჩემს ბავშვებს. ვგრძნობ, რომ ხშირად მოსწონთ ჩემი ნაწერები და ეს ჩემს გულსაც უხარია. მე ყოველთვის ხმამაღლა ვამბობდი, რომ ქართული ჩემი მშობლიური ენაა, მისი განსაკუთრებული სიყვარულიც, ალბათ, ქართული ენის, დამწერლობის დამსახურებაა. ქართული ასო-ნიშნების მოხდენილობა მუდამივად დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე, ქართულად წერის დროს ვგრძნობ, ჩემი სული მშვიდდება და ამით უფრო ვუახლოვდები ქართული ენის სიდიადეს.

გვიამბეთ თქვენს სოფელზე, ჯავახეთი ცივი ადგილია, დილისკაში გვიან მოდის გაზაფხული; სოფელში ქართულად თითქმის არავინ საუბრობს...

— სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სოფელში მხოლოდ ერთი ქართველი ცხოვრობს. მასთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს და გვინდა, აქ ბევრი ქართველი ცხოვრობდეს, რადგან ეს ყველას დაეხმარებოდა, რომ სახელმწიფო ენა ადვილად ესწავლა და ქართულად ესაუბრა. ხშირად გული მწყდება, როდესაც ჩვენი ბავშვები სკოლაში გამართული ქართულით საუბრობენ, დაოჯახების შემდეგ კი ავიწყდებათ, რადგან ქართველებთან არ აქვთ ურთიერთობა. მახარებს ის ფაქტი, რომ რეგიონში სახელმწიფო პროგრამები ასე წარმატებულად მიმდინარეობს, რომლის ფარგლებში ჩვენთან ჩამოსული მასწავლებლები

დიდ სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებენ ადგილობრივებისგან, გვიზიარებენ თანამედროვე მეთოდებს, ვთანამშრომლობთ და ერთობლივად ვიღვწით დასახული მიზნის მისაღწევად. სწორედ ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგია, რომ ჩვენს სოფელში მუდმივად ისმის ქართული „გამარჯობა“ და „როგორ ბრძანდებით“. ამის ნათელი დადასტურებაა ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა უნივერსიტეტში ქართული ენის სპეციალობით სწავლას აგრძელებენ და ენის შესწავლის პროცესს პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

ჩვენს სოფელში ძალიან შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს, ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევენ. ახლახან, ჩემი ერთი მეთორმეტეკლასელი მოწაფე მეუბნება: მასწავლებელო, როდის დასრულდება ეს მიწაზე მუშაობა, რომ შემდეგ გულიანად მივხედო სწავლასო. მისი სიტყვებიდან ვიგრძენი, რამდენს ფიქრობს ეს ბავშვი სწავლაზეც და სამუშაოზეც.

ამ წელს კიდევ ერთი ახალი თაობა გავაცილეთ, ძალიან ლამაზი „ბოლო ზარი“ გვქონდა, სადაც შესრულდა ქართული ცეკვა „დაისი“ და ითქვა ქართული ლექსები. მე ბედნიერი ვარ, რომ მაქვს საშუალება ქართული სიტყვა ხმამაღლა ვთქვა ჩემს სოფელში, სკოლაში, ვასწავლო ქართული და მშობლიურივით შევაყვარო ყველას. ამით ქვეყნისა და დედის წინაშე გულმართალი ვიქნები და ვიცი, ღმერთიც დამიფასებს.

ესაუბრა

ნათია ვარძელაშვილი.

P.S. მე ამ სოფელში 2013 წლის თებერვლიდან ვმუშაობ პროგრამით „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. როდესაც პირველად მივედი სკოლაში, ქალბატონი ანა თბილად შემომეგება, გამიღიმა, გულიანად გადამეხვია და მითხრა: კეთილი იყოს შენი მობრძანება, მიხარია, რომ დღეიდან ერთად ვასწავლით ქართულ ენას, დამეხმარები და გამიზიარებ სწავლების ახალ, თანამედროვე მეთოდებსო. გულწრფელად გეტყვით, გამიკვირდა ასეთი გულახდილობა, მაგრამ მალევე დავრწმუნდი, რა დიდი სიამოვნებაა ასეთ გამოცდილ პედაგოგთან თანამშრომლობა, რომელიც საკუთარ ენასავით ასწავლის ქართულს. დღეს კი, მე და ანა მასწავლებელი, სხვა ქართულის მასწავლებლებთან ერთად, ვასწავლით და ვახორციელებთ სხვადასხვა ღონისძიებას, ვიღვწით, რომ სახელმწიფო

ენა არა მარტო შევასწავლოთ ჩვენს სომეხ მოწაფეებს, არამედ შევაყვაროთ და გავაცნოთ დიდებული ქართული კულტურა, რათა თავი იგრძნონ ჩვენი ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად.

ამიტომ შევეცადე, სამაგალითო პედაგოგის გამოცდილება თქვენთვისაც გამეზიარებინა და თანაც გამეცნო ჯავახეთის ერთ-ერთი სოფლის მასწავლებელი, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს პროფესიულ წინსვლაზე.

ქალბატონ ანას ვუსურვებ, კვლავ დიდხანს გაეგრძელებინოს თავისი პედაგოგიური საქმიანობა, ქართული ენის სწავლება, ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთ ლამაზ სოფელ დილისკაში.



თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ *

განმათავისუფლებელი ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დემოკრატია ირაზმება როგორც მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაყრდენი. ამ ორგანიზაციაში თავისუფლებისმოყვარე ხალხებს სურთ დაიკავონ მათი შესაფერი ადგილი, ისინი ეძიებენ თავიანთ სანუკვარ მისწრაფებათა განხორციელებას.

ქართველმა ხალხმაც, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა წარადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები. ჩვენ მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძირძველი მიწა-წყლის შესახებ. საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გაჰკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული. საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს — ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის დაბრუნებას.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის ამ მკვიდრ ტერიტორიაზე — დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიამდე. ჰქმნიდა რა თავისი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ახალ-ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა ცხადჰყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა — დაეცვა

---

* გაზ. „კომუნისტში“ 1945 წლის 14 დეკემბერს, სამამულო ომში გამარჯვებიდან შვიდი თვის შემდეგ, გამოქვეყნებულ წერილს ხელმეორედ იმიტომ ვბეჭდავთ, რომ თანამედროვე თურქული სერიალებითა და თურქული კულტურის პროპაგანდით ზომბირებულ თანამემამულეთა მეხსიერება გამოვაფხიზლოთ და ისტორიული სინამდვილის აღქმაში დავეხმაროთ. მართალია, ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსების გამოთქმულ კანონიერ პრეტენზიებს ქართული ტერიტორიების დაბრუნებაზე, იოსებ სტალინის გარდაცვალების გამო, შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში ისლამური ინტერესების ამჟამინდელ საეჭვო გააქტიურებაზე თვალი დავხუჭოთ და ტელეეკრანებთან მივიძინოთ (რედ.).

ის, რაც მას ეკუთვნის.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ხეთები და სუბარები, ქართველი ხალხის უშუალო წინაპრები, პირველობენ წინა აზიაში. იმ მდინარის დიდ უბეში, რომელიც მთელი ძველი მსოფლიოსათვის ცნობილია თავისი ქართული სახელწოდებით — ღალისი (ახლა — ყიზილ-ირმაკი), მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზების ზემო ნაწილში ისინი ჰქმნიან სამიწათმოქმედო და მეტალურგიული კულტურის დიდებულ კერებს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს ღირსეულად უჭირავს ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის დროშა და ავითარებს ამ ცივილიზაციას.

მომთაბარე დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ხალდთა სახელმწიფოს. მაგრამ ქართველი ხალხი პოულობს თავის თავში სასიცოცხლო ძალებს, რათა განუწყვეტლივ განავითაროს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია ახალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცენტრებში, რომლებიც თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ გადადიან. ურარტუს ადგილს იკავებს ქართველი ხალხის ორი ახალი სახელმწიფო — იბერია აღმოსავლეთით და კოლხეთი დასავლეთით.

ამ ახლად შექმნილ ანტიკურ ქართულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანულად არიან ამოსულნი საერთო-სახალხო ძირიდან, ჯერ კიდევ უკავიათ ძველი ნაციონალური ტერიტორიის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი. ძველ ბერძენ ავტორთა სარწმუნო ცნობებით, სასპერთა, ე. ი. იბერთა სახელმწიფო — წინა აზიის ერთი ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგანი, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა წლებში ვრცელდება კალახენასა და ადიაბენამდე,[1] ე. ი. მთავარი (აღმოსავლეთი) ტავრის ქედამდე.

ძველი წელთააღრიცხვის ჯერ კიდევ II საუკუნის დამდეგს იბერიას ეკუთვნის პარიადრის მთიანი ოლქი[2] — ახლანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთი სექტორი, ხეთთა ძველი სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი რაიონი. აქ იბერია გადიოდა შავ ზღვაზე, რასაც გვიჩვენებს ტიბარანიის სახელწოდება, რომელსაც ატარებდა ქვეყანა ღალისის შესართავის აღმოსავლეთით ჯერ კიდევ სტრაბონის დროს. ძველი წელთაღრიცხვის 66 წელს მითრიდატე პონტოელს, რომელიც პომპეუსს გამოექცა, ევფრატის ზემო წელში შეტაკება მოუხდა ადგილობრივ იბერებთან, ძველი ქართული პროვინციის ხორძენე-ხოტენეს

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, §§ 12-13.

[2] სტრაბონი, იქვე წ. XI, თ. XIV, § 5; პლინიუსი, ბუნების ისტორია, წ. VI, §§ 28-29.

მკვიდრ მცხოვრებლებთან.[3]

ტიბარანიის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა მეორე ქართული სახელმწიფო, კოლხეთი, ერთ-ერთი წინა აზიის VI საუკუნის ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგან, როგორც ამას მოწმობს „ისტორიის მამა“ — ჰეროდოტე.[4]

მეცნიერებას მოეპოვება სარწმუნო ცნობები კოლხეთის, ქართულად — ეგრისის, სამეფოს საზღვრების შესახებაც. ცნობილი ბერძენი მწერალი-მხედართმთავარი ქსენოფონტე, რომელიც პირადად იყო კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის 400 წელს, ამბობს, რომ ტრაპეზუნტი და კერასუნტი (ამჟამად გირესუნი) კოლხეთის ქალაქებია, რომ ტრაპეზუნტის გარშემო კოლხები ცხოვრობენო. თავისი ათიათასიანი რაზმით ქსენოფონტემ მთელი თვე დაჰყო კოლხთა სოფლებში ტრაპეზუნტის მახლობლად და აქედან ესხმოდა და აოხრებდა კოლხეთის სხვა ნაწილებს.[5]

სამხრეთ, უფრო სწორად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია,— ე. ი. კოლხეთის ტერიტორია მდინარე ჭოროხის შესართავის დასავლეთით და იბერიის ტერიტორია მდინარე მტკვრის სათავისა და ჩილდირის ტბის სამხრეთით, — უძველესი დროიდანვე მთლიანად დასახლებული იყო ქართველი ტომებით, რომელნიც შემდგომ ქართველ ერად გაერთიანდნენ.

ოცდაათი საუკუნე ებრძოდა ქართველი ხალხი, თავისი საკუთრებისა და თავისი პოზიციების დასაცავად, მტრულ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ განედევნათ იგი მსოფლიო-ისტორიული ასპარეზიდან. მაგრამ ქართველ ხალხს არასოდეს არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება და ურღვევი კავშირი თავის დიად წარსულთან. უარი არ უთქვამს თავის წმიდათა-წმიდა უფლებებზე. ჭარბი ძალების მოწოლით გამოწვეული უკანდახევა დროებითი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ქართველი ხალხი კვლავ იკრებდა ძალებს და იერიში მიჰქონდა მტერზე, ანადგურებდა დამპყრობლებს და იბრუნებდა თავის მიწა-წყალს.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელებმა მოახერხეს კოლხეთის დაპყრობა. უფრო გვიან, IV საუკუნეში, აღმოსავლეთ კოლხეთისაგან შეიქმნა ლაზთა სამეფო, რომელსაც ქართველები კვლავ უწოდებდნენ ძველ ეროვნულ სახელს ეგრისს. ლაზიკა რომ

[3] აპიანე, მითრიდატეს ომები, 101; სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XII, თ. III, § 28.
[4] ჰეროდოტე, IV 37, IV 40. I 104,I 110.
[5] „ანაბაზისი“, წ. IV, თ. 8; წ. V, თ. 3.

კოლხეთის მემკვიდრეა და თვითონ ლაზები რომ კოლხთა პირდაპირი შთამომავალნი არიან, ამას სადავოდ არავინ ხდის. ამას მოწმობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი: „შეუძლებელია, კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ამჟამად ლაზებად შეიცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხშიც მომხდარა“.[6] ამის შესახებ უფრო გარკვეულად ლაპარაკობს პროკოპის უმცროსი თანამედროვე და თანამემამულე აგათია: „ძველად რომ ლაზებს კოლხები ერქვათ და რომ ისინი ნამდვილად კოლხები არიან, ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“. „ლაზები, — ამბობს იგივე ბიზანტიელი მწერალი, — ძლიერი და მამაცი ხალხია, რომელიც ბატონობს სხვა ძლიერ ხალხებზე. ისინი ფრიად ამაყობენ კოლხთა ძველი სახელმწიფოებით, და ალბათ, არც უსაფუძვლოდ...“[7]

მაგრამ ხომ იყო არა მარტო აღმოსავლეთის, ასე ვთქვათ — რიონის კოლხეთი, არამედ დასავლეთის, ჭოროხ-ტრაპეზუნტის კოლხეთიც. სწორედ ამიტომ ლაზების სახელი დაერქვა დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობასაც. თუმცა დასავლეთმა კოლხეთმა ვერ მოასწრო ლაზიკის სამეფოსთან ერთ სახელმწიფოში გაერთიანება. დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობას ეს სახელწოდება შერჩა მთელს მომდევნო დროში ჭანების, ხალდების სახელწოდებასთან ერთად. X საუკუნის ქართველი მწერალი ბიზანტიელი ავტორის გამოთქმას — „ლაზიკის ქალაქი ტრაპეზუნტი“, მშობლიურ ენაზე კანონზომიერად გადმოგვცემს ასე: „მეგრელთა ქვეყნის ქალაქი ტრაპეზუნტი“.

ტრაპეზუნტის იმპერიის (1204–1461 წლები) ხელმწიფეებს კონსტანტინოპოლში უწოდებდნენ „ლაზთა მბრძანებლებს“, ხოლო მათს სამფლობელოს ხან ლაზიკას, ხან კოლხეთს. ლაზთა ამ ტომის ისტორიული მოსახლეობის საზღვრების გამოსარკვევად კი საინტერესოა აკადემიკოს მარის ცნობა: „კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს ყველა მცხოვრებს, სამსუნელებსა და სინოპელებსაც კი... ხოლო არზრუმელები ლაზებს უწოდებენ, ერთი მხრივ — გიუმიშხანელებს, ხოლო მეორე მხრივ — სანაპიროს ყველა მცხოვრებს“.[8]

შუა საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების ბირთვად იქცა ქართლი, იბერიის ძირითადი ნაწილი.

[6] „გუთებთან ომის შესახებ“, VIII 2.

[7] II, 18, III 5.

[8] თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, გვ. 608.

ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აღმოსავლეთ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს ვახტანგ გორგასალს (გარდაიცვალა 502 წელს), მაგრამ მისი ცდები გააქარწყლა სპარსელთა გაბატონებამ VI საუკუნეში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინება, უკვე ფეოდალურ საფუძველზე (VI საუკუნის დამლევს), და მისი პირველი წარმატებანი მდინარე მტკვრის ხეობაში შეაფერხა არაბთა მიერ დაპყრობამ. დამპყრობთადმი წინააღმდეგობის გაწევისა და ეროვნულ ძალთა ორგანიზაციის მთავარი ცენტრი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა.

საყურადღებოა, რომ სწორედ სამხრეთ საქართველოს პროვინციის სპერის (ამჟამად ისპირი) მფლობელებმა, ბაგრატიონებმა, რომელთა საკუთარი მამული მდინარე ჭოროხის ზემო წელში, ქალაქ ბაიბურთის რაიონში იყო, საფუძველი დაუდვეს საერთო-ეროვნულ დინასტიას, X საუკუნის დამლევს მთელი საქართველო რომ გააერთიანა. მაგრამ ჯერ კიდევ გაერთიანებამდე ბაგრატიონებმა, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის — ტაო-კლარჯეთის მთავრები იყვნენ, ბრძოლით დაიბრუნეს სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, მეფე დავით III-მ 979 წელს აიძულა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი, დაეთმო საქართველოსთვის წინათ წართმეული მისი ოლქები: კარინი (ქალაქ არზრუმის ოლქი), ჰარქი და აპაჰუნიქი (იმ დროს უკვე სომხებით დასახლებული ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით), უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე ხალდოი — არიჭი (რაც ნიშნავს ხალდთა სოფელს) და კლისური (ზეკარი) არზრუმიდან ტრაპეზუნტს მიმავალ მაგისტრალურ გზაზე, ჩორ-მაირი მდინარე ჭოროხის ზემო წელში და სხვ. ოთხმოციან წლებში დავითმა საზღვრები გააფართოვა უფრო შორს სამხრეთ-დასავლეთით, დაიბრუნა ოლქები დერჯანი (ამჟამად ტერჯანი) და ტარონი, ხოლო 997 წელს მან აიღო ქალაქი მანასკერტი (მელიაზგერდი).

ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვრის ხაზი გადაჭიმულ იქნა ვანის ტბიდან ქალაქ ერზინჯანამდე.

სამხრეთ საქართველოს სამთავროებში IX-X საუკუნეებში ბრწყინვალედ გაიფურჩქნა ქართული კულტურა, რომელსაც მტკვრის ხეობაში არაბები ავიწროებდნენ. ჭოროხის აუზის მთელ ტერიტორიაზე, მტკვრისა და ევფრატის ზემო წელში აგებულ იქნა მონუმენტური შენობები, თავისთავადი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები — ბანა (ოლთისის, ამჟამად ოლთის რაიონში),

ხახული (თორთუმის ახლოს), ოშკი (იქვე), იშხანი, წყაროს-თავი, ტბეთი, ხანძთა, ანჩა თავისი 12 სავანით („ქართული სინა“), ოპიზა, დოლის-ყანა, შატბერდი, ფანასკერტი და სხვ.

ტაო-კლარჯეთში შესანიშნავად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა გიორგი მერჩული, მიქაელ მოდრეკილი (ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი), იოანე და ექვთიმე მთაწმიდელები და სხვ. სწორედ აქ მიიღო დამთავრებული ფორმა ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთიანობის შეგნებამ.

ქართველი ხალხის კულტურული შემოქმედებითი ძალების დიად გამოვლინებაში XI-XIII საუკუნეების მანძილზე სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პირველი ადგილი უჭირავს. საკმარისია დავასახელოთ დიდი შოთა რუსთაველი, შეუდარებელი ოსტატები ბექა ოპიზარი და ბეშქენ ოპიზარი, ქართული ფილოსოფიური აზროვნების სიამაყე — იოანე პეტრიწი, გამოჩენილი ფილოლოგები და ისტორიკოსები გიორგი მთაწმინდელი და ეფრემ მცირე, — რათა გავიგოთ, თუ რა შვილები მისცა დედა-სამშობლოს სამხრეთმა საქართველომ.

საქართველოს ბუნებრივი განვითარება შეწყვიტა მონღოლთა შემოსევამ. თითქმის ორი საუკუნე თავდადებულად იბრძოდა ქართველი ხალხი, რათა დაეცვა თავისი კულტურა და თავისუფლება.

დასავლეთს მადლობით უნდა ახსოვდეს, რომ ჩრდილოეთით დიდი რუსეთი და სამხრეთით იმ დროს ძლიერი საქართველო იქცნენ ძირითად ბარიერად, რომელმაც შეასუსტა მომთაბარე დამპყრობთა საშინელი ტალღა, მაგრამ ამან ქართველ ხალხს აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა. მეთხუთმეტე საუკუნეს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დიდმნიშვნელოვანი ამბებით ახსოვს, საქართველო აოხრებული და სისხლით დაცლილი შეხვდა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ახლო აღმოსავლეთში თათრების ნაცვლად გამოდიან ახალი მომთაბარე დამპყრობლები — ოსმალო თურქები.

XV საუკუნეში თურქები უშუალოდ მოადგნენ საქართველოს. ამ დროისათვის საქართველო, გარეშე და საშინაო არახელსაყრელი პირობების შედეგად, მთელ რიგ ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებსა და სამთავროებს წარმოადგენდა. მაგრამ ამ მდგომარეობაშიც სამხრეთ-საქართველოს სამთავრო სამცხე, რომლის სამფლობელო ჯერ კიდევ ვრცელდებოდა ერზინჯანამდე და ტრაპეზუნტის მისადგომებამდე, გმირულად იგერიებს შემომტევ მოსისხლე მტერს. კიდევ მეტიც:

იმ საფრთხის სწორი შეგნება, რაც მთელ კულტურულ სამყაროს დაემუქრა, ჰქმნის ერთიან საგარეო-პოლიტიკურ ხაზს ქართველი მეფეებისა და მთავრებისას, რომელნიც ორჯერ შეეცადნენ მოეწყოთ ოსმალო თურქთა წინააღმდეგ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ფართო კოალიცია. ამ ცდის მარცხით დამთავრებას არ შეუსუსტებია ქართველთა ენერგია: ქართლის, იმერეთის და სამხრეთ საქართველოს შეერთებული ძალებით მათ არაერთხელ აგემეს დამპყრობლებს მწარე გაკვეთილი. მაგალითად, 1545 წელს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქების შემოსეულ დიდ ლაშქარზე ბასიანში (არზრუმის ახლოს).

თურქებს, რომლებმაც ამ დროისთვის დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი და ბალკანეთის ნახევარკუნძული, განზრახვა ჰქონდათ დაეპყროთ მთელი საქართველო, მაგრამ ქართველი ხალხი უმაგალითო გამძაფრებით უწევდა წინააღმდეგობას მათს ამ განზრახვას. საქართველოს ცენტრალური და დასავლეთი რაიონებიდან განდევნილმა თურქებმა მაინც შეძლეს გამაგრება სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს.

მაგრამ ბრძოლა შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველოს მთლიანობის შეგნება არასოდეს ჩამქრალა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი გორგიჯანიძე თავის თანამემამულეთა განწყობილებას გამოხატავს, როდესაც ამბობს, რომ ქართველები, რომელთაც „ქრისტეს რჯული ეჭირათ“ და რომლებიც მომწყვდეული იყვნენ ორ დიდ მაჰმადიანურ სახელმწიფოს — თურქეთსა და ირანს შორის — „ბევრს ეცადნენ: აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნაქნეშიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს (ავტორს მხედველობაში აქვს ირან-თურქეთის 1555 წლის ხელშეკრულება) — სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს (დარჩა), იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა“.

მაგრამ საქართველო არასოდეს არ სცნობდა მტაცებელთა ამ აქტს, მას არასოდეს არ აუღია ხელი თავის ძველისძველ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე. რუსეთ-საქართველოს მეგობრობის 1783 წლის ტრაქტატის IV სეპარატულ არტიკულში ნათქვამია: იმპერატორი „პირობას იძლევა, რომ ომის შემთხვევაში ყოველგვარ საშუალებას იხმარს იარაღის შემწეობით, ხოლო ზავის შემთხვევაში — დაჟინებითი მოთხოვნით, რომ ქართლის სამეფოს დაუბრუნდეს მისი ოდითგანვე კუთვნილი მიწები და ადგილები“.

ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის XIX-XX საუკუნეების ყველა ომში და ამ ომებზე გაერთიანების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ იმედებს ამყარებენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი — აღტაცებით მიესალმებოდნენ თურქეთის მიერ დაპრობილი ქართული მიწა-წყლიდან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას. საერთო-სახალხო ზეიმით იქნა აღნიშნული თურქეთისათვის ბათუმის, არტაანისა (არდაგანის) და ართვინის ოლქების წართმევა, არზრუმის, ლაზისტანისა და ტრაპეზუნტის დაკავება. ხალხი ამაში თავისი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას ხედავდა.

საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს, თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გაველურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი ისინი გაჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სადაც იგი წინათ დუღდა და გადმოდიოდა. გაჰქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები — მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მოსახლეობა გაღატაკდა. მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათა-წმიდას — მის ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამაპაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს.

ურჩ მოსახლეობას მასობრივად ერეკებოდნენ მამაპაპეული ადგილებიდან. იქ, სადაც VIII საუკუნეში აგებულ იქნა ბანას ტაძარი, მსოფლიო ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლი, იქ, საიდანაც XII საუკუნეში გაისმა რუსთაველის უკვდავი ხმა, სადაც XIV საუკუნეშიაც აშენებული იყო ჭულესა და საფარის დიდებული ტაძრები, თურქების შემოსევის შემდეგ და მათი ბატონობის მთელ მანძილზე არაფერი დადებითი არ შექმნილა. მეჩეთებადაც კი ქართულ ეკლესიებს იყენებდნენ; ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მოსახლეობა მხოლოდ იმ ხიდებით სარგებლობდა, რომლებიც თამარ მეფის დროს იყო აგებული.

მაგრამ თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა მუდამ განაგრძობდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლას. თურქებმა ვერ შეძლეს, რამდენსაც არ ეცადნენ, აღმოეფხვრათ მათ მიერ მოწყვეტილი სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქა-

რთველოსთან. ამ ერთიანობას ადასტურებდნენ და ადასტურებენ ყველა ფაქტები, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, მეცნიერება. თვითონ თურქები იძულებული არიან აღიარონ ეს. თურქეთის მთავრობამ 1578 წელს დაიპყრო სამხრეთ-საქართველოს სამთავრო — სამცხე და მას გურჯისტანის, ე. ი. საქართველოს ვილაიეთი უწოდა. დაცულია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1595 წლის თურქული ოფიციალური დოკუმენტი — „საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დავთარი“ („დევთერი მუფასალ ვილაიეთი გიურჯუსტან“), რომლის ერთ ნაწილში, სხვა რაიონებს შორის, აწერილია ჩილდირის, ფოცხოვის, პანიაკის (ბანას), არტაანის რაიონები.

მეორე ვილაიეთი — ტრაპეზუნტისა — წარსული საუკუნის სამოციან წლებში შეიცავდა მთელ ტერიტორიას მდინარე ყიზილ-ირმაკამდე (ძველი ღალისი) და გაყოფილი იყო ოთხ სანჯაყად: 1) ლაზისტანი, რუსეთის საზღვრიდან ქ. რიზემდე, 2) ტრაპეზუნტის სანჯაყი, რიზედან ქ. ორდუმდე, 3) ჯანიკი, ორდუდან მდინარე ყიზილ-ირმაკამდე, ცენტრით ქ. სამსუნში და 4) გიუმიშხანა (ინგლისის კონსულ ვ. ჯიფორდ პალგრევის ანგარიში. ИКОИРГО, ტ. 7, დამატება). ამრიგად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს თურქეთის ოფიციალური ნომენკლატურა მოწმობდა, რომ ქალაქ სამსუნის ოლქიც კი, თვით ყიზილ-ირმაკამდე, არის ჯანიკი — ჭანების, ე. ი. იმავე ლაზების ქვეყანა.

თურქულ ენციკლოპედია „ჰაამუს-ულ-ალამში“ ნათქვამია: „ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაიეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ... მათი გარეგნობაც კი მოწმობს მათ კავკასიურ წარმოშობასა და რასას“.

სამხრეთმა საქართველომ XX საუკუნემდე შეინარჩუნა დიდი რაოდენობით ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის რუკებზე აღნიშნულია მრავალი წმინდა ქართული სახელწოდება, როგორიცაა იმერა (გიუმიშხანეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), ძარა, გორიანა, მაჭარა, შუვა, მირზანი, მოხორა, ლორი, ბორშიანი, ნატეხილები, ქსანთა, კიტრა, ჭოროღმა, ხართი, ჩუმოვანი, ორწვერი და სხვ. ახლა თურქი ხელისუფლები გამალებით შლიან ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ანგრევენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს — არქიტექტურის შედევრებს. ისინი კვლავ მასობრივად ერეკებიან ქართველ მოსახლეობას შორეულ რაიონებში, აძევებენ მათ ჩვენი წინაპრების ასეულ თაობათა სისხ-

ლითა და ოფლით უხვად მორწყული მშობლიური ადგილებიდან.

მძიმე დროს, რასაც ქართველი ხალხი 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში განიცდიდა, თურქები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს არტაანის, ოლთისისა და ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორის ოკუპაცია, რათა ისინიც მიემატებინათ წინათ დაპყრობილი ძველისძველი ქართული მიწა-წყლისათვის.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში თურქეთი, რომელიც ფაქტიურად გერმანელ დამპყრობთა მხარეზე რჩებოდა, კვლავ შურის თვალით შემოჰყურებდა ჩვენს ტერიტორიებს. ამის შესახებ აშკარად წერდა თურქული პრესა. თურქეთი ერთხელ კიდევ ნებაყოფლობით დადგა იმპერიალისტური გერმანიის სამსახურში და ზიანს აყენებდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.

ჩვენ კი: განა საჭიროა გავახსენოთ მსოფლიოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმიდათა-წმიდა საქმეში?

ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე. ი. საქართველოსათვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი.

ს. ჯანაშია,
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ნ. ბერძენიშვილი,
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.



ილია მაისურაძე

მესხური ხალხური სიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე
თბილისი, 1949

თეზისები

„საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი“, — წერდნენ თავის ცნობილ წერილში „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“ აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი.[1] ეს ისტორიული სიმართლეა თავხედ დამპყრობელზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ონავარ მტაცებელივით თავს დასტრიალებდა ქართველ ხალხს. მას აოხრება-განადგურება, სიკვდილი და გადაგვარება მოჰქონდა ჩვენი წინაპრებისათვის. ამიტომაც იყო, რომ სიტყვები „თათარი“ და „თათრობა“ დაუნდობლობის, ყაჩაღობა-მტაცებლობის, სისხლისმსმელობისა და ყოველგვარი საშინელების სინონიმად იქცა ჩვენი ხალხის ცნობიერებაში.

როგორც ცნობილია, თურქ-სელჯუკ ბარბაროსთა უშუალო შთამომავალნი, ნახევრად ველურ მომთაბარე ტომებისაგან გაერთიანებული თურქ ოსმალო აგრესორები XV ს-დან იწყებენ თავიანთ დაპყრობით ომებს. ისინი ცეცხლითა და მახვილით შეიჭრნენ წინა აზიასა და ევროპაში, ფეხით გადათელეს მთელი რიგი ქვეყნები, დაიპყრეს და „ოსმალობის“ მძიმე უღელი დაადგეს აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის მრავალ ხალხს. 1453 წელს კონსტანტინეპოლის ხელში ჩაგდების შემდეგ თურქმა მეჯოგეებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიას, უაღრესად კულტურულ სახელმწიფოს აღმოსავლეთში. ამიერიდან, თურქეთის სახით, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე ზღაპრულ გველეშაპივით გაწვა ხალხთა მშვიდობის მტერი,

[1] ეს წერილი ჟურნალის წინამდებარე ნომერშიც არის დაბეჭდილი (რედ.).

რომელმაც საბოლოოდ გადაღობა ის დიდი სახმელეთო და საზღვაო გზა, რომელიც ცხოველი ეკონომიკური ძალებით აკავშირებდა ერთმანეთთან მსოფლიოს ორ დიდ მატერიკს — ევროპასა და აზიას.

სულხან-საბა ორბელიანი შესანიშნავად გამოხატავდა თურქის ამ „მსახვრალი“ ხელის ნიშან-კვალს, თავისივე თვალით ნახულს ევროპაში: „სადაც თათარს მიუწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა, იმას გაუოხრებია. ნეტავი ნახოთ და, ვინც ნახავთ, ჩემს სიმართლეს მაშინ შეიტყობთ“.[2]

ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიების დაცემის შემდეგ სტამბოლში ფეხმორთხმით მჯდომარე სულთანის წინაშე მალე ახალი დაპყრობითი გეგმა დაისახა: საქართველოს დამორჩილება და კავკასიონის მთაგრეხილის მაღალ ზღუდეზე ზურგის მიყრდნობა. დაიწყო თურქთა დაუცხრომელი შემოსევები საქართველოში. ქართველი ხალხი ჩვეული სიმტკიცით დახვდა ახალი ჯურის მომხდურს. იგი თითქმის 400 წლის განმავლობაში გასაოცარი ენერგიით იგერიებდა მტრის სასტიკ იერიშებს და მონობის უღელს კი არ იდგამდა. მამაცმა ქართველმა ხალხმა თავისი დამოუკიდებლობა სასახელოდ დაიცვა. მრავალი განსაცდელისა და „ჟამთა სიავის“ მიუხედავად, მან „შესძლო საუკუნეების მანძილზე გამოეტარებინა თავისი ენა, თავისი ძველი კულტურა, თავისი ნებისყოფა გამარჯვებისა და თავისუფლებისადმი“ (ლ. ბერია).

***

თურქთა მოძალების მთელი სიმწვავის გადატანა განსაკუთრებით საქართველოს იმ ნაწილს ხვდა წილად, რომელიც ამ აგრესიული სახელმწიფოს უშუალო მეზობლად მდებარეობდა. ეს იყო სამხრეთ საქართველოს დიდი სამთავრო, ე. წ. სამცხე-საათაბაგო, ანუ „ქვეყანა მესხეთისა“. ეს ისტორიული კუთხე თავისი სივრცითა და მოსახლეობით ძველი საქართველოს თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა და მის მნიშვნელოვან ნაწილად ითვლებოდა. საქართველოს ამ კუთხემ განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული განვითარების საქმეში.

ქართული კულტურის კლასიკურ ხანაში სამხრეთ საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრებმა ქვეყანას მისცეს გამოჩენილი მოაზროვნე-მოღვაწენი ფილოსოფიის, საეკლესიო მოძღვრების, ისტორიოგრაფიის, ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, ოქროჭედილობის, პოეზიისა და საერო მწერლობის დარგებში. „საკვირველს, მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, —

[2] ს. ს. ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში. ს. იორდანიშვილის რედაქციით. თბ., 1940 წ., გვ. 144.

აღფრთოვანებით წერდა ი. ჭავჭავაძე მესხეთზე — ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა".

უკვე XVI ს-ში, როდესაც განსაკუთრებით გაძლიერდა თურქეთის ექსპანსიური იერიშები და სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალი გააფთრებული ბრძოლების ასპარეზად გადაიქცა, იწყება მესხეთში შექმნილი მაღალი კულტურის განადგურება და ნგრევა. მტერმა იმძლავრა და ამავე საუკუნის 80-იან წლებში, მძიმე მსხვერპლის ფასად, საქართველოს უსამართლოდ მოსტაცა ეს ღვიძლი კუთხე, რომელიც მალე ახალციხის საფაშოდ, ანუ გურჯისტანის დიდ ვილაიეთად, გამოაცხადა. დაპყრობილ მხარეში უმალვე დაიწყო მოსახლეობის ძალდატანებით გათურქების პროცესი. სამცხე-საათაბაგოში დასახლებულ ძველ ქართველ ტომებს — მესხებს, ჯავახებს, აჭარლებს, ჭანებს, ტაო-კლარჯეთისა და შავშეთ-ერუშეთის მცხოვრებლებს, ტრადიციული რელიგიური რწმენის, მშობლიური ქართული ენისა და კულტურის უარყოფა და თურქული ენა-რჯულის აღიარება უბრძანეს. მაგრამ ქართველობა მედგრად და შეუპოვრად იცავდა თავის ათასწლოვან კულტურას, ენას, წეს-ჩვეულებებს, სარწმუნოებას. ქართველობის ერთი ნაწილი აიყარა და საქართველოს სხვა კუთხეებს, უმთავრესად ქართლ-კახეთსა და იმერეთ-გურიას, შეაფარა თავი. გურიაში ჩაწერილი ერთი ხალხური ლექსი პირდაპირ ცნობას გვაწვდის ზარზმიდან იძულებით აყრილი და ერკეთში გადასახლებული ძმების, ვინმე ბალაძეების, შესახებ:

სამა ძმამა ბალაძემა
ჩვენ დავაგდეთ ბალავერი,
თუ თორმეტი ჩამეიღებს,
ის იქნება ფალავანდი...
ძმები იქ ერთად ვიყავით:
მოსე, ენუქი, ელია,
ზარზმის სახტარი დავაგდეთ,
შევიქენთ ერკეთელია.[3]

ცნობილია, ისიც, რომ „მას ჟამსა შინა, ოდეს პატიოსანი და დიდი საათაბაგო საქრისტიანო უსჯულოთაგან და უღმრთოთა აგარიანთა მიერ განირყუნა, იწყო მოკლებად ჰსჯულმან ჩვენმან და აღორძინებად ჰსჯულმან მაჰმედისამან, მაშინ ჟამსა საათაბაგოს ურწმუნოთა და ბილწთა თათართაგან განირყუნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშალა და მოოხრდა და აიშალა ზარზმის ხატი შენი ძლიერი მთაბორსა განბრწყინვებული. აქ გურიას ჩამოასვენეს ვი-

[3] ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, თბილისი, 1937 წ., გვ. 26.

თარცა ექსორია ქმნილი“.[4]

წარმოუდგენელ ტანჯვად, ნამდვილ ეროვნულ ტრაგედიად გადაიქცა იმ ქართველების ცხოვრება, რომელთაც ვერ მიატოვეს თავიანთი სახლ-კარი, ვერ აიყარნენ და თავისავე მიწა-წყალზე დარჩნენ. თურქი ხელისუფალნი მათ ოჯახებს იკლებდნენ, ასახლებდნენ, ტყვეთა ბაზარზე ჰყიდდნენ და ოფიციალური თუ არაოფიციალური გადასახადებით სულს უხუთავდნენ. „ოსმალობას“ შედეგად ოსმალური მიწისმფლობელობის შემოღება მოჰყვა, ოსმალური მიწისმფლობელობის მიხედვით, მიწის მფლობელად მხოლოდ მხედარი შეიძლებოდა ყოფილიყო, მხედარი კი — უეჭველად მაჰმადიანი. მესხი ფეოდალების საგრძნობი ნაწილი, მიწის შენარჩუნების მიზნით, „გაოსმალებას“ დათანხმდა. ერთი სიტყვით, „აზნაური აქ მიწას გაჰყვა...“, მხოლოდ გლეხობა იცავდა თავ-გამოდებით მამა-პაპურ სარწმუნოებას. საქართველოში „დამპყრობლებმა ისლამის გავრცელების საქმეში ფართოდ გამოიყენეს ცეცხლი და მახვილი. მთელი რიგი ქართული სოფლები გადაწვეს და ამობუგეს, მხოლოდ იმისათვის, რომ მათ არ სურდათ მაჰმადიანობის მიღება, გადაჰყავდათ თავისი დასახლებული ადგილებიდან ოსმალეთის შინაგან ვილაიეთებში და სანჯაღებში, სამაგიეროდ საქართველოს დაპყრობილ ნაწილებს ასახლებდნენ ქურთებითა და „იურუკებით“, რომლებიც უნდა გადაქცეულიყვნენ დამპყრობთა პოლიტიკის გატარების მტკიცე ბაზად სამცხე-საათაბაგოში“.[5] მიუხედავად ამგვარი ველური ძალადობისა, ქართველთა გამაჰმადიანების პროცესი XIX ს-შიც კი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დასრულებული.

ქართველთა გამაჰმადიანების ეს მწვავე პროცესი, ეს ნაციონალური ჩაგვრა-წამება მშვიდობიანი მოსახლეობისა მრავალი ისტორიული საბუთით არის დადასტურებული, მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ არსებული უხვი წერილობითი წყაროების გვერდით მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ხალხური ზეპირსიტყვიერებაც.

ისტორიული ხასიათის ქართულ ხალხურ ლექსებსა და სიმღერებში, თქმულება-გადმოცემებსა და იგავ-არაკებში, ანდაზებსა და ყოველდღიურ თქმებში სრული უბრალოებითა და უშუალობით არის გადმოცემული „თათრობის“ საშინელებანი, ოსმალო დამპყრობთა ბარბაროსობის ცოცხალი სურათები. ჩვენი ხალხის ხსოვნაში დღემდე წარუშლელია ისტორიული მოგონებანი დევნა-აოხრების, ადამიანთა „კევრებით ლეწვის“, მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შემზარავ ამბებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ გურია-აჭარის, სამეგრე-

[4] **Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Грузии и Адчаре, стр. 130-131.**

[5] გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგო ოსმალთა ბატონობის უკანასკნელ პერიოდში (წიგნში: „ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი“, თბ., 1946, გვ. 157).

ლოს, აფხაზეთისა და მესხეთ-ჯავახეთის ხალხური სიტყვიერების მასალა, სახელდობრ, იმ კუთხეებისა, რომელთაც ყველაზე მეტად სწვდებოდა დაუნდობელი მტრის ავბედითი ხელი.

ჩვენ ამჯერად შევეხებით მხოლოდ მესხურ ფოლკლორს, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია ისტორიული მოტივებით. როგორც საქვეყნოდ ცნობილია, წარსულში უსამართლოდ მოტაცებული სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი დღესაც თურქეთს უპყრია, მხოლოდ პატარა აჭარა და მესხეთ-ჯავახეთის რაიონები მდებარეობს საქართველოს მიწაზე.

დღევანდელ მესხეთში, ახალციხის, ასპინძისა და ბორჯომ-ადიგენის რაიონებში, მტკვრისა და ფოცხოვ-ქობლიანის ხეობებში განლაგებულია ძველი ქართული ისტორიული სოფლები: უდე, ვალე, არალი, ღრელი, მუსხი, ანდრიაწმინდა, ჭობარეთი, ზველი, ერკოტა, დადეში, ზედა თმოგვი, ზედა ვარძია, სარო, ხიზაბავრა და სხვანი; აქ სახლობენ ის მკვიდრი მესხნი, რომელთა წინაპრებმაც ვაჟკაცურად გაუძლეს თურქთა ეროვნულ და რელიგიურ ჩაგვრას, უდიდესი შეუპოვრობითა და გამძლეობით თავის ზურგზე გადაიტანეს თურქ დამპყრობთა მკაცრი რეჟიმი და პატრიოტული შემართებით დღემდე მოიტანეს თავიანთი ეროვნული შეგნება, მშობლიური ქართული ენა და ტრადიციები.

ამ სოფლებში ჩაწერილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები მწვავე მოგონებაა წარსულისა, ცოცხალი, დაუწერელი ისტორიაა ერის სასიცოცხლო ინტერესების შელახვისა. ოსმალთა ბატონობა-ძალადობით გამოწვეულ სევდიან ჰანგებთან ერთად მტრის დაცინვასაც შეიცავს სოფელ მუსხში გავრცელებული ეს ისტორიული ლექსი:

დავიბადენით ცოდვილნი,
დამწვარნი, დადაგულები,
არ ამოვიდა მზე ჩვენთვის,
არ გაგვიმთელდა გულები...
ფაშა იმერეთ წავიდა,
თან დაიდევნა ყულები,[6]
საგძალი ბევრი წაიღო —
თეთრი კაკალი პურები,
საკლავი ბევრი წაასხა —
ზანგელ-ზანგელა ფურები,
ყაუხი[7] გზაზე დაჰკარგა,
სიცივემ დასძრა ყურები.[8]

[6] ყულები — ყულის ჯარი.
[7] ყაუხი — თავსაბურავი, დოლბანდი.
[8] ჩაწერილია სოფ. მუსხში 1938 წ. ისააკ მაისურაძის თქმით.

მწვავედ განიცდიდა ხალხი სამშობლოს გაჩანაგებას, სევდიანი ჰანგით გამოხატავდა ჯავახი გლეხი თავისი კუთხის შავბედითობას:

ჯავახეთი განსაცდელში ჩავარდა,
მისი ტანჯვა კიდით-კიდეს გავარდა,
გაიტაცა მტერმა მისი ქონება,
გაღარიბდა, ყველას ფეხქვეშ დავარდა.[9]

ვერაგმა დამპყრობელმა არ იკმარა საქართველოს მარტო ამ ერთი დიდი კუთხის ხელში ჩაგდება, მან მახვილით მიტაცებული ეს კუთხე ჩვენი ქვეყნის შუაგულზე ახალი დარტყმების პლაცდარმად გადააქცია. ცნობილია, რომ ახალციხის საფაშოდან თურქი მტაცებლები დროდადრო ქართლ-კახეთსა და იმერეთშიც იჭრებოდნენ და ამ კუთხეების ან დროებით ოკუპაციას ახდენდნენ, ანდა რბევა-თარეშით აოხრებდნენ და ძარცვავდნენ სოფელ-ქალაქს. მტრის ასეთ თარეშზე მიგვითითებს არა ერთხელ გამოქვეყნებული ხალხური ლექსი:

ჯავახეთო და კახეთო,
გავერნებული გნახეთო,
შენი ცხვარი და ძროხანი
გატეხილ ხიდზე ვნახეთო,
შედგმული შეჭამადები
მარილად ვეღარ ვნახეთო,
ჭურში ჩასხმული ღვინები
ჭაშნიკად ვეღარ ვნახეთო.

ოსმალო სულთნის მაჰმადიანი მოხელენი ქართულ სოფლებში მისვლისას ყოველგვარ ზომებს ხმარობდნენ, რათა ეკონომიკურად შეევიწროებინათ მშრომელი გლეხობა, მორალურად დაეცათ და ამ გზით, ბოლოსა და ბოლოს, აეძულებინათ ისინი უარეყოთ ქართველობა, წელში გაეტეხათ მათი წინააღმდეგობა. ამ მიზნისთვის იყო მოწოდებული მრავალრიცხოვან გადასახადთა მთელი სისტემა, რომელშიც ქართველობისთვის დაწესებული ე. წ. „ისფენჯიც“ შედიოდა,[10] მაგრამ ფაშები, ბეგები და აღაბეგები ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ და ხშირად თვითნებურად ახალ შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ ვალდებულებებსაც იგონებდნენ. ამის გამომხატველია გადასახადი „დიშ ქირა“, ანუ „კბილის ქირა“, რის შესახებაც ცნობა ხალხს შემოუნახავს. სოფელ ვალის მცხოვრებ გ. ნადირაძის გადმოცემით, „თათრობის დროს ქართველი გლეხები სოფელში მო-

[9] ჩაწერილია ჯავახეთში გ. გოგოლაძის თქმით (ახალციხის მხარეთმც. მუზეუმის მასალებიდან).

[10] ამ ბეგარა-გადასახადების შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის თურქ მოხელეთა მიერ XVI საუკუნეში შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც 1940 წ. ქართულად გამოსცა საქ. მეცნიერებათა აკადემიამ.

სულ თათრის ცხენს ქერს რომ აჭმევდნენ, ცხენის პატრონი გადასახადს ახდევინებდა: ჩემი ცხენის კბილის ქირა მომეცით, რო თქვენი ქერი დაფქვაო“.

ხალხისადმი ამგვარი ცინიკური მოპყრობის ერთ სხვა მაგალითს წარმოადგენს სოფელ ზველში ღრმად მოხუცი კოლმეურნის პ. ზედგინიძის თქმით ჩაწერილი შემდეგი ისტორიული გადმოცემა: თათრები განსაკუთრებით ავიწროებდნენ თურმე ზედგინიძეების გვარს, რომელიც მტკიცედ იდგა ქართველობაზე. რაკი მათი სიმტკიცე ვერ გატეხა, გაგულისებულმა თურქმა მოხელემ ამ გვარეულობის ყველა მამაკაცს ქართველად ყოფნისათვის ბეგარად დაუდო ზურგით კირის ზიდვა. „ჩემი მამა-პაპანი გოდრით მოიკიდემდნენ ხოლმე კირს და ტოლოშიდან ახალციხეში ეზიდებოდნენ.[11] ვინც გათათრდებოდა, ამ ბეგარიდანაც გადარჩებოდა, მაგრამ ჩვენ ძველებს ეს გაჭირვება აუტანიათ და ქართველობა მაგრად შეუნახიათ, თუმცა ზურგზე ტყავი ჰქონიათ გადამძვრალი“, — ამაყად დასძენს მთქმელი.

მისივე გადმოცემით, „როცა ათათრამდნენ“ ქართველებს, გახურებულ თასს ადებდნენ თავზე; თუკი ქართველობას უარყოფდა, მაშინ მოაცილებდნენ, თუ არა უნდა გაეძლო, ან მომკვდარიყოო“.[12]

მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი წამებით რჯულგამოცვლილი ქართველიც ვერ თავისუფლდებოდა მოძალადეთა დამცირებაა-ბუჩად აგდებისაგან. ამის საუცხოო მაჩვენებელია მესხეთში დღესაც გავრცელებული ანდაზა: „ჯერ გაათათრამენ და მერე ჩინჩავატს დაუძახამენ“.[13]

მაჰმადიანური ფანატიზმის მესვეურები უხეში ადმინისტრაციული და სამხედრო ძალის დახმარებით ცდილობდნენ გზა გაეხსნათ და ფეხი მკვიდრად მოედგათ დაპყრობილ მხარეში. თურქ-ოსმალთა მიერ მიტაცებულ საქართველოს მიწა-წყალზე ქრისტიანული მართლმადიდებლობა ოფიციალურად გაუქმებული იყო და სასტიკად იდევნებოდა, ამიტომ თავისი ენა-რჯულის ერთგულ ქართველებს ისღა დარჩენოდათ, რომ გარეგნულად მაჰმადი ეღიარებინათ, ხოლო ქართული ენა და ნაციონალური სარწმუნოება ფარულად დაეცვათ. „მოსე ბერიძის ბიძას ორი სახელი ჰქონდაო, — გადმოგვცემს მთქმელი, — ერთი ქართული — ივანეჲ და მეორე კი თათრული — ხურშუტაჲ; ქართულ სახელს შინაურობაში ეძახდნენ, თათრული კი საგარეო იყოო“.[14]

[11] სოფ. ტოლოშიდან ქალაქ ახალციხემდე 45 კილომეტრია.

[12] გ. ნადირაძისა და პ. ზედგინიძის გადმოცემები ჩაწერილია 1945 წელს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ მოწყობილი ექსპედიციის მიერ. მასალები ამავე მუზეუმში ინახება.

[13] ჩინჩავატი — უხეირო, ბეჩავი ადამიანი.

[14] სოფ. მუსხში 1938 წელს გ. ოქრომელიძის თქმით ჩაწერილი თქმულებიდან.

„გაგვიგონია, რო წყლიპირზე რო მაღარიებია,[15] იმ ერთ მაღარაში ყოფილა თომა ბიძიაჲ მონათლული ჩუმათ, ღვდელს ერისკაცივით ეცვა და ისე დადიოდა მრევლში, ნათლობასაც ტყეში ან კლდეში მართამდნენ“, — ასე გადმოგვცემენ მამა-პაპათაგან უშუალოდ მოღწეულ მართალ ამბებს შავბნელი წარსულის შესახებ დღევანდელი მესხი მთხრობელები.

როგორც ირკვევა, დამპყრობელთა თვალის ასახვევად, ქრისტიანობის ფარულად აღმსარებელ ქართველებს ზოგჯერ მაჰმადის რჯულის წესებიც უსრულებიათ. ისლამის სამსახური ტრადიციული საქრისტიანო წესების აღსრულებასთან ერთად მეტად მძიმე და არასასიამოვნო მოვალეობა უნდა ყოფილიყო მათთვის. ამიტომაცაა, რომ ერთ ხალხურ ლექსში იუმორისტული სტილით გაკიცხულია რამაზანის (მაჰმადიანური მარხვის დლეების) ადრე მოსვლა:

რა უდროოდ მოგვივიდა
დალოცვილი რამაზანი,
შიმშილმა წელი მამწყვიტა,
გვერძე მიმთრამს ქალამანი.[16]

მჩაგვრელის ხელი ტრადიციულ ქართულ ოჯახს, მის ოდინდელ სიწმინეს, მის მორალსაც სწვდა. მან შებღალა წმიდათა წმიდად მიჩნეული ქართველი ქალის მანდილი, მან ფეხქვეშ გათელა ქმრისა და შვილის, ცოლისა და დედის ბუნებრივი და საზოგადოებრივი უფლებები. მოთარეშენი შეურაცხყოფდნენ ქალსა და რძალს, მასობრივად იტაცებდნენ მათ და ტყვეთა ბაზარზე უსულგულოდ ჰყიდდნენ.

სოფელ უდეში ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, „აქ ვინცხა მეიდან-ბეგი ყოფილა, მუდამ ლამაზ ქალებს თხოულობდაო. ლამაზ ქალს მშობლები მურს წაუსვემდნენო, ძველ ტანისამოსს ჩააცმევდნენ, რო ბეგს არ მოეწონოსო“.[17] მესხურ სიტყვიერებაში შეიძლება გამოვყოთ თქმულება-გადმოცემებისა და ლექსების მთელი ციკლი, რომელიც ნათლად ასახავს ქართველი ახალგაზრდების, სილამაზით განთქმული ქალებისა და ვაჟების ყაჩაღურად გატაცებას და მათ გაყიდვას ტყვეთა ბაზარზე:

მანდ რო ქალი დავიკარგე,
განჯელ თათარსო ვყავარო,
დღისით მიყრია ბორკილი,
ღამე ოთახში ვყავარო, —

გულსაკლავად ჩივის მშობლების კალთას ვერაგულად მოწყვეტი-

[15] მაღარიები — მაღაროები, გამოქვაბულები.

[16] ჩაწერილია კ. სამსონიძის მიერ სოფ. ტატანისში (ახალც. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან).

[17] სოფ. უდეში 1938 წ. ჩაწერილი ს. ბალახაშვილის თქმით.

ლი ტყვე გოგონა, რომელიც სასოებით იხვეწება შინაურებისა და მეზობლების მიმართ: თითო შაური მომიგროვეთ, გამომიხსენით, „უცხო ქვეყნისა ტყვე ვარო“...

მტრისაგან შუაღამისას მოტაცებული მანდილოსნის ტრაგიკულ ხვედრს გადმოგვცემს ერთი მხატვრულსახოვანი ლექსი. სახლში მარტოდ დარჩენილი ქალი, რომელმაც ვერ იცნო კარზე მომდგარი მტრები და ქართული სტუმართმოყვარეობის წესით მოეპყრო, მოსთქვამს თავის მწარე ამბავს:

წუხელი ლაშქრად მოვიდნენ
შუაღამისა ხანსაო,
ავდექ, ავანთე სანთელი,
ფიცხლა მივარდი კარსაო:
ოქროსა სკამი უბოძე,
— დაბრძანდი შენსა, მზესაო!
ჩექმის სახდელად უჩოქე,
ჯიღვი მიღერა ყბასაო...

ქალი გაიტაცეს. იგი დასტირის თავის შავ ბედს და განაგრძობს თხრობას:

ავდექ, გაველ, გავიარე,
გაუდექ შავსა გზასაო,
გადაველ, გადავემძრახე
ივანეს, ჩემსა ძმასაო:
— აგერ, მივდივარ, მივჰყავარ
შვიდი დღის სავალ გზასაო,
შემიკვრენ შვიდსა ფიცარსა,
შემაცურებენ ზღვასაო,
ზღვა დამკრამს, მიწა დამლეკამს
მე, ძუძუკოკობ ქალსაო“

გზად იგი თურქ-ოსმალო მხეცებს არ ნებდება და წყალში იხრჩობს თავს. ლექსი ბრწყინვალე პოეტური ფერებით ასახავს გმირულად დაღუპული ქალის სიკვდილს:

მორევივითა თვალები
ამოუვსია ლამსაო,
იმისი ბროლის თითები
დაუწეწკია ქვასაო;
შვიდნაწნავ გიშრის თმაშია
დაუბუდნია თევზსაო...
იმისი მოვის პერანგი
მობიბინებდა წყალსაო,

იმისი მოვის სარტყელი
გარს შემორტყმოდა ზღვასაო.[18]

***

მტრის ავმა ხელმა სამი საუკუნის მანძილზე სრულიად გააპარტახა მესხეთის ზვიად ათაბაგთა ყოფილი სამფლობელო. სიცარიელემ და უდაბურებამ დაისადგურა მონასტერთა სავანეებში, კულტურის ამ განთქმულ კერებში, ქალაქებში სიცოცხლე ჩაკვდა. მჭიდროდ დასახლებული ხეობები მოსახლეობისგან დაიცალა, ნასახლარ-ნასოფლარებმა, ნაოხარმა და „ვერანა“ ადგილებმა აავსო ერთ დროს ცხოველმყოფელი „ქვეყანა სამცხისა“. „დღეს მესხეთს ვეღარ იცნობთ, — მწუხარებით წერდა ნანგრევად ქცეული მხარის მხილველი, ქართველი პუბლიცისტი ალ. ფრონელი, — აჩრდილი და ნატამალია წარსულისა, ჩონჩხი რა არის, ჩონჩხისთვისაც ვერ შეგვიდარებია რ უ ს თ ვ ე ლ ი ს, ბ ე ქ ა ს ა და ა ღ ბ უ ღ ა ს სამშობლო, ისე დაკნინდა ეს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ძველის ერთიანის საქართველოსი. დღევანდელი მესხეთი ერთი შემზარავი, თვალგადუწვდენელი და უსამზღვრო სასაფლაოა. ქართველი მოგზაური, ქართული ისტორიის ცოდნით შეიარაღებული, სწორედ დასნეულდება აუარებელი ნანგრევების ხილვით. დღევანდელ თითოეულ სოფელს 3-4 ნასოფლარის ადგილ-მამული უჭირავს. ნასოფლარს რუსები пустошь-ს ეძახიან. ყურთა სმენა წაიღო სწორედ ამ „პუსტოშმა“, რომელიც ძალაუნებურად მხოლოდ სიკვდილსა და უბედურებას მოგვაგონებს. მერე ნეტა თითო-ოროლას ლამაზი სახელი მაინც არ ერქვას, მაგალითად, ვარდისუბანი, თივთიკა, მეშურნეთი, ტბასაწოლი და სხვა“.[19]

***

არასდროს არ შეუწყვეტია ქართველ ხალხს შეუპოვარი ბრძოლა მომხდურ-დამპყრობთა წინააღმდეგ, საბოლოოდ არასდროს არ მოუდრეკია ქედი მის სამშობლოზე მოზღვავებული მტრების წინაშე. გაჩანაგებული და აოხრებული ქვეყანა ისევ იბრუნებდა სასიცოცხლო ძალებს, ისევ იშუშებდა მაოხრებელთა მიერ მიყენებულ ჭრილობებს, დროებით დაცემული კვლავ ფეხზე დგებოდა და პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით ისევ განაგრძობდა თავდაცვითს ბრძოლებს. მესხი, ჯავახი, აჭარელი და ჭანი მოსახლეც არასოდეს არ შერიგებია თურქ აგრესორს და უაღრესად ძნელ პირობებში უწევდა წინააღ-

[18] ჩაწერილია სოფელ ვალეში გ. ნადირაძის თქმით 1945 წ.

[19] ალ. ფრონელი. დიდებული მესხეთი. გორი, 1916 წ., გვ. 7.

მდეგობას, ამიტომ უძლეველობისა და სიმტკიცის მძლე ჰანგებიც მოისმის მესხური ხალხური სიმღერებიდან.

რბევა-აწიოკებისა და ხოცვა-ჟლეტის შემზარავი ეპიზოდების გვერდით ხალხის მეხსიერებაში მტკიცედ არის ჩამჯდარი ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლთა უკვდავი სახელები. ხალხი უმღერის და დიდების შარავანდედით მოსავს თავისუფლებისათვის თავდადებულ გმირ ვაჟკაცებს:

ბიჭი ვარ გოგიტაული,
თოფი მაგდია მხრიანი,
აწყვერში დავიარები
როგორც ირემი რქიანი.

მეორე ლექსში:

შავი ხარ, შავსა ცხენს ზიხარ,
შავი თაქალთო გიგია,
კუპრის პერანგი გაცვია,
ზედ ნავთის ღილი გიგია,
გამოხვეულხარ აბჯარში,
შუბლზე ალმასი გიგია!

სხვაგან შექებულია დუშმანის მმუსვრელი ახალციხელი ბიჭი, რომელსაც მტრის სისხლის ღვრა სიკეთედ ეთვლება:

შენ, ბიჭო ახალციხელო,
ხმა შენი ჩამოდიოდა,
შენი ნახოცი ლეკ-თურქი
არაგვში ჩამოდიოდა,
დიდი-პატარა გლოცემდენ,
სიკეთე გამოდიოდა...

სხვა ლექსებში გადმოცემულია მესხი სახალხო გმირების — ყაფლანის, ანდურყაფარის, კოპაძის (იგივე სოლაღა), ბუტულაშვილის და სხვათა — სასახელო საქმეები. ხალხურ ნაწარმოებთა მთელი წყებაა შექმნილი საქართველოს განთქმულ სარდალთა, მეფეთა და იმ სახელოვან მოღვაწეთა ირგვლივ, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით მესხეთის ისტორიულ ცხოვრებაში. დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და გიორგი სააკაძის სახელები სასიყვარულოდ ჟღერენ ხალხის შემოქმედებაში, მაგრამ მათ შორის ასპინძის ლეგენდარული გმირის ერეკლე მეორის სახე განსაკუთრებით ცოცხლად არის გადმოცემული.

ერეკლეს მებრძოლი ფიგურა ერთ ლექსში ასპინძის ფონზე დინამიკურად არის წარმოსახული:

ასპინძას ერეკლე ვნახე,
ხელში ეჭირა ხმალიო,

ჩეხა დაუწყო ლეკ-ოსმალთ,
ადინა სისხლის ღვარიო,
კოხტა ბელადიც იქ მოკლა,
მასაც გაუპო თავიო.
რისთვის ეომე ერეკლეს,
ხომ არ გეგონა ქალიო?!

ისტორიულ ამბავთა შორის მოხუცი მთქმელები ხალისით მოგვითხრობენ წინაპართა გადმოცემებს, ისინი მიგვითითებენ იმ ადგილებზე, სადაც სამხრეთ საქართველოს გასათავისუფლებლად 1770 წელს ცნობილი ასპინძის ომი გადახდილა. მიგვითითებენ იმ ხიდის ბურჯებზე, რომლის ისრებიც ერეკლემ მოხერხებულად გადაახერხინა და რომელიც მეორე დღეს უკანდახეული შეძრწუნებული მტრის შედგომისთანავე ჩატყდა. „რამდენჯერაც ამივლია და ჩამივლია ამ ბურჯებთან, — ამაყად დასძინა ძველი ამბების მთხრობელმა ჰ. სუდაძემ, — ყოველთვის მომგონებია ერეკლეს ომი და თითქო იმისი ძახილი ყურთა მსმენია“.

***

მაგალითები საკმაოა... წარმოდგენილი მასალიდანაც ნათლად ირკვევა, თუ რა მკვეთრად გამოუხატავს ხალხს თავის სამშობლოში შემოჭრილი მტრის სისხლიანი თარეში, თუ როგორ ღრმად აღბეჭდილა მის ცხოველ მეხსიერებაში მოთარეშეთა ბოროტმოქმედებანი და წინაპართა გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის. მესხური ხალხური შემოქმედება თურქ-ოსმალო მტაცებელთა ბარბაროსობის კიდევ ერთი მჭევრმეტყველური საბუთია, იგი ისტორიის სამარცხვინო ბოძზე აკრავს მას, ვინც ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებს ლახავდა, ვინც მის გულზე ფეხს აბიჯებდა და მშობლიურ ენას პირიდან ჰგლეჯდა. ხალხური შემოქმედების წიაღიდან ნათლად ჩანს, რომ უკვალოდ არ გამქრალა თურქი ბარბაროსის მიერ ჩადენილი მძიმე ისტორიული დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე.

დამპყრობთაგან წარსულში ეგზომ გატანჯული აჭარელი, მესხი და ჯავახი მოსახლეობა დღესაც ოცნებობს, რომ სამხრეთ საქართველოს ორად განკვეთილი სხეული გამრთელდება და ტაო-კლარჯელი გურჯების შემოერთების შემდეგ აღარ მოუხდებათ საკუთარი სამშობლოდან ლტოლვა, ბნელ დარნებსა და გამოქვაბულებში თავის შეფარება...

თინა იველაშვილი

კათოლიკობა საქართველოში, თბ., 2009. თეზისები

სამხრეთ საქართველო

მკვლევართა ერთი ნაწილის შეხედულებით, სამხრეთ საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ და პოლიტიკურმა ვითარებამ, კერძოდ იმან, რომ ეს კუთხე წარმოადგენდა კარიბჭეს ქვეყნის სამხრეთით, ხელსაყრელი პირობები შექმნა კათოლიკობის გავრცელებისათვის.

სამხრეთ საქართველოში მისიონერთა ყოფნის შესახებ პირველი ცნობები XVI ს-ის ბოლოდან მოგვეპოვება. მ. თამარაშვილის მითითებით, ეს არის კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის საელჩოს წარმომადგენლის, ტომაზო მანდიოს მოკლე ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ჯავახეთში კათოლიკე პატრებმა რამდენიმე ეკლესია (რა თქმა უნდა, მართლმადიდებლური ქართული ეკლესიები — თ. ი.) შეაკეთეს „და მათში ასრულებენ კათოლიკე მღვდლები რომის წმიდა ტიპიკონს“. ეს ის პერიოდია, როცა დასუსტებული საქართველო რამდენიმე დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროდ არის დაშლილი, სამცხე-ჯავახეთი (უფრო მართალი იქნება, თუ ვიტყვით, სამხრეთ საქართველო) ახალციხის საფაშოს სახელით თურქთა ბატონობის ქვეშ არის მოქცეული და ამ რეგიონში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აშკარა დევნა-შევიწროვება მიმდინარეობს.

XVII ს-ის დასაწყისში, თურქეთის მთავრობის მხარდაჭერით, სამხრეთ საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებში უკვე სომხური ტიპიკონითა და კონდაკით ნახიჩევანელი უნიატი სომხური სამღვდელოება გაბატონდა. თეატინელი სომხების ამგვარ ქმედებას რომიც უჭერდა მხარს. მ. თათარაშვილის მითითებით: „კაპუცინებს სჭიროდათ სომხის ტიბიკონის მღვდლები, თუ ახალციხეს და თუ მის გარეშე

სოფლებში, ამიტომ საქართველოს შვილებს თითქმის ყოველთვის მარტო ამ ტიბიკონზედ აკურთხებდნენ რომში. ამას როდი კმაროდნენ კაპუცინები, არამედ იმათ, ვისაც რომში გზავნიდნენ სამღვდლოდ, უკვე წინდაწინ რიცხავდნენ სომხის ტიბიკონის მქონედ და სომხად. თუმცა სხვა მათი წერილები ცხადად მოწმობს, რომ ის პირები სინამდვილეში ქართველები იყვნენ და სომხის ტიბიკონისა ჯერ არაფერი ჰქონდათ, ვიდრე ეკურთხებოდნენ".

როგორც აღვნიშნეთ, XVII ს-დან სამცხე-ჯავახეთში თურქები მხარს უჭერდნენ სომხურენოვან კათოლიკურ რიტს*. ამიტომ სომხურენოვანი რიტიდან ლათინურენოვან რიტზე ქართველ კათოლიკეთა გადასვლა, სპეციალური ფირმანის საფუძველზე, ოფიციალურად აკრძალული იყო. ახალციხის საფაშოში მართლმადიდებლობა შეუწყნარებელ სარწმუნოებად გამოცხადდა, რადგან ის ქართველობასთან ასოცირდებოდა. თურქთა შეხედულებით, მართლმადიდებელი ქართველი, რომელიც ისლამს არ მიიღებდა, ან უნდა გასომხებულიყო (გრიგორიანობა უნდა ეღიარებინა) ან სომხურ კათოლიკურ რიტზე უნდა გადასულიყო.

შ. ლომსაძის სამართლიანი შენიშვნით: „ქართველ კათოლიკეებში, იმის გამო, რომ ვატიკანში კონგრეგაციის მიერ ქართული ენა არ იყო დამტკიცებული ღმრთისმსახურებისათვის მოქმედ ენად, გაბატონდა არა ლათინური, არამედ სომხური... ქართული კათოლიკური ეკლესიებიდან გამოიდევნა ლათინური ენა და ქართველი კათოლიკეები შერჩნენ სომხურ ენას. ხშირ შემთხვევაში, ქართველ კათოლიკეთა მრევლს სომეხ კათოლიკეთა წარმომადგენლები თუ გასომხებული ქართველები წინამძღვრობდნენ. ასეთი ვითარება ქართველ კათოლიკეთა სრულ დაბნევას იწვევდა, რადგანაც მეტყველებდნენ ქართულად, აიძულებდნენ ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს... სომხურ-კათოლიკური ეკლესია ხელმძღვანელობდა მათ ჯვრისწერამონათვლას. მონათვლისას არქმევდნენ სომეხი კათოლიკე ეპისკოპოსის მიერ რეკომენდებულ სახელებს და, ასე თანდათან, იცვლებოდა მათი ნამდვილი ვინაობა. ხშირად ახალ სახელს ახალი გვარის ხელოვნურად შექმნა და გადაკეთებაც მოსდევდა. შოვინისტი კათოლიკე სომეხი მოძღვარნი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ქართველ კათოლიკეებს დაევიწყებინათ ქართული ენა, გვარი, წარმომავლობა და, ბოლოს, რადგანაც კონგრეგაციას მათ საეკლესიო ენად სომხური ენა ჰქონდა დამტკიცებული, სომხებად გამოეცხადებინათ".

* **ritus** (ლათ.) — ღმრთისმსახურების დადგენილი წესი (რედ.).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიუღებელია მოსაზრება იმის შესახებ, რომ საუკუნეების მანძილზე სამცხე-ჯავახეთის „გაწამებულ ქართველებში ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული მეობის შენარჩუნების საქმეში განუზომლად დიდია კათოლიკობის როლი“ (მ. პაპაშვილი).

რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ რომში განსწავლული და სომხურ ტიპიკონზე ნაკურთხი სომეხი თუ ქართველი მღვდლები საქართველოში დაბრუნების შემდეგ სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ და სდევნიდნენ იტალიიდან გამოგზავნილ მისიონერებს, ფეხით თელავდნენ წმინდა ზიარებას, ამსხვრევდნენ ხატებს, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ ევროპელ მისიონერებს? როდესაც კათოლიკე სომხები ასე ავიწროებდნენ და სდევნიდნენ იტალიიდან გამოგზავნილ მისიონერებს, საინტერესოა, სად იყო ამ დროს მათი „მრავალრიცხოვანი ქართველ კათოლიკეთა მრევლი?“ რატომ დაუშვა ამ „მრევლმა“ თავიანთი სალოცავების და ხატების განადგურება სომეხი კათოლიკებისაგან?

ამ კითხვებზე პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: სამცხე-ჯავახეთში და საერთოდ საქართველოში კათოლიციზმი მაინდამაინც ფეხმოკიდებული არ იყო და არც მრავალრიცხოვანი მრევლით გამოირჩეოდა. ქართველი ხალხი ევროპელ მისიონერებს მიიჩნევდა არა სულიერ მოძღვრებად, არამედ ევროპული ცოდნის შემომტანებად და ევროპის ქვეყნებთან გარკვეული ურთიერთობის დამყარების დესპანებად. რაც შეეხება სომეხ კათოლიკეებს, ისინი არა სომხურ ტიპიკონზე მყოფი მრევლის, არამედ იტალიელი მისიონერებისა და მათი სალოცავების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რადგან მათში თავიანთ მეტოქეებს ხედავდნენ.

XVIII ს-ის 30-იან წლებში ფიდემ გადაწყვიტა, რომ ახალციხეში კაპუცინელთა მისიონი დაეარსებინა. ამ მიზნით 1715 წელს რომიდან ახალციხეში ფარულად გაგზავნილ იქნა სამი მისიონერი. მათ არა თუ მისიონის დაარსება, არამედ იქ ფეხის მოკიდებაც კი ვერ შეძლეს (თურქებისა თუ სომეხი კათოლიკე მოძღვრების მეცადინეობით) და იძულებული გახდნენ, ორი თვის შემდეგ უკან გაბრუნებულიყვნენ. 1716 წელს კვლავ იყო მისიონის დაარსების მცდელობა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

ფაქტია, რომ იმ პერიოდისთვის ახალციხე სამხრეთ საქართველოში ერთ-ერთ ძლიერ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდა სხვადასხვა ქვეყნის ვაჭარ-სოვდაგრები. მათ რიცხვში ბევრი იყო დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებიცა და სომხებიც.

სწორედ ამ ვაჭარ-სოვდაგრებს ემსახურებოდნენ სომეხი უნიატები და საკმაოდ დიდ მოგებასაც ნახულობდნენ. მათ ამ საქმეში მოცილეები არ სჭირდებოდათ, ამიტომაც დასავლეთ ევროპიდან მოსულ მისიონერ-ემისრებს ყველანაირად ავიწროვებდნენ და მათ დაფუძნების საშუალებას არ აძლევდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომეხი უნიატები ამგვარი ქმედებით ორ კურდღელს იჭერდნენ ერთდროულად: 1. საკმაოდ დიდ ფინანსურ შემოსავალს იღებდნენ და 2. ადგილობრივ მცირერიცხოვან ქართველ კათოლიკეთა სომხურ რიტზე გადაყვანით თანდათანობით მათ სომხიზაციას ახდენდნენ.

კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩის ჩარევით, 1732 წლისათვის თურქეთის სულთანმა შესაბამისი ფირმანით ნებართვა გასცა, ახალციხეში კაპუცინთა მისიონი დაარსებულიყო, რომელიც ისპაჰანის კათოლიკურ საეპისკოპოსოს დაექვემდებარებოდა. მიუხედავად ამისა, ახალციხეში ევროპული მისიონების დამკვიდრების სასტიკი წინააღმდეგი სომეხი უნიატი სამღვდელოება გამოვიდა (რომლებსაც თურქეთის ხელისუფალთა წყალობით, საკმაოდ ჰქონდათ ფეხი მოკიდებული).

1732 წელს, კაპუცინთა მისიონერების მოსვლის დროს, ახალციხეში სომხურენოვან ტიპიკონზე მდგომი ხუთი მღვდელი ყოფილა, მათგან ორი პატრების დამკვიდრების სასტიკი წინააღმდეგი იყო. ვატიკანის კარზე ლათინი პატრების ჩივილი სომხური სამღვდელოების (სომხურ ტიპიკონზე მდგომი კათოლიკე სამღვდელოების) წინააღმდეგ განპირობებული იყო არა ქართველი კათოლიკეების დაცვის მიზნით, არამედ საკუთარი მრევლის (მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა მრევლის ეროვნებას) შემცირება-დაკარგვის შიშით. მრევლის დაკარგვა არა მხოლოდ შემოსავალს შეუმცირებდა, არამედ, რაც მთავარია, მათი მოღვაწეობის უშედეგობას ახდიდა ფარდას.

მოსახლეობამ, რომელმაც ვატიკანის ფარული თუ აშკარა ლოცვა-კურთხევით სომხური ტიპიკონის კათოლიკური სარწმუნოება მიიღო, რაღაც ერთ საუკუნეში დაკარგა ეროვნული თვითშეგნება, მეობა და ა.შ., რის შედეგადაც, ფაქტობრივად, გასომხდა (1886 წლის აღწერით, ამ სოფლების მოსახლეობა ოფიციალურად სომხებადაა ჩაწერილი). XIX ს-ის II ნახევრიდან ქართველ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა თავგანწირული ბრძოლა რომ არა, დღეისათვის ამ სოფლების ქართული მოსახლეობა და, საერთოდ, ქართველი კათოლიკეები თვითშეგნებით ისეთივე სომხები იქნებოდნენ,

როგორც, მაგალითად, სომხური რიტით კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასული ართვინელი და არზრუმელი ქართველები.

ქართველ კათოლიკეთა ქართველობა რომ გადაერჩინათ, ქართველმა მამულიშვილებმა სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყეს კათოლიკური ეკლესიების აგება ინტენსიურად იქ, სადაც ქართველი კათოლიკეები ცხოვრობდნენ (თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ახალციხე, სოფ. ვალე, არალი, ხიზაბავრა, უდე). ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვატიკანს კი უნდოდა, მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყოლოდა სამცხე-ჯავახეთში (და არა მარტო სამცხე-ჯავახეთში), მაგრამ არა ქართული ტიპიკონით. 1776 წელს ვატიკანმა ნებართვა გასცა, ახალციხის მაზრაში წირვა-ლოცვა სომხურად ჩატარებულიყო, სახარება კი ქართულად წაეკითხათ.

ოსმალეთის ბატონობის პერიოდში სამცხე-ჯავახეთში ოთხი სოფლის მოსახლეობამ კათოლიკური სარწმუნოება მიიღო, 38 სოფლის მოსახლეობამ კი მართლმადიდებლობა შეინახა და დღემდე მოიტანა. დანარჩენი სოფლები კი მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადავიდა, მაგრამ მათში დიდი ხნის მანძილზე არ დაკარგულა ქართული ეროვნული თვითშეგნება.

რაც შეეხება სამხრეთ საქართველოში არსებულ კათოლიკურ ეკლესიებს, მეტად საინტერესო სურათი გვაქვს. ამ რეგიონში შემორჩენილია მხოლოდ XVIII ს-ის II ნახევრის, ძირითადად კი XIX ს-ის მეორე ნახევრიდან აგებული ეკლესიები. უფრო ადრეულ ნაგებობათა კვალი არ ჩანს. 1844 წლისათვის ახალციხეში ყოფილა ხუთი ეკლესია. აქედან ერთი „ფრანგების“, ერთი „პატრების“ (რომელიც მისიონერების არყოფნის გამო აღარ ფუნქციონირებდა), ერთი სომხური და ორიც ქართული (მართლმადიდებლური, მარდასა და რაბათში).

მეტად საყურადღებოა ერთი გარემოება: XIX ს-ში სამხრეთ საქართველოში აღდგენილი თუ აგებული კათოლიკური ეკლესიების კედლებში ყოველთვის ჩატანებულია მართლმადიდებელთა საფლავების წარწერიანი ქვები ისე, რომ წარწერა გარეთაა მოქცეული და ადვილად იკითხება. რატომ აკეთებდნენ ამას ეკლესიის აღმდგენლები და რას უნდა ნიშნავდეს ეს? თუ ეკლესიები თავიდანვე კათოლიკურად იყო აგებული, რატომ არსებობდა მათ გარშემო მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შერეული ძველი სასაფლაოები? — ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ეკლესიები ადრეული ხანიდანვე მართლმადიდებლური იყო. XIX ს-ში მათი აღდგენა კათოლიკეებმა მოახერხეს, მაგრამ ისინი სულის სიღრმეში მაინც მართლმადიდებლები იყვნენ

და წინაპართა საფლავების წარწერიანი ქვების ეკლესიის კედლებში ჩატანებით გამოხატეს თავიანთი სარწმუნოებრივი მრწამსი.

ფაქტია, რომ თურქეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში, ოტომანთა იმპერიის კარზე ვატიკანისა და საფრანგეთის ზეგავლენით, კათოლიკური ეკლესია მართლმადიდებლურთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მათი ტაძრები უფრო უნდა შემორჩენილიყო, თუ ისინი იარსებებდა. რეალურად კი ამგვარი სურათი გვაქვს. სოფელ ხიზაბავრის მოსახლეობა კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარია. შესაბამისი ეკლესია 1910 წელს არის აგებული. ადრეული ნაგებობის კვალი კი არ ჩანს, მაშინ, როდესაც ამ კათოლიკური ეკლესიის სიახლოვეს შემორჩენილია VII-VIII სს-ში აგებული მცირე ზომის მართლმადიდებლური ეკლესია.

სოფ. ვალეში არის X ს-ის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია. მის სიახლოვეს იყო კიდევ ორი მცირე ეკლესია, ერთი ესტატეს სახელობის და მეორე სასაფლაოსთან, რომელიც დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ეკლესიის და ქვაჯვარის ფუძე, გოკიოს ძიქვის მსგავსი. 1866-70 წლებში 1834 წელს აგებული კათოლიკური ეკლესია დაშალეს, ქვები წაიღეს და დღეს რომ ტაძარი დგას, ის ააგეს. იმ ძველ ადგილს კი ნაეკლესიარს ეძახიან.

სოფ. არალში ადრეული ხანიდანვე იყო მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც მოსახლეობა ირემას ეკლესიას ეძახდა. ძველ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ქვის სტელაა ნუსხა-ხუცური წარწერით. ამ ძველი ეკლესიის აღდგენა მოხდა გიორგი ბრწყინვალის დროს. მერე არაერთხელ დაინგრა და თურქების გაბატონების შემდეგ მოსახლეობამ ის ბანიანი სახლის მსგავსად შეაკეთა და იქ ლოცულობდა. 1861 წელს აიგო დღევანდელი კათოლიკური ეკლესია. სწორედ ამ პერიოდიდან სოფელი ძირითადად გაკათოლიკდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ საქართველოში ოტომანთა იმპერია ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას (რადგან იგი ქართულ ეროვნულ თვითმყოფადობად და მენტალიტეტად აღიქმებოდა), მაინც ქართველი ხალხი აშკარად თუ ფარულად, შეიძლება ითქვას, სიცოცხლის ფასადაც კი, მტკიცედ ინახავდა მამაპაპურ სარწმუნოებას, რომელიც, მართალია, შესუსტებული იყო, მაგრამ მარადიული ცეცხლის მსგავსად მისი ნაღვერდალი ფერფლის ქვეშ მაინც ღვიოდა.

სოფელ ველის ქართველ კათოლიკეთა ბედი

სოფელი ველი ჩუღურეთ-ფოსოს რეგიონში შედიოდა და წყაროსთავის სამწყსოს ექვემდებარებოდა, რომელსაც 1578 წელს თურქები დაეპატრონნენ. ველის ქართულმა ეკლესიამ დროის მძიმე გამოცდილებას საკმაოდ დიდხანს გაუძლო და მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა იქ XVIII ს-ის შუა წლებამდე გაგრძელდა.

აღნიშნული საუკუნის შუა წლებში სოფელ ველს მიაკითხეს კაპუცინმა მისიონერებმა და მოსახლეობას ქართული ტიპიკონითა და მღვდელმსახურებით კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლა ურჩიეს. ვინაიდან ამ პერიოდისათვის მოსახლეობა სარწმუნოებრივად საკმაო ზეწოლას განიცდიდა, როგორც ჩანს, მისი გარკვეული ნაწილი დათანხმდა. ამავე დროს აქ მოღვაწე ქართველი მღვდლის, ბასილის გარდაცვალებით ისარგებლეს სომეხმა უნიატებმა, სულთანის ფირმანით აღჭურვილები სოფელ ველში შემოვიდნენ და სომხური რიტით მოსახლეობის გაკათოლიკება მოინდომეს.

ცნობილია, რომ XV-XVI სს-ში ბერძენთა წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით თურქებმა იმპერიაში წინ წამოსწიეს მესამე ძალა სომხური ელემენტის სახით. ოსმალეთის მიერ ანექსირებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი ქართველების ნაწილი, ვატიკანისა და ოტომანთა იმპერიის ხელშეწყობით, ეკლესიურად სომხურმა გრიგორიანულმა ეკლესიამ შეიერთა. XVII ს-დან კონსტანტინოპოლში შექმნილ მეორე სომხურ საპატრიარქოს დაუქვემდებარეს იმპერიაში მცხოვრები ყველა კათოლიკე. 1733 წელს კი „წმიდა კრების“ დადგენილებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოღვაწე მისიონერები და შესაბამისად მათი მრევლიც სტამბოლში მყოფ სომეხ ეპისკოპოსს ემორჩილებოდა. ამ დადგენილების მიღებით რომმა ხელ-ფეხი გაუხსნა სომეხ კათოლიკე სასულიერო პირებს, რათა ქართველი კათოლიკეების სომხურ რიტზე გადაყვანით მათი თანდათანობით გასომხების პროცესი დაეწყოთ (ნაწილობრივ კიდევაც მოახერხეს).

მიუხედავად ყოველმხრივი ზეწოლისა, XVIII ს-ის ბოლოსაც კი ამ სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ მართლმადიდებელი იყო. რაც შეეხება სომხურ ტიპიკონზე მდგარ ქართველ კათოლიკეებს, მათი სახელები ასეთი სახისა იყო: ტერ ივანე, ტერ სტეფანე, ტერ ფრანჩისკე, ტერ იოანე ლაზარიანი, ტერ გრიგორი, ტერ პოღოსი და ა. შ. მასალის მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ როგორ

ახდენდა სომხური ტიპიკონი ნათლობის სახელებზე ზეგავლენას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სომხურ ტიპიკონზე მდგარი კათოლიკური სამღვდელოება (განურჩევლად ეროვნებისა), პირველ ყოვლისა, სომხების არა სარწმუნოებრივ, არამედ ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა.

როგორც მასალებიდან ჩანს, XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან სოფელ ველის მოსახლეობას ვატიკანმა ქართულის ნაცვლად სომხური ტიპიკონი დაუკანონა. ველელებმა არაერთხელ მიმართეს რომს თხოვნით: „ჩვენ ქართველი კათოლიკენი ვართ და ისეთი მღვდელი მოგვეცით, რომ ჩვენს სულებს მოუაროს ჩვენს ქართულ რიგზედა“. მაგრამ რომმა მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა და ისინი ბოლომდე სომხურ კათოლიკურ რიტს შერჩნენ.

1829 წლის მარტში, როცა რუსეთთან დამარცხებულმა აჰმედ ხიმშიაშვილმა ახალციხიდან უკან დაიხია, გზად სოფელ ველს მიუსია თავისი ლაშქარი და საშინლად გაძარცვა. აფორიაქებულმა ველელებმა გადაწყვიტეს ომის დამთავრებამდე გასცლოდნენ მტრიან სოფელს. იმავე წლის ზაფხულში გადმოვიდნენ ჯავახეთს და დასახლდნენ ახალქალაქის გარშემო სოფლებში: ბავრას, ხულგუმოს, კარტიკამს, ტურცსა და ეშტიას. სწორედ ამ დროს მათ გარშემო ჩამოსახლდნენ არზრუმელი სომხებიც.

ამგვარ ვითარებაში ჩაყენებული ხალხი თანდათან ივიწყებდა ვინაობას, რადგან შთამომავლობა სხვა ჰქონდათ, ენა სხვა და სარწმუნოება სხვა. XIX ს-ის შუა წლებიდან ამ მოსახლეობას სომხური სასულიერო სასწავლებელი გაუხსნეს, რამაც ისინი ეროვნული გადაგვარების საშიშროების წინაშე დააყენა.

დეკანოზი იოსებ ორბელიანი კარგად გრძნობდა, შემოსახლებულ ველელებს ეროვნული გადაგვარების თვალსაზრისით რა საშიშროება ელოდათ, ამიტომ რუსეთის მართლმადიდებლური ხელისუფლების მხარდაჭერის იმედით არა ერთხელ აღძრა საჩივარი ველელთა, როგორც ყოფილ მართლმადიდებელთა, ძველ სარწმუნოებაზე დაბრუნების შესახებ. მაგრამ მის ამ ნაბიჯს წინ აღუდგა პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი), რომელიც ამ დროისათვის სომეხ კათოლიკეთა გამგებელი იყო და რომელსაც სომხური კომპრადორული ბურჟუაზია ედგა მხარში, რუსეთის ხელისუფლებაც მისდამი ნდობით იყო გამსჭვალული. შაჰყულიანის ამგვარმა ქმედებამ ჩამოსახლებულ ველელთა ბედი საფალალოდ გადაწყვიტა. მეფის ხელისუფლებამ სამშობლოდან სამშობლოში გადმოხვეწილ ველელებს

ოფიციალურად სომხურენოვანი კათოლიკური კონდაკი დაუმტკიცა და სომეხი მოძღვრები დაუნიშნა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოების დაკარგვის წყალობით არა მხოლოდ სოფელ ველის, არამედ სხვა დასახლებული პუნქტების მოსახლეობამაც დაკარგა ეროვნული იერსახე. შეიძლება ითქვას, რომ იგივე ბედი ეწია ართვინის მხარეში და კონსტანტინოპოლში მცხოვრებ იმ ქართველ მოსახლეობას, რომელმაც სომხური ტიპიკონით კათოლიკური სარწმუნოება მიიღო. ფაქტია, რომ სამხრეთ საქართველოს რიგ რეგიონებში, სადაც რომის ლოცვა-კურთხევით სომხური ტიპიკონით კათოლიკობის გავრცელება მოხდა, ის შედეგი გამოიღო, რომ როგორც სოფელ ველის, ისე სხვა დასახლებული პუნქტების კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რაღაც ერთ საუკუნეში გასომხდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თურქეთის შემადგენლობაში (ძალით თუ ნებით — ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს) მცხოვრები ქართველი კათოლიკების თანდათანობით კათოლიკე სომხებად გადაქცევას ვატიკანმაც შეუწყო ხელი. მოსახლეობის ეს ნაწილი, როგორც უკვე სომხები, 1830 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ, თავის დასაყრდენ ძალად, სამცხე-ჯავახეთში შემოასახლა. 1940-იან წლებშიც კი ველელები ჯერ კიდევ არ იყვნენ საბოლოოდ გასომხებულები. „ეროვნების მხრივ არავის არ ემხრობიან არც ქართველებს და არც სომხებს, თუმცა სომეხ კათოლიკებად იწოდებიან, მაგრამ თავს სომხებად მაინც არ სთვლიან“.

ამრიგად, რომ აღარაფერი ვთქვათ მეფის რუსეთის მთავრობაზე, საქართველოს არც მენშევიკურმა, არც ბოლშევიკურმა და არც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, არ იზრუნა ამ ხალხის სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ჩვენს უახლოეს წარსულშიც კი, ისევ ქართველების გულგრილობითა თუ ღალატით სომხურ რიტზე მყოფი გაკათოლიკებული ქართველები ოფიციალურად გაასომხეს.

ვატიკანის მიზნები საქართველოში

ვატიკანი ყოველთვის ცდილობდა და დღესაც ცდილობს, მსოფლიოს მთელ რიგ ხალხებს თავს მოახვიოს კათოლიკური სარწმუნოება. რა თქმა უნდა, მისთვის არც ქართველი ხალხი არის გამონაკლისი. ჯერ კიდევ 1240 წელს პაპი გრიგოლ IX რუსუდან დედოფალსა და

მის შვილს დავითს მიმართავდა, რათა თავიანთი ერით რომის ეკლესიას შეერთებოდნენ. ვატიკანი რუსუდან დედოფლიდან მოყოლებული ერეკლე მეორის ჩათვლით ყველა ქართველ მეფესა და პატრიარქს წერილობით მოუწოდებდა, რათა თავისი ხალხითურთ გადასულიყო კათოლიკურ სარწმუნოებაზე, რომის პაპის პირველობა ეღიარებინა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ვატიკანისთვის დაექვემდებარებინა.

ვატიკანის სულიერი მისია, საქართველოს მოსახლეობის გაკათოლიკების მიზნით, დღესაც გრძელდება, იმავე მეთოდებითა და ინსტრუქციით, რომელიც XVII ს-ში იქნა შემუშავებული. ცნობილია, რომ 1626 წელს შედგენილ იქნა სპეციალური ინსტრუქცია საქართველოში მომუშავე მისიონერებისათვის, რომლის მიხედვით „მისიონერებს ევალებოდათ ეფიქრათ იმაზე, თუ როგორ გაევრცელებინათ სახარება და დაეცვათ კათოლიკური ეკლესიის დოგმები. მისიონერებს ურჩევდნენ კარგად შეერჩიათ საქართველოში წასაღები საჩუქრები: ფერწერის კარგი ნიმუშები, მოჩუქურთმებული სპილოს ძვლები, ვერცხლის ფინჯნები, ძვირფასი ქვები და სამკაულები, საათები, ოქრომჭედლობისა და მინანქრის ნივთები და ა. შ.

მისიონერებს წარსულში (და დღესაც), ევალებოდათ არავითარ შემთხვევაში არ ცდილიყვნენ, რომ ქართველებს უარი ეთქვათ თავიანთ რიტუალებზე, არამედ დაერწმუნებინათ ქართველები, რომ: „პაპს უყვარს და მოსწონს ბერძნული რიტუალი“. მისიონერები ხელმძღვანელობდნენ პაპი გრიგოლ XV-ის ფორმულით, რომლის მიხედვითაც: „დაუშვებელი იყო წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს მხრიდან საქართველოში სარწმუნოების პირდაპირი ლათინიზება. აქედან გამომდინარე, მათ საქართველოში ბავშვებისათვის უნდა ესწავლებინათ ლათინური ენა, შემდგომში მათგან შეერჩიათ ისეთები, რომლებიც შეძლებდნენ სწავლის გაგრძელებას საერთოდ და კერძოდ კი — რომში“.

კათოლიციზმი განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოში XX ს-ის 90-იანი წლებიდან. დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კათოლიკური ეკლესიები არის ქ. თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, სოფ. ხიზაბავრაში, არალში, უდეში, ვალეში, ამ ბოლო წლებში სოფ. ვარგავში ააგეს ეკლესია (თუმცა მრევლის ნაკლებობას განიცდის, რადგან სოფელი მოსახლეობისგან დაიცალა). ქალაქ ოზურგეთში ნგრევის პირას მისული სამსართულიანი შენობა შეიძინეს, შეაკეთეს და 2008 წლის 26 დეკემბერს ეკლესიად აკურთხეს.

ისეთ დასახლებულ პუნქტებში, როგორიც არის ახალციხე, ბორჯომი, აბასთუმანი (სამცხე-ჯავახეთი), ახალი ხიზა, სკრა (ქართლი), ჭიათურა, შრომა (იმერეთი-გურია), მთისძირი, ხიზა, სანავარდო (კახეთი), ეკლესიები არ არის და კვირაში ერთხელ თუ ორჯერ წირვა-ლოცვას საგანგებოდ ჩამოსული პატრები კერძო სახლებში ატარებენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დასახლებული პუნქტებიდან უმეტესობაში კათოლიკური მოსახლეობა გადმოსულია სამცხე-ჯავახეთიდან (უმთავრესად სოფელ ხიზაბავრიდან) XX ს-ის I ნახევარში.

ვატიკანი დღესაც ცდილობს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის თავის ხელქვეითად ქცევას. ამის ნათელი მაგალითია, 2003 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობასა და ვატიკანის ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის, ხალხისაგან ფარულად, ხელშეკრულების დადების მცდელობა. ხელშეკრულების ეს პროექტი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ მასში ვატიკანი ღიად აცხადებს თავის მიზნებს საქართველოს ეკლესიის მიმართ. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში პაპისტური ეკლესია მართლმადიდებლური ეკლესიის ტოლ უფლებებს იძენდა საქართველოში.

ამ ხელშეკრულების გაფორმებით ვატიკანის წმიდა საყდარი საქართველოში იურიდიული პირის სტატუსს, სკოლების, საგანმანათლებლო ინსტიტუტების გახსნას, კათოლიკური რელიგიის სწავლებას, უძრავი და მოძრავი ქონების შეძენას, ეკლესიების მშენებლობას, კათოლიკური სემინარიის სტუდენტების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებას და სხვა მრავალ ამგვარ მოთხოვნებს აყენებდა.

ხელშეკრულებაში საერთოდ იგნორირებულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ის თითქოს საერთოდ არ არსებობს და თუ არსებობს, არავითარი ფუნქცია არ გააჩნია. ვატიკანის მესვეურნი იმ ზომამდე მივიდნენ, რომ ამ ხელშეკრულებით რომი თავის თავზე იღებდა ჩვენი ქვეყნის ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციებს, როგორიცაა კულტურისა და სპორტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები.

ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოში კათოლიკური ეკლესია იურიდიული სუბიექტი გახდებოდა, რომელსაც ექნებოდა საკუთარი შტამპი, ბლანკი, საგადასახადო და საბანკო ანგარიშები. კათოლიკეებს კი ისეთი მადა და იმხელა შესაძლებლობები აქვთ, რომ უახლოეს წლებში ეს რელიგია საქართველოში მართლმადიდებლურს არათუ გაუთანაბრდებოდა, ფინანსური სუფსიდიების გამოყენებით უფრო მეტსაც მიაღწევდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საკითხზე არათუ საზოგადოება, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც კი არ იყო ინფორმირებული. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამ გასაიდუმლოებული შეთანხმების მცდელობის შესახებ თავისი პოზიცია მკაფიოდ გამოხატა და აღნიშნა: „როგორც ცნობილია, საქართველოში ვატიკანის წარმომადგენლობის ინიციატივით მომზადდა საქართველოს სახელმწიფოსა და ვატიკანს შორის რელიგიური ურთიერთობის განმსზღვრელი საერთაშორისო ხელშეკრულება. საქართველოს საპატრიარქოსათვის სრულიად გაუგებარია, რატომ ხდება აღნიშნული დოკუმენტის გასაიდუმლოება, მაშინ, როდესაც სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება საჯაროდ მუშავდებოდა წლების განმავლობაში და იგი არაერთგზის გახდა განხილვის საგანი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიის წარმომადგენლები.

ჩვენ არაერთხელ დაგვიფიქსირებია მზადყოფნა, როგორც კათოლიკეების, ისე საქართველოში არსებული სხვა რელიგიების სამართლებრივი სტატუსის განხილვისა და მისი ერთობლივი გადაწყვეტილების შესახებ. ამიტომაც ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და ყოვლად მიუღებელია ვატიკანის მხრიდან ამ სახით და ამ რანგში ხელშეკრულების გაფორმების მცდელობა“.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება არ გაფორმდა, ვატიკანი მაინც ყველანაირად ცდილობს გადაიბიროს მართლმადიდებლური ახალგაზრდობა. სასულიერო სემინარიებსა და სკოლებზე რომ არაფერი ვთქვათ, თბილისში არსებობს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიისა და ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც წმინდა რელიგიურია და მხოლოდ კათოლიკე სასულიერო პირები ასწავლიან (ორი-სამი ქართველის გარდა ყველა უცხოელია).

ეს ინსტიტუტი თბილისს აღარ დასჯერდა და ფილიალები გახსნა ქუთაისსა და ახალციხეში, რომლებიც არა სტუდენტებისაგან სწავლების გადასახადებითა თუ სახელმწიფო გრანტებით, არამედ უცხოეთიდან ფინანსდება. ახალციხის ფილიალში (გაიხსნა 2009 წლის 1 სექტემბრიდან) ირიცხება 35 სტუდენტი (რომლებსაც ეროვნული გამოცდები არ ჩაუბარებიათ) და პედაგოგებად უცხოელი თუ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე სასულიერო პირები ჰყავთ მიწვეული.

როგორც აღვნიშნეთ, XX ს-ის ბოლოდან, როცა ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია გამძაფრდა და დამძიმდა, მეტისმეტად გააქტიურდნენ უცხოეთიდან შემოსული კათოლიკე პადრები (მისიონერ-ემისრები). მათ არა მხოლოდ კათოლიკობის პროპაგანდა, ეკლესიების ამოქმედება და მართლმადიდებლური ეკლესიების მითვისება დაიწყეს, არამედ იერიში მართლმადიდებლობაზეც მიიტანეს.

მათ ამ საქმიანობაში ხელშემწყობად მოევლინა საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს ე. წ. ორგანიზაციები ტრადიციულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და კათოლიკობას შორის სამშვიდობო საურთიერთობო გზების გამონახვის ნაცვლად, მართლმადიდელობას თავს ესხმიან და მათ შორის დაპირისპირებას ამძაფრებენ. ასე მაგალითად, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ 2005 წელს გამოცემულ ბროშურაში ვკითხულობთ: „1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საგრძნობლად გააქტიურდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და დაიწყო მართლმადიდებლობის აქტიური პროპაგანდა ქვეყანაში. ეკლესიის და რადიკალური ეროვნული მოღვაწეების ხანგრძლივი და სისტემატური მართლმადიდებლურ-პატრიოტული პროპაგანდის შედეგად რელიგიურ უმრავლესობას ჩამოუყალიბდა უპირატესობის ამბიცია განსხვავებული რელიგიის მქონე ქართველებისადმი. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა რელიგიათშორისი დაპირისპირების დასაწყისი საქართველოში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც“. სინამდვილეში, სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო საქართველოში უცხო კონფესიების მოძალება-გააქტიურება და მრევლის გადაბირება (ფულადი თუ სხვა სახის მატერიალური დახმარების მეშვეობით) და ტრადიციული მართლმადიდებლური სარწმუნოების შევიწროვება, რასაც მოსახლეობაში ადეკვატური რეაგირება მოჰყვა.

გაჭირვებაში მყოფი მართლმადიდებლური სამყაროსადმი, თუ რამდენად იჩენდა ვატიკანი „უანგარო“ დახმარებას, კარგად გამოჩნდა ბიზანტიის მიმართ მის დამოკიდებულებაში. XV ს-ის პირველ ნახევარში ოსმალეთისაგან შევიწროვებულმა ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII პალეოლოგმა დახმარებისათვის რომის პაპს მიმართა. 1438 წელს ფერარა-ფლორენციის საერთო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ რომის პაპი ევგენიოს IV, ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, საქართველოს მიტროპოლიტი გრიგოლი, რუსეთის მიტროპოლიტი და ასზე მეტი მართლმადიდებელი თუ კათოლიკე ეპისკოპოსი, ასევე სხვადასხვა საეკლესიო ორდე-

ნის წარმომადგენელი, გამოცხადდა ბერძნულ-რომაული ეკლესიების უნია რომის პაპის პრიმატით. ამ შეერთების წინააღმდეგ გამოვიდნენ ეფესოსა და საქართველოს მიტროპოლიტები, ასევე აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელი პატრიარქები. ბერძნულ-რომაული ეკლესიების უნია ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. მიუხედავად თურქეთის მხრიდან მოახლოებული საშიშროებისა, 1443 წელს ანტიოქიის, იერუსალიმისა და ალექსანდრიის პატრიარქებმა თავიანთი სამწყსოებიდან უნიატები განდევნეს.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თუკი რელიგიურად და პოლიტიკურად ძლიერების ზენიტში მყოფი საქართველო სარწმუნოებრივად რომის ეკლესიასთან ერთობაში იყო, დასუსტების პერიოდში ვატიკანს კი არ გაშორდებოდა და კი არ გამოეყოფოდა, არამედ, პირიქით, ყოველნაირად შეეცდებოდა მის დაქვემდებარებაში დარჩენილიყო, რათა თავი დაეცვა მოძალებული გარე საშიშროებისაგან. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკეთუ XV ს-ში საქართველოს საერო და სასულიერო ლიდერები მთელი მონდომებით ესწრაფვოდნენ ვატიკანთან შეერთებას (როგორც ეს საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების მიერ რომში გაგზავნილ წერილებშია დაფიქსირებული), მაშინ მიტროპოლიტი გრიგოლი, რომელიც ფერარის საეკლესიო კრებაზე საქართველოს საერო და სასულიერო მესვეურთა პოზიციებს იცავდა, ბერძნული და რომაული ეკლესიების გაერთიანების წინააღმდეგ არ გამოვიდოდა. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ იმ პერიოდისათვის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სრულიად დამოუკიდებელი იყო და არც რომაულ და არც ბერძნულ ეკლესიას ტოლს არ უდებდა.

სინამდვილეს ვერსად გავექცევით: ისტორიულად საქართველოში მართლმადიდებლობის დაცვა ქართული ეროვნული მეობის დაცვას ნიშნავდა. ჩვენს ხალხს მთელი სიგრძე-სიგანით ჰქონდა გააზრებული, რომ მართლმადიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, ეს იყო ქართული ეთნიკური მთლიანობის, ქართული ეროვნული მეობის, ქართული თვითმყოფადობის გადარჩენისათვის ბრძოლა. ეს კარგად იცოდნენ გარეშე მტრებმა და სწორედ ამიტომ სს-ის განმავლობაში ძალით თუ დაყვავებით ცდილობდნენ, ქართველ ხალხში მართლმადიდებლური სარწმუნოება მოესპოთ, ყოველ შემთხვევაში, შეესუსტებინათ მაინც, რათა ქართველთა ერთობისა და სიმტკიცისათვის გამოეთხარათ ძირი.

დაბოლოს, ჩვენი ეროვნული სარწმუნოება — მართლმადიდებლო-

ბა — არ ასხვავებს ადამიანებს ერთმანეთისაგან, არ თესავს სიძულვილს სხვა რელიგიებისა და კონფესიების მიმართ. საქართველოს ისტორიამ სხვა სარწმუნოების მქონე პირთა თუ ჯგუფთა დევნა-შევიწროვების არც ერთი ფაქტი არ იცის. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას არასოდეს უთქვამს და არც დღეს ამბობს უარს საქართველოში ოფიციალურად არსებულ კონფესიებთან კულტურულსა თუ დიპლომატიურ თანამშრომლობაზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამოყენებით, სხვა სარწმუნოებისა თუ მრწამსის მიმდევართა მასიური შემოდინება მოხდეს.

დღეს საქართველოში 40-45 ათას კაცამდე იქნება კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი, რომელთაც ათზე მეტი ოფიციალურად მოქმედი ეკლესია აქვთ და ძირითადად უცხოეთიდან შემოსული სასულიერო პირები ემსახურებიან. ემისრების ეს პლეადა ვატიკანმა მაშინ გამოგზავნა, როდესაც ჩვენს ქვეყანას XX ს-ის ბოლოს სოციალურ-ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაუჭირდა. თითქმის განმეორდა ისტორია, მაგრამ ვითარება ცოტა სხვანაირია. სადღეისოდ კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი გარკვეული რაოდენობის ქართველების არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გარედან მოსულმა პადრეებმა, სხვა სექტანტების მსგავსად, ქართველი ხალხის სარწმუნოებრივად გახლეჩვის მიზნით, ყოველ სოფელში (სადაც თუნდაც ერთი კათოლიკე ქართველია) ძირძველი მართლმადიდებლური ეკლესიის მითვისება თუ ახლის აგება მოინდომონ.





პოეზიის ანთოლოგია

განვაგრძობთ ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოქვეყნებას, რომელიც **თემურ მირიანაშვილმა** შეადგინა. დღეს გთავაზობთ კიდევ ერთი, სიცოცხლეში სათანადოდ არდაფასებული შესანიშნავი პოეტის **გივი გეგეჭკორის** (1933-1999) საუკეთესო ლექსებს.

***

ვის რა ვუთხრა?
ვის შევჩივლო?
ანდა ვის რა დავუბარო?
შენა ხარ და შენც იცინი
უდარდელად, ალუბალო!..

დანგრეულა ეკლესია,
გარეშემო სახლობს უცხო,
აქ დამპყრობელს ჟინი თურმე
დრომ აქამდე ვერ დაუცხრო.

თოფის სროლით აფრთხობს მთავარ
ანგელოსს და ანგელოსებს,
ქვას და კრამიტს აცლის საყდარს
და იშენებს იმით ბოსელს.

ვის რა ვუთხრა?
ვის შევჩივლო?
ანდა ვის რა დავუბარო?
მე ცრემლები როცა მახრჩობს,
შენ იცინი, ალუბალო!..

1979

ლექსი მზიან კედელზე

შენ მეკითხები: რა გინდა,
რა გახარებს და გიყვარსო,
სულ არაფერი არ უნდა
ჩემს გახარებას, ძვირფასო.

მე ამ მზით მინდა ვტკბებოდე,
ეგ არის ჩემი მისია,
ჩემთვის მზით განათებული
კედელიც საკმარისია.

თუ, მით უმეტეს, შენ მიხვალ
იმ კედელთან და დადგები,
ჩემი ოცნება იქნება
ადვილი წარმოსადგენი.

1979

ლექსი მის მარჯორი უორდროპზე

ჩვენთვის არის ძვირფასი
ლტოლვა კეთილშობილი
ინგლისელი ქალის,
რომ ადგა და დატოვა
ერთხელ ბურუსიანი
სკვერი ტრაფალგარის.

მე მაქვს წარმოდგენილი
ქალბატონი მარჯორი,
გვარად უორდროპი,
ჩვენთან როგორ ჩამოდის
და ატლასის ფეხსაცმელს
გრძელი კაბის ქობით

როგორ მალავს, როდესაც,
ოდნავ ზევით ატანილ,
ქვედა კაბის ბოლოს
ხელით ქვევით აცილებს,
საქართველოს მიწას რომ
კაბით ეამბოროს.

უნდა სხვისი სამშობლოს
ტაძრის საკურთხეველთან
მუხლი მოიდრიკოს,
მისთვის მღვდელმსახურება
არის, როცა ჩურჩულებს
რუსთაველის სტრიქონს.

როდი მიატოვებდა
ალბიონის ნაპირებს
ინგლისელი ლედი
ისე, რომ არ სცდონოდა
ჩვენი მრავალტანჯული
საქართველოს ბედი.

ქალმა დარბაისელმა,
    გამოზრდილმა ბიბლიით,
        შექსპირით და შელით
იცის, რაა წუხილი
    დაფარული ღიმილის
        თხელი ბურბუშელით;

რომ ეს ხალხი, ამღვრეულ
    ტალღებს დაჯახებული,
        არვინ შეიცოდა
და რომ მხოლოდ ქალწული
    მარიამი მფარველობს
        და ხელს უწვდის შოთა.
და რომ უმცროს ქალიშვილს
    ესმის მხოლოდ მოხუცი
        ლირის ღაღადისი
და რომ პოეზიაა
    ეს უმცროსი ასული,
        კორდელია მისი...

მხოლოდ თაყვანისცემით,
    არა გალაღებული
        დამპყრობელის გრძნობით,
ერთხელ ჩვენთან მოვიდა
    ქალბატონი მარჯორი,
        გვარად უორდროპი.

ჩვენთან რომ მოსულიყო,
    არვის უმკითხავია
        ყავის დანალექზე
და არც ნეგოციანტის
    ხელით ჩასჭიდებია
        რუსთაველის ლექსებს.

ქება სწორედ ამიტომ
    გვმართებს კეთილშობილი
        ინგლისელი ქალის,
რომ ადგა და დატოვა
    ერთხელ ბურუსიანი
        სკვერი ტრაფალგარის;

ქება იმ მანდილოსნის
    ღიმილს, მე რომ მგონია,
        ქოლგასავით გაშლის,
როცა მიმზერს წიგნიდან
    ძველი დაგეროტიპის,
        გაცრეცილი ასლი...

1981

მეცხრამეტე საუკუნის პოეტები

რად არის ასე უძვირფასესი,
    წუხილის ასე გამქარვებელი,
        მშობლიური და შვების მომტანი
ეგ თქვენი სახე,
    სპეტაკი წვერი
        და თქვენი შუბლი — ეკლესიის თეთრი პორტალი.

თქვენ სურათიდან როცა დამყურებთ
    მე ვხედავ ხოლმე თქვენს მეტყველ თვალებს
        და თქვენს ხელებზე დაყრდნობილ ნიკაპს.

(ასე დაჰყურებს ამაყი ბოტი
დაბლა კუნტრუშით მიმავალ თიკანს).

ქრესტომათიის ბინადარნო იმ საუკუნის,
რომ ატარებდით გენერლის მუნდირს
ან რომ იყავით მასწავლებლები
ქართლის სოფელში და დაგდევდათ ბავშვების გუნდი.

მომრიგებელი მოსამართლე დუშეთის მაზრის
ან „ივერიის“ თანამშრომელი
ან ნამესტნიკის გერქვათ მოხელე,
თქვენს ცრემლში თრთოდა ეს საქართველო
და თქვენი ლექსით გულს იოხებდნენ.

თქვენი ბავშვობა ჩამონგრეულ სათონეს ახსოვს
და კიდევ ახსოვს ნაოხარ საბძელს,
თქვენ ესწრებოდით დევების ქორწილს
და ტრიალებდა ოხშივარი საძროხე ქვაბზე.

მე უცოდველი ბავშვი ვიყავი,
თქვენი უბიწო და გულუბრყვილო
ლექსის ხაფანგში როცა გავები,
თქვენი იმედი მერცხალია, იჩხვლიტებიან
თქვენი ცრემლები — იაგუნდის ქინძისთავები.

თქვენ ოცნებობდით გახარებულ წიფლის შიმელზე,
არ არსებობდა თქვენთვის პირადი
და ლოცვებივით წერდით ლექსებს, ეკლესიაში
უნდა წირვაზე წაგეკითხათ თითქოს კვირადღით.

მისახვედრია, თქვენი გრძნობა, თქვენი გონება
როგორ ებრძოდა ეჭვის მორიელს.
(საცოდავია, ვინც პირდაპირ სათქმელს ვერ ამბობს
და იშველიებს ალეგორიებს).

თქვენ განისვენებთ მთაწმინდაზე ან დიდუბეში
ან ქისტაურში, ან შუამთაში,
თქვენს საფლავებზე ჭრიჭინების მღერის კაპელა,
ჩუმი ვარსკვლავი დგება ათასი.

ათიათასჯერ მეორდება, ღამის შრიალში
ათიათასჯერ გიხდით ბენეფისს,
ეტლში ცხენები გამოვუშვით, უნდა გატაროთ,
ეტლში შევებათ, როგორც ცხენები.

თქვენ გიფრიალებთ ჩოხის კალთები,
მხრებზე გასხედან კვირიონები,
ფეხზე გაცვიათ ღაზლის წინდები,
მუდამ მეოცე საუკუნის ფანჯრებთან დგახართ
და მუდამ ჩვენსკენ იყურებით და ირინდებით.

თქვენი მგზნებარე, ნაღვლიანი ქართული ლექსის
სტრიქონი როცა ჩაგვიქროლებს, როგორც კომეტა,
ჩვენთან მოდიხართ, რომ ჩვენთან დადგეთ
ოცდამეერთე საუკუნის მისადგომებთან.

თქვენს შემდეგ ბევრი არამზადა ეფარებოდა
სამშობლოს სახელს, მისი უღირსი,
თავიდან თავის მტრებს იშორებდა
მისი სახელით და ხარობდა ხალხის წუხილში.

არავის შერჩა... სხივი თქვენი შარავანდედის
აკვანზე დახრილ ქართლის დედას მუდამ ამკობდა,
თქვენ დგახართ მუდამ შორიახლოს,
თვალს არ გვაცილებთ,
ო, თქვენი მზერა რა უმანკოა!..

ჩვენ არაფერი, არაფერი გვეპატიება
ახალგაზრდობით, ანდა სიბერით
და თქვენთან მხოლოდ პირნათელნი უნდა მოვიდეთ
ყველანი, ბოლოს როცა ერთად შევიკრიბებით...

1975

ლექსი დავით გურამიშვილზე

წაკითხულია სოფელ ლამისყანაში
1976 წლის 12 სექტემბერს

ბოლოს მინდა ლექსი გითხრა
ვიდრე საფლავს გამითხრიან,
ვიდრე კიდევ მომდევს ღონე
და არ არის ვიდრე გვიან.
აქეთ მღერის ალაზანი,
იქით კიდევ არაგვია,
ჯერ აქ ჩემი აკვანი და
ჩემი ძვალშესალაგია.

არა ვარ და არც ვყოფილვარ
არასოდეს პირღნიოში,
მაგრამ ჩემი შემოდგომა
უკვე მოდის ოქროს ქოშით.
უნდა გითხრა და მოვასწრო
დღეს სათქმელი, თუნდაც გროში
ღირდეს სხვისთვის, ვერ
ჩავიტან
შავი მიწის სქოლიოში...

პური როგორ გამომეცხო
თუ თავთავი მქონდა ფშუტი,
დღეს გავბედე, მაგრამ ვაი,
პურის სუნი თუ არ უდის.
ვარცლში ცომი ამიფუვდა,
ახდა ჩემი ვარაუდი,
ცხელ თონეში ჩავაკარი,
მივარდება ღველფში კუტი...

მე ძეძვივით მეჭიდება
ეს შაირი, მაგრამ პირში
ჩემს გოზაურს დღეს ბალახი
დასცობია... ალბათ ღირსი
კვლავ არა ვარ შაირისა,
მაცახცახებს ბეჩავს შიში,
შენს დახედვას ველოდები,
ვით ჭინჭარი ღობის ძირში...

მზეზე ორნი ფარფატებენ —
პეპელა და მისი ლანდი,
ერთს სიკვდილი ემუქრება,
რეპტილია ელის ზანტი,
მეორე კი, მზით შობილი
ხელთუქმნელი არის ხატი,
რომელია ჭეშმარიტი,
რომლის თრთოლვა და ფარფატი?

ლექსი ჩვენი თრთოლვა არის
და ფარფატი... ჩვენ ის გვერგო
წუთისოფლის ასარეკლად
და იქ უნდა აირეკლოს.
სიტყვა უნდა კაკალივით
გამოვარდეს, გასკდეს წენგო.
რა ვქნათ, სიკვდილს ჩვენ გზა
მხოლოდ
ასე უნდა ჩავუხერგოთ!..

რომ გამწვდება, საბანს ისე
ვიხურავ და ვიშლი ლოგინს,
ზოგი პატივმოყვარეა,
დღევანდელი კვერცხით ზოგი
ცხოვრობს მხოლოდ და ეხვევა
უაზრობის ყელზე თოკი,
იქ თავდება, სადაც მისი
გათავდება ნეკროლოგი.
ვინც შენს მცნებას უღალატა,
მისი ლექსი გადაგვარდა,
სიტყვას ზომავს სხვა არშინით,
ასაღებდეს თითქოს ფართალს,

ის უნდა, რომ ერთი ჰქონდეს
გასავალი ცრუს და მართალს,
გულზე ხელებს იბრაგუნებს,
როგორც მრუში ცოლი
— ქმართან.
მე არავინ გამინათებს,
გზა მე უნდა გავინათო,
ვის რა ვუთხრა, გზა მე თვითონ
ავირჩიე სახიფათო,
გაჩენილი ერთხელ ტანჯვით
ბევრჯერ უნდა დავიბადო,
სულ ყმაწვილი უნდა ვიყო,
უნდა მოვკვდე ყმაწვილადო.

შენ მდინარედ მოთქრიალებ,
მე, მდინარის მცირე ტოტი,
შენს წინაშე მუდამ ქედის
მოსადრეკად გამოვრბოდი:
მეც შენსავით ვჭამე შინდის
შეჭამანდი და კორკოტი,
ჩემი ლექსი ნახევარი
ჩანახია, შენი — კოდი.

წისქვილს როგორ გამართავდი
მეწისქვილედ უვარგისი,
როცა გფქვავდა სხვა წისქვილი
და საფქვავი იყავ მისი,
იმ წისქვილში აღესრულე
სულის თრთოლვით და გიზგიზით
და დამაშვრალს საყდარივით
ხელის გულზე წიგნი გიზის.

მე მამხნევებ შენ და კიდევ
რამდენიმე... ხრიოკ ფერდობს
მისდევს ჩემი სიტყვის ფარა,
გზაში როგორ შეგახვედრო!
ან სალამი როგორ გითხრა,
შენ ვარსკვლავად უნდა ენთო,
ჩემი ხალხი ვერასოდეს
ვერ იცხოვრებს ულეგენდოდ!

ყველა დროში შემოქმედი
ხალხს ამხნევებს და აღვიძებს,
მან უტაცოს უნდა ხელი
გადარეულ რაშს აღვირზე,
ჩვენ ბოლოში ვდგავართ,
თავში —
(მოწიწებით თაყვანი ვცეთ)
ცურტაველი იაკობ და
იოანე საბანისძე...

ძლივს ქანაობს ჩემი ნერგი,
შენს ხეს მუდამ ბევრი ესხა,
არაფერი შეეტყობა
თუგინდ ცოტა მომცე სესხად,
ამ ქვეყნისთვის მეც შენსავით
იქნებ გული გადამეხსნა,
რახან ვიშვი, იქნებ ერთხელ
მეც ვესელა მეთქვა ვესნა!

უკითხავად მოსულებმა
არა გვკითხეს, ისე გვშობეს,
მოგვიზომეს ჰორიზონტის,
ცვალებადი წრე და ღობე,
მერე ისიც გვაგულისხმეს,
რასაც თვითონ გულისხმობენ,
რომ რა აზრსაც მივანიჭებთ,
ის აზრი აქვს წუთისოფელს.

რაც არსებობს ეს ქვეყანა,
სულ სულმოკლე ებრძვის

სულდიდს,
ეფარება ტახტს და სკიპტრას,
ანაფორას, ჯვარს და მუნდირს
და სამშობლოს ყიდის სული
ბელზებელის და იუდის
გულდენით და სესტერციით,

ღუკატით და ეკიუთი.
შენ გეგონა, რომ სამშობლო
ღღეს დაკარგე, როცა თავი
დაკარგე და გაგიტაცეს,
საქართველო, დიდო დავით,
დაკარგული იყო უკვე,
მზეზე ეგდო მისი ტყავი,
ბუმბერაზი ხომალდების
კილვატერში მოხვდა ნავი...

თუ სახლს კარი აღარა აქვს,
როგორ უნდა გადარაზო,
ირემს ფეხი თუ შეუკრეს,
როგორ შეჰკრავს კამარასო,
დიდ ჩანგალზე დაჰკიდებენ
და აქნიან ასო-ასო,
მამასისხლად გაჰყიდიან,
დაამშვენებს სხვის სუფრასო...

შენ ორმოდან ამოსული
იშზირები, ვით იესო,
თითქოს ღღე დგას მეორმოცე,
ღამეს ფარდა ახადესო.

დაადგები გზას და ხალხი
დაგაპურებს მშიერს ღღესო,
და ღღეიდან ისევ შუქი
და სიკეთე უნდა თესო.

ეს ქვეყანა რახან ისე
გვაბზრიალებს, როგორც
ჩიკორს,
რახან მისი ყურმოჭრილი
ქვეშევრდომი უნდა ვიყო,
იქნებ გამათამამო და
იქნებ ისე გამაბრიყვო,
ერთხელ ყელი ჩავიწმინდო
და თამამად ვთქვა „ყიყლიყო“!

ბოლოს მაინც შენთან მოვალ.
რადგან შენ ხარ ჩემი ფესვი,
თქვენი დასტურლამალი და
მანდაური თქვენი წესი
ჩვენსას აღარ უნდა ჰგავდეს
და მანდატურთუხუცესი
შემომიშვებს, რომ მოგართვა
ეს საწყალი ჩემი ლექსი.

1976

სოფლის ავტობუსი

ჩვენ მოვედით წყვდიადიდან,
გზებზე სოფლის ავტობუსი
ციმციმებდა, როგორც შუქი
ძველი ციხის სათოფურში.
ჯერ თვალები მოვიფშვნიტეთ,
მგზავრობაში ჩაგვექინდრა
და მიწაზე დავდგით ფეხი,
თენდებოდა უკვე მინდვრად.

ავტობუსმა ჩაიქროლა
და მინდორში მიგვატოვა,
ღაღანებდნენ გვირილები
და გალობდა ჩიტბატონა.
ეს არ იყო გათენება
პირველი და ბოლო ღამის,
დასასრულის დასაწყისი
ან მგზავრობის დასაბამი.

ჩვენ შევჩერდით სულ მცირე
ხნით,
ხვალ ვიქნებით სხვაგან ამ
დროს,
სველ ბალახში გავიშოტეთ
და იონჯას სუნი გვათრობს.
ვიხტუნოთ და ვითამაშოთ,
დავურბინოთ მწვანე

მინდვრებს,
ილუზიის ტყვეობაში
ვიცინოთ და ავქვითინდეთ.
თორემ ალბათ სანატრელი
გაგვიხდება მწვანე მოლი,
ავტობუსის ფანჯარაში
თავს გადმოჰყოფს მალე
მძღოლი
და მიგვიხმობს... მერე ბნელში
ჩვენი სოფლის ავტობუსი
იციმციმებს გზებზე, როგორც
შუქი ციხის სათოფურში.
დროებითი არის მხოლოდ
წყვდიადიდან ჩვენი მოსვლა,
შევისვენებთ და გზას მალე
გავუდგებით პატიოსნად.
წავალთ ისევ უსასრულო
სამყაროში რომ ვიქროლოთ,
ჩვენი მოსვლა წუთიერი
შესვენება არის მხოლოდ...

1976

ნ ო ვ ე ლ ა

დაიღუპე!
ყველა მიხვდა შენს სიყვარულს, —
ბავშვს რომ ქალი შეგიყვარდა...
ალბათ სტუმრებს
ამ საღამოს ახარხარებს ვინმე, როცა
შენს უცოდველ სიყვარულზე გაიხუმრებს.
ყველას ეტყვის,
იმ ქალს ეტყვის,
არ დაგინდობს
თუ გინდ ისე დაუჩოქო, როგორც ქრისტეს.
ოღონდ არ თქვას,
მაგიდასთან ოღონდ არ თქვას,
გირჩევნია, ჩაგქოლოს და გაგირისხდეს.
მაგრამ, არა!
იტყვის, როცა მოგიჯდება
გვერდით ქალი ძველებური გრავიურის,

კორსეტიან კაბას ალბათ ამოჭრილი
        გულისპირი მოუხდება,
                ხოლო ყური
თმით ექნება დაფარული და ლანგარზე
        დაიჭრება შოკოლადის დიდი ტორტი,
მისი ქმარი საქმიანად ჩაახველებს,
        რომ გაყიდოს ხავსიანი ანეგდოტი.
ჩუმი დარდით,
        მხოლოდ ავის წინათგრძნობით,
                ჩუმი დღესასწაულით და ჩუმი გლოვით
ჩამოჯდები დაბნეული სკამზე ქალის
        მეზობლობით და იმისი სიახლოვით.
და როდესაც აბაჟურის წრეში მისი
        თავი შენსკენ დაიხრება მაგიდაზე
და წყალს მოგთხოვს და მიაწვდი,
        ის ღიმილით
                შემოგხედავს და სამსახურს დაგიფასებს,
სწორედ მაშინ
        შენს უმანკო სიყვარულზე
                ყველას ეტყვის კაცი უღვთო და რეგვენი,
არ დაგინდობს, შენს მუდარას არ შეისმენს,
        თუმცა მზერით იმ კაცს ფეხქვეშ გაეგები.
დაიძრება კედელი და იატაკი
                და გონებას დაგიბნელებს იმის შიში,
რომ ვაითუ, სწორედ დღეს და სწორედ ახლა
        გაითიშოს სული ხორცთან გასათიში.
და შენს ბავშვურ სახეს ცეცხლი მოედება,
        მოედება ცეცხლი მხრებში ჩასულ კისერს
და ვინც გიყვარს,
        მოგეხვევა და გაკოცებს
                და ულმობლად მერე დიდხანს იკისკისებს.
შენ კი მწარედ ატირდები და ნაჭერი
        უხალისოდ წაიქცევა თეფშზე ტორტის
და კედელზე ქალის სიცილს აიტაცებს
                გახლეჩილი ბროწეულის ნატურმორტი...

1976

ცასწავალა

ათასერთი ძაფით ება,
თუნდაც ათას ერთი ძაფით,
ცასწავალა ცაში წახვალ
ჩიტის ლტოლვით და სისწრაფით.

ვერაფერი დაგაკავებს,
ვერც ვერავინ ვერ დაგძრახავს,
მოიშორებ ამქვეყნიურ
ბორკილებს და ცაში წახვალ.

სინანულით მიატოვებ
დედამიწის მზიან მინდვრებს,
სანამ წახვალ, მგალობელის
სახელს ქვეყნად დაიმკვიდრებ.

ცასწავალას ვინ დაგიჭერს,
ვინ ოხერი გესვრის საფანტს
ან გალიით ვინ გაგყიდის
გინდ ძვირად და გინდ იაფად.

სანამ წახვალ, მიწიერის
ყურთასმენას უალერსებ
და გულმკერდით შეასკდები
განთიადის მოძრავ მესერს.

ცასწავალა ხარ და ვიცი,
ბოლოს ცაში რომ მიდიხარ,
ვაი, რომ ვერ წამოგყვები,
ქვევით უნდა ვზილო თიხა.

მიწისა ვარ, მიწამ მშობა,
მიწას თავი მოვუდრიკე,
აქ ვზეიმობ გამარჯვებას
ხელგაშლილი, როგორც ნიკე.

ნავის ერთი მენიჩბე ვარ,
რომ ვარგოდეს ნავი ნავად,
ამოვხაპო უნდა, ზევით
ვერ წამოვალ, უკაცრავად.

უროსა ვცემ ჩემი ხელით
და მიწაში ჩადის პალო,
სოფელს როგორ ვუღალატო,
ცაში როგორ გავიპარო?

ვერ წამოვალ, მაგრამ შენი
გამამხნევებს მაგალითი,
მიწიერის შუამავლად
ფრთა გაშალე და გაფრინდი.

ჩემი ფიქრი გაიყოლე,
არ იქნები მაშინ ცალად,
მე არა ვარ, მაგრამ ჩემი
ფიქრი არის ცასწავალა.

1977

თ ე ვ დ ო რ ე

(ბერი ეგნატაშვილის მიხედვით)

ხალხს და ქვეყანას ეწირება მხოლოდ თევდორე.
ხალხმა არ იცის, საქართველო რომ იღუპება,
რომ განსაცდელი კარს მოსდგომია,
რომ შუბი უკვე აღმართულია,
შუბი ფარული და უხილავი
და სადაც არი, გაიზუზუნებს.

ხალხმა არ იცის, ტივი კლდეებს რომ ეჯახება
და უმწეოა ტივზე მეტივე,
რომ საყდარია მიტოვებული
და მოციქული უნუგეშოდ დგას თორმეტივე,
რომ სოფლის თავზე ჭვარტლიანი ტრიალებს სვავი,
რომ ოცნებისთვის მკაცრი არის დღე დღევანდელი
და თმებგაშლილი ანგელოსი დგას და ქვითინებს.

ხალხმა არ იცის, საქართველო რომ იღუპება,
რომ მტერი უკვე ოჯახში უზით.
ცეცხლს რომ აკვესებს, ყიზილბაშის ცხენის ქუსლია,
ხალხს და ქვეყანას ეწირება მხოლოდ თევდორე
და თავგანწირულს ჯერ საშშობლო ვერ დაუხსნია.
ის ქვენადრისის გზაზე მიდის.
იმან არ იცის, ქვეყანაზე რატომ მოვიდა,
მაგრამ მან იცის, რატომ მიდის...
ხალხმა არ იცის, არ ეყურება
გადამთიელის ცხენის ჭიხვინი.
თებრონე მშვიდად მიდის წყაროზე,
მერე ქალებში დგას მარიხივით.
ხალხმა არ იცის, ვერ გაუგია
საქართველოში მოსვლა სატანის
და ორღობეში ღვივის თებრონეს
აყვავებული კაბის ატამი.
ქვეყანას უმზერს მზე სისხლიანი,
ო, ღმერთო, ასე უყურებს ალბათ
მიწაზე ძალით წამოქცეული
ხარის თვალები გაოფლილ ნალბანდს.

ხალხმა არ იცის, გადამთიელი რომ შემოსულა,
                    რომ სისხლით ღებეს
თრიალეთი და დაწვეს მანგლისი.
ცხირეთში მშვიდად ისვენებს მეფე.
მშვიდად არიან ფეოდალები,
ძალაუფლების ათრობთ თრიაქი.
სასაფლაოზე გადადის ცხვარი.
სოფელს აფხიზლებს დედლის კრიახი.

იბრუჟებიან ღვინით ბერები.
ვაჭარი ძღვენით მისდგომია მეფის პალატებს.
ხალხმა არ იცის,
არც მამაცმა
და არც ლაჩარმა,
გულქვამ,
გულჩვილმა,
არც ერთგულმა,
არც მოღალატემ,
რომ იღუპება საქართველო.
ფიქრად არა აქვს
ქვეყნად არავის —
არც ხელმწიფეს,
არც ქვეშევრდომებს,
წინგაგდებული,
                    სისხლიანი,
                    ლახტით ნაცემი
რომ ყველას მსხვერპლად ეწირება მხოლოდ თევდორე.

1977

***

მთვარე უცხო სტუმარს,
ბედნიერს და დაღლილს,
იისფერი შუქის
ბრწყინვალეებას აღვრის,
შეურხია ბოლოს
დედამიწის შვილმა
ასტრალური სული
გულგრილ დიასახლისს...

აქ კი, სადღაც სოფლად
დღე მაბრუებს თივით,
ღამე იდუმალი
არის ბარათივით.
იხვეწება ლოდი
ეკლესიის უკან:
„ღმერთო, შეივრდომე
მონა შენი ლუკა“.

1970

ვენური სკამი

სასადილოს კუთხეში,
თაღით გადახურულში,
ვენურ სკამზე დაჯდები,
მოგეხვევა ბურუსი.
იმ ბურუსში გაქრება
დარბაზი და მაგიდა,
სხვა ქალაქში გადახვალ
თითქოს სხვა ქალაქიდან.
ასეთ სკამზე ჯდებოდი...
ის დრო უტკბილესია,
საქანელას თოკები
ნეტარებით კვნესიან.
— ტომ! — პასუხი არ არის...
მაგრამ მზერა დაგეძებს,
ეფარება მოხუცის
ლანდი ფარდის ნაკეცებს.
ის ძვირფასი ლანდია,
ამოსული სკივრიდან.
იგი გეფერებოდა,
გირეცხავდა, გივლიდა.
მეოცნებედ შობილი
სიტყვებს ცისფრად ღებავდი,
ფარფატებდნენ დილიდან
მხოლოდ დაღამებამდე.
ზოგჯერ როგორ უეცრად
გაიელვებს ყოველი,
ის, რაც პათეტიური
არის, ვით ბეთჰოვენი.
გაცოცხლებულ წარსულზე
გამეფდება წყვდიადი...

მაგიდასთან ღიმილით
მოვა ოფიციანტი.

1970

***

არავინ იცის,
სად მიიწევ,
ალბათ არავინ,
გადაიარა შენმა ჩრდილმა ზღვარი გალავნის.
სვეტიცხოველო,
რას მიელტვი,
რა სასუფეველს,
რა დაგისველებს სიხარულის ცრემლით უპეებს...
სულო,
ტანჯულო მარტვილობით,
მარხვით ნაგვემო,
ო, ნება მომეც, დაღლილს ხელი რომ შეგაგებო.
და მხოლოდ ზოგჯერ შორიახლო რომ აგედევნო,
მზის ნაბიჯებით მიმავალო წმინდა კედელო...

1971

ფრანგულის გაკვეთილი

კიბის თერთმეტი საფეხური და მოედანი.
ფეხის წვერებზე აიწიე.
დარეკე,
შედი.
შენ შემოგხვდება ტანმორჩილი ქალის ღიმილი და დარაბაში
შემოჭრილი სინათლის სვეტი.
იქ ოთახია ისე გრილი და იდუმალი, ვით მიმავალი
ტყეში ბილიკი,
იქ ქალის სახე ბრწყინავს, როგორც მედალიონი,
და მყუდროება დგას ბაზილიკის.

მე ვიძინებდი ძალიან ადრე

მე ვიძინებდი ძალიან ადრე
ვცხოვრობდი დაბლა,
ძალიან დაბლა,
სახლებზე დაბლა,
ხეებზე დაბლა,
ვხედავდი მხოლოდ გამვლელის ფეხებს...

მე ვიძინებდი ძალიან ადრე,
საღამოობით,
როცა მნათობი ძლივს აშუქებდა ოთახის კედლებს
და გაღიმებულ თვალთა კილოებს...

მე ვიძინებდი ძალიან ადრე
და იყო სიზმრად თეთრი ხეებიც,
თეთრი ღრუბლებიც და ბეღურებიც,
და ვარდისფერი კაბის ბურუსიც,
პატარა მხრებზე დაყრილი თმებიც...

და მე ვიყავი ძალიან მაღლა,
სახლებზე მაღლა,
ხეებზე მაღლა,
იქ, სადღაც მაღლა, ღრუბლებზე ზევით...

1958

***

სუნთქვით გაგითბობ გათოშილ თითებს
და საალერსოს გიხმობ სახელებს,
ძვირფასო, ნულარ იტირებ კიდევ —
გამხდარი მხრები გიცახცახებენ.

ჩემი ხელები, როგორც სიზმარში,
სასიხარულოდ კვლავ გაკურთხებენ,
მოულოდნელი ცრემლის სიმლაშე
აღარ აგიწვავს ტუჩის კუთხეებს.

შენი სიცილი კვლავ განიბნევა,
აინთებიან შენი ღაწვები,
არ შეგაშინებს ღამის სიბნელე
და ცრემლიანი აღარ დაწვები.

შენ გაზაფხული კვლავ გაგაოცებს,
შენს სულში დიდი სინათლე შევა
და სიარული სასაფლაოზე
დარჩება მხოლოდ უბრალო ჩვევად.

მე დამიჯერე: ღიმილი მოვა,
ცრემლი მიიღებს თავის მისაგებს,
მე გამოგტაცებ დარდსა და გლოვას,
მე დაგაბრუნებ სიცოცხლისაკენ!..

1957



მამულიშვილთა მოსახსენებელი

თეიმურაზ I — 350 (1589 — 1663), კახეთის მეფე 1606-1648, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632 წლებში. გამეფდა 16 წლისა. მისი მცირეწლოვნების გამო სამეფოს ერთხანს დედამისი, დედოფალი ქეთევანი განაგებდა. 1607 წ. თეიმურაზ I დააქორწინეს მამია გურიელის ასულ ანაზე, რომელიც 1610 წ. გარდაიცვალა. 1612 წ. შეირთო ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის დაჲ ხორეშანი. 1614 წ., ირანის შაჰის აბას I-ის ქართლსა და კახეთში ლაშქრობის დროს, თეიმურაზ I იძულებული გახდა ლუარსაბ II-თან ერთად იმერეთში გახიზნულიყო. 1615 წ., კახეთში ანტიირანული აჯანყების დროს, თეიმურაზ I სამეფო ტახტზე მიიწვიეს. იგი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას.

სპარსელებმა აჯანყება ჩაახშვეს და თეიმურაზ I კვლავ იმერეთში გადავიდა. 1625 წ., როდესაც ქართლი და კახეთი ისევ აღდგა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით, თეიმურაზ I ქართლ-კახეთის მეფედ მიიწვიეს. იგი გიორგი სააკაძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლას. ქართლ-კახეთის მრავალწლიანმა ბრძოლამ აიძულა შაჰ-აბას I დათმობაზე წასულიყო. მან მოლაპარაკება გამართა თეიმურაზ I-თან და, ფაქტობრივად, იგი ქართლ-კახეთის მეფედ ცნო. თეიმურაზ I-მა თავი ირანის შაჰის ვასალად აღიარა, მაგრამ განაგრძობდა ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისათვის. ამის გამო 1632 წ. შაჰმა სეფი I-მა ქართლის ტახტი გამაჰმადიანებულ როსტომს გადასცა. თეიმურაზ I ერთხანს კიდევ განაგრძობდა ბრძოლას. მის მიერ მოსკოვში დახმარების სათხოვნელად არაერთხელ გაგზავნილმა ელჩობამ (1615, 1618, 1624, 1635 და 1649 წწ.-ში) შედეგი ვერ გამოიღო. 1620 წლიდან დაუახლოვდა კათოლიკე მისიონერებს; 1626 წ. თეიმურაზ I-მა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად ელჩად გაგზავნა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი). 1635 წლამდე იგი მხოლოდ ევროპასთან ალიანსს იმედოვნებდა; მას მი-

მოწერა ჰქონდა ურბან VIII-თან. ბოლოს თეიმურაზ I დახმარებას სთხოვდა ოსმალეთსაც, მაგრამ უშედეგოდ. 1658 წ. თვითონ გაემგზავრა რუსეთში სამხედრო დახმარების სათხოვნელად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. 1661 წ. ბერად აღიკვეცა. მალე ირანში გაიწვიეს და აღუთქვეს კახეთის სამეფო ტახტის დაბრუნება, თუ მაჰმადიანობას მიიღებდა. თეიმურაზ I-მა უარი თქვა. ამის გამო შეიპყრეს და ასტრაბადის ციხეში გამოამწყვდიეს, სადაც გარდაიცვალა. მისი ნეშტი ქართველებმა სამშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის მონასტერში დაკრძალეს. სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლი თეიმურაზ I ზედმიწევნით იცნობდა სპარსულ ენასა და მწერლობას და მის ძლიერ გავლენასაც განიცდიდა. წერდა კიდეც: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“. მან გადმოაქართულა სპარსულენოვან სამყაროში ფართოდ გავრცელებული პოემები: „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“ და „იოსებზილიხანიანი“. თეიმურაზ I ორიგინალურ თხზულებებშიც არ ღალატობდა სპარსული მწერლობის ტრადიციებს როგორც თემატიკის, ისე ჟანრის თვალსაზრისით.

თეიმურაზ I პრინციპულად სასულიერო თემატიკას ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა მის პოეზიაში საერო ნაკადი ბატონობდა. თავისი რელიგიური გრძნობები პოეტმა უმთავრესად იმით გაამჟღავნა, რომ სპარსულიდან გადმოღებულ პოემებშიც კი ქრისტიანული აღსარებლობისადმი ერთგულება და მუსლიმანობის სიძულვილი გამოხატა.

თეიმურაზ I-მა საკუთარ თავზე გამოსცადა ცხოვრების უკუღმართობა და იმედის გაცრუება. თავისი ქვეყნის უმოწყალო რბევა-აწიოკების მოწმე პოეტისათვის კარდინალური კითხვა იყო წუთისოფლის რაობა. მისი შემოქმედება გამსჭვალულია წუთისოფლის მუხანათობის განცდითა და ნაღვლიანი კილოთი („სოფლის სამდურავი“). იგი ცდილობდა პოეტური საქმიანობით შეემსუბუქებინა მწუხარე განცდები. თეიმურაზ I ხორციელი ტრფიალებისა და ბაგე-ღვინის აპოლოგეტად გვევლინება („გაბაასება ბაგისა და ღვინისა“, ლირიკული ლექსები და სხვ.).

თეიმურაზ I-მა ერთ-ერთმა პირველმა სცადა ქართულ პოეზიაში ეროვნული თემატიკის დამუშავება. პოემაში „ქეთევან დედოფლის წამება“ მან დიდი პოეტური მღელვარებით აღწერა თავისი დედის, ქეთევან დედოფლის, თავდადება სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, ასახა ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობისა და სარწმუნოების შესანარჩუნებლად. გაბაასების ჟანრის თხ-

ზულებაში „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ პოეტმა ოსტატურად დახატა მშობლიური ქვეყნის ბუნება, გადმოსცა როგორც პირადი, ისე საზოგადო ბედუკულმართობით გამოწვეული სევდიანი განცდები. თეიმურაზ I-ს ეკუთვნის ლირიკული ლექსები „გრემის სასახლეზე“, „თამარის სახე დავით გარეჯას“ და სხვები.

თეიმურაზ I-მა შემოიღო ქართულ მწერლობაში სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრი და ტრადიციული თემატიკაც გაამრავალფეროვნა. მან დაამკვიდრა მაჯამური ლექსის ფორმა, განავითარა გაბაასების ჟანრი, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართულ მწერლობაში.

თეიმურაზ I-ის შემოქმედებამ კლასიკური პერიოდის ქართული პოეზიისა და განსაკუთრებით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დიდი გავლენა განიცადა. მისი ცალკეული თხზულებანი იბეჭდებოდა 1860 წლიდან (ჟურნალი „ცისკარი“); 1875 წელს ა. კალანდაძემ ცალკე წიგნად გამოსცა „ვარდბულბულიანი“, 1886 წელს ზ. ჭიჭინაძემ — თხზულებათა სრული კრებული.

ილია სოლომონის ძე ალხაზიშვილი — 160 (1853, გურჯაანი — 1921, თბილისი) — ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

1891 წელს, ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა და 1918 წლამდე პროვიზორად მუშობდა ქ. ახალქალაქში. ალხაზიშვილის თხზულებანი 1875 წლიდან იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ავტორია ეთნოგრაფიული-ფოლკლორული, ისტორიული და სამედიცინო ნაშრომებისა — „ბუნება და ცხოვრება“ (1897 წ.), „მტკვარი, ჭოროხი, რიონი“ (1912-1914 წწ.), „სამკურნალო მცენარენი საქართველოში“ (1899 წ.), „ვარძიის მონასტერი“ და სხვ. ი. ალხაზიშვილს წვლილი მიუძღვის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში: „საანატომიო და საფიზიოლოგიო ტერმინები“, (1913 წ.); „ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია“, (1915 წ.); „ბუნების ლექსიკონი“, (1916 წ.). მისი თაოსნობით რამდენიმე სოფელში გაიხსნა სკოლა და ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ახალქალაქში — ქართული გიმნაზია.

ნიკო გიორგის ძე ბაგრატიონი, ნიკო ბური — 80 (1868, მუხრანი — 1933, თბილისი), ინგლისელებისა და ბურების ომის (1899-1902) აქტიური მონაწილე.

წარმოშობით ეკუთვნოდა ქართლის ბაგრატიონთა მუხრანბა-

ტონების შტოს. 1899 წ. პეტერბურგს გაემგზავრა, იქიდან — პარიზში, შემდეგ მარსელზე გავლით ალექსანდრიაში (ეგვიპტე) ჩავიდა. იმ ხანებში დაიწყო ინგლის-ბურების ომი. ბაგრატიონი, როგორც მოხალისე, ტრანსვაალში გაემგზავრა და ინგლისელების წინააღმდეგ იბრძოდა. იგი ახლოს გაეცნო ტრანსვაალის პრეზიდენტს პაულუს კრიუგერს, გამოჩენილ სარდლებს — პეტრუს ჟუბერსა და ლუის ბოტას. ბურების დამარცხების შემდეგ ბაგრატიონი მონაწილეობდა პარტიზანულ მოძრაობაში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ინგლისელებმა დაატყვევეს და დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ, როგორც საქართველოს სამეფო გვარის შთამომავალს, დახვრეტა შეუცვალეს წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებით, საიდანაც იგი ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა. ბაგრატიონმა დაწერა მოგონებების წიგნი „ბურებთან". პირველ ნაწილში აღწერა თავისი ოჯახის თავგადასავალი, XIX ს-ის II ნახევრის საქართველოს ყოფის ცალკეული სურათები, მეორე, უფრო ვრცელი ნაწილი მიუძღვნა ტრანსვაალის ომს და თავის მონაწილეობას ამ ომში.

კონსტანტინე გამსახურდია — 120 (1893, სოფ. ძველი აბაშა — 17.07. 1975, თბილისი) — ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

კ. გამსახურდია დაიბადა სიმონ გამსახურდიასა და ელისაბედ (ლისა) თოფურიძის (თოფურიას) ოჯახში. კონსტანტინე სიმონის ბოლო, მეცხრე შვილი იყო. მის აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის მის გადია ეკაიას. ანბანი ისწავლა სოფლის სამრევლო სკოლაში. მოგვიანებით მიაბარეს ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1904 წელს. ამის შემდეგ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ჩაირიცხა, რომელიც 1911 წელს დაამთავრა. სწავლობდა პეტერბურგის, კენიგსბერგის,ლაიფციგის, მიუნხენის, ბერლინის უნივერსიტეტებში. 1919 წელს დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი. მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. აქტიურად მონაწილეობდა ევროპაში ჩამოყალიბებული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" მუშაობაში. 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბერლინის საელჩოს ატაშეა. ჰამბურგში 3000-მდე ტყვედყოფილი ქართველი შეკრიბა და სამშობლოში წამოიყვანა მის მიერვე დაქირავებულ ხომალდ „ქრისტიანიათი", თან ჩამოიტანა მედიკამენტები, პირველი რადიოდანადგარი.

სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო როგორც პოეტმა და პუბლიცისტმა. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1909 წ. წერდა კ. აბაშისპირე-

ლის ფსევდონიმით. XX ს-ის 10-20-იანი წლების მიჯნაზე იყო რედაქტორი შემდეგი პერიოდული გამოცემებისა: „პრომეთე“, „ლომისი“ (გ.ტაბიძესა და ლ.ქიაჩელთან ერთად), „ილიონი”, „საქართველოს სამრეკლო“, „ქართული სიტყვა“, ხელმძღვანელობდა მწერალთა აკადემიურ ჯგუფს.

ავტორია რომანებისა: დიონისოს ღიმილი, მთვარის მოტაცება, გოეტეს ცხოვრების რომანი, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა, დავით აღმაშენებელი, ვაზის ყვავილობა, აგრეთვე ნოველების, ნარკვევებისა და ესეებისა. თარგმნა გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ (I ნაწილი, „ჯოჯოხეთი“ კ. ჭიჭინაძესთან ერთად), რემარკის დასავლეთის ფრონტი უცვლელია და სხვ.

1944 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 1965 წ. ტეტრალოგიისათვის „დავით აღმაშენებელი“ მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

გარდაიცვალა 1975 წელს. დაკრძალულია თბილისში, კოლხური კოშკის (თავისი სახლის) ეზოში.

ვლადიმერ ვლადიმერის ძე მაიაკოვსკი — 120 (1893, ბაღდათი, — 1930, მოსკოვი), საქართველოში დაბადებული რუსი პოეტი, დრამატურგი, რუსული ფუტურიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მამა პოეტისა, ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ბაღდათის სატყეო მეურნეობაში მუშაობდა. დედა, ალექსანდრა ალექსის ასული წარმოშობით კაზაკი იყო. 1902 წელს მაიაკოვსკი ქუთაისის გიმნაზიაში შევიდა. 1906 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ვლადიმერი თავის დებთან ერთად დედამ მოსკოვში წაიყვანა საცხოვრებლად. 1908 წელს მან გიმნაზია მიატოვა და რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო.

1908 წელს შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში და სამჯერ იქნა დაპატიმრებული. 1909 წელს, ციხეში ყოფნისას ლექსების წერა დაიწყო. 1911 წელს მოეწყო მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელში. ამ პერიოდში გაიცნო დავიდ ბურლიუკი და დაუახლოვდა კუბოფუტურისტების პოეტურ წრეს. პირველი მისი გამოქვეყნებული ლექსი, „ღამე“ (1912), შევიდა ფუტურისტულ კრებულში „სილის გაწვნა საზოგადოებრივ გემოვნებას“. 1913 წელს წერს და დგამს ტრაგედიას „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, რომელშიც თავადვე ასრულებს მთავარ როლს.

1914-1915 წლებში მუშაობს პოემაზე „შარვლიან ღრუბელს“, რომელიც ფუტურიზმის ერთგვარ მანიფესტადაა მიჩნეული.

1915 წელს დაწერილი „ფლეიტა-ხერხემალი“, მაიაკოვსკის ლირიზმის მწვერვალად ითვლება და ეძღვნება პოეტის საყვარელ ქალს, ლილია ბრიკს, რომელიც, მისდა საუბედუროდ, მისივე გამომცემლის, ოსიპ ბრიკის მეუღლე იყო.

ამავე პერიოდში შექმნა ომის საწინააღმდეგო ლირიკა: „დედა და გერმანელების მიერ მოკლული საღამო“, „მე და ნაპოლეონი“, პოემა „ომი და მშვიდობა“; სატირული ნაწარმოებები; „ჰიმნების“ ციკლი.

1923 წელს ჩამოაყალიბა ჯგუფი „ლეფი“ Леф (Левый фронт, მარცხენა ფრონტი) და იმავე სახელწოდების ჟურნალი. 1927-28 წლებში გამოსცა ჟურნალი „ნოვი ლეფი“ (რუს. „Новый леф“), რომლის 24 ნომერი დაიბეჭდა. 1928 წელს მაიაკოვსკი იმედგაცრუებული ტოვებს ორგანიზაციას და ჟურნალს.

1930 წლის 14 აპრილს, მოსკოვში, საკუთარ ბინაში მაიაკოვსკიმ თავი მოიკლა რევოლვერით, თუმცა არსებობს მკვლელობის ვერსიებიც.

ვლადიმერ მაიაკოვსკი დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

მიუხდავად იმისა, რომ 1917 წლის რევოლუციით აღფრთოვანებულმა მაიაკოვსკიმ ჭეშმარიტი სოციალისტური მითი შექმნა პოეზიაში, ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ 1920 -იან წლებში პოეტს იმედგაცრუება დაეწყო სოციალისტური წყობის რეალურობის მიმართ. თუმცა სიმხნევით აღსავსე, კოლექტივიზაციისა და სოციალისტური იდეალისადმი მიმართული ლექსების წერას სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა. პოეტის შემოქმედების ორიგინალობა უნაზესი ლირიზმისა და მწარე სატირის ურთიერთშერწყმაში მდგომარეობს. ყოველივე აქედან გამომდინარე, მაიაკოვსკი დიდი ლირიკოსი უფროა, ვიდრე პარტიული ინტერესების გამტარებელი.

ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე — 100 (1839, გორი — 1913, სოფ. არბო); ქართველი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი.

ფურცელაძეთა გვარის წარმომადგენლები ღარიბი აზნაურები ყოფილან. სოფლის უბრალო, ღარიბი აზნაური იყო ა. ფურცელაძის მამა ნიკოლოზიც. მწერლის დედა ბარბალე გედევანიშვილი-ფურცელაძისა ჭკვიანი, დარბაისელი და სათნო მანდილოსანი ყოფილა. თავისი დროის კვალობაზე მან კარგად იცოდა როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობა.

ა. ფურცელაძის აღზრდას უშუალოდ ხელმძღვანელობდა დედა, რომელმაც მომავალ მწერალს წერა-კითხვა შეასწავლა. ბავშვობის

წლები ანტონმა თავის სოფელში გაატარა. ხელმოკლეობის გამო მშობლებმა ვერ შეძლეს ანტონის სამოქალაქო სასწავლებელში მიბარება. მათ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ 11 წლის ბავშვი ქ. ორიოლის კადეტთა კორპუსში მიაღებინეს სახელმწიფო ხარჯზე. აქ ანტონი სამიოდე წელი დარჩა. 1854 წელს, ვარჯიშის დროს, ის ორძელიდან ჩამოვარდა და სამუდამოდ დაკოჭლდა. ამის გამო, სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარი, იძულებული გახდა დაეტოვებინა სასწავლებელი და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ფურცელაძემ რუსეთში მხოლოდ რამდენიმე წელი დაჰყო და ისიც ბავშვობის ასაკში, ამ პერიოდმა მაინც გარკვეული კვალი დააჩნია მის ინტელექტუალურ ცხოვრებას. კადეტთა კორპუსში ყოფნისას, ა. ფურცელაძის მასწავლებელთა შორის შორის იყვნენ რევოლუციურად განწყობილი ადამიანები. მათი გავლენით რადიკალური განწყობილება 14 წლის ა. ფურცელაძესაც დაეუფლა. კადეტთა კორპუსშივე მან კარგად შეისწავლა რუსული ენა, როგორც ცნობილია, 60-იან წლებში ა. ფურცელაძემ მთელი რიგი სტატიები გამოაქვეყნა რუსულ ენაზე.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ის ერთხანს თავის სოფელში რჩება და დიდი მონდომებით ეწევა თვითგანვითარებას. ახლო ნათესავის, დავით მირზაშვილის დახმარებით, ა. ფურცელაძე სამსახურს შოულობს, ეწყობა დავრდომილთა თავშესაფარში გადამწერის თანამდებობაზე. მალე თბილისში გადმოვიდა და რამდენიმე სემინარიელთან ერთად დაიქირავა ოთახი. მისი ბინა მაშინდელი მოწინავე ახალგაზრდობის თავშესაყრელ ადგილად იქცა. ამ ახალგაზრდებმა შეადგინეს პატარა წრე, რომლის სული და გული იყო ა. ფურცელაძე. წრე მრავალი საზოგადოებრივი საკითხით იყო დაინტერესებული. წრის წევრები ამზადებდნენ და შეკრებებზე კითხულობდნენ რეფერატებს, პროგრესული მიმართულების რუსულ ჟურნალ-გაზეთებს, საზღვარგარეთულ გამოცემებს.

1861 წელს ა. ფურცელაძე თანამშრომლობას იწყებს ჟურნალ „ცისკარში“. პირველ ხანებში, ის მეტწილად მთარგმნელობით მუშაობას ეწევა. იგი გულგრილი მაცქერალი არ ყოფილა მამათა და შვილთა ლიტერატურული პაექრობისა, რომელიც „ცისკარში“ დაიწყო 1861 წელს. ახალგაზრდა პუბლიცისტი გვერდში ამოუდგა „შვილებს“ და მთელი თავისი შეგნებით ჩაება ბრძოლაში ძველი თაობის წინააღმდეგ.

„ცისკარში“ თანამშრომლობის შეწყვეტის შემდეგ ა. ფურცელაძე

„დროებაში“ გადავიდა და გახდა მისი ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი. 1866 წელს ა. ფურცელაძემ „დროებაში“ გამოაქვეყნა რამდენიმე თავი მოთხრობისა მართა.

1867 წელს ა. ფურცელაძე ტოვებს თბილისს, მუშაობას იწყებს ზუგდიდში სასამართლოს გამომძიებლად.

1869 წელს იგი კვლავ თბილისში ბრუნდება. სწორედ ამ პერიოდში წერს ა. ფურცელაძე რომანს „მაცი ხვიტია“ (1869–1870 წწ.) და ტრაგედიას „დიდი მოურავი“ (1899 წ.).

მისი თაოსნობით 1869 წლის მარტიდან გამოსვლას იწყებს ყოველთვიური სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი „მნათობი“, რომლის გამოცემაც 1872 წელს შეწყდა. 1873 წლიდან ა. ფურცელაძე რედაქტორობს პირველ აგრონომიულ ჟურნალს ქართულ ენაზე „გუთნის დედა“.

1905 წელს ა. ფურცელაძე სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარედ იქნა არჩეული. 1911 წელს მან ბანკში სამსახურს თავი დაანება და მუდმივ საცხოვრებლად გადასახლდა სოფელ არბოში. მას შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. ა. ფურცელაძე გარდაიცვალა 1913 წლის 3 ნოემბერს, თანახმად ანდერძისა, დაასაფლავეს სოფელ მერეთში.

ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილი — 80 (1871, ქუთაისი — 1933, თბილისი), უდიდესი ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე; საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1925); ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი.

მამამისი ეკლესიის გუნდის მომღერალი იყო. მუსიკოსები იყვნენ აგრეთვე ფალიაშვილის ოთხი ძმა და და. თავდაპირველი მუსიკალური განათლება ზაქარიამ მიიღო პიანისტ-ორღანისტ ფელიქს მიზანდართან, შემდეგ კი თბილისში — ლ. აღნიაშვილის გუნდში. უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო 1900-1903 მოსკოვის კონსერვატორიაში ს. ტანეევის ხელმძღვანელობით. მოსკოვში ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა გუნდი და მართავდა ქართულ ხალხური მუსიკის საღამოებს.

1903 წელს ფალიაშვილი საქართველოში დაბრუნდა და დაიწყო ინტენსიური შემოქმედებითი, პედაგოგიური და საშემსრულებლო (ორღანისტი და დირიჟორი) მოღვაწეობა. მუშაობდა სამუსიკო სასწავლებელსა და ქართულ გიმნაზიაში, აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ დაფუძნებაში (1905), დააარსა გუნდი და ორკესტრი. 1908-1917 წლებში სათავეში ედგა ამ

საზოგადოების სამუსიკო სკოლას. იყო აქტიური წევრი „ქართულ ენაზე ოპერების გამმართველი საზოგადოებისა“, დირიჟორობდა სპექტაკლებს. 1905 მოსკოვში დაიბეჭდა ფალიაშვილის პირველი რომანსები „ახალ აღნაგო სულო“, „ნანა, შვილო“ (მიეძღვნა ი. ჯავახიშვილს). ამ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე „მრავალჟამიერი“ (1908), „ქართული ლიტურგია“ (1910), განაგრძობდა ხალხური სიმღერების შეკრებასა (300-მდე) და დამუშავებას. გამოსცა 2 კრებული — „40 ქართული ხალხური სიმღერა“ (1910) და „8 ქართული ხალხური სიმღერა“ (დამუშავება; 1910). 1910 დაიწყო მუშაობა ოპერაზე „აბესალომ და ეთერი“, რომლის ნაწყვეტები 1913 წელს შესრულდა. 1919 წლის 21 თებერვალს ავტორის დირიჟორობით გაიმართა ამ ოპერის პრემიერა. იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი (1918-იდან) და დირექტორი (1919, 1923, 1929-1932) წლებში. შექმნა ოპერები — „დაისი“(1923, პრემიერა 19.12.1923) და „ლატავრა“ (1927; პრემიერა 16.03.1928), „საზეიმო კანტატა“ (1927) და სხვ.

ფალიაშვილის შემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. მან ფუძემდებლური როლი შეასრულა ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბებაში, მისი ესთეტიკური პრინციპებისა და სტილური თავისებურებების ფორმირებაში. ფალიაშვილის საუკეთესი ქმნილებებით ქართველმა ხალხმა თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო მუსიკის კულტურის საგანძურში. ფალიაშვილის შემოქმედება მაღალი იდეურობისა და ხალხურობის ნიმუშია. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი მწვერვალია (ლიბრეტო ხალხური თქმულების „ეთერიანის“ საფუძველზე შეადგინა პ. მირიანაშვილმა). იგი სისტემატურად იდგმება თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე, დაიდგა აგრეთვე ყოფილ სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში: ხარკოვში (1931), მოსკოვის დიდ თეატრში (1939 და 1946), ლენინგრადში (1972), კიევში (1972), უცხოეთში — ლოძსა (1972) და საარბრიუკენში (1974).

მაღალმხატვრული თვისებით, მკაფიო ეროვნული ნიშნებით არის აღბეჭდილი ფალიაშვილის მეორე შესანიშნავი ქმნილება ოპერა “დაისი” (ლიბრეტო ვ. გუნიასი), რომელმაც დასაბამი მისცა ლირიკულ-დრამატულ ჟანრს ქართულ საოპერო მუსიკაში. მხატვრულ სახეთა სიმდიდრემ და ფერადოვნებამ, მუსიკის იშვიათმა პოეტურობამ და გამომსახველობამ, ნათელმა მელოდიურობამ განაპირობა ოპერის ისტორიული მნიშვნელობა და პოპულარობა. ოპერაში

შეხამებულია ლირიკულ-სატრფიალო და გმირულ-პატრიოტული მოტივები. ოპერა დღემდე დიდი წარმატებით იდგმება თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. დაიდგა აგრეთვე სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში: მოსკოვში (1937), კიევში (1938), ალმა-ათაში (1943), ბაქოში (1956), აგრეთვე — სარატოვში, ოდესაში, ნოვოსიბირსკში, ერევანსა და გორკიში. 1974 დაიდგა სააბრიუკენში, 1975 — პლეზენში.

მნიშვნელოვანი მუსიკალური ღირსებით გამოირჩევა „ლატავრა" (ლიბრეტო ს. შანშიაშვილისა), მისი ცალკეული სოლო ნომრები და საგუნდო ეპიზოდები.

ზ. ფალიაშვილის ოპერებზე ქართველ მომღერალთა თაობები აღიზარდა. მის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი (1937 წლიდან), რესპუბლიკის რამდენიმე სამუსიკო-სასწავლო დაწესებულება, ქუჩები — მოსკოვში, თბილისში, ქუთაისში; თბილისსა და ქუთაისში გახსნილია ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმები; დაწესებულია ფალიაშვილის სახელობის პრემია (1971 წლიდან).

*მოამზადეს **მამუკა ცუხიშვილმა** და **გიორგი შავერდაშვილმა.***

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 107.

2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. თბ., 1969. გვ. 401.

3. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2. თბ., 1958, გვ. 236.

4. ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1959, გვ.98.

5. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1984, გვ. 34, გვ. 91., გვ. 199.

6. ნ. ტაბიძე, ტიციანი და მისი მეგობრები, თბ., 1981, გვ. 65.

ჩვენი ავტორები

გრიგოლ ნიკოლოზის ძე რუხაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პატროლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის (2000), მსოფლიო საეკლესიო კრებები/დოგმატური ღმრთისმეტყველება (მესამე გამოცემა, 2008), საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი (2010) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

გვანცა ვახტანგის ასული კოპლატაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტინისტი; ავტორია მონოგრაფიებისა: ლიტერატურისმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში (1986), ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მეხუთე გამოცემა, 2012), ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. ილია მართლისა (2006) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა; ძვ. ბერძნულიდან თარგმნილი აქვს სამი ბიბლიური წიგნი და რამდენიმე პატრისტიკული თხზულება.

ნოდარ იულონის ძე ლომოური

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტინოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში (მეორე გამოცემა, 2009), **К истории грузинского Петрицонского Монастыря (Бачковский монастыр в Болгарии), некоторие вопросы истории Грузии в Армианской историографии** (2009), ქართული საისტორიო თხზულებები როგორც წყარო ბიზანტიის ისტორიისა — „ბიზანტია ქართულ წყაროებში“ (2010), საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა, IV-IX სს. (2011); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

გრანი ემელიანეს ძე ქავთარია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ავტორია მონოგრაფიებისა: ძმები გრაკჰუსები(1990), ჰანიბალი(1979), სამყაროს შვიდი საოცრება (1996), ფარნავაზი (1999), აზონი (2000), ქუჯი (2000), ძველი საბერძნეთი (2005), სერტორიუსი (2003); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

მამუკა ავთანდილის ძე ცუხიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: დღევანდელობა და ქართული ფოლკლორი (2005), ქალის სახე ქართულ ფოლკლორში (2006), ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგანძური (2006), ლეო კვაჭაძე — ქართული ენის ამაგდარი (2008), ჩემი პატრიარქი

(2009) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

ბორის შაქროს ძე ლარჩია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1960-2006 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გამოცემული აქვს ცხრა წიგნი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით (1975); ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა (1986); იაკობ შემოქმედელი (2009); რუსთველოლოგიური გამოკვლევები (2010); ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ), (2011); სალაღობო და ნაღვლიანი ამბები (2012) და სხვა.

თინათინ ვლადიმერის ასული იველაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1979-2006 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად, 1992 წლიდან დღემდე ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობს. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. მისი კვლევის სფეროა: ეთნო-სოციალური და ეთნო-რელიგიური საკითხები.

ბონდო ვალერიანის ძე არველაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არმენოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში? (1996), ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; ქართული ეკლესიის მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება (2001); როცა უდავო სადავო ხდება (2007); ქვანი კვლავ ღაღადებენ (2005) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

თეიმურაზ ივანეს ძე ფანჯიკიძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რელიგიათმცოდნე; ავტორია მონოგრაფიებისა: ბიბლია გუშინ, დღეს... (1982), რელიგიურ რწმენათა კვალდაკვალ (1986), მუჰამედი, ისლამი, ვაჰაბიზმი და საქართველოს პრობლემები (1999), რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე (2003), ბაჰაი — ახალი მსოფლიო რელიგია? (2010) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

რუსუდან მერაბის ასული ლოსიშვილი

თეოლოგიის მაგისტრი. ჟურნალის წინამდებარე ნომერში მისი სადებიუტო წერილი დაიბეჭდა.

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №2 (8), 2013
(на грузинском языке)

Р Е З Ю М Е

ГРИГОЛ РУХАДЗЕ

НОВАЯ ТОТАЛИТАРНАЯ СЕКТА

В очерке дан обзор современных политико-религиозных вопросов Грузии. Внимание заострено на принявшие глобальные масштабы, беспредельной активности и неприемлемых для христианских традиций действий сексуальных меньшиств.

ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ

АТАБАГСТВО САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Причину удаления южной Грузии, исторической Самцхе-Джавахети от родины и ее превращения в ахалцихский пашалык, прежде всего, следует искать в грехах предков, в частности, честолюбии и изменах. Царь Эрекле в известный трактат, согласно которому, Картли-Кахетинское царство являлось подданным Российской Православной Империи, одним из пунктов внес пункт, предусматривающий усилия со стороны Российской империи, направленные на возвращении потерянных грузинских краев. В статье, на основе анализа исторических фактов, представлена реальная картина попыток Россииской Империи по возвращении Самцхе-Джавахети, которые под конец увенчались успехом. Однако честолюбие и измена и на сей раз проявились, что, естественно, причинило вред общему национальному делу, последствия которого по сей день пожинает Грузия.

НОДАР ЛОМОУРИ

НЕОБХОДИМОСТЬ ВОССТАНОВЛЕНИЯ ОТНОШЕНИЙ С РОССИЕЙ
(ДВЕ РОССИИ И МЫ)

Многовековая история Грузии преисполненна весьма сложными противоречиями: великие успехи сменялись страшными поражениями. По мнению автора статьи, с XVIII века направляющей силой этих наисложнейших проблем стал северный сосед. Грузинский народ от России испытал много невзгод, однако, вместе с тем, получил и незабываемое добро. Именно поэтому и существовало «две России». «Первая» – это прогрессивная, уважаемая многими поколениями Россия и «вторая» – агрессивная, полностью неприемлемая Россия. На протяжении новейшей истории, высшие интелектуальные слои Грузии были тесно связаны с «первой Россией» и участниками этих взаимоотношений оказались несколько поколений. Представленное письмо ставит целью предание гласности конкретных фактов об этих контактах, в частности в той области, в которой работал сам автор – в византиологии и классической филологии эти контакты способствовали развитию и продвижению этих областей (как и других направлений грузинской науки) на международную арену. Однако, паралельно всегда проявлялась агрессивность «второй России», которая особенно усилилась в 90-ые годы прошлого века и проявилась в Абхазии и т.н. Южной Осетии, хотя поддержка «первой России» все еще ощущалась и ее участники объективно оценивали протекающие в Грузии процессы (Анна Антоновская, Светлана Червонная и др.). Это обстоятельство до определенного времени помогало нам отражать нападки «второй России».

К сожалению, вследствие жуткой реформы Саакашвили-Ломаиа и, в особенности, постыдной для Грузии войны августа 2008 года, страна полностью потеряла всякую связь с «первой Россией» и осталась незащищенной лицом к лицу перед «второй Россией», что оказалось вредоносным для нации. По мнению автора, необходимо бдительно, осмысленно, на основе объективной оценки действующих в России антигрузинских сил (армянских, турецких), восстановить отношения с «первой Россией». К счастью, сегодняшнее правительство (под руководством Бидзина Иванишвили) уже делает определенные шаги в этом направлении.

ГРАНИ КАВТАРИЯ

СТРАТЕГИЧЕСКОЕ ПАРТНЕРСТВО ИЛИ ВАССАЛЬНАЯ ЗАВИСИМОСТЬ

В грузинской летописи подчеркнуто, что на заре становления грузинской государственности, в целях сохранения равенства, эристави договаривались подчиняться только сильным завоевателям. На протяжении тысячилетий, Грузия оставалась исполнительницей воли сильных мира сего (исключением был XII век, с эпохи Давида Строителя до царицы Тамар). Наши предки постоянно вели кровопролитные воины против завоевателей. Тяжелое наследство прошлого продолжается без модернизации. Наша родина и сегодня находится в услужении сильных мира сего и преклоненная выполняет любое «мудрое» указание стратегических партнеров («сильных»). В статье отмечается, что широко разлекрамированному стратегическому партнерству «Национального движения», полностью соответствует старогрузинское «Кмаднафицоба» (вассальная зависимость).

МАМУКА ЦУХИШВИЛИ

ПЕТРЕ БАГРАТИОНИ

Свою деятельность в русской армии Петре Багратиони начал с позиции рядового солдата и закончил в ранге генерала и главнокомандуюшего. Своими героическими делами и подвигами, которые удел избранных, он обесмертил свое имя.Он вначале прославил грузин и Грузию, а затем показал всему миру мощь и непобедимость России, как империи.

БОРИС ДАРЧИЯ

БОРЬБА ПРОТИВ ВАЖА-ПШАВЕЛА И ИОСИФ СТАЛИН

В статье опровергается расхожее мнение о том, как будто Важа-Пшавела, в редакции «Иверия», подрался и спустил с лестницы

семинариста И.Сталина. Как будто этим и объясняется ненависть и борьба И.Сталина против Важа-Пшавела. Будто именно по его указанию проводилась в 1951-1952 годах кампания против Важа-Пшавела.

ТИНА ИВЕЛАШВИЛИ

ИСТОРИЯ ПЕРЕСЕЛЕННЫХ ИЗ МЕСХЕТИ МУСУЛЬМАН
2. АХАЛЦИХСКИЙ УЕЗД

Проблема репатриации переселенного из Самцхе-Джавахети в 1944 году мусульманского населения, т.н. «турок-месхетинцев» и вопрос о выяснении их личности, долгое время стоит перед грузинским народом. В обществе существуют разнообразные мнения. В зависимости от обострения политической лихорадки, эта проблема время от времени активно всплывает (или сознательно подбрасывается) в виде полемики. Взаимосличение и анализ существующих на сегодняшний день письменных источников, специальной или общей литературы, документов, архивных материалов и собранных и зафиксированных в течении многих лет этнографических материалов, дает возможность раз и навсегда определить, кто такие «турки-месхетинцы» и кто и с какой целью использует этот искусственно созданный термин.

До выселения омусульманенное население (таракамы, курды, турки, позднее омусульманенные грузины) проживало, в основном, в Ахалкалакской и Ахалцихской уездах. До 40-ых годов XX века Ахалцихский уезд по этническому составу и религиозной принадлежности населения был весьма пестрым. Здесь проживали коренные, местные православные и частично омусульманенные грузины, попозже обоснованные курды, армяне и карапапахцы.

Их наименование «турками- месхетинцами» имеет определенный целенаправленный характер и искусственно распрастранено в грузинском обществе. Подобное не происходит не в одной стране мира. Интересно, знают ли различные неправительственные и возникшие в Грузии, как после дождя грибы, правительственные организации об этом, или знают, но по заказу родоначальников «нового мирового порядка», или-же

получая избыточное финансирование, сознательно действуют с целью уничтожения национальной целостности, национального самосознания одного из древнейшего, имеющего многовековую историю, грузинского народа.

Их можно называть «омусульманенными месхетинцами», а не «турками-месхетинцами» и то, не переселенных из Самцхе-Джавахети представителей разных племен мусульманского населения, а живущих на территории современной Турции, на своей исторической территории (Тао-Кларджети, Кола-Артаани, Шавшети, Лазистани и т.д.) несколько миллион коренных, местных омусульманенных грузин.

БОНДО АРВЕЛАДЗЕ

НА СЕРЕБРАННОЙ УЛИЦЕ СТОИТ ГРУЗИНСКАЯ ЦЕРКОВЬ

Автор возвращается к рассмотренному им-же ранее вопросу и в противовес «новым известиям» армянского исследователя, С.Карапетяна обосновывает, что расположенная в Тбилиси, на Серебрянной улице церковь Николая Чудотворца, изначально была грузинской.

ТЕИМУРАЗ ПАНДЖИКИДЗЕ

ЗЛОВЕЩАЯ РЕФОРМА ОБРАЗОВАНИЯ В ГРУЗИИ

В статье дан обзор реформы образования, проведенной правительством, пришедшей к власти в Грузию, под именем «Национального движения». Автор негативно оценивает проведенные мероприятия и намечает пути для искоренения этих недостатков и несправедливости. Приведены соображения известного специалиста по этике Лилианы Чинчаладзе о путях и задачах совершенствования системы образования.

РУСУДАН ЛОХИШВИЛИ

РОЛЬ ТЕАТРА В ОБЩЕСТВЕ И ЕГО ОЦЕНКА С ПОЗИЦИИ ЦЕРКВИ

В очерке рассмотрено разноообразное взаимоотношение театра и церкви в разные периоды истории. Театр зародился в античной эпохе. Великие мыслители всегда придавали театру большое значение для нравственного становления человека. После повсеместного распространения христианства, только театр остался приверженцем язычества и только там проводились демонические ритуалы и оргии. Этим и объяснялось негативное отношение церкви к театру. Отношения между церковью и театром особенно обострились во время усиления ереси. В IV веке тяга к театральным представлениям была настолько велика, что люди жили не реальной, а искусственной, воображаемой, протекающей в кулисах театра жизнью. На площадях города слышались призывы: «Хлеб и зрелище!» Не вызывает удивление тот факт, что духовенство принимало все меры против отдаления человека от Бога. Отцы церкви потому и принимали строжаишие законы против театральных представлений, чтобы не допустить нравственное растление человечества. Но времена изменились. Поколения выросли в лоне христианства, с христианским мировоззрением. Изменился и характер театральных представлений. В средние века в России театр был настолько популярным, что театральные залы были переполнены. Особой популярностью пользовались постановки на религиозные темы. Что касается Грузии, здесь театр появляется с XIX века. Возрождению театра способствовал Илиа Чавчавадзе (Илиа Мартали). Он следующим образом оценил роль театра: «Сцена живыми картинками беседует с сердцем и разумом человека, этим своим свойством он более действенно воздействует на настроение человека, чем что-то другое. Театр одухотворяет чувства и разум человека. Именно этим и привлекает он». Деятели театра и кино единогласно признают, что истинное искусство должно служить духовному воспитанию и становлению человека. Театр, как искусство, должен способствовать нравственному совершенствованию и духовному очищению общества.

Scientific and Social Journal
"SAMI SAUNJE" (Three Treasures) №2 (8), 2013
(in Georgian)

SUMMARY

GRIGOL RUKHADZE
NEW TOTALITARIAN SECT

The article reviews the political and religious issues of modern Georgia. Special attention is drawn to the unhinged activities of sexual minorities and their inappropriate actions that have acquired a global character.

GVANTSA KOPLATADZE
SAMTSKHE-JAVAKHETI PRINCIPALITY IN THE FIRST HALF OF THE 19TH CENTURY

The reason for separating Samtskhe-Javakheti from the historical homeland of southern Georgia, and of its transformation into Akhaltsikhe province is partly due to the sins of their ancestors, their ambition and their treachery. In much known Treaty of King Erekle, according to which Kartli and Kakheti kingdoms became subjects of the Russian Orthodox Empire, one of the requests was to aid Georgia in regaining its lost territories. The article presents evidence based on the analysis of historical facts that demonstrates the Russian Empire's attempts to return the Samtskhe-Javakheti region to Georgia;however, just like in the past, ambition and high treason emerged this time as well. This harmed the country so severely that even nowadays Georgia is still paying for it.

NODAR LOMOURI
THE NEED TO RESTORE RELATIONS WITH RUSSIA
(TWO RUSSIAS AND US)

Centuries-old history of Georgia was full of very complex contradictions of great successes and terrible defeats. The author believes that, from the 18th century, the guiding force of the most complicated problems was Georgia's northern neighbor, Russia. The Georgian people have experi-

enced many hardships, as well as memorable kindness from Russia. That is why there were "two" Russias. "The First", is a progressive Russia, respected by many generations. "The Second", is an aggressive Russia, completely unacceptable. Throughout the recent past, several generations of Georgian intelligentsia (intellectual elite) were closely connected with "The First" Russia. The purpose of this letter is to publicize specific facts about these relationships, particularly in the area where the author worked in Byzantinology and classical philology. These relationships have contributed to the development and promotion of these areas (as well as other areas of Georgian science) into the international arena. "The Second" Russia, has always manifested aggressiveness, which intensified particularly in the 1990s. The example of this was the actions in Abkhazia and so-called South Ossetia. It needs to be mentioned that the support of "The First" Russia was still felt during these turbulent times. Its members (Anna Antonovskaya, Svetlana Chervonnaya etc.) objectively evaluated the processes taking place in Georgia. This fact helped Georgia to fend off attacks of "The Second" Russia until a certain time.

Unfortunately, due to the terrible reforms of Saakashvili-Lomaia and particularly shameful war of August 2008, the country lost all contact with "The First" Russia and found itself facing "The Second" Russia. That has proved to be harmful for our nation. According to the author, one must be sensible and vigilant in order to objectively assess the existing anti-Georgian forces in Russia (Armenian, Turkish) and restore the relationship with "The First" Russia. Fortunately, the current government (led by Bidzina Ivanishvili) is already taking some steps in this direction.

GRANI KAVTARIA

STRATEGIC PARTNERSHIP OR VASSALAGE DEPENDENCE

Georgian chronicles stress the fact that at the dawn of the creationof Georgian state, all the Eristavis (dukes) agreed to submitonly to the strongestconquerors in order to maintain equality. Over the years, Georgia remained a follower of the will of the "powerful" (the only exception was the 12th century, the era of David the Builder and Queen Tamar). Our ancestors continuously waged bloody wars against the invaders.

The heavy legacy of the past continues without any changes. Even today, our homeland is servicing the interests of the powerful and is obediently performing any "wise" instructions of the strategic ("powerful") partners.

The article implies that the widely advertised strategic partnership of "National Movement" is equivalent of the old Georgian "Kmadnapitsoba" (vassalage).

MAMUKA TSUKHISHVILI

PETRE BAGRATIONI

Petre Bagrationi began his military life in the Russian army as a private and finished as a general and commander-in-chief. He immortalized his name by his heroic deeds and feats that only a few are capable of. First, he made a name for Georgians and Georgia, and then he demonstrated the power and invincibility of the Russian Empire to the world.

BORIS DARCHIA

THE FIGHT AGAINST VAJHA PSHAVELA AND JOSEPH STALIN

The article rebuts the opinion that Vajha Pshavela got into a fight with a seminarian, Joseph Stalin and threw him down the stairs at "Iveria" Publishing House. This incident is believed to be the reason of the presumed hatred of Stalin against Vazha Pshavela. This incident is also blamed for the campaign carried out during 1951 and 1952 against Vazha Pshavela under the alleged direction of Joseph Stalin.

TINA IVELASHVILI

HISTORY OF EXILED MUSLIMS FROM MESKHETI

2. AKHALTSIKHE PROVINCE

The problem of repatriation of the Muslim population of so-called "Meskhetian Turks" exiled in 1944 from Samtskhe-Javakheti and acceptance of their national identity has long worried the Georgian people. The opinions on this subject vary drastically. Depending on the political situation, this issue periodically emerges(possibly deliberately) as a controversy.Comparison and analysis of currently available written sources, special and general literature, documents, recently studied ethnographic materials finally provide an opportunity to determine who the "Meskhetian Turks" are. In addition, it reveals who is benefiting

from using this artificially created term and for what purpose.
Muslimized population (Tarakams, Kurds, Turks, and later Georgian Muslims) mostly lived in Akhalkalaki and Akhaltsikhe provinces before the exile. Prior to 1940, religion and ethnic composition of the population of the Akhaltsikhe province (today's, Akhaltsikhe, Adigeni and part of Borjomi districts) was rather diverse.This area was inhabited by indigenous Christians and partly Islamized Georgians. They were later joined by sheltered Kurds, Turks, Armenians and Karapapaks. Calling them "Meskhetian Turks" has a specific purpose and the term is artificially spread in Georgian society.This type of action does not happen in any other country. One may wonder if various governmental, non-governmental and international agencies that have appeared in Georgia like mushrooms after the rain, know about this fact. Or, maybe they know it but under the influences of the governing forces of "the new order" and wholesome funding they deliberately destroy the national identity and integrity of the centuries old history of the Georgian nation. One should use the term "Muslimized Meskhetians" but never "Meskhetian Turks" (the diverse tribal muslim population exiled from Samtskhe-Javakheti) to refer to the population of several million indigenous muslimized Georgians who are living on their historic territory (Tao-Klarjeti, Kola-Artaani, Shavsheti, Lazistan, etc.),currently Turkey.

BONDO ARVELADZE

THERE IS A GEORGIAN CHURCH ON VERTSKHLI STREET

The author returns to the issue he previously addressed regarding Armenian scientist S. Karapetyan's "New Remarks" .The author provides contradictory evidence disputing S. Karapetyan's statements. The author maintains that St. Nilokoz the Wonderworker church on Vertskhli street, in Tbilisi has always been Georgian.

TEIMURAZ PANJIKIDZE

PORTENTOUS EDUCATION REFORM IN GEORGIA

The article provides an overview of the education reform undertaken by the government that came to power in Georgia under the name of "National Movement". The author negatively assesses the actions carried

out by the regime and suggests ways to correct these injustices. The article also includes considerations of a known ethicist Liliana Chinchaladze onhow to improve and advance the education system.

RUSUDAN LOKHISHVILI

THE ROLE OF THEATRE IN SOCIETY AND ITS EVALUATION FROM THE PERSPECTIVE OF THE CHURCH

The essay reveals a diverse relationship of theater and the church that existed during different periods of history. Theatre originated in the ancient era. Great thinkers have always given a considerable importance to the theater as a tool of moral evolution of a person. After the widespread dissemination of Christianity, only theater remained a supporter of paganism and only there, demonic rituals and orgies took place. This explains the negative attitude of the church towards the theater. The relationship between the church and theater became particularly acute during the intensification of heretical movements. In the 4th century, the aspiration towards theatrical shows was so extreme that people lived not actual, but artificial, imagined, behind the scenes theatrical lives. In the squares of the cities announcements like "Bread and Spectacle" could be heard. It is not surprising that the clergy took all measures against the separation of man from God. Therefore, Holly Fathers of the church welcomed the toughest laws against theatrical performances in order to prevent the moral corruption of mankind. But times have changed. Generations have grown in the bosom of Christianity, with Christian lifestyles. The nature of the theatrical performances has changed as well. For example, in the middle ages, theatre in Russia was so popular that auditoriums overflowed. Especially popular were the performances with religious themes. As for Georgia, theater originated in the 19th century by the patronage and promotion of Ilia Chavchavadze (Ilia Martali). Ilia made the following statement about the role of theater: "Stage speaks to the hearts and minds of men with live pictures; the influence that it holds over the human mind is more powerful than anything else. This power of theater is desirable and inspiring for the human senses and intellect." Theater and cinema figures unanimously recognize that the true art should serve as the spiritual cleansing and ethical education of society.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
„სამი საუნჯე“ №3(9), 2013

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.
ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23

❖

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №3(9), 2013
(на грузинском языке)

❖

Scientific and Social Journal
“SAMI SAUNJE” (Three Treasures) №3(9), 2013
(in Georgian)

❖

პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ,
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით
გამავრცელებელ სააგენტოებს —
თბილისში: „მაცნე“, 214-74-22; „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);
აგრეთვე შეგიძლიათ თანხა (7 ან 14 ლ.)
ჩარიცხოთ შპს „სამი საუნჯის“ ანგარიშზე:
TBCBGE 22, GE18 TB79 6263 6060 1000 01
და ჟურნალი თქვენს მისამართზე მოგეწოდებათ;
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და
რაიონების ფილიალებს დაუკავშირდეთ ჩვენს ვებ-გვერდზე
მითითებული ნომრების საშუალებით.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.09.2013. ტირაჟი 300.

დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს სტამბაში, შპს „მეგობრობა“
თბილისი, ქვემო ელიას დასახლება, სამების საკათედრო ტაძარი.

ფასი 7 ლარი

ISSN 2233-338X

www.sinergia.ge; samisaunje@sinergia.ge